



საქართველოს  
საშენობის ინჟინერების  
საზოგადოებრივი უნივერსიტეტი

ა. ვ. რ. მ. ბ. ა. ვ. ა.

სახალხო განათლება  
ერეკლე მეორის ხანის  
ქართლ-ქახეთში  
და ანგონ პირველი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტის  
გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი — 1950

აპ. როზაშა



სახალსო განათლება ერაქლე მეორის ხანის  
ქართლ-ქახეთში ღა ანგონ ვირველი

საქართველოს სსრ განათლების საინისტროს  
ვედაგოგიკურ მეთნიერებათა ინსტიტუტის  
გამომცემლობა

თბილისი, 1950



წინასწარი შენიშვნები . . . . .

I. სახალხო განათლების დარგში ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები . . . . . 5

II. ერეკლე მეორის დროინდელი სასწავლებლები ქართლ-კახეთში და ანტონის სასკოლო-პედაგოგიური მოღვაწეობა . . . . . 21

§ 1. ანტონ პირველის გამოსვლა განათლების დარგის მეთაურად და ერეკლე მეორის თაოსნობა სასკოლო-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის. . . . . 21

§ 2. სახელმწიფო სკოლები (სასულიერო სემინარიები) და ანტონ პირველი . . . . . 31

ა) ანტონ პირველის როლი სემინარიების დაარსებისა და ხელმძღვანელობის საქმეში . . . . . 31

ბ) ანტონ პირველი თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად . . . . . 40

გ) სასულიერო სემინარიების რექტორები . . . . . 41

დ) სასულიერო სემინარიების ხარჯებისათვის საჭირო სახელმწიფო წყაროები . . . . . 55

ე) მოსწავლეთა კონტინგენტი სემინარიებში . . . . . 58

ვ) სასულიერო სემინარიებში სასწავლო საგნები . . . . . 65

ზ) სემინარიებში მუშაობის კარგად დაყენებისათვის წამახალი-სებელი საშუალებანი . . . . . 71

§ 3. კერძო სასწავლებლები . . . . . 75

§ 4. ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლები ეპარქიებში . . . . . 77

§ 5. კერძო მასწავლებლები . . . . . 87

§ 6. ქართველთა მიერ სწავლა-განათლების შეძენა რუსეთში . . . . . 92

§ 7. „მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტის დამოკიდებულება სახალხო განათლებასთან XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში . . . . . 97

§ 8. უმაღლესი სასწავლებლების დაარსების პროექტების შესახებ . . . . . 110

§ 9. ანტონ პირველისა და მისი მიმდევრების მუშაობა სახელმძღვანელო წიგნების შესაქმნელად . . . . . 111

III. ბეჭდვის საქმე და ანტონ პირველის ღვაწლი ამ საქმის მხატვრობისა და კალიგრაფიული ხელობის განვითარებაში . . . . . 123

IV. წიგნთსაცავთა ქსელი ქართლ-კახეთის სამეფოში და ანტონ პირველის ღვაწლი ამ დარგში . . . . . 150

471  
276  
K

რედაქტორი კ. გრიგოლია  
ტექრედაქტორი გ. იამანიძე  
კორექტორი ნ. ბახტაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-50 წ. უი18222. ანაწყოების ზომა 6X10. ქაღ. ზომა 60X92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. სააღრიცხვო-საგანმომცემლო ფორმა-9,5. სააგტორო ფორმა-9,2. შეკვეთის № 1192 ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიკული წიგნების გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

## წინასწარი შენიშვნები

ძველი საქართველოს განათლების დარგის საკითხებისადმი თავიანთ ნაშრომებში არა ერთ მეცნიერს (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) მიუქცევია ყურადღება. მათ მიერ ამ დარგში ბევრი რამ საყურადღებო მოვლენა აღნიშნულა. მაგრამ, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი მდიდარი ქართული კულტურის ამ დარგის ნათელსაყოფად, ვიდრე ეს დღემდე გაკეთებულა. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ქართველთა აღზრდისა და სწავლა-განათლების განვითარების ისტორიის დაწერა ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება. საამისოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების არათუ სხვადასხვა ეპოქის, არამედ რომელიმე ხანის ფარგლებში სპეციალურად განათლების დარგის მრავალმხრივი გამოკვლევა ვინმეს ჯერ არც კი უცდია. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი, კერძოდ, ერეკლე მეორის ხანის დასახასიათებლად პირველ ცდას წარმოადგენს და, როგორც ასეთი, ზოგიერთ ხარვეზსა და ნაკლოვანებას მოკლებული არც შეიძლება არ ყოფილიყო.

ჩვენ შევეცადეთ დღემდე გამოქვეყნებული სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებითა და განსაკუთრებით კი აქამდე უცნობი საარქივო მასალების მოპოვებით ჩვენს წინაშე წამოჭრილი რიგი ძირითადი საკითხებისათვის გაგვეცა პასუხი იმდენად, რამდენად ეს შესაძლებელი იყო უეჭველი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით. მაგრამ, რა თქმა უნდა, რიგი საისტორიო მასალების შემოუნახველობისა და ჯერჯერობით ჩვენთვის კიდევ ხელმიუწვდომელი საარქივო მასალების უქონლობის გამო ზოგიერთ საკითხზე მსჯელობას დუმილი ვარჩიეთ ანდა ხანდახან ვამჯობინეთ მისი წაყენება მომავალ მკვლევართა წინაშე გადასაწყვეტად. განსაკუთრებით ამგვარი პირობებით აიხსნება აქა-იქ შესამჩნევი ზოგიერთი ხარვეზი და ნაკლოვანება ამ შრომისა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ზოგადად და დაახლოებით მაინც გააცნობს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სახალხო განათლების სწორ სურათს საბჭოთა მკითხველს და მოემსახურება მის ინტერესს



საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

თ ავისი ქვეყნის წარსულის შესასწავლად. ზემოხსენებული ყოველგვარი დანაკლისის შევსება კი ჩვენი სწრაფად მზარდ მშენებლობით მომავალი საპატიო საქმეა.

ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს იმ შრომებისას, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ დასახული გეგმის თანახმად ან მის გარეშეც შესრულებულ იქნა ავტორის, როგორც ამ დაწესებულების თანამშრომლის მიერ ერთეულ მეორის დიდი თანამებრძოლის კათალიკოზ ანტონ პირველის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად 1946—50 წლებში. ამ ხნის განმავლობაში ყველა ეს ნაშრომი ამავე ინსტიტუტის შემწეობით მოხსენდა საჯარო სხდომებზე საზოგადოებას სადისერტაციო შრომის წარმოდგენითა და ცალცალკე მოხსენებების სახით და ინახება ამ ინსტიტუტშივე. კერძოდ, წინამდებარე ნაშრომის ნაწილი 1948 წ. 4 დეკემბერს წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების ღია სხდომაზე, შემდეგ კი იგი ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით უფრო გავრცობილი იქნა. ამასთანავე, ბუნებრივია, ავტორი მასში ეყრდნობა ზემოხსენებულ თავის აღრინდელ ნაშრომთ და მათ საჭიროებისას გზადაგზა ასახელებს კიდევაც. მათაც გამოცემა მოელის და სანამ ეს მოხერხდებოდეს, ამ წიგნის დაბეჭდვა მაინც არ დავაყოვნეთ.

აპ. როგავა

თბილისი,  
1950 წ. მარტი.

თავი პირველი

**სახალხო განათლების დარგში ანტონ პირველისა და  
ერეკლე მემორის მოღვაწეობის საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური საფუძვლები**

ადრინდელ ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“<sup>1</sup> ჩვენ მიერ ვრცლად განხილულ იქნა კათალიკოზ ანტონ პირველის პოლიტიკური შეხედულებანი. ამასთანავე, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აღწერა-დახასიათებასთან ერთად გამოიჩვენა, რომ მას და ერეკლე მემორეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ჰქონდათ სახელმძღვანელოდ ადრითგანვე გამომუშავებული საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია. ახლა ძლიერ მოკლედ გავიხსენებთ ამ თეორიის წარმოშობასა და დედააზრს.

ანტონ პირველს ეს თეორია ჩამოყალიბებული აქვს რიგი თავისი ნაშრომების სათანადო ადგილებში და ორივე „ძმა“, ერეკლე და ანტონი, „სულისა ერთობრიობით“<sup>2</sup> ცდილობდა მის განხორციელებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ამ თეორიის ძირითადი პრინციპი ძველთაგან მომდინარეობდა. იგი ლუარსაბ პირველის, სვიმონ პირველის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა მიერ თანდათან გაზრდილი გულისზრახვა—საქართველოს „გამოხსნა“ და „აღდგომა“ იყო. მაგრამ დრონი იცვალნენ და ამ პრინციპის ნიადაგზე ადრითგანვე აღმოცენებულ პროგრესულ სულისკვეთებათა და იდეათა, — როგორცაა ნაციონალური დამოუკიდებლობა, მეფის ცენტრალისტური ხელისუფლებით გაერთიანებული „ყოველი საქართველოს“ არსებობა, ძველი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შესწავლა, ინტერესი განათლებისა და სამხედრო საქმისადმი, რუსეთის მიმართ სიმპათია და სხვა, — კიდევ უფრო

<sup>1</sup> წაითხულია მოხსენებად საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების დია სხდომაზე 1943 წ. იანვარს.

<sup>2</sup> ტიპოთე გაბაშვილი, „სპეკალის“ წინასიტყვაობა, — იხ. აპ. როგავას სადისერტაციო ნაშრომი — 1947 წ. გამოსაცემად დაზარალებული ანტონ პირველის „სპეკალი“ (ტექსტი და გამოკვლევა) ან საქ. მუზეუმის ხელნ. № 1743 A („სპეკალი“).



ზრდასთან ერთად ახალი მიდრეკილება და იდეატიზმის  
ქართველთა „ევროპეიზაციის“ საქმე და განათლებული აბსოლუტური  
მონარქიზმის იდეა.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში ამ ახალ იდეოლო-  
გიურ მოვლენათა გაჩენასთან ერთად მათი განხორციელების ახალი  
გზებიც დაისახა. ამასთანავე, ერეკლე მეორის ხანაში ყველა ამ მო-  
წინავე იდეოლოგიური მოვლენის თავისებურად განმხილველ-შემფასე-  
ბელი და გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თეორიად ჩამო-  
მყალიბებელი კათალიკოზი ანტონ პირველი იყო.

განათლებული აბსოლუტური მონარქიზმის იდეა სწორედ ანტონ  
პირველის დროს მომწიფდა და ხორციელდებოდა ევროპაში (გერ-  
მანიაში—ფრიდრიხ II, ავსტრიაში—იოსებ II, რუსეთში—ეკატე-  
რინე II, და სხვ.). ანტონმა, თავის თანამედროვეთა შორის საქართ-  
ველოში როგორც ყველაზე უფრო განათლებულმა პიროვნებამ და  
სხვებზე უფრო ევროპის კულტურის მცოდნემაც, არათუ შეიგნო  
განათლებული აბსოლუტური მონარქიზმის დადებითი მხარეები, არა-  
მედ ავრცელებდა კბდეც ჩვენში მათი ვარგისიანობის აზრს. აგრეთვე,  
მიუხედავად არსათანადო საფუძვლებისა, ანტონმა მშობლიურ ნია-  
დაგზედაც, ღავით აღმაშენებელის მონარქიზმშიაც კი განპვრიტა  
თითქოს მსგავსი ელემენტები. მან ესეც მოიშველია, მოწინავე  
ევროპულ იდეას შეუთავსა და თავის საზოგადოებრივ-პოლი-  
ტიკურ თეორიაში შეტანით ეს იდეა ერთ-ერთ ძირითად განსახორ-  
ციელებელ მიზნად დასახა თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ანტონის  
აზროვნებაში, რა თქმა უნდა, ეს უტოპიური მოვლენა იყო, რადგან  
ერეკლესდროინდელ საქართველოში, ჯერ კიდევ თავადური სისტე-  
მის ბატონობისას, ადრინდელი მაღალი ქართული კულტურის შთა-  
ბეჭდილებითა და თანამედროვე მოწინავე ევროპულ იდეოლოგიურ  
მოვლენათა ათვისებით თვით ანტონისაგანვე ხელოვნურად ჩვენში  
წარმოქმნილი განათლებული აბსოლუტური მონარქიზმის იდეის გან-  
სახორციელებლად სათანადო პირობები სინამდვილეში არ მოიპოვე-  
ბოდა. მას არ გააჩნდა ჩვენში განხორციელებისათვის არც სათა-  
ნადო ეკონომიური ნიადაგი (სავაჭრო კაპიტალისტური წარმოება  
და შესაფერისად ორგანიზებული სასოფლო მემაშუღეობა), არც  
საკირო სოციალური გარემო (ბურჟუაზიული კლასი, ბრწყინვალე  
არისტოკრატია და სხვა), არც სათანადო სახელმწიფოებრივი  
ბიუროკრატიული აპარატი და ორგანიზაცია და არც საზოგადოებ-  
რივი იდეოლოგიური საფუძვლები.


არ შეიძლება ითქვას, რომ ერეკლესა და ანტონს ეს გარემოება  
სრულიად არ ესმოდათ. პირიქით, ისინი ამ პირობების უქონლობას

სახელმწიფოში კარგად განიცდიდნენ და სწორედ ამიტომაც შეგებულად იყვნენ დაინტერესებულნი ევროპის ცხოვრებით, ამგვარივე ცხოვრების მოწყობისათვის დასახმარებლად ისინი ენატიერებოდნენ სწავლულ ევროპელთ საქართველოში და ამასთანავე ცდილობდნენ მოეწვიათ იქიდან კაპიტალისტ-წამომწყებნიც. არა მარტო ქართული წყაროები, არამედ ბურნაშევის, გვილდენშტედტის, რაინფესისა და მრავალი სხვა ევროპელის ცნობები ამ საქმეში ჩვენ კარგად გვარწმუნებენ. სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატში თავისებური რაციონალური ცვლილებების შეტანით, სოფლისა და ქალაქის მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებებით, კაპიტალისტური წარმოებისათვის დიდად დამახასიათებელი წამომწყებებით (სამთამადნო წარმოების გაჩენა; საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები: მაუდის წარმოების და მინა-ბროლისა და სარკის ქარხნები, შაქრის წარმოების მოწყობა; სამხედრო მრეწველობის განვითარება: ზარბაზნების ჩამოსხმა და სხვ.; ფულის მოჭრის ტექნიკისა და სასტამბო საქმის გაუმჯობესება და სხვა მისთ.), სავაჭრო ურთიერთობისათვის დიდად ხელისშეწყობით, განათლების დარგისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, კერძოდ, გამოყენებით მეცნიერებათა (გრამატიკა, მათემატიკა, ფიზიკა და სხვ.) სწავლებით, რეგულარული ჯარის გაჩენის ინტერესით („მორიგე“ ამ მხრივ რეალური საწყისი იყო) და მრავალი სხვა ზომითაც ერეკლე მეფე, ანტონ პირველისა და სხვათა თანაშემწეობით, დაეინებით ცდილობდა ევროპას ყოველმხრივ გათანასწორობოდა საქართველო ცხოვრებაში. ამ გზით ქვეყნის „განახლებით“ ფიქრობდნენ მეფე და კათალიკოზი ქართველი ერის „გამოხსნას“, ანტონისავე სიტყვით რომ ვთქვათ, მეზობელ „ბარბაროზთაგან“, სპარსეთ-თურქეთის აგრესიული ზრახვებისაგან. ამავე გზით უნდა მომხდარიყო მისი „აღდგომაც“. ერეკლესა და ანტონის თვალსაზრისით, ევროპაში არსებული ზემოხსენებული ყველა პირობა აუცილებელი იყო ჩვენშიაც მათთვის სანატრელი განათლებული აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრებისა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი პროგრესის წარმოშობისათვის. ამიტომ სამისოდ, შეძლებისდაგვარად, თავგამოდებით მხარდამხარ იბრძოდა ეს ორი „ძმა“, მეფე და კათალიკოზი. განათლებული აბსოლუტური მონარქიის განხორციელების სურვილი სახელმწიფოში მათში იმდენად მძლავრად არსებობდა, რომ დღევანდელი მკვლევარისათვის ეს მოვლენა საკმაოდ ნათლად შესამჩნევია შემონახული საისტორიო მასალების განხილვისას და მეტად საინტერესოცაა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.





მაგრამ ამ იდეის განხორციელება საქართველოს მაშინდელ ცხოვრებაში ხომ უტოპიას წარმოადგენდა არაშესაფერისეულობისა და ევროპე-ეკონომიური და პოლიტიკური პირობებისა ამა თუ იმ შინაპოლიტიკური მარცხის შედეგად, ეს ოცნება ოცნებადვე ურჩებოდა სახელმწიფო ცხოვრებაში ხელოვნურად მისასავე განმახორციელებელ მეფესა და კათალიკოსს. ჩვენში მისი დანერგვის არარეალობაში ორივე „ძმა“ არა ერთხელ მწარედ დარწმუნებულა პრაქტიკით, მაგრამ გულგაუტეხლად და მეტად მანც თავისას განაგრძობდნენ ხელისუფლების სათავეში მდგომნი. მათი სათაყვანებელი იდეალი წინ უსწრებდა საქართველოში არსებულ სინამდვილეს და ამიტომაც პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ერთი მხრით, ამ მეფე-კათალიკოსისა და, მეორე მხრით, რეაქციულ წრეთა შორის კონფლიქტების გაჩენას, სხვა მოვლენებთან ერთად, ძლიერ ხელს უწყობდა. განათლებულმა კათალიკოსმა ვანიზრახა საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიერ ძველი ქართული მაღალი კულტურული მემკვიდრეობის ათვისებით, აღრითგანვე არსებულ ზემოხსენებულ პროგრესულ სულისკვეთებათა და იდეათა გავრცელებისადმი ხელისშეწყობითა და თანამედროვე ქართველთა „ევროპეიზაციით“ ეხილა თავისი „ძმა“ ერეკლე მეორე განათლებულ აბსოლუტ მონარქად, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მეორე დავით აღმაშენებლად „ყოველი საქართველოდსა“. ანტონ პირველის ასეთი განზრახვა ნიშნავდა ქართული თავადური სისტემის წინააღმდეგ ერეკლეს გვერდით მის მიერადაც ბრძოლის გამოცხადებას და „დაძტვლებული“ სახელმწიფოებრივი ცხოვრების რეორგანიზაციას ახლებურად. ანტონის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ქართველი საზოგადოების მიერ მშობლიური ადრინდელი მაღალი სახელმწიფოებრივ-კულტურული მიღწევების გამოყენებითა და თავისი თანამედროვე მოწინავე ევროპული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესწავლა-ათვისების შემწეობით. ანტონ პირველის გონება საზრდოებდა რა ქართული ადრინდელი მაღალი კულტურით, ამასთანავე დაჟინებით სარგებლობდა მისთვის მისაწვდომი ადრინდელი და თანამედროვე მსოფლიო დიდი მოაზროვნეების მიღწევებითაც. ამგვარად გამოიმუშავა მან თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია, რითაც ცდილობდა თავისი ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნას. ამიტომ ამბობდა ანტონი: „ჩქცნცა განახლებად ვართ მით, რამეთუ... ახალსა ქვეყანასა მოველით, და დაძტვლებადთა, ვითარცა ამათა ამაოებასა, არ გულ-მძიმეობით სიცრუისათანა შევიყუარებთ მით, რამეთუ არღარა ვართ ბნელსა ში-



ნა, არამედ ქვეშარიტებისა მეცნიერებად წოდებულ ვართ რჩეულნი ნაყოფად ცხოვრებისა ანტონისვე ფილოსოფიურ-რაციონალისტური განხილვებით, „ახალი ქვეყნის“ წარმოქმნა შეუძლებელი იყო საზოგადოების გონებრივი განვითარების, განათლების საქმის მაღლა დაყენების გარეშე; მისი თვალსაზრისით, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანთა გონება განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ყოფიერებას.

ასეთი იყო, მოკლედ, ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია, რომლის წარმოშობაში ერეკლე მეორესაც მიუძღვის დიდი ღვაწლი<sup>2</sup>.

ეს თეორია იყო საფუძველი ანტონისა და ერეკლეს „სულის ერთობრიობისა“. ამ თეორიის განხორციელებით მოინდომა ორივე „ძმამ“ სამშობლოს „გამოხსნა“ და „აღდგომა“. ამ თეორიით აღკურვნილი ადგენდნენ ისინი ყოველგვარ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სამოქმედო გეგმას. ამრიგად, ბუნებრივია, ამ თეორიის მთავარი ავტორი ანტონ კათალიკოზი (დაიბ. 1720 წ. 17 ოქტომბერს, ძვ. სტ.; ფაქტიურად კათალიკოზია: პირველად—1744—55-სა და ხელმეორედ—1764—88 წლებში) რომ ჩაუდგა სათავეში სახალხო განათლების დარგს ქართლ-კახეთში გაკათალიკოზების პირველ წლებიდანვე, ერეკლე მეფის (დაიბ. 1720 წ. 7 ოქტომბერს, მეფობს 1744—98 წლებში) მიერ ყოველმხრივ მტკიცედ ზურგგამაგრებული, მასთან „სიყრმითვან თანაშეკრულებისა“ გამო<sup>3</sup>.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საინტერესოა ის გარემოება, რომ ანტონ პირველი თავის ნაწარმოებებში არსად არ წამოაყენებს თავის-თავს მეფე ერეკლეს წინაშე რაიმე საქმეში პიროვნულად უპირატეს მდგომარეობაში. ის თავისთავს ხშირად არ მიაწერს ისეთ რამესაც, რომლის ინიციატორი თუ შემოქმედი, აშკარაა, თვით ის იყო და ერეკლე კი მხოლოდ დამხმარე და ხელისშემწყობი. 1767 წ. გრაბატიკის შექმნისათვისაც კი ანტონი ეუბნება მკითხველს: „...მარადის და ნიადგ მმადლობელ იყუნეთ მისისა სიმაღლისა ირაკლი მეორისა მეფისა, რამეთუ ყოველთავე ცნობათა ქრტიმდებარისა ჩრტვისა იგი არს მიზეზი“<sup>4</sup>. არათუ სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებში, არამედ სახალხო განათლების დარგშიაც კი, სადაც, რასაკვირველია, ანტონი იყო ჩვეულებრივ მთავარი შე-

<sup>1</sup> 1753 წ. გრაბატიკის წინასიტყვაობა, საქ. მუხ. № 785A, ფურც. 1-2.  
<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ უფრო ვრცლად აკ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.  
<sup>3</sup> იქვე.  
<sup>4</sup> საქ. მუხ. № 720 A; შვად. რაფ. ერისთავის რედ. 1885 წ. გამოც., გვ. 2.

მოქმედი, თვით ანტონის ხშირი განცხადებისამებრ, იგი მოქმედებს მხოლოდ კეთილგონიერი „ბრძანებით“ ერეკლე მეფისა. მაგალითად რომ ის თავის სასახლესთან არსებულ სემინარიაში ასწავლავს თავის „ღრამბატიკოსობისა კელოვნებისა მოწაფეთა და ჰისტორიებისა კელოვნებისა მოწაფეთა“ — ესეც ერეკლეს „ბრძანებითა“ და არა მაინცდამაინც მხოლოდ თავისი ნებით განსაზღვრული: „... ორთა მათ კელოვნებათა ვასწავლი მოწაფეთა ბრძანებითა იფსილოტატესა (sic) ძმისა ჩემისა მეფისათა ...“, — გადმოგვცემს ანტონ კათალიკოზი<sup>1</sup>. ანტონი აქ გვარწმუნებს, თითქოს ეს საქმე მხოლოდ ერეკლეს ჩაგონებითა და „ბრძანებით“ შეასრულა მან. მაგრამ ასე როდია: ანტონმა, რა თქმა უნდა, თვითონ მოიწადინა თავისი დიდი ერუდიციის გამოყენება და თავის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით თვითონვე აძლევს სანიმუშო გაკვეთილებს ან უკითხავს ლექციებს თავის მოწაფეებს თბილისში, თავის სასახლესთან არსებულ სემინარიაში, რომლის გახსნისა და ჩამოყალიბების ინიციატორი 1755 წელს თვითონვე იყო. რასაკვირველია, თავის დროზე თეიმურაზ II და უფრო მეტად კი ერეკლე II ამგვარ საქმეებში დიდად ხელს უწყობდნენ მას ყოველმხრივ და, საერთოდ, სახალხო განათლების დარგში არც მათ უნახავთ ცოტა ჯაფა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი განცხადებებით ანტონ პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებშიაც კი თავისათვის მეფის წინაშე კრძალულებით ჩრდილში აყენებს და ყოველი გონიერი საქმის დამწყებად, ჩამგონებლად და ორგანიზატორადაც მხოლოდ „მკნე, გონიერი“<sup>2</sup>, მომავალში თითქოს განათლებული აბსოლუტი მონარქი ერეკლე სურს დაანახოს საზოგადოებას. ამიტომაც ანტონი რიგ თავის მონაფიქრ საქმეებსაც კი თავისი „ძისილოტატეა ძმის“, მეფე ერეკლეს ზეპირსიტყვიერი „ბრძანებების“ შედეგად თვლის. მაგრამ, ამავე დროს, შინაურულად ერეკლეს „ძმურადვე“ ხშირად ურჩევდა და უკარნახებდა საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებზე სხვადასხვა ოფიციალურ „ბრძანებათა“ გამოცემას. აგრეთვე, თვით ერეკლეს, თავისი „სანატრელი ძმის“ ამგვარი კონსულტაციის გარეშედაც, ასეთი „ბრძანებების“ გაცემას საჭიროებისას არ აყოვნებდა. ჩანს, რუსეთში მანამ ხშირად ავადმყოფი ანტონი, საქართველოში სამოღვაწეოდ ერეკლეს მიერ ჩამოყვანილი, ამგვარად გამოცემულმა „ბრძანებებმა“ გამოახალისა და ჯანმრთელობაც კი შესძინა; ამის გამო ის დაახლოებით 1765 წელს

<sup>1</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი ბესარიონ კათალიკოზისადმი, საქ. მუხ. № 2510 H.

<sup>2</sup> „სპეციალი“ და სხვ.



წერს წერილში იმერეთში მყოფ ბესარიონ კათალიკოზს: „მე უკვე დროსა ამას სხეულით მრთელი“ ვმოღვაწეობო<sup>1</sup>.

ზემოხსენებულ წერილშივე საყურადღებოა ანტონ კათალიკოზის ის განცხადებაც, რომ ის არის „იერიქოდ მიმავალი“ და „წმიდასა პოლიტიკასა“ შინა შემთხვეული „ჩემსა მრჩობლ-თა ავაზაკთაგანსა წყლულებასა, რომელიცა უსხეულოთა და სხეულიერთა ავაზაკთაგან განვიგმირე, თუ სადამე ირაკლის სხეულიერთა ავაზაკთაგან განგმირულსა“<sup>2</sup> ზედა არა დაესხამცა ზეთი და ღვინო“-ო და სხვა<sup>3</sup>. თავის იდეოლოგიურ („უსხეულოთა“) და სხვა მტერთა („ავაზაკ-თაგან“) წინააღმდეგ „იერიქოდ მიმავალი“, ე. ი. ფართო საზოგადო-ებრივი ინტერესებისათვის მებრძოლი ანტონი „წმიდასა პოლიტი-კასა“ შინა თანამოქალაქეთა წინაშე მისთვის სათაყვანებელი, მომავალ-ში თითქოს განათლებული აბსოლუტი მონარქი ერეკლე მეფის ნება-სურვილსა და ავტორიტეტს განამტკიცებს. ანტონ კათალი-კოზს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თანამედროვე მასაც „მე-ფე ბატონს“ უწოდებდა<sup>4</sup>, მხოლოდ ერეკლეს კეთილგონიერ „ბრძა-ნებათა“ აღმასრულებლად გამოჰყავს თავისი თავი სახელმწიფოში<sup>5</sup>. თუ ეს ასეა, მით უფრო სხვა ხელისუფალი თუ უბრალო მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს ამ მომავალ განათლებულ აბსოლუტ მონარქს არათუ პოლიტიკურ, არამედ კულტურულ-იდეოლოგიურ სფერო-შიაც, — აი რა ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს ანტონის მოქმე-დებიდან თანამემამულეთათვის. ერეკლეს მაღალგონიერების წარმო-დგენა ყველასათვის და მომავალში მისი მტკიცე განათლებული აბსოლუტური მონარქიული ხელისუფლება — ეს არის „იერიქოდ მიმავალი“ ანტონის პოლიტიკური გეზი მოწინააღმდეგეთა საპირის-პიროდ არა მარტო „წმიდასა პოლიტიკასა“ შინა, არამედ საერთოდ მის თანამედროვე ქართველთა კულტურულ-იდეოლოგიურ სფერო-შიაც.

ანტონ კათალიკოზი ჩვენში მარტოხელად ოდესმე რომ ყოფილი-ყო, ცხადია, თავისი „უსხეულოთა (ე. ი. იდეოლოგიურ) და სხეუ-ლიანთა (ე. ი. გავლენიან სოციალურ-პოლიტიკურ) ავაზაკთაგან (ე. ი. მტერთაგან)“ მართლაც სრულიად „განიგმირებოდა“, „თუ სადამე ირაკლის სხეულიერთა ავაზაკთაგან განგმირულსა ზედა არა

<sup>1</sup> საქ. მუზ. № 2510 H.  
<sup>2</sup> ზელნაწერშია: „განგმერელსა“  
<sup>3</sup> იხ. იგივე წერილი ანტონ პირველისა ბესარიონ კათალიკოზისადმი.  
<sup>4</sup> მაგ., სვიმონ კოპაძე, — იხ. ანტონ პირველისადმი მიძღვნილი მისი ლექსი, საქ. მუზ. № 1511 S, გვ. 136 — 137.



დაესხამცა ზეთი და ღვინო.“ ეს ორი „ძმა“ მარადეამ, ტიმოთე გაბაშვილის სიტყვით რომ ისევ ვთქვათ, საერთოდ „სულისა ერთობრიობით“ მტკიცედ მოქმედებდა სახელმწიფოს და წინმსვლელობისათვის, სიტყვითაც და საქმითაც. კერძოდ ისიც, რომ იმ დროსვე, როცა ანტონ კათალიკოზი ზემომოყვანილ სიტყვებს წერდა, ერეკლე მეფის მიერ განადგურებულ იქნა, ანტონისავე მოწონებითა და აქტიური მხარდაჭერით, რეაქციული „მარკოზაშვილის დარბაზის“ წევრები (1765 წელს)<sup>1</sup>. ამავე ხანებში ანტონ კათალიკოზის მიერ ალაგმულ იქნა, ერეკლეს აქტიური თანადგომით, ზაქარია გაბაშვილის რეაქციული ჯგუფიც საეკლესიო ასპარეზიდან (1764—67 წწ.). ამ ორ ჯგუფს შორის კი, უდავოა, არსებობდა ისეთი სოციალური და პოლიტიკური ნათესაობა, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ანტონისა და ერეკლეს საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თეორიას<sup>2</sup>.

ერეკლესა და ანტონის საერთო ბრძოლა რეაქციულ წრეთა წინააღმდეგ ხდებოდა არა მარტო სოციალურსა და პოლიტიკურ ნიადაგზე, არამედ, როგორც ამ ნიადაგზევე ბრძოლის გამოხატულება, საზოგადოების იდეოლოგიურ სფეროშიაც. ანტონი ამ სფეროში თავისი ერუდიციით მტკიცედ იცავდა თავისი „ძმის“ სახელმწიფო-პოლიტიკურ ზრახვებსა და ინტერესებს და ანადგურებდა რეაქციონერ მტრებს, სახელმწიფოში „ჭირვეულთა“ და „ნაკლულევანთა“ მამრავლებელთ. ამ გარემოებას აღნიშნავს სვიმონ კოპაძე ანტონ პირველისადმი მიძღვნილ თავის ლექსში, როცა სხვათა შორის წერს:

„სიყუარულით მოგიკითხავ, მოწიწებით მოწოდებ ნელად,  
 თვალს აღვახვამ სახილველად, ყურს განვახვამ  
 სასმენელად:  
 მორწმუნეთა სახარელად გხედავ მტერთა  
 საზარელად,  
 ჭირვეულთა კელთამპყრობლად, ნაკლულევანთ  
 აღმავსებლად“<sup>3</sup>.

ანტონის სიტყვითვე რომ ვთქვათ, ერეკლე მეორე მისთვის იყო

<sup>1</sup> А. Амилахоров, История георгианская о юноше князе Амилахорове, 1779 г. (მოიბოვება ქართული თარგმანიც—საქ. მუხ. № 99 Н), და სხვ.  
<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ ა.პ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.  
<sup>3</sup> № 1511S, გვ. 136—137.



„...ჭირთა დავსება, კმუნჯს კუამლთა განქრება,  
 ლხინის აღტყსება, ბნეულთ ამოთ აღკრება“  
 (ე. ი. დაშლილ ქართულ ეროვნულ ძალთა სიამოვნებით გამო-  
 ერთიანებელი.—ა. რ.),

წუხილთ გარება, გონების სრულ ხარება...<sup>1</sup>

ანტონის „ჭირი,“ „კმუნჯა“ და „წუხილი“ თავისავე ერისეულია და ავტორი შეჰხარის „ლხინის აღმცსება“, დაშლილ ეროვნულ ძალთა სიამოვნებით გამაერთიანებელ ერეკლე მეფეს. ანტონი ერეკლეს მიმართ ასეთ აზრსა და გულითად განწყობილებასეა იმიტომ, რომ ნასში

„... განჰსჯით ვნახენი (ე. ი. ანტონს სამშობლოს კეთილ-  
 დღეობისათვის ერეკლეს „საქმენი“ წინასწარ ასე „განუჰსჯია!“—ა. რ.)

ვახტანგ დიდის სახენი,  
 ვჰსჭჭრიტენ საქმენი გონების განმათენი,  
 ჭირთ დასაყენი“-ო და სხვა,<sup>2</sup>—

წერს ანტონი, რა თქმა უნდა, საქართველოს „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ მონატრული ერეკლეს სიმხნითა და „გონებით“. ანტონის აზრით, ერეკლე არის ქართველთათვის

„... ბრძენი განბრძ [ნ]ობად, დაკსნილების  
 მკუერნალი“.<sup>3</sup>

ამრიგად, ქართველთა „დაკსნილების (ე. ი. ძალთა დეზორგანიზაციის) მკუერნალი“ ერეკლეს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ „განბრძნობასა“ და ეროვნულ „ჭირთ დასაყენებლად“ მისი „გონების განმათენობას“ ხოტბა-დიდებას ასხამს ანტონ კათალიკოზი სულითა და გულით.

თავიდანვე ასეთი „ძმის“ მყოლი ანტონი, რა თქმა უნდა, რუსეთში გადასახლებიდან დაბრუნებულ იქნა ერეკლეს მიერ თეიმურაზ მეორის სიკვდილის (1762 წ.) შემდეგ. ანტონიც თავის სულიერ „თჰსსა“, „წვერსა ბუნებით შენაერთსა“ ერეკლეს 1763 წელს მხნედ ისევ მხარდამხარ ამოუდგება და ამისა გამო წერს:

„მოვედ ევროპით ანტონი აზიადვე,  
 შეერთე წვერსა ბუნებით შენაერთსა,  
 ეთჰსე თჰსსა, მითვე შენათჰსებსა,  
 ეახლე მონებრძმასა, გარნა მეფესა“-ო და სხვა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> „წყობილ-სიტყუაობა“, სტროფი 640.  
<sup>2</sup> იქვე, 641.  
<sup>3</sup> იქვე, 638.  
<sup>4</sup> იქვე, 639.

ამ სტროფში ანტონი აღნიშნავს ადრითგანვე „თვსად“ „შენათვ-  
სები“ ბიძაშვილი ერეკლესადმი სულიერ „ძმობასა“ და ამ „მეფეს,  
„ბუნებით შენაერთი“ „წვერის“ ინტერესებისათვის სრულად აღ-  
დებას,—თავიანთი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვისების  
განხორციელებისათვის მომავალშიაც ერეკლეს გვერდით ისევ მტკი-  
ცედ ბრძოლას.

მათ ასეთ მეგობრობას „ღუთისაგან ნიჟად“ რაცხდა ანტონი<sup>1</sup>,  
ენა-განგუების ძალით წარმოშობილად თვლიდა, და განსაკუთრე-  
ბით მწერლობასა და სახალხო განათლების დარგში მოღვაწეობით  
დიდად შევლოდა ქართველთა „გონების განმათენ“ და პირადად  
მისთვისაც „გონების სრულ ხარება,“ „ბრძენ“ „ძმა“ მეფეს.

ერეკლე მეორისადმი ანტონ პირველის ასეთ დამოკიდებულებას  
აღნიშნავს მრავალი მათი თანამედროვეც. ჩვენ არ გამოუვლდებოდა ამ  
მხრივ მათ შესახებ გადმოცემათა დაწვრილებით განხილვას; სანი-  
მუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ორი თანამედროვის ცნობებს. ტრი-  
ფილე დიაკონ-მონაზონი 1768 წ. მიძღვნილ ხოტბაში წერს  
თავის მასწავლებელ ანტონ პირველის შესახებ, სხვათა  
შორის, შემდეგს:

„... ტომ-დავითისობს ფეროვან ბრწყინ მთოვარე,  
ორ მეფეთ ძეობს ირაკლის ძმად მპოარე,  
ნიაე-სურნელობს სძებრ სიბრძნის-მწოარე“-ო.

ტრიფილეს სიტყვით, ანტონი არის

„... ქართუჴლთა, კახთა უმეცრების ღუარძლთ  
მწმიდი, ...  
წყარო სიბრძნისა, სწავლათა არა მრიდი“.

აგრეთვე მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„... უმიროს-სოჭოს, უვიცთა განმაძეო,  
მეფეთა ძეო, მეფის ძმად აღმომზეო,  
მწყემს-მთავარ, ქართუჴლთ ხარ სიბრძნით  
განმაძლეო“<sup>2</sup>.

ეგვივე ტრიფილე ამავე წელსვე (1768) მეფე ერეკლესადმი მი-  
ძღვნილ ხოტბაშიაც აღნიშნავს ერეკლეს „სიბრძნით, სიმუნითა  
შკობას“ და მასთან ანტონ „მწყემსთ-მთავრისა ბრძნისა ძმო-  
ბას“-აც<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქვე, 642.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1577 (1659) A.

<sup>3</sup> იხ. იგივე ხელნაწერი.

იოანე ოსეს-ძეც ანტონს უწოდებს ერეკლესათვის „ყოველად  
უსასურველეს ძმას“ და ქება-დიდებას შეასტამს ერეკლესს  
თან მის მოღვაწეობას განსაკუთრებით განათლების დარგში<sup>1</sup>

ასეთი პირდაპირი ცნობების გარეშედაც, ჩვენთვის სასტილია  
ცხადი ხდება, რომ ანტონსა და ერეკლეს შორის როგორც საზო-  
გადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში, ისე მათგან გამომდინარე სა-  
ზოგადოებრივ-კულტურულ საკითხებშიაც ერთსულოვნობა, ურთი-  
ერთი სრული ნდობა და მხარდაჭერა არსებობდა.

ანტონისა და ერეკლეს ასეთ მხარდამხარ თანამოღვაწეობამ და  
მათ მიერ საზოგადოების მოწინავე ნაწილის აყოლიებამ სახელმწი-  
ფოსათვის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიაც დიდი ნაყო-  
ფი გამოიღო. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია XVIII საუკუნის 70-იან  
წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში და, უდავოდ, მართალია  
გაიოზ რექტორი, როცა მაშინ საჯაროდაც აღნიშნავს ამ  
გარემოებას.

1783 წ. 28 მაისს, თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე მოწ-  
ვეულ საზეიმო „შეკრებულებაზე“ გაიოზ რექტორი თავის სიტყვაში,  
სხვათა შორის, ამბობს: „ესე ვითარსა გარემოებასა ვხედავთ აწ (ე.ი.  
80-იანი წლების დასაწყისში.—ა.რ.) მამულსა შინა ჩუცნისა, ქმნილსა  
და ღმწილსა კეთილმსახურისა მეფისა ჩუცნისა ირაკლი მეო-  
რისა გან: აღჰსდგენ გულს-მოდგინებანი, წარმოდგ-  
ნენ მაღალნი გონებანი, განმრავლდნენ მეცნი-  
ერებითნი ნათელნი მუნით, ოდესცა შრომითა უწმი-  
დესისა მწყემსისა და დიდასკოლოდსა ჩუცნისა მე-  
ფის ძის ანტონის მიერ დაიდუქნენ საფუძეცლნი ყო-  
ველთა ცნობათანი. და ამისთვის არათუ ოდენ უსამღებლოესნი  
იგი პირნი მფლობელთა ჩუცნთანი, არამედ თვთ ძენიცა მამუ-  
ლისა ჩუცნისანი არიან მოსწრაფე განვრცომისათვის  
ამის სჯრფასისა საქმისა, რომელთა შორის თქუცნიცა მაღალი  
ყოველად-სამღებლოება უსაკუთრესად და ღირსად მექონ არს იდ-  
გილისა უსრულესისა მას შინა კელოვნებისათვის“, — მიმართავს გაიოზი,  
კერძოდ, დოსითეოზ ნეკრესელს და მის ხელისშეწყობასაც  
ამ სემინარიის საქმეებში მაღლობით აღნიშნავს<sup>2</sup>.

ერეკლესა და ანტონის ხელმძღვანელობით სახალხო განათლების  
განვითარების საქმე სახელმწიფოში წარმატებით მიმდინარეობდა და

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 266 A, გვ. 5—13.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4—12.



არისტოკრატის მოწინავე ნაწილი, სასულიერო წრე და ნაწილობრივ დაბალი წოდებაც შეძლებისამებრ ეტანებოდნენ ამ დარგს. ძირითადი მასა კი ხალხისა, რა თქმა უნდა, წერა-კითხვის უცოდლო ნარი მაინც რჩებოდა. ამასთანავე, ბევრგან ისეთი ცუდი ნაწარმოებებიც კი ნენ, რომ ამ დარგისადმი არათუ გულგრილობას იჩენდნენ, არამედ აშკარა შეუგნებლობისა ან რეაქციულ-რეტროგრადულ მოსაზრებათა გამო სწავლისმოყვარეთ აბრკოლებდნენ და ირონიით უმასპინძლდებოდნენ. ამათ შესახებაა იოანე ქართველი შვილი თავის მემუარებში რომ გადმოგვცემს: „... იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებულ ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილავენ ტრფიალად სიბრძნის-მოყუარებისა, ნაცვლად შეწეგნისა, ზედა დასკმენ სიტყვათა გიობისათა და ჰყოფენ საყვედრებელ და საკიცხველ“<sup>1</sup>.

მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში ანტონი სასტიკად ილაშქრებს ასეთი შეუგნებლობისა და ამგვარად მოაზროვნე თავის მოწინააღმდეგე რეაქციონერ-რეტროგრადთა წინააღმდეგ. მაგალითად, ანტონ პირველი თავის „წინა-სიტყუაობა ღილოსოფიისა“-ში მსჯელობს სწავლის დიდი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებისათვის, ასაბუთებს ამას მეცნიერებაზე დაყრდნობითა და საღმრთო წერილების მოშველიებით და დაასკვნის: „მაშასადამე, თჳნიერ სწავლისა ვერვინ ჰპოვოს სიბრძნეჲ. კმა არს შურითა შეუქმელთა და სიმართლის-მოყუარეთა მიმართ სიბრძნისა სწავლულებით მოგებისათჳს მტკიცედ დამტკიცებანი ჩემნი ზემო-თქმულნი“-ო<sup>2</sup>.

ანტონისვე სიტყვით, იგი იბრძვის ქართველთა „სასარგებლო“-საქმეთათვის, მათი „უმჯობესისათჳს“. ამიტომ ირჩია მან „მიგრდომად სახლსა უფლისასა“ და ჰხადის თავსა თვისსა „მისულად ნათელსა ღეთისასა სასოებით, რათა «პირსა ჩემსა არა ჰრცხუნეს». და დაუღლებ «ჯობნად მცირესა ღეთისადმი მსასოებელისა მართლისასა, ვიდრეღა სიმდიდრესა მას ცოდულთასა»“-ო, გადმოგვცემს კბათლიკოზი ანტონი დავითის ფსალმუნის სიტყვებით<sup>3</sup>.

ანტონის აზრით, ეს „უმჯობესი“ „ქრესტიანისათჳს მშობელისა“ მისისა—ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლებელია, რადგან „ყოველი მიდრეკა ანუ ზედმი, ვითარ ცეცხლისა, ანუ ქრესტიანისა, ვითარ ქრესტიანისა და წყლისა, ანუ იმრ და იმრ, ვითარ რა იგჭრდივ, ვითარცა და იგი ცხოველთ“ შორის არის<sup>4</sup>. ცხოველთ ადამიანი არ უნდა

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1196 (1234) A; შეად. „ივერია“, 1889 წ., № № 203 და 204.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1169 S, გვ. 22.

<sup>3</sup> „ღ ჳ თ ის - მ ე ტ ყ ჳ ტ ლ ე ბ ის “ II ტომის წინასიტყვაობა, თ. „ბ“, §§ 12-14, —საქ. მუხ. № 3658S.

<sup>4</sup> იქვე.



დაემსგავსოს, რადგან გონება მას ცხოველისაგან დიდად განასხვავებს.

„...მიდრეკაჲ ... არსებ.ისა უცხო [არს] და...  
ფილ სხუათაგან; შესაბამად აობისა თვისის...  
გიეს მას მიდრეკაჲცა იგი, ვითარ სამარადისოდ დაუწყებლობითისა შენაჭუპთებისასა“. აბსოლუტმა ასე „დაადგინა“-ო, გადმოგვეცემს ანტონი იოანე პეტრიწზე დაყრდნობით<sup>1</sup>. ანტონის თვალსაზრისით, გონების განვითარება, ცოდნაა მთავარი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ შეაქვეს ანტონს განათლება ქართველ საზოგადოებაში და ამიტომაც იგი თავის ნაწარმოებებში მკითხველთათვის მსახიობ-შთაბავონებელიც კი. ანტონი წერს მათ საყურადღებოდ: იოანე პეტრიწის სიტყვები „ეგვივითარად ვისიბრძნის-მოყუარე თქუენდაში, ვითარ იგი იქმენნ თეატრსა შინა მუსიკნი და მროკუტლნი კომედიატნი, რომელნიცა მუნ შეკრებულთა ოპერისათვის რაჲმესა კომედიატობენ ესგუარსა კომედიასა, რათა დაატკბონმცა გრძნობანი მქუერტელთა და მჰსმენელთა თვისთა შრომათანი და ბადეთა შინა დასასრულისა თვისისათა შეაყენესმცა გონებანი მათნი. ვინა ვკომედიატობ მეცა წინაშე თქუენსა სიტყუათა ფილოსოფოსისათა, რათა დავათუენე გონებანი თქუენნი სიტკბობათა მიერ ჭრასთა მისთასა და რათა ჭრასთა მიერ მისთა ფილოსოფოსობითთა მოგიუჭანემცა გულის-ხმის-ყოფათა სიტყუათა ჩემთა“-ო<sup>2</sup>. ამრიგად, ანტონი ქართველთა განათლებისათვის ასეთ პედაგოგიურ მსახიობობასაც კი „კომედიატობს“, ოღონდ ყოველი თანამემამულე თავის „გულის-ხმის-ყოფათას“ აზიაროს. მართლაც, მეტად ხელოვნური „მაღალი შტილით“ წერის დროსაც კი ანტონის ნაწარმოებებში მხატვრული საშუალებებით მკითხველის ყურადღების დაპყრობა არცაა იშვიათი.

ანტონის წარმოდგენით, „სიბრძნე“ (ცოდნა, განათლება) არის „თანად მიფენ-მიკრთომაჲ მაღალთაცა და მდაბალთა და წუჴმა მართალთაცა ზედა და ცოდვლთა“<sup>3</sup>. მაშასადამე, ცოდნა-განათლება ყველასათვის არის საჭირო, მიუხედავად გვარი-შვილობისა, სიმდიდრისა თუ ღარიბობისა და სხვათა, და იგი ერთგვარად უნდა ეფინებოდეს უზვად ყველას, როგორც „წუჴმა მართალთაცა ზედა და ცოდვლთა“. შესაძლებლობისამებრ სახელმწიფოში ყოველი სოციალური წრის წარმომადგენელთა განათლება—ეს იყო

K276.471  
3

<sup>1</sup> იქვე, § 14.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი ნიკოლოზ დეკანოზისადმი, საქ. მუხ. № 2510 H.


2. აპ. როგავა.



მიზანი ერეკლესა და ანტონისა და გასაგებია ჩვენთვის, თუ რატომ დააარსეს მათ თელავის სემინარია 1782 წელს ყველაზე უფრო ჩველად შთამომავლობისა, და თუ რატომ უწყობდნენ სხვა მხრივაც ხელს ამ გზაზე თვით დაბალი წრის წარმომადგენლებისა: განსაზღვრულ ფარგლებში ფართო სახალხო განათლებას მოითხოვდა სახელმწიფოში განათლებული აბსოლუტური მონარქიული წესწყობილების დამყარება და ერეკლე და ანტონი ამ მხრივაც გზის გაკაფვას ცდილობდნენ. ანტონ პირველისათვის ასეთი გარკვეული მიზნით განსაზღვრული ფართო სახალხო საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეტად დამახასიათებელი იყო როგორც მწერლობასა, ისე სახელმწიფოებრივ-პრაქტიკულ საქმიანობაში. მეფე ერეკლე მას საამისოდ აქეზებდა და ყოველმხრივ დიდ გასაქანს აძლევდა. ამასთანავე, ერეკლე საჭიროებისას თვითონაც ანტონთან ერთად ხშირად უშუალოდ მეთაურობდა კულტურულ საქმეებს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ერეკლეს ხანის ქართლ-კახეთის სამეფოს კანონმდებლობასა და მართლმსაჯულებაში „გონიერ“ მეფეს მტკიცედ განსაზღვრული რომ ჰქონია ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა აღმზრდელთაგან მოზარდი თაობის მიმართ. ამ მხრივ, კერძოდ, ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ერეკლეს კანონთა შორის ობოლი მოზარდის ვეკილის („опекун“), ზედამხედველისა („надзиратель“) და ლალის („дядька“) პასუხისმგებლობის მუხლები, აგრეთვე ვეკილის მიერ აღსაზრდელისათვის მასწავლებლის დაქირავების წესი, რომლის შესრულებას „უპირველეს და მთავარ მოვალეობად“ რაცხდა სახელმწიფო სამართალი<sup>1</sup>.

ზემოთქმულთა შემდეგ ადვილად გასაგებია ჩვენთვის თუ რატომ ასწავლიდნენ თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში, არა ნაკლებ სასულიერო საგნებისა, საერო ხასიათის საგნებსაც: მათემატიკას, ფიზიკას, ისტორიას, გრამატიკასა და სხვა „გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“-ს.<sup>2</sup> უკანასკნელი საგნების ცოდნას პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათი ჰქონდა სახელმწიფოში და, ანტონისა და ერეკლეს თვალსაზრისით, ის თანდათან უფრო მეტად უნდა გამოეყენებინათ სწავლულთ განსაკუთრებით საერო ცხოვრებაში. ორივე „ძმის“ აზრით, ამ მეცნიერებათა ცოდნის საკმაოდ ამაღლებისა და ფართოდ გავრცელების გარეშე შეუძლებელი იყო არათუ საერთოდ კულტურული განვითარება ქართველობისა, არამედ წინასწარ დასახული ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ფართო საზოგადოებრივი მიზნების განხორციე-

<sup>1</sup> იხ. ამათ შესახებ წინამდებარე ნაშრომში თ. II, § 5.  
<sup>2</sup> იხ. ამათ შესახებ წინამდებარე ნაშრომში თ. II, § 2-ის „ვ“ განაკვეთში.



ლებაც. ანტონისა და ერეკლეს თვალსაზრისით, ასეთი განათლების გარეშე საქართველოში ვერ წარმოიშობოდა ის მოწინავე სახელმწიფოებრივი საწარმოო ურთიერთობა, რომელიც საზოგადოებაში დროს „... რუსთა, ... ძრანცისთა, ... ანგლიელთა, პრუსიელთა“ და სხვათა სახელმწიფოებში.<sup>1</sup> ანტონ პირველის სიტყვით, ის შეუძლებელია წარმოიშვას და განხორციელდეს საზოგადოებაში „ყოვლისა მეცნიერებისა თვს შორის მოგებისა ტრფიალებისა“ და „გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“-ს ფართოდ გავრცელების გარეშე, რადგან ესენი „შეამკობენ მონარხიასა და ყოველსა საზოგადოებასა ყოვლითა წარმართებითა, რომელიცა უსარგებელეს არს მოქალაქობასა შინა მსოფლიოსა“<sup>2</sup>. ამრიგად, რამდენად შესაძლებელია ამ „აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათა“, საერო ხასიათის ცოდნათა ფართოდ მიწოდება საზოგადოების ყოველი ნაწილისათვის სემინარიების და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საშუალებით—ეს იყო სახალხო განათლების დარგში ძირითადი პრინციპი ანტონ პირველისა და ერეკლე მეორისა. ამიტომ იყო, რომ ანტონი ერეკლეს სახელითა და „ბრძანებით“ კიდევაც ემუქრებოდა იმ მწერალთ, რომელთაც „სოფელეთა მიმართ მეცნიერებაჲ და აყენეს და ადვლნი წერილნი ჩუენნი განაძნელნეს“ კარავებითა<sup>3</sup>. ზემოხსენებული თეორიის მიხედვით, ერეკლე „მეფე ყოვლისა საქართველოჲსა“ მეცნიერებათა ფართოდ გავრცელების გარეშე საქართველოში ვერ დაიმკვიდრებდა მომავალში განათლებული აბსოლუტური მონარქის სახელს.<sup>4</sup> ამიტომაც იყო, რომ ორივე „ძმამ“ თავისი მეცადინეობით, — როგორც ქვევით, III თავში გვაქვს მოთხრობილი, — მიადნია იმას, რომ 1782—95 წლებში თბილისის ახალი სტამბა არათუ აღმოსავლეთ საქართველოს აკმაყოფილებდა წიგნებით, არამედ დასავლეთ საქართველოსაც.

ამრიგად, მეფე ერეკლეს „ბრძანებანი“ და პრაქტიკული საქმიანობა კულტურული მშენებლობის დარგში, ანტონისა და, საერთოდ, სახალხო განათლების დარგის სხვა მოღვაწეებისადმი მისი და-

<sup>1</sup> ანტონ პირველი, „ღმრთის-მეტყუტლება“, ტ. I, შესავალი, თ. „გ“, § 23 —საქ. მუხ. № 3657 S.

<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> 1767 წ. გრამატიკა, „ხედა-დაპრთჳჲ მესამისა ნაწილისად..“, § 23, —საქ. მუხ. № 720 A, გვ. 297—298.

<sup>4</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად ა.პ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.



მოკიდებულება და სხვა მისთანანი გვარწმუნებენ, რომ, ანტონის მსგავსად, ერეკლე მეორესაც გონება და მისი განცხადებები ცოდნა და განათლება მიაჩნდა დასაბამად საზოგადოებრივ ცხოვრების წარმატებისა; ანტონ პირველის მსოფლგაგებისამებრ, ერეკლესაც გონება (ratio) ანუ იდეა მიაჩნია საწყისად და ყოველგვარი სხვა მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრებისა — ზედნაშენად. ამგვარად, თვით „სატილოსოფოსოთა სწავლითა აღმკული“, „გონიერი“ მეფე ერეკლე<sup>1</sup> ანტონ პირველის ფილოსოფიური იდეალისტურ-რაციონალისტური მსოფლგაგების მიმდევარია და მისივე მოწაფე. ტყუილად არ მიუძღვნის ანტონი, სხვათა შორის, თავის ფილოსოფიურ თხზულება „სპეკალს“ უპირველეს ყოვლისა მას სახელმძღვანელოდ<sup>2</sup> და ბუნებრივია ერეკლეს „საიმედო“ ანტონისაგან ხშირად ჭკუის სწავლებასაც „ძნიად საპოვნელი და საფიქრო და შესამართავით“<sup>3</sup> მასში ეს ნაყოფიც რომ გამოჟღერა.

ყველა ზემოთქმულისაგან აშკარა ხდება, რომ ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის მოღვაწეობას სახალხო განათლების დარგში ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. ამ ორივე „ძმის“ კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნები მათ მიერ აღრითგანვე გამომუშავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის მიხედვით იყო დასახული და მითვე იყო განსაზღვრული. ანტონი ერეკლესთან დიდ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობაში ამ საერთო თეორიით იყო „თანაშეკრული“, როცა თავისი „ღმთის-მეტყუტელების“ II ტომის წინასიტყვაობაში წერდა: ვმოღვაწეობ ქართველთა „უმჯობესისათვის სიყრმითგან ჩემით ქრისტეს მიერ ირაკლის თანა-შეკრულებისათვის“-ო<sup>4</sup>. ჩვენ მიერ ქვევით გარჩეული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ფაქტები მართლაც ამას მოწმობენ.

<sup>1</sup> ტიმოთე გაბაშვილი, წინასიტყვაობა ანტონ პირველის „სპეკალისა“.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად აპ. როგავას ნაშრომში „სპეკალი“ ანტონ პირველისა“.

<sup>3</sup> ერეკლე მეორის 1753 წ. წერილი ანტონ პირველისადმი, საქ. ცენტრ. არქივის ფ. 226 (1), № 192.

<sup>4</sup> საქ. მუხ. № 3658 S, თ. 26, § 17.

თავი მეორე

ერეკლე მეორის დროინდელი სასწავლებლები  
ქართლ-კახეთში და ანტონის სასკოლო-კედაგოგობური  
მოდგავებზე

§ 1. ანტონ პიკველის გამოცხადებული განათლების დარგის  
მეთაურად და ერეკლე მეორის თაოსნობა სასკოლო-  
საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის

სასკოლო-კედაგოგობურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა ერეკლე მეორის სამეფოში. მათგან მრავალმხრივ იყო სახელმწიფოს ზედ-იღბალი დამოკიდებული და ამიტომ მეფის ხელისუფლება მათ დიდ ყურადღებას აქცევდა.

ცნობილია, რომ, როგორც სხვა ქვეყნების ისტორიაშიაც შეინიშნება, ჩვენშიაც, საშუალო საუკუნეების საქართველოში სწავლა-განათლებისათვის საჭირო პირობები, მონდომება და ხალისი განსაკუთრებით სასულიერო წრის წარმომადგენელთა გააჩნდათ. ისინი იყვნენ ჩვეულებრივ ამ დარგის გამძღოლნი და საზოგადოებაში სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ კონტროლსაც ისინი აწარმოებდნენ. ეს ვითარება ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შემდეგაც გრძელდებოდა და ერეკლე მეორის ხანაშიაც არსებობდა საქართველოში.

დავით ბატონიშვილი ჩვენს თანამედროვე მეცნიერებაში დღემდე უცნობ ერთ-ერთ თავის ღირსშესანიშნავ შრომაში, — რომლის სათაურია „Обозрение Грузии по части прав и законовещения, творение царевича Давыда, Санкт-Петербург, 1813“ წელი<sup>1</sup>, — ერთ-ერთ თავში განიხილავს

<sup>1</sup> ამ შრომის ორ ვგზემპლარს, ხელნაწერთა სახით დაცულს, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ეგ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ რუსეთში სამეცნიერო მივლინების დროს, 1948 წ. აპრილსა და მაისს. ერთი ხელნაწერი დაცულია ლენინგრადს, სპ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, H—11 ნომრით აღნიშნული, და მეორე კი — მოსკოვს, ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა



რა ერეკლე მეორის დროინდელი „სახალხო განათლების“ („Народное просвещение“) საკითხს, სხვათა შორის წერს: „**ქართველთა განათლება** რაზოვანთა კნოშეთა ვ ოსობენთი ვოზლოჟენო ბნო სინო კათოლიკოსა ი პროჩეე დუხოვენსთო“<sup>1</sup>. ანტონ კათალიკოსს, ერეკლეს ხანაში როგორც ყველაზე უფრო მრავალმხრივ განათლებულ ადამიანსა და ქართული ეკლესიის მეთაურს, რა თქმა უნდა, მშვენიერად შეგნებული ჰქონდა ეს მოვალეობა ერის წინაშე და მისი გაკათალიკოზების დროიდანვე მხნედ ჩაუდგა სათავეში სახალხო განათლების დარგს სახელმწიფოში. მან საამისოდ დიდად აიყოლია და ჩააბა არათუ სასულიერო წრე, არამედ საერო ხელისუფალნიცა და ყოველი მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა. „სიყრმიტ-განვე“ ერეკლესთან „სულისა ერთობრიობისა“ გამო ანტონი საბოლოოდ ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა ქართლ-კახეთში სახალხო განათლების საქმისა და ამ დარგში მისი ღვაწლის შედეგი დასავლეთ საქართველოსაც, იმერეთის სამეფოსა და სამთავროებსაც ნაყოფიერად ეფინებოდა: იქიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ ცენტრებში სწავლა-განათლების მისაღებად, იქაც ვრცელდებოდა ანტონისა და მისი მოწაფე-მომდევრების ნაწარმოებები, საგანმანათლებლო მისწრაფებანი და სხვა. საერთოდ, საინტერესოა იმდროინდელი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესწავლა

განყოფილებაში, M — 10601. დავით ბატონიშვილის ეს თხზულება, როგორც მისმა შესწავლამ დაგვიმტყიცა, ერეკლე მეორის ხანის საისტორიო წყაროდ წარმოადგენს მნიშვნელოვან ძეგლს და, კერძოდ კი, მეტად საყურადღებოა ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართათვის. მასში 1919 მუხლად წარმოდგენილია ერეკლეს ხანის ქართლ-კახეთის სახელმწიფოში მოქმედი კანონები, წესები და სხვა.

ამ თხზულების ერთ-ერთ ვარიანტსაც მივაგენით საქართველოს მუზეუმში. ასეთია ხელნ. № 2828 Sd/ 3678 A, რაც შეესატყვისება რუსეთში დაცული ხელნახელებული ორი ხელნაწერის მხოლოდ ნაწილს, 1—196 მუხლებს.

თხზულებიდან ციტატები ქვევით მოგვაქვს რუსეთში დაცული ხელნაწერების მიხედვით, თხზულების ავტორის მიერ ხელნაწერები საკუთარი ხელით შესწორებულია და ამიტომ ჩვენთვის მოუპოვებელი ავტოგრაფის უფლებებითაც ძლიერ მისაღებნი არიან.

ამ თხზულების შესახებ იხ. ა. ბ. როგავას წერილი „ერეკლე მეფის სამართალი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ. 19 მარტი.

1. „Обозрение Грузии по части прав и законовеведения“, მუხ. 175.

ქვეყნის სხვა საზოგადო მოვლენებთან დაკავშირებით, რაც მომავალში სპეციალური კვლევის ღირსია. ანტონ პირველისა და მეორის საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის, მეტად ვაწარმოებულ ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინება მაშინ უფრო სრულად შესაძლებელია, ვიდრე ეს წინამდებარე ნაშრომშია წარმოდგენილი. არა მარტო ქართლ-კახეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვისაც ასეთი დიდი მნიშვნელობაც ამ ორი „ძმისა“ მარტო ქვეყნით მოტანილი დოკუმენტალური მასალებიდანაც საკმაოდ ნათლად ჩანს, სხვა არა იყოს რა.

1761 წ. სომხურიდან გადმოთარგმნილი „რიტორების“ წინასიტყვაობაში დოსითეოზ ნეკრესელი მოგვითხრობს: ანტონ პირველმა, „... თან-მზრახ-ჯერჩინებითა ირაკლი მეფისა ბრძენ გონებიანისათა, იწყო მითესად არფრინველთ სატაცოა იგი, არამედ სიბრძნე, და სიბრძნე ესე არს მეცნიერება ხედვითთა და საქმითთა“<sup>1</sup>. მაშასადამე, მისი უახლოესი თანამშრომლის—დოსითეოზ ნეკრესელის მოწმობით, ანტონ კათალიკოზი ერეკლე მეორის თანამზრახველობითა და მოწონება-დახმარებით აწარმოებდა საზოგადოებისათვის საჭირო თეორიული („ხედვითთა“) და პრაქტიკულ-გამოყენებითი („საქმითთა“) ცოდნისა და მეცნიერების ფართოდ გავრცელებას სახელმწიფოში („მითესად“), მწერლობასა და სახალხო განათლების დარგში ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამ მოვლენათა თვითმხილველი და უშუალოდ განმცდელი დოსითეოზ ნეკრესელი ამ სიტყვებით ქეშმარიტებას გადმოგვცემს, რაშიაც ქვეყნით საკმაოდ დავრწმუნდებით ორივე „ძმის“ საქმიანობის განხილვით.

თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი ცოდნისა და მეცნიერების გავრცელება ანტონის მეთაურობით ერეკლე მეორის ხანის ქართველ საზოგადოებაში განსაკუთრებით სკოლების საშუალებით ხდებოდა. რასაკვირველია, საამისოდ საკმაოდ მცოდნე, დახელოვნებული პედაგოგები იყვნენ საჭირო. ამასთანავე, არანაკლებ საჭირო იყო მეფისა და მისი მოხელეების აქტიური დახმარება ამ საქმეში საზღვდელოების მოწინავე წრისადმი. განსაკუთრებით მეფე უნდა დახმარებოდა საჭიროების შემთხვევაში კათალიკოზს, ეპისკოპოზებსა და სხვებს არა მარტო სკოლების კეთილმოწყობისას, არამედ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მოწვევისას, მოსწავლეთა კონტინგენტის შეკრებისას, სახელმძღვანელოთა შექმნისას და ა. შ..

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1137 S.



ერეკლე შვიორე კი არათუ საქართველოში ანტონის ყოფნის დროს მას-  
თან ერთად. ზრამედ, მით უფრო, ამ „ძმის“ გარეშედაც, რუსეთში  
მისი თითქმის შეიდი წლის განმავლობაში გადასახლებებისას (1756 წ.  
აპრილი—1763 წ. მარტი), იყო ამ საქმეთა მთავარი მნიშვნელოვანი  
და აქტიური ხელმძღვანელიც.

„ძმის“ გარეშე საქართველოში ამგვარად ერეკლეს დიდი გამრჯე-  
ობის შემთხვევისა გამო მოგვითხრობს დოსითეოზ ნეკრესელი  
შემდეგს: როდესაც „მარად მოძულემან კეთილობათამან... იქუთ-  
ხიერნაცა და თვისაფთურთ თვისით აღმოებერნა ქარნი სიბოროტი-  
სანი... და პერად აღმძვრელმან უძყუდროო ღელვათამან მი გ ვ ტ ა ც ა  
მა ე თ ე რ ი ი გ ი ე ნ ა თ ა ჩ ე ე ნ თ ა“, „მზე ჩეენი“ ანტონ კათა-  
ლიკოზი რუსეთში გადასახლებითო, ამის შემდეგაც მისმა მიმდევრებმა  
„ისიბრძნიეს სიბრძნე, რამეთუ სიბრძნესა ვერ სადა მძლავრობს ბო-  
როტი“, და შეცნეიერება და ფილოსოფია მაინც ვითარდებოდა და  
გრცელდებოდა სკოლებშიაც. დოსითეოზი განაგრძობს: „მერმეცა კვა-  
ლად მეფემან და კაცმან საკვირველმან ირაკლი ბრძენ-გო-  
ნებ იანმან, ტრფიალმან სიბრძნისა ნათელთფენათა-  
მან... მოიყვანა იგივე (იგულისხმება: წინათ ანტონის თანა-  
მოღვაწე.—ა.რ.) ჰარმანთა მღვდელი ფილიპე თვისსა სა-  
ფლობელოსა შინა კახეთს და დიდითა პატივითა პატივსცა,  
რამეთუ სიბრძნე მდაბლისა აღამალლებს თავსა და შორის დიდ შემ-  
ძლეთასა დასვამს მას, და მისვე სიბრძნისაგან ესეცა მღვდელი  
იდიდა. და შემოუკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა  
თვისისანი და რამეთუ მეცა მდაბალი ვინმე ეპისკო-  
პოსი ნეკრესისა დოსითეოს თან ვედასებოდი მათ  
შეკრებულთა, ბრძანებითა მეფისათა. ხოლო რამეთუ, ვითარ  
შეკრიბა მესხოლეთა და ვითარ შემზადა სხოლისა  
და ვითარ თარგმანთა წყება და ვისგან და რომელსა აც და  
რაოდენსა რიცხვსა წელთასა და რომელსა ქორონიკონსა და ქრისტეს  
აქეთსა მერამდენსა—ჩემ მიერვე გარდმოლებულის «საზღვრის  
წიგნის» (იგულისხმება: დავით უძლეველი ს ნაწარმოები.—ა.  
რ.) ხსენვათა ძლითნი ხსენვანი მოუთხრობენ“—ო და სხვა<sup>1</sup>. საგულის-  
ხმოა, რომ ამას წყრს მაშინდელი განათლების საქმის ერთ-ერთი  
თვალსაჩინო ხელმძღვანელი დოსითეოზ ნეკრესელი, ანტონის  
თანამგრძნობი „გაფრანგების“ ეამს (1754—1755 წწ.)<sup>2</sup> და მასთან

<sup>1</sup> წინასიტყვაობა „რიტორებისა“, 1761 წ., საქ. მუხ. №1137 S.

<sup>2</sup> იხ, ამის შესახებ აკ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებ-  
რივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.

ერთად ერეკლე მეფის ერთგული თანავანმზრახ-თანამშრომელი სიკ-  
ლესიო მოღვაწე და მწერალი. სომხურიდან გადმოღებული დავით  
უძლეველის ზემოხსენებული „საზღვრის წიგნის“ სათანადო ადგილას  
კი დოსითეოზი წერს: თელავში ერეკლე მეფემ „მეფისა და  
სხოლა თვისსა პალატსა შინასახელსა ზედა წმიდისა მღვდელ-  
მთავრისა ვასილი კესარიელისასა, წელსა მეფობისა თვისისათა  
იდ[14], დასაბამითგან წელთა კსაჲ [2266]“, ქრისტეს აქეთ  
ჩღნც [1758], თვესა ოკტომბერსა კვ[26], კენებასა ზედა დიდისა  
მოწამისა დიმიტრისასა, დღესა კვირიაკესა, ჟამსა მესამესა იკურთხა  
ჩემ მიერგე, მდაბლისა ნეკრესელ ეპისკოპოზისა დოსითეოსისგან, და  
შეკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თვისისანი, ხოლო ყრმად ვიტყვი  
ჟმეტრების ძლით და არა ჰასაკით: რომელნიმე ეპისკოპოზნი, რომელ-  
ნიმე მღვდელნი და რომელნიმე ახალ-მოსწავლენი ეკლეს[ი]ის  
მსახურნი, და ინება ვანმრავლებად კეთილ-მეცნობისა. იწყო სწავე-  
ბად ძეთა თვისთა და სხუათა[ცა] ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელ-  
თა ინებეს და ეტრფიალნენ სიბრძნის-მოყვარებასა“<sup>2</sup>.

ზემომოტანილი ამონაწერებიდან როგორც ჩანს, დოსითეოზ ნეკ-  
რელის სიტყვით, ერეკლე მეორეს ეს სკოლა დაუარსებია 1758 წ.  
26 ოქტომბერს ქ. თელავს, მისსავე სასახლეში. ამდღეს  
უკურთხებია იგი დოსითეოზს. ამ სკოლის სხოლაპეტად ანუ რექ-  
ტორად ერეკლეს მოუწვევია, ცხადია, თბილისის სემინარიის რექტო-  
რობისაგან განთავისუფლებით, ფილიპე ყაითმაზაშვილი.  
ერეკლემ მას „შემოუკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თვისისანი“. ამ  
„ყრმათა“ შორის მოზრდილებიც ყოფილან მოსწავლედ: თვით დო-  
სითეოზი და „რომელნიმე ეპისკოპოზნი, რომელნიმე მღვდელნი“ და  
სხვანიც. ამ სკოლისათვის მთელი „თარგმანთა წყებაც“ შექმნილა,  
ცხადია, სახელმძღვანელო წიგნებად, რომელთაც მიეკუთვნება თვით  
„რიტორება“, სომხურიდან 1761 წ. გადმოთარგმნილი დოსითეოზ  
ნეკრესელისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ<sup>3</sup>.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდე დედიც გადმოგვცემს, რომ მას  
თბილისში უხილავს „მრავალნი წარმატებულად ხედვითთა შინა  
ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეო-  
რესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლაჲ ქალაქსა თელავს  
და მუნით წვრთნილ იყვნენ; და ამასვე მეფესა მოეპოვა

<sup>1</sup> ხელნაწერში: „კსა“. კ. კეკელიძე ასწორებს: „ხელნაწერში შეცდომით  
7201 ხის“.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2564S, გვ. 103—105; შუად. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტო-  
რია“, I, 1941 წ., გვ. 78.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 1137 S.



სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღვდელი ფილიპე, რომელი ღირს იყო ესევეთარსა მოძღურებისა პატივსა. და ამა მოძღურისა მიერ და ანის ერთისა რჩეულისა მოწაფისა ზაქარიაჲს მიერ მიიღო უღირსობებამანცა ჩემმა წვრთილებამა ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა<sup>1</sup>. საფიქრებელია, ანტონ პირველის თანამშრომელი და მისი რეკომენდაციით 1755 წ. დამდევს თბილისის სემინარიის რექტორად დანიშნული ფილიპე ყაითმაზაშვილი, მისი მეგობარი კათალიკოზის რუსეთში 1756 წ. განდევნის შემდეგ, ველარ შეეკუთა ანტონის მოწინააღმდეგეებს. ამიტომაც ანტონის „ძმას“, ერეკლე მეფეს თელავის სკოლისათვის, ბუნებრივია, უნდა „მოეპოვა სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღვდელი ფილიპე, რომელი ღირს იყო ესევეთარსა მოძღურებისა პატივსა“.

დოსითეოზ ნეკრესელისა და ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელის ზემომოყვანილ ცნობებს ადასტურებს თვით ერეკლე მეორისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ფილიპე ყაითმაზაშვილისადმი 1777 წ. გაცემული „ყმა და მამულისა“ და სხვათა სიგელის ერთი ადგილიც: „... ვინათგან შენ, ტერ-ფილიპე, ჩვენი ერთგულად ნამსახური იყავ და სამეცნიეროს წიგნთ თარგმანზე და სწავლებამზე ღვაწლ-დადებული იყავ, ამისთვის ვისმინეთ მოხსენება თქვენი“, გიბოძეთ მამული, ყმა და სხვა „წყალობა გიყავით“-ო<sup>2</sup>.

საყურადღებოა დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი ცნობა, რომელიც ზემოხსენებული ცნობების კიდევ ერთხელ დადასტურების გარდა, ახალ რამესაც გადმოგვცემს: მეფე ერეკლემ „...თელავს სკოლასა შინა დაადრგინა (sic) სომეხთა მღვდელი ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, ფრიად მეცნიერი და ფილასოფოსი, ვითარცა ძველისა ფილასოფ[ი]ისა, ეგრეთვე ახლისაცა ფრიად გამოცდილი. რომელიცა სკოლა ესე იყო მიერ ჟაჟითგან აქამომდე თელავს და სწავლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდლონი ფრიად გულ-მოდგინედ ვიდრე დაპრობამდე რუსთაგან საქართუცლომსა“<sup>3</sup>.

დოსითეოზ ნეკრესელისა და ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელის ზემომოყვანილი ექვმიუტანელი ცნობები როგორც გარკვევით ადასტურებენ, თელავის ამ სკოლაში ერეკლეს ფილიპე ყაითმაზაშვილი და-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 79. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.  
<sup>2</sup> საქ. ცენტრ. არქივის ფ. 229 (4), დავთ. 14, №37.  
<sup>3</sup> „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ. გამოც., 83-12.

უდგენია სხოლაპეტად ანუ რექტორად 1758 წელს და „მიერ უბით-  
გან... დაპყრობამდე რუსთავან საქართუპლოვსა“ ამ სკოლის არსე-  
ბობა წარმოუდგენელია, რომ ცნება „თელავის სკოლაში“ ცნობი-  
ბატონიშვილი, გარდა ამ სკოლისა, აგრეთვე თელავის სემინარიასა  
არ გულისხმობდეს. 1782 წ. 28 მაისს დაარსებულ თელავის სემინა-  
რიას 1758 წ. დაარსებული სკოლისაგან დავით ბატონიშვილი ცალკე  
სახელწოდებით იმიტომ არ განასხვავებს, რომ თელავის სემინა-  
რია წარმოიშვა 1758 წელს ერეკლესვე მიერ დაარ-  
სებული „თელავის სკოლის“ ნიადაგზე და არსებითად  
მის გაგრძელებად თელის მას. ამრიგად, 1758 წლის 26 ოქტომ-  
ბერს მეფე ერეკლეს თელავის სასახლეში დაუარსე-  
ბია „ფილოსოფიური“ სკოლა და მის „სხოლაპეტად“  
ანუ რექტორად მოუწვევია თბილისის სემინარიის  
რექტორობისაგან განთავისუფლებული ფილიპე  
ყაითმაზაშვილი. ფილიპე აქ, გარდა სასკოლო-პედა-  
გოგიური მოღვაწეობისა, მთარგმნელობასაც ეწეო-  
და. ამგვარ ღვაწლთა გამო 1777 წ. ის ერეკლესაგან  
მამულს, ყმებსა და სხვა წყალობასაც ღებულობს  
სიგელით. ამ ღებულებების გათვალისწინებითა და დავით  
ბატონიშვილის ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით წარმოიშვება  
მოსაზრება: 1758 წ. 26 ოქტომბერს ერეკლე მეორის მიერ  
დაარსებულმა თელავის „ფილოსოფიურმა“ სკო-  
ლამ უთუოდ განაგრძო არსებობა 1782 წელს თელავის  
სემინარიის დაარსებამდე და მის ნიადაგზე (მატე-  
რიალური ბაზა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა  
კონტინგენტი და სხვა), სემინარიული წესდებითა და  
პროგრამებით რეორგანიზაციის შედეგად, წარმო-  
იშვა თელავის სემინარია გაიოზ რექტორის ხელ-  
მძღვანელობით. ეს მოსაზრება სხვა საბუთებით კიდევ დამტკი-  
ცებას საჭიროებს და ამჟამად მხოლოდ ჰიპოთეზად მიგვიჩნია.

სახალხო განათლების დარგში მომუშავეს მატერიალური სახსრით  
უზრუნველყოფისა და მისი საქმის წარმართვისათვის თვით ერეკლე  
მეორე უშუალოდ ზრუნავდა ხშირად. მაგალითად, ერეკლე კახეთში  
სწავლა-განათლების დიდ მოამაგე ეპისკოპოზ დოსითეოზ ნეკრე-  
სელს, რომლისგან მას განათლების საქმეზე წერილი მოსვლია,  
1762 წელს საპასუხოდ წერს: „თქვენი წიგნი მოგვივიდა. ზაქარია  
დიაკონის საქმე და შილდის გალავნისა მოგეწერათ. ზაქარია  
დიაკონისა ასე იუწყეთ: იმისი წარსელის ამბავი და მავიერი  
პახუნი თვით მისთვისვე მოგვიწერია, მუნით სცნობთ



და კორციელი საქირო ბერის—ნაზირისა და ყალუაშვილი-სათვის გებრძანებია, ისინი გაუარიებენ. და სსსრკ-ის კანონი უვა არის, როსცა მშვიდობით შეგვიყრებით თქვენცა და ის უკანონო მაშინ ეთქმის ყოველივე..... თქვენი საქმე მოგვწერეთ. და ზაქარია დიაკონი განამტკიცეთ, მაგ საქმეზედ ბეჯით იყოს, სხვა გულში ნულარა უძეს რა. იცოდეს, მაგისი დაძვრა არ იქნება. სკოლის საქმე ან სწავლა ვისგანმე მომატებულა—ყველა გვაუწყე. მტკიცედ იყავ მაგის საქმეზედ. ჩემი საამო ის არის, რასაც ბეჯითად იქნები<sup>1</sup>. ასე წერს მეფე ერეკლე თავისა და ანტონის უახლოეს თანამშრომელს, განსაკუთრებით განათლების დარგში, დოსითეოზ ნეკრესელს. ერეკლე ამხნეებს სასკოლო-საგანმანათლებლო დარგში მოღვაწეობისათვის არა მარტო დოსითეოზს, არამედ ზაქარია დიაკონსაც, უქმნის მას ბერისათვის საქირო მატერიალურ საფუძველს და ხსენებულ დარგში დოსითეოზს საგანგებოდ ერთ რაღაც „საქმეზედ“ წააშველებს. სათიქრებელია, ეს „ზაქარია დიაკონი“ ის „ზაქარია დიაკონი“ იყოს, რომელმაც, როგორც კარგმა კალიგრაფმა, თარგმანი ს. ჯულფელის „დიალიქტიკის“ ნიკოლოზ ქიზიყელისეული ვარიანტი 1756 წ. „მესამედ განაქება“, ე. ი. გადაწერა<sup>2</sup>. დოსითეოზს ის უნდა გამოეყენებინა სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეებში, განსაკუთრებით კი სკოლაში საქირო სახელმძღვანელო წიგნების გადაწერის საქმეში. ერეკლეს მიერ ამ ზაქარიას შესახებ დოსითეოზისადმი თქმული „მაგ საქმეზედ ბეჯით იყოს, სხვა გულში ნულარა უძეს რა“—უთუოდ სკოლის სახელმძღვანელო წიგნების გადაწერის დაკისრებას წარმოადგენს ზაქარიასადმი ერეკლე მეფისაგან. ყოველ შემთხვევაში, ვინც არ უნდა იყოს ეს ზაქარია დიაკონი, როგორც ჩანს წერილიდან, ერეკლეს საგანგებოდ წაუშველებია ის დოსითეოზ ნეკრესელისადმი რაღაც სასკოლო საქმეზე, როგორც სპეციალისტი იმ საქმისა, და ყოველმხრივ მზრუნველობს კერძოდ ზაქარიას შესახებაც საერთოდ სკოლის წარმატების მიზნით.

ერეკლე მეორე ამავე წერილში არათუ დოსითეოზსა და ზაქარია დიაკონს, არამედ ანტონ პირველის დიდ კულტურულ თანამოღვაწე ფილიპე ყაითმაზაშვილსაც და ვინმე „გიორგი მღვდელსაც“ (ამასაც უთუოდ განსაკუთრებით განათლების დარგში მუშაობისათვის) არ

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 215 Ad; შუად. დ. Пурцеладзе, Груз. церк. гуджары, 1881 г., გვ. 40.  
<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ. აბ. როგაეას გამოკვლევაში „სპეკალი“ ანტონ პირველისა, — ანტონის „სპეკალი“, 1947 წელს გამოსაცემად დაზნადებული.

ივიწყებს. ფილიპე იმ დროს (1762 წ.) კახეთში ეპისკოპოსად დროს-  
თეოზ ნეკრესელთან ერთად მოღვაწეობს მწერლობასა და განათლე-  
ბის დარგში, — როგორც ზევით ითქვა, თელავის სკოლის ხელმძღვანელად  
ნელია, — და მათი იქაური საქმიანობით აღფრთოვანებული მწერეკლე  
ერეკლე წერს დოსითეოსს: „ტერ-ფილიპე გიორგი მღვდელი-  
თურთ მომინახვის სიხარულით“<sup>1</sup>. დიდებული მეფე ამ-  
გვარი მოკითხვითაც, რა თქმა უნდა, დიდად ამხნევებდა სახალხო  
განათლების დარგში მუშაებს. ამრიგად, ერეკლე მეორე არა  
მარტო მატერიალური საშუალებებით, არამედ სა-  
თანადო ორგანიზაციით, საქირო პიროვნებათა ჩაბ-  
მითა და მოხმობა-წაშველიებით, მეგობრული წა-  
ქეზებითა და მრავალი სხვა ზომითაც ავითარებდა  
ჩვენში სასკოლო-საგანმანათლებლო მუშაობას  
თვით ანტონ კათალიკოზის საქართველოში არყოფ-  
ნის დროსაც, მისი რუსეთში გადასახლების უამს, ან-  
ტონის ადრინდელი უახლოესი კულტურული თანამ-  
შრომლებისა და სხვათაგან ხელმძღვანელობითა  
და ხელისშეწყობით. ამგვარად, ადრითგანვე ანტონთან ერ-  
თად ერეკლეს მიერ, რა თქმა უნდა, თეიმურაზ მეორის წაშველიე-  
ბითაც გაშლილი სახალხო განათლების საქმე ქართლ-კახეთში ან-  
ტონის რუსეთში განდევნის დროსაც (1756 წ. აპრილი—1763 წ.  
მარტი) წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ სასკოლო-საგანმანათ-  
ლებლო მუშაობა ერეკლეს ხანაში განსაკუთრებით გაცხოველდა კი  
იმ დროიდან, როცა ამ საქმეშიაც „მხნე“ ერეკლეს გვერდით ისევ  
ამოუდგა ანტონ კათალიკოზი, თავისი „გონიერი“ „ძმის“ მიერ რუ-  
სეთს გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნებული (1763 წ. მარ-  
ტი) და მისივე შემწეობით ისევ გაკათალიკოზებული (1764 წ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტონ პირველს სახალხო განათ-  
ლების დარგის უშუალო მეთაურობა ქართლ-კახეთში მოუხდა  
ფაქტიურად ორჯერ კათალიკოზობისას: 1744—1755-სა და 1764—  
1788 წლებში. პირველჯერ კათალიკოზობისას ქართლ-კახეთის სა-  
ხელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში ანტონის მოღვა-  
წეობა განისაზღვრებოდა ორი მეფის (ქართლში — თეიმურაზ II, კა-  
ხეთში — ერეკლე II) ხელისუფლებით, რამაც ერთ-ერთთან კონ-  
ფლიქტით იგი სახელმწიფოებრივ-სახელისუფლო საქმიანობას ძალით  
დააცილა (1754—55 წლებში ანტონის „გაკათოლიკებისა“ გამო  
თეიმურაზ მეორის მიერ მისი განდევნა რუსეთს 1756 წ. აპრილი-

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 215 Ad.



დან 1762 წ. მარტამდე) <sup>1</sup>; მეორევე კათალიკოზობისას კი ქართლ-კახეთი ერთი, მთლიანი სამეფო იყო ანტონის „სულისა“<sup>2</sup> „ძმის“ — ერეკლე მეორის „მონარხოზით“. უკანასკნელმა კი, პირველ ხანასთან შედარებით, შემდეგ უფრო მეტად დიდი და თავისუფალი გასაქანი მისცა ანტონ პირველს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყოველმხრივ ფართოდ გაშლისათვის არათუ საეკლესიო და პოლიტიკურ ასპარეზსა, არამედ საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზედაც. ერეკლე მეორის დროის ქართლ-კახეთის ცხოვრების საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებით ამ გარემოებით აიხსნება ის ნაყოფიერი სახელმწიფოებრივ-პრაქტიკული საქმიანობაც, რომელიც ორივე „ძმამ“ კერძოდ სახალხო განათლების დარგშიაც გააჩალა მათი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის შესაბამისად უფრო ძლიერად მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვიდრე ადრე. ამრიგად, არა მარტო პირადი ნიჭი, დაუშრეტელი ენერჯია და შრომისმოყვარეობა, დიდი ერუდიცია, მწერლის ავტორიტეტი, კათალიკოზობა და სხვა, არამედ მისი „ძმის“ „მონარხოზაც“ წარმატებებისამებრ განამტკიცებდა ანტონის გავლენიანობას მაშინდელ ქართულ კულტურასა და საერთოდ საზოგადოებრივ იდეოლოგიაში. ერეკლეს ნიჭიერ სამხედროსა და პოლიტიკურ მოღვაწეობას მე-18 საუკუნის საქართველოში გვერდს უშვებდა ანტონ პირველის საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა: „ერეკლეს ხმალს“, პოლიტიკურ „კელსა“ და დიპლომატურ ენას თავის ღირსეულ თანამგზავრად ანტონის კალამი და პრაქტიკული სახელმწიფოებრივ-კულტურული საქმიანობა მოეპოვებოდა. 1744—88 წლებში, გარდა 1756—63 წლებისა, ქართველთა ცხოვრების ორივე სფეროს—საეროსა და სასულიეროს—ეს ორი უაღრესად ნიჭიერი და ენერჯიული ადამიანი ცალცალკე, ერთმანეთის გულისხმიერი დახმარებით საჭემბპურობელობს ქართლ-კახეთში, თუმც მათ ხელისშემშლელი და მტერი არა ცოტა გააჩნდათ მეგობრებისვე გვერდით. მაგრამ საზოგადოების იდეოლოგიურ ფრონტზე თვით ანტონ კათალიკოზი „ერეკლეობს“, ხმლის მაგივრად კალამმომარჯვებული, და მისი „სიყრმითგან... ქრისტეს მიერ ირაკლის თანა-შეკრულებისათვის“ თავგამოდებით ყოველგვარი საშუალებით იბრძვის „ქრესტეანისათვის მშობელისა“<sup>2</sup>, რათა „აღან-

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად ა. ბ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.

<sup>2</sup> „ღმთის-მეტყველების“ II ტომის წინასიტყვაობა, §§ 12—18,—საქ. მუხ. № 3658 S.

თოს\* ერეკლესული „ლაშქარი ძღვევისა... დაუშრეტელად“<sup>1</sup>—საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ძლიერება. ასეთი სახელმწიფოებრივი გვეშლება თვალწინ კერძოდ სახალხო განათლების დარგშიც ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის მოღვაწეობის განხილვისას.

## § 2. სახელმწიფო სკოლები (სასულიერო სემინარიები) და ანტონ პირველი

### ა) ანტონ პირველის როლი სემინარიების დაარსებისა და ხელმძღვანელობის საქმეში

სახელმწიფო ტიპის სკოლის და ისიც უმაღლესი სასწავლებლის—აკადემიის (გელათისა და, სექეოა, იყალთოსი) არსებობა საქართველოში ძველად, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაშია ცნობილი<sup>2</sup>. მასში მოღვაწეობდნენ დიდებული მეცნიერები იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვანი<sup>3</sup>. შემდეგ ხანებში კი ასეთი ტიპის სკოლის არსებობის შესახებ ერეკლე მეორის დრომდე არავითარი სარწმუნო ცნობა არ მოგვეპოვება.

მე-18 საუკუნის საქართველოში ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოყენების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა (საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ანტონ I და სხვა). ამასთანავე მაშინ ქართველთა მიერ დასავლეთ ევროპის ახალი ეპოქის ცხოვრების გაკნობამ და რუსეთთან გაცხოველებულმა ურთიერთობამ არათუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში, არამედ განსაკუთრებით განათლების დარგში ზოგან საყურადღებო ცვლილებები და ახალი წამოწყებები გამოიწვია ქართლ-კახეთში. ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ამ საქმეს. ასეთ ახალ წამოწყებათა რიგს შეეკუთვნებიან უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი ტიპის საშუალო სკოლები—სასულიერო სემინარიები.

სასულიერო სემინარიები ქართლ-კახეთში წარმოიშვნენ რუსეთში არსებული ამავე სახელწოდების სკოლების (духовная семинария) წესდების, პროგრამებისა და მუშაობის პრაქტიკის გამოყენების ნია-

<sup>1</sup> 1762 წ. 16 თებერვლის წერილი ანტონ პირველისა ერეკლე მეორისადმი, საქ. მუხ. № 2510 H; შეად. S—№№: 410, 1273.

<sup>2</sup> უფრო ადრედაც, მე-4 საუკუნეში კოლხეთში (ფოთთან) ფილოსოფიური აკადემია არსებობდა. მაგრამ წარმოადგენდა თუ არა იგი სახელმწიფო ტიპის სასწავლებელს—საკითხად რჩება.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 წ., გვ. 216—217, 298—302; ა. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 75—77.



დაგზე. ქართული სემინარიების წესდებისა და პროგრამების ტექსტები ჩვენთვის ამჟამად ჯერჯერობით მაინც უცნობია და ამიტომ საშუალება არ გავგაჩნია შევადართო ისინი რუსულ სათარგოდად საშუალების ტექსტებს. მიუხედავად ამისა, ქვევით ჩვენ მიერ წარმოდგენილი ამ სემინარიების ცხოვრების აღწერა გვაძლევს საშუალებას შევადართო საერთოდ მაინც ესენი მაშინდელ რუსულ სემინარიებს და საბოლოოდ მივიღეთ ასეთ დასკვნამდე: რუსეთსა და საქართველოში მაშინ არსებული სასულიერო სემინარიების მთავარ მიზნებს შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ არსებობდა. ორივე ზრდიდა განათლებულ საეკლესიო მოსამსახურეებს, მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთ, და, რაც მეტად საყურადღებოა, მონარქი მეფისა და მისი ცენტრალისტური ხელისუფლების ერთგულ დარაჯთ. ერეკლე მეორისათვის სწორედ ასეთი საეკლესიო მოსამსახურეები იყვნენ საჭირო თავადური სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი და ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის განხორციელებისათვის. აშკარაა, რომ საქართველოში მომავალში განათლებული აბსოლუტი მონარქი მეფის გაჩენისა და მისი ცენტრალისტური ხელისუფლების დამყარების იდეა ამოძრავებდა ერეკლესა და ანტონს, როცა თავგამოდებით იბრძოდნენ სასულიერო სემინარიების დაარსებისა და შემდგომ წარმატებით მათი მუშაობისათვის. ამ მეფისა და კათალიკოზისათვის ცხადი იყო, რომ სახალხო განათლების დარგში განსაკუთრებით ეს სკოლები რუსეთში დიდად ემსახურებოდნენ მათი თანამედროვე იმპერატორ ეკატერინე მეორის განათლებულ აბსოლუტურ მონარქისტულ ტენდენციებს. ამასთანავე, განათლებული აბსოლუტური მონარქისტული ხელისუფლება თავისი გამარჯვებისათვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიაც სახალხო განათლების დარგს, კერძოდ კი რიგ ახალი ტიპის სკოლებს, ასეთივე მიზანს უსახავდა ცხოვრებაში. ეს მოვლენა, უეჭველია, არ გამოპარვია ანტონ პირველის ცნობისმოყვარეობას საერთოდ ევროპის შესწავლისას. მაგრამ მან და ერეკლემ ყველაზე უფრო უკეთესად, ჩანს, სასულიერო სემინარიების დაარსება მიიჩნიეს ჩვენში, რუსეთში მაშინ მათი არსებობისამებრ. სასულიერო სემინარიები კი რუსეთში 1737 წლიდან ჩნდებიან და განსაკუთრებით ეკატერინე მეორის დროს გამრავლდნენ და გამტკიცდნენ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> П. Мижуев, Просвещение.—Энци. словарь Брокгауз-Ефрона, 1899 г., т. XXVII-A, ст. 383 (статья „Россия“).

ქართულსა და რუსულ სასულიერო სემინარიებს შორის, ვარდა ზემოხსენებული მსგავსებისა, აღინიშნება განსხვავებანიც; მართალია, ორივე სახელმწიფო ხარჯზეა, მაგრამ სასულიერო წყაროები და გზები არაერთგვარია; რექტორისა და მასწავლებელთა შერჩევა რუსეთში არსებობისამებრ საქართველოშიაც ხდება, მაგრამ თვით დამნიშვნელი პირნი თანამდებობით განსხვავდებიან; იქ სასულიერო სემინარიებში მხოლოდ კეთილშობილთა წოდებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთ იღებენ ჩვეულებრივ, აქ კი, თელავის სემინარიაში—განურჩევლად წოდებისა ყოველი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელთ (სასულიერო წოდება ჩვენში მაშინ არც არსებობდა, იყო მხოლოდ წრე, თავად-აზნაურთა წოდებისა და გლეხთა წოდებისაგან წარმოშობილი); იქ საერთო ენად სემინარიაში რუსულია მიღებული, აქ კი—ქართული. რადგან ადგილობრივ თითოეული სახელმწიფო ენას წარმოადგენდა, მხოლოდ ერთგან განმტკიცებულსა და სავალდებულოს, და ამიტომაც იქ რუსული ენის გრამატიკას ასწავლიან, აქ კი—ქართული ენისას, და ა. შ.. ასეთი რამ ან იქნებ ცოტა მეტად სხვაგვარი განსხვავებანი ქართულსა და რუსულ სემინარიებს შორის კიდევ უუაღრესოდ არსებობდა, მაგრამ კონკრეტულად მათი გათვალისწინება შეუძლებელი ხდება ქართული სასულიერო სემინარიების წესდებისა და პროგრამების ტექსტებისა და, ს. ერთოდ, ამ სემინარიების არქივის შემოუნახველობისა გამო. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული დასკვნების გამოტანის უფლებას მაინც ჩვენ გვაძლევს ის სხვა საარქივო მასალები და მათზე მსჯელობანი, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში თავ თავის ადგილას წარმოგვიდგენია.

ქართული სასულიერო სემინარიების წესდება და პროგრამები, რა თქმა უნდა, წინასწარ ამ სკოლების გახსნისა განსაკუთრებით რუსული სასულიერო სემინარიების წესდებისა და პროგრამების მიხედვით წარმოიშვა. ესენი, უეჭველია, შედგენილ იქნენ ქართული ეკლესიის ხელმძღვანელის, სახალხო განათლების დარგის მეთაურის, ამავე სემინარიების „პროტექტორ, დირექტორ და დიდასკოლოს“ ანტონ კათალიკოზის მიერ. სხვას მათ შედგენას, ანტონ პირველის გვერდის ავლით, მეფეები (ერეკლე და თეიმურაზი) არ დაავალდებდნენ და წესითაც ეს საქმე ანტონ კათალიკოზს ეკისრებოდა.

ანტონ პირველს ეს წესდება და პროგრამები უნდა შეედგინა თავდაპირველად თბილისის სასულიერო სემინარიისათვის 1755 წლის დამდგამდე, სემინარიის გახსნამდე. ჯერ კიდევ ადრე, 1752 წელს, როცა ანტონი თავის თხზულება „სპეკალს“ წერდა, იგი რუსეთისადმი სიმპათიით იყო გამსჭვალული და სწავლობდა რუსულ ენასა და ლი-

ტერატურას<sup>1</sup>. ამრიგად, 1755 წლის დამდეგამდე ანტონ კათალიკოზს შეეძლო გაცნობოდა რუსეთის სასულიერო სემინარიების წესდებასა და პროგრამებსაც დედნებშივე და გადმოელო დაეცვათ მათი ისინი მეფეთათვის წარსადგენად. ჩანს, მათ ანტონის მიერ პროგრამის სახით წარმოდგენილი თბილისის სასულიერო სემინარიის წესდება და პროგრამები მისაღებად ცნეს და 1755 წლის დამდეგს კიდევაც გახსნეს თბილისის სემინარია. ამგვარად, შედარებით სხვებზე უფრო მეტად რუსული მწერლობისა და განათლების დარგის გაცნობამ მისცა საშუალება ქართლ-კახეთის სახალხო განათლების დარგის მეტაურ კათალიკოზ ანტონ პირველს ყოფილიყო პირველი ინიციატორი ჩვენში სასულიერო სემინარიის გახსნისა. რასაკვირველია, მისი „სულისა ერთობრივი“ „ძმა“ ერეკლე მეორე მტკიცედ შეეშველა მას თავისი ინიციატორობითაც, განსაკუთრებით სემინარიის რეალურად შექმნის საქმეში. ამიტომაც, რომ ქართული ლიტერატურული ტრადიციული გადმოცემები თბილისის სემინარიის ჩვენში დაარსებისა და წარმატების საქმეს, როგორც შემდეგ თელავის სემინარიისას, ჩვეულებრივ ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის სახელთ უკავშირებს<sup>2</sup>. უდავოა ჩვენთვის, რომ ამგვარად მართლაც ამ სემინარიების დაარსებისა და წარმატების მოთავენი ისინი იყვნენ და არა ვინმე სხვა.

აკად. ქ. ქვიციანიძის სიტყვით, თელავის სემინარია გაიხსნა 1782 წლის 28 მაისს „მოსკოვის სლავენურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიის ყაიდაზე...“<sup>3</sup>. მაშასადამე, თბილისის სემინარიისათვის ანტონ პირველის მიერ აღრე შექმნილი წესდებისა და პროგრამებისაგან ნაწილობრივ მაინც განსხვავებული, ახალი, ისევ ანტონის მიერ შექმნილი წესდებითა და პროგრამებით მუშაობდნენ თელავის სასულიერო სემინარიაში. სამწუხაროდ, ამ სემინარიებისათვის ცალკე შექმნილი ამ წესდებითა და პროგრამათა ტექსტები ჩვენ ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება, რომ შეგვედარებინა ერთმანეთისადმი განსხვავებათა გამოსაკვლევადა. რაც არ უნდა მომხდარიყო, უტყველია, თბილისის ძველი სასულიერო სემინარიისათვის დამახასიათებელი პროფილი ამ ახალი წესდებითა და პროგრამებით არსებითად არ უნდა შეცვლილიყო თელავის სემინარიისათვის. ამასთანავე, უტყველია, რომ ეს ცვლილებები თელავის სემინარიისათვის გამოიხა-

<sup>1</sup> იხ ამის შესახებ აპ. როგავას გამოკვლევაში „სპეკალი“ ანტონ პირველისა\*.

<sup>2</sup> იხ. გაიოზ რექტორის „სიტყვა საღრამმეტოკოა ...“, საქ. მუზ. № 2291 H, ფურც. 4—12; ვახტანგ ბატონიშვილის „ისტორიები აღწერა ...“, ს. კაკაბაძის მიერ გამოც. 1914 წ., გვ. 32—33; და სხვ.

<sup>3</sup> „ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 79.


ტებოდა განსაკუთრებით მასში გამოყენებითი მეცნიერული საგნების (მათემატიკა, ფიზიკა, გრამატიკა და სხვა) მეტად სწავლებაში. ამას საექვოდ არ ხდის ის გარემოება, რომ ერეკლე მეფემ „მოძღვართ- მოძღვრის“ ინსტიტუტისაგან მივლინებულ მოსწავლეს „მოდღვართ- მოძღვრის“ სემინარიას რომ უკავშირებს და თანაც „მოდღვართ- მოძღვრისეულ“ მოხელეებს ამ სემინარიის რექტორის სასარგებლოდ, სხვებთან შედარებით, ყველაზე მეტ სარგოს რომ აკისრებს „ულუფად და ჯამაგირად“<sup>1</sup>. აგრეთვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ მეცნიერებათა სწავლება ევროპულად განსწავლულ თელავის სემინარიის რექტორებს — გაიოზსა და დავითს უფრო უკეთ შეეძლოთ, ვიდრე ძველებური ცოდნით აღჭურვილ თბილისის სემინარიის რექტორებს — ფ. ყაითმაზაშვილსა და იოანე ოსეს-ძეს. ამრიგად, ერეკლეს მიერ „მოდღვართ-მოდღვრისათვის“ ნაჩვენები გზა თელავისაკენ მისი ინსტიტუტისათვის გულისხმობს გამოყენებით მეცნიერებებს, რომლებიც შედარებით იქ უკეთესად და ღრმად ისწავლებოდა, ვიდრე თბილისის სემინარიაში. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ გამოორიცხავს იმ მოვლენას, რომ „მოდღვართ-მოდღვრის“ „ყმათა“ ნაწილს თბილისის სასულიერო სემინარიაში ესწავლა თელავის სემინარიის გახსნამდე და შემდეგაც. პირიქით, უფრო მოწმობს ამ მოვლენას; „მოდღვართ-მოდღვრის“ ინსტიტუტი მაშინ, როგორც ქვევით გამოჩვენებული გვაქვს, სამღვდელთა პირთ ზრდიდა განსაკუთრებით და არა მაინცდამაინც მეცნიერთა<sup>2</sup> და ამიტომაც ხსენებული „ყმები“ არანაკლებ რიცხოვნობით აღზრდილან უთუოდ თბილისის სემინარიაშიაც. მაგრამ საქმე ისაა, რომ ერეკლე მეორე ძლიერ ზრუნავს სამღვდელთა პირნიც დიდად განათლდნენ მეცნიერებით და არა მარტო სასულიერო ცოდნით. ამგვარი საკითხები მეტად საინტერესოა ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი საშინაო პოლიტიკის შესასწავლად და თვით გვიანფეოდალური ხანის „მოდღვართ-მოდღვრისეული“ ინსტიტუტის რაობის გამოჩვენებასთან ერთად კვლევა-ძიების გაღრმავებას მოითხოვს.

ანტონ კათალიკოზი ტყუილად არ ქმნის ახალ წესდებასა და პროგრამებს, თბილისის სემინარიისაგან ნაწილობრივ განსხვავებით, ახალი, თელავის სემინარიისათვის: მას „გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“<sup>3</sup> არა მარტო „ხედვითნი“, ე. ი. თეორიულნი, არამედ „საქმითნი“-ც, ე. ი. პრაქტიკულ-გამოყენებით-

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომში ამავე (2) პარაგრაფის „დ“ განაკვეთი, აგრეთვე § 7.

<sup>2</sup> აქვე, § 7.

<sup>3</sup> „ღმთის-მეტყუილების“ შესავალი, ტ. I, თ. „ბ“, § 28, — საქ. მუხ. № 3657 S.



ნიც აინტერესებდა და, ჩანს, პრაქტიკაში ზეტად გამოსაყენებელ მეცნიერებათა სწავლება განსაკუთრებით თელავის სემინარიისში გაუძლიერებია. უეპველია, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ თელავის სემინარიის სწავლებლის დასრულების შემდეგ ნეკრესელი პირველი ანტონ პირველის შესახებ: ანტონ კათალიკოსმა, „...თან-მზრახ-ჯერჩინებითა ირაკლი მეფისა ბრძენ-გონებითანი სათა, იწყო მითესად არ ფრინველთ სატაცო იგი, არამედ სიბრძნე, და სიბრძნე ესე არს მეცნიერება ხედვითა და საქმითა“-ო<sup>1</sup>. სემინარიების „პროტექტორი, დირექტორი და დიდასკოლოსი“ ანტონ პირველი თელავის სემინარიისში პრაქტიკულ-გამოყენებით მეცნიერებათა სწავლების გაძლიერებითა და უთუოდ სპეციალურად ახალ წესდებასა და პროგრამებში შესაფერისად ამის აღნიშვნით დიდად ხელს უწყობდა თავის „ძმა“ ერეკლე მეფეს მეცნიერული მონაპოვრებით სახელმწიფოს ცხოვრებაში პრაქტიკულ ცვლილებების შესატანად. ცნობილია, რომ ერეკლე კიდევაც ასეთი რამით იყო გატაცებული, რაზედაც თვით თანამედროვე უცხოელებიც კი მოგვითხრობენ (გვილდენშტედტი, რაინგსი, ბურნაშევი, პ. პოტიომკინი და სხვ.).

ზემოთქმულთაგან გარკვევით ჩანს, რომ ერეკლე მეორის ხანის საქართველოში ორი სასულიერო სემინარია დაარსებულა. ერთი იყო თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც გაიხსნა 1755 წლის დამდეგს<sup>2</sup>, და მეორე კი — თელავისა, 1782 წლის 28 მაისს დაარსებულ<sup>3</sup>.

თბილისის სემინარია იმყოფებოდა კათალიკოსის სასახლესთან („при доме католикоса“)<sup>4</sup>. ეს სასახლე ალა-მამადა-ხანის შემოსევისას, 1795 წ. სექტემბერს, განადგურებულ იქნა<sup>5</sup> და, ცხადია, ამასთანავე ეს სემინარიაც. თელავის სემინარია კი არსებობდა 1801 წლამდე. მას, შემდეგ თბილისის სემინარიისა, ამ წელს მოეღო ბოლო. ამ წელს თელავის სემინარიის აღსასრულის შესახებ თვით მისივე რექტორი დავითი მოგვითხრობს შემდეგს: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს, იპერატორებასა ალექსანდრე პირველისისა,

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1137 S.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., 83-78.

<sup>3</sup> იქვე, 83-79.

<sup>4</sup> Царевич Давид, Обзорные Грузин по части прав и законовдений, მუხ. 176.

<sup>5</sup> П. Иоселиани, Описание древн стей г. Тифлиса, 1866 г., 83-55.



ძისა პავლე პირველისა იმპერატორისა, და სხოლა შეუროცხუვეს და  
 სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, სხვან მგ...  
 პირადპირადნი განსაცდელნი შემამთხვეინეს და მრავალნი ბრძოლნი  
 მოაწინეს ჩემსზედა. რექტორი დავით, თვესა ივნისსა, ქორონიკონსა  
 უპა<sup>1</sup>.

იოანე ბატონიშვილი „კალმასობა“-ში მოგვითხრობს, რომ  
 იონა ხელაშვილმა ინახულა, როგორც ჩანს ტექსტში, 1801  
 წლის შემდეგ დავით რექტორი თელავის სემინარიაში და მასსა და  
 მის მოწაფესთან საუბარი ჰქონდა ამ სკოლაშივე<sup>2</sup>. აქედან შეიძლე-  
 ბა ვინმეს დაესკვნა, თითქოს მე-19 საუკუნის დასაწყისში რამდენ-  
 ნიშნე წელს მაინც კიდევ არსებობდა ეს სემინარია. ასეთი აზრის  
 გაზიარება სინამდვილეში კი შეუძლებელია, რადგან დავით რექ-  
 ტორს მაშინაც პირადად შეეძლო ეცხოვრა იმავე სკოლის შენობაში,  
 სადაც ფაქტიურად სემინარიის მუშაობის დროსაც მას უცხოვრია,  
 აღრედაც, და თანაც გვიან არათუ ერთი ვინმე მოწაფე, არამედ  
 რამდენიმეც თავისთავის სარჩენლად აღსაზრდელად ჰყოლოდა და  
 ამით მას მაშინ ფაქტიურად არც სემინარია და არც „რექტორო-  
 ბაც“ ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ ღღემდეც კი მას „დავით  
 რექტორს“ ეუწოდებთ. ამრიგად, თელავის სკოლისა და და-  
 ვით რექტორის დასახელება იოანე ბატონიშვილის მიერ ზემო-  
 მოყვანილ შემთხვევისას „კალმასობის“ ტექსტში უთუოდ აღარ მოწ-  
 მობს თელავის სემინარიის კიდევ არსებობას მე-19 საუკუნის და-  
 საწყისში რამდენიმე წელს მაინც. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს  
 არათუ თვით დავით რექტორის ზემომოყვანილი ცნობა, არამედ  
 დავით ბატონიშვილისა და ანტონ მეორის ცნობებიც. დავით  
 ბატონიშვილი წერს: თელავის სემინარიაში „...სწავ-  
 ლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდელონი ფრიად  
 გულმოდგინედ ვიდრე დაპყრობამდე რუსთაგან საქართუცლოესა“-ო,<sup>3</sup>  
 რაც მოხდა 1801 წელს. ანტონ მეორის მე-19 საუკუნის პირ-  
 ველი წლებისავე ცნობაში კი ნათქვამია: „Для духовенства  
 ни в которой уже нет епархии училища, в коем бы препо-  
 давались философия и богословие“-ო და სხვა<sup>4</sup>. აგრეთვე  
 1801 წ. ანტონ მეორის მიერ გენ. კნორინგის კითხვებზე  
 გაცემულ პასუხში ნათქვამია: „Во время же блаженной памяти  
 царя Ираклия II были семинарии в Тифлисе и в Те-


<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 79.  
<sup>2</sup> „კალმასობა“, ტ. I, 1936 წ., გვ. 68-77.  
<sup>3</sup> „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ., გვ. 12.  
<sup>4</sup> „Сообщение католикова Антония о подведомственной ему части“,  
 Акты Бавк. археограф. комиссии, II, გვ. 263.

ლავა, в коих обучались грамматике, реторике, философии, богословию, и содержание имели от царя“<sup>1</sup>. ზემომოყვანილ ცნობების ოთხივე ავტორი თელავის სემინარიის ცხოვრებას უმჯობესად მასში მონაწილეობით ან სხვა მხრივ კარგად ხეო გაცნობილი და ამიტომაც მათგან მის შესახებ ზემონათქვამნი მეტად სანდო ხდება. საერთოდ ამ ცნობებისაგან კი ირკვევა, რომ თელავის სასულიერო-სემინარიის არსებობა 1801 წელს შემწყდარა, არა უგვიანეს ივნისისა. მაგრამ ამ თარიღის უფრო დაზუსტებაც შესაძლებელია. ზემომოყვანილ ციტატაში დავით რექტორს თელავის სემინარიის შეურაცხმყოფელ „ავაზაკებად“ დასახელებულ „რუსთა“ ქვეშ ჰყავს ნაგულისხმევი უთუოდ მხოლოდ ის უდიერი რუსი სამხედრო პირნი „ალექსანდრე პირველისა“, რომელთაც თელავის სემინარიის (ერეკლეს სასახლეში იყო) შენობა ალბათ ჯარისკაცთა ყაზარმად აქციეს და რიგი უწესოებითაც სკოლასაც ბოლო მოუღეს. დავით რექტორის მიერ ხსენებული „ბავლე პირველი იმპერატორი“ 1801 წ. 11 მარტს გარდაიცვალა და მისი „ძის“, „ალექსანდრე პირველის“, „იმპერატორება“ ამ დროიდან იწყება რუსეთში. მაშასადამე, ალექსანდრე პირველის ზემოხსენებულ უდიერ „რუსთა“ თელავის სასულიერო სემინარიის არსებობა მიმძღავრებით შეუწყვეტიათ 1801 წლის მარტ-ივნისში<sup>2</sup>.

ამასთანავე, შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნაც: 1795 წ. სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანის ჯარის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის განადგურების შემდეგ 1801 წ. მარტ-ივნისამდე ქართლ-კახეთში მხოლოდ ერთი—თელავის სასულიერო სემინარია ასრულებდა თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას.

<sup>1</sup> А К Т И..., I, გვ. 530.

<sup>2</sup> ამ უდიერ „რუსთაგან“ არა მარტო მაშინ, არამედ შემდეგაც განუტღია პირადად დავით რექტორს შევიწროება და ის ზოგიერთი მათგანის თანამდებობას ასახელებს კიდევაც. 1807 წელს დავით რექტორი ამის შესახებ წერს თავის ნა-მოწაფარ მღვდელ იოანე ციცქიშვილს, სხვათა შორის, შემდეგს: „რა შენ თელავიდან წამოხველ და გამეყარე, შენს შემდგომად რამდენი განსაცდელი და მწუხარებებე შემემთხვა, ყოველივე რომ მოგწერო, დია გრძლად მოვა და მცირეს მოკლედ გაცნობებ. შენობისას ხომ სიმაართლის მოქმედთ რუსთ სკოლა წამართვეს, და რომელიც შენობისას კელასვილის სახლები გავაკეთე, შენს უკან კიდევ უკეთესად გავაკეთე, ისიც წამართვეს, — იმავე ძაღლმა სუდიამ სამგზის წყეულმა, — იქიდანამ გამომავადეს. მორღლის შვილი ნინია გაქცეული იყო, სახლები ცარიელი იყო. იმათივე დასტურით შილდას ნანას წიგნი მივსწერე და იმათს სახლებში დავსდევ, ერთს წლამდის ვიდევ. ერთი კრისტესაგან სამგზის წყეული და შეჩვენებული ლეკარი ასტყდა: თუ


  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

თბილისისა და თელავის სემინარიები სახელმწიფო სკოლებს  
 წარმოადგენდნენ<sup>1</sup>. ამ „სემინარიათა დირექტორის  
 პროტექტორს“, გაიოზ რექტორის სიტყვით, „წარმოადგენდა  
 „მუნებურთა გნოსისთა დიდასკოლოსი“ კათალიკოზი  
 ანტონ პირველი<sup>2</sup>. დავით ბატონიშვილიც ადასტურებს  
 ზემოთქმულთ: „Под непосредственною протекциею  
 католикоса учреждены были два училища (იგუ-  
 ლისხმება: სემინარიები.—ა. რ.), одно в Тифлисе при до-  
 ме католикоса, а другое в Телаве“<sup>3</sup>. მაშასადამე, ან-  
 ტონ პირველის „უშუალო პროტექციით“ და მეფისა და სხვათა დახ-  
 მარებით დაარსებულ იქნა ეს სემინარიები. ამიტომაც, როგორც  
 პასუხისმგებელი და ინიციატორი ამ საქმისა და სემინარიებში სასწავ-  
 ლო მეცნიერებათა სახელმძღვანელოების შემქმნელი პედაგოგი („მუ-  
 ნებურთა გნოსისთა დიდასკოლოსი“), რა თქმა უნდა, ერეკლე მეო-  
 რის მოწონებით, ანტონ კათალიკოზი თვითონ უნდა გამხდარიყო  
 მათი „დირექტორი“-ც. ამასთანავე, რაკი „в Грузии образо-  
 вание юношества в особенности возложено было  
 на особу католикоса и прочее духовенство“<sup>4</sup>, ამი-  
 ტომაც ეკლესიის მეთაურს სახალხო განათლების დარგის ამ წამყვან  
 სკოლებში, ბუნებრივია, თვითონ უნდა ეკისრა მათი „დირექტორო-  
 ბა“. და კიდევაც თავიდანვე ეს შიშვე საქმეც ანტონ კათალიკოზმა  
 ღირსეულად იტვირთა.

რამ მებადა, ან პური ან სტოლები, ას-ორმოცი ფიცარი, ტომრები, — რაღა გი-  
 თხრა,—ყოველივე სახლის მოსახმარი,—სკამები, კრაოტები,—ყოველივე იმან  
 წამართვა. სამართალივერ ვიშოვე“-ო, ჩივის დავით რექტორი (საქ-  
 მუხ. № 10774 Hd, 1807 წ. წერილი მღვდელი იოანესადმი; შეად. იქვე, მეორე,  
 1820 წ. წერილის ასლს ამავე მღვდელი იოანე ციციქიშვილისადმი). ამრიგად, თე-  
 ლავის სემინარიის შენობიდან (ერეკლეს სასახლიდან) რუს უდიერ, უთუოდ სამხე-  
 დრო „სუდიას“ არათუ გაუძევებია დავით რექტორი, არამედ მასვე „ეკლასიშვილის  
 სახლებში“ შემდეგ გადაბარგებული დავითი, იქაც არ დაუყენებია. აგრეთვე, ამის  
 შემდგომაც სხვაგან გადასული დავითი ვინმე, ცხადია, სამხედრო უდიერ რუს  
 „ლეკარსაც“ მატერიალურად ძლიერ დაუზარალებია. რა თქმა უნდა, ალექსანდრე  
 პირველის რუსულ სამხედრო ნაწილებში აქა-იქ ასეთი სამხედრო მოძალადე  
 პირებიც მოიპოვებოდნენ მაშინ ჩვენში და მათგან ვერც დავითს „უშოვია სა-  
 მართალი“.

<sup>1</sup> 5. ბერძენიშვილი ი. . ., საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწ. I, 1946 წ., გვ. 401.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 241 A, გვ. 3.

<sup>3</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовдения“, მუხ. 176.

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 175.



ბ) ანტონ პირველი თბილისის სასულიერო სემინარიის

ნარიის მასწავლებლად

ერეკლესიული

ბიბლიოთეკა

ანტონ კათალიკოზი თვითონაც მასწავლებლობდა თბილისში, თავის სასახლესთან არსებულ სასულიერო სემინარიაში. მაგალითად, გაიოზისათვის (შემდეგ რექტორი) აქ, „სხვათა თანა ჟაბუკთა, თვით მე მომისმენიეს მაგისდა ცნობანი ესე ქვემო წერილნი“-ო, წერს თვით ანტონ პირველი და ჩამოთვლის იმ საგნებს, რომელთაც ასწავლიდა მათ: „1. ღრამმატიკა, 2. პიტიკისა კელოვნებასა შინა გამომიციდიეს, 3. რიტორიკაჲ, 4. ლოლიკაჲ. ბაუმეისტრისა, 5. ქვეთქმულეზანი (ე. ი. კატეგორიები. —ა. რ.) ძველის სხოლასტიკისა არისტოტელესნი, მეექვსე —მეტაფიზიკაჲ ბაუმეისტრისაჲ, 7. ფისიკაჲ სხვა და სხვათაგან ჭალოსოფოსთა ქმნილი, 8. ჭილოსოფია მორალი მისვე ბაუმეისტრისა“-ო<sup>1</sup>. ამ სიიდან ჩანს არა მარტო ის საგნები, რომელთაც ასწავლიდა ანტონ კათალიკოზი თავის მოწაფეებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, არამედ უჩეტესად მის მიერ შექმნილი საკუთარი ან ნათარგმნი ის ნაწარმოებებიც, რომლებიც სახელმძღვანელოებად გამხდარა სემინარისტებისათვის.

ზემოთქმულს ადასტურებს ანტონ პირველისვე წერილიც, „იმერეთს, კათალიკოზს ბესარიონთან მიწერილი“, რომელიც შეუქმნია მას დაახლოებით 1765 წელს. თუ ანტონი რუსეთში ყოფნისას თავისთავს ხშირად ავადმყოფობას უჩივოდა და სინოდსა და „იმპერატრიცასაც“ ამას მოახსენებდა<sup>2</sup>, საქართველოში უკვე გამოჯანმრთელებულად გრძნობს თავს და აღფრთოვანებით აღუწყებს თავის კოლეგა კათალიკოზს: „მე უკვე დროსა ამას სხეულით მრთელი ღრამმატიკოსობისა კელოვნებისა მოწაფეთა და რიტორებითისა კელოვნებისა მოწაფეთაცა შეუცავ (sic) და ორთა მათ კელოვნებათა ვასწავლი მოწაფეთა, ბრძანებითა იქსილოტატესა ძმისა ჩემისა მეფისათა, რომლისათვის ვითხოვთ, რათა ლოცვა ჰყო წარმართებისათვის ჩემისა, რათა გარდამოვიდეს ჩემზედა განმამბრძნობელად სული ცხოველს-მყოფელი“-ო და სხვა<sup>3</sup>. დავით ბატონი-

<sup>1</sup> იხ. საქ. მუხ. № 2510 H-ში ანტონ პირველის წერილი — „ასტარხნის არხიერთან მიწერილი გაიოსის საქმეზედ“.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ ა. პ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“.

<sup>3</sup> იხ. საქ. მუხ. № 2510 H-ში ანტონ პირველის წერილი ბესარიონ კათალიკოზისადმი.

შვილიც აღნიშნავს ანტონ პირველის შესახებ: „თვით წვრილი-  
და ტფილისის სკოლასა შინა მოწაფეთა უფროსნი და  
ასწავლა მრავალთა“<sup>1</sup>. ამრიგად, ანტონ პირველი  
თვითონ უშუალოდ მასწავლებლობს თბილისში, თა-  
ვის სასახლესთან არსებულ სასულიერო სემინარია-  
ში და ასწავლის მოწაფეებს რიგ საგნებს უმეტესად  
მის მიერვე შექმნილი საკუთარი ან ნათარგმნი, სა-  
ხელმძღვანელოებად გამხდარი ნაწარმოებებით.

ჩვენ არ ვიცით, თავისი მეტად დატვირთულობისა გამო სისტემა-  
ტურად და ხანგრძლივად უშუალოდ მასწავლებლობდა თუ არა  
ანტონი თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ფაქტია ის,  
რომ მის მრავალრიცხოვან მოწაფეთაგან ნაწილს მაინც უშუალოდ  
მისგანვე ამ სემინარიაში მოუსმენია ზემოხსენებული საგნები და არა  
მარტო უსწავლია მისი წიგნებიდან.

### გ) სასულიერო სემინარიების რექტორები

თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებს მეფე „განუწყებ-  
და“ ანუ უნიშნავდა რექტორებს. დავით ბატონიშვილის სიტყვით,  
თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა „иоиненный ректор, от ца-  
ря оир-дьякомый“<sup>2</sup>. 1790 წ. 21 სექტემბერს გაცემულ  
სიგელში მეფე ერეკლე მიმართავს დავით ალექსი-  
შვილს ამრიგად: „ჩვენ, მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ  
თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ, ალექსის-შვი-  
ლი დავით“<sup>3</sup>. ამრიგად, მეფე განსაკუთრებული სიგელის მიცემი-  
თაც „განაწესებდა“ რექტორს სასულიერო სემინარიისას.

1755 წ. დამდევს თბილისში დაარსებული სასულიერო სემინა-  
რიის პირველი რექტორი იყო ანტონ პირველის თანამშრომელი  
სამწერლო მოღვაწეობასა და სახალხო განათლების დარგში, ეროვნე-  
ბით სომეხი ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი. შემდეგ ის,  
როგორც ითქვა, მეფე ერეკლეს მიერ „სხოლაპეტად“ ანუ რექტო-  
რად იქნა მოწვეული 1758 წ. 26 ოქტომბერს დაარსებული თე-  
ლავის „ფილოსოფიური“ სკოლისათვის, კახეთის სამეფოში ამ სა-  
სწავლებლის წარმოშობისთანავე. დოსითეოზ ნეკრესელის  
მოწმობით, ერეკლე მეორემ ფილიპე ყაითმაზაშვილს ამ დროს „შე-

<sup>1</sup> „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ., გვ. 12.

<sup>2</sup> „Обозрение Грузии по части нрав и законовешения“, მუხ. 180.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 1068 Qd.



მოუკრიბნა ყრმანი საბრძანებლისა თვისისანი“ და კახეთში, განსაკუთრებით ამ სკოლაში, აწარმოებს ეს „სხოლაპეტი“ შემდეგ დიდ სამწერლოსა და სასკოლო-პედაგოგიურ რეკტორად (ან სხვა რამ თანამდებობაზე) რომელიმე საისტორიო ცნობით არაა დამოწმებული. ფილიპე არც შეიძლება აქ რექტორად ყოფილიყო 1758—59-სა და 60-იანი წლების დასაწყისში, რადგან 1755 წლიდან 1763 წლამდე არსებული დევნა ანტონ პირველის ყოფილი უახლოესი თანამშრომლებისა აიძულებდა ფილიპესაც განშორებოდა თბილისს, ზაქარია გაბაშვილის ჯგუფის საბუდარს სწორედ 1758 წლიდან განსაკუთრებით. ბუნებრივია, რომ ამ დროს ერეკლე მეფემ „მოიყვანა იგივე ჰარმანთა მღვდელი ფილიპე თვისსა სამფლობელოსა შინა კახეთს“ „სხოლაპეტად“ 1758 წ. 26 ოქტომბერს დაარსებული თელავის სკოლისა<sup>2</sup>: ანტონ პირველის „სულისა ერთობრივმა“ „ძმამ“ ერეკლემ ანტონის რუსეთში განდევნისას, — დოსითეოზ ნეკრესელის სიტყვით რომ ვთქვათ, როცა „პერად აღმძვრელმან უმყუდროო დღევათა მან მიგვტაცა მაეთერი იგი ენათა ჩვენთა“, „მზე ჩვენი“ ანტონ კათალიკოზი<sup>3</sup>, — ამრიგად იხსნა გვიან უფრო გამძაფრებულ „უმყუდროო დღევათაგან“ თბილისში მეტად შეწუხებული ფ. ყაითმაზაშვილი (ანტონის ყოფილი უახლოესი თანამშრომელი და, როგორც ქვევით დავინახავთ, თვით ერეკლეს შინაური მასწავლებელი). რომ ეს ასე მოხდა, ამას ადასტურებს ისიც, რომ თბილისის სემინარიის რექტორობაზე მეტ „პატივს“ აღარ წარმოადგენდა ფილიპეს „სხოლაპეტობა“ თელავის სკოლაში და რად დასჭირდა მას კახეთში „სიბრძნის“ გამოჩენით „ამაღლება“ და ერეკლე მეფისაგან „განდიდება“ თელავის სკოლაში 1758 წ. ოქტომბრიდან „სხოლაპეტობით“, (აკი დოსითეოზ ნეკრესელი მოგვითხრობს: ერეკლემ ფილიპე მღვდელი კახეთს „მოიყვანა“ „და დიდითა პატივითა პატივსცა, რამეთუ სიბრძნე მდაბლისა აღამაღლებს თავსა და შორის დიდ შემძლეთასა და სვამს მას, და მისვე სიბრძნისაგან ესეცა მღვდელი იდიდა“ და თელავის სკოლის „სხოლაპეტად“ დანიშნაო),<sup>4</sup> თუ არ იყო თბილისის სემინარიის რექტორობის „პატივს“ მაშინ უკვე მოკლებული?

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომის თ. II, § 1-ში ამის შესახებ და იქვე ციტატი დოსითეოზის წინასიტყვაობიდან „რიტორებისა“, 1761 წ., საქ. მუხ. № 1137 S.

<sup>2</sup> დოსითეოზ ნეკრესელი, იგივე წინასიტყვაობა, საქ. მუხ. № 1137 S.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

აშკარაა, თელავის სკოლის გახსნის დროს, 1758 წ. 26 ოქტომბერს, ფილიპე ყაითმაზაშვილი უკვე არ ყოფილა თბილისში, სემინარიის რექტორობის „პატივისა“ და „დიდი“ სახელის მქონე და ერეკლე მეფე (და თვით დოსითეოზ ნეკრესელიც კი ამ სიტყვებით) მისი სახელის რეაბილიტაციასაც კი აწარმოებს მაშინ თელავის სკოლის „სხოლაპეტად“ ანუ რექტორად მოწვევითა და მრავალმხრივი ზედმისწვევით. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ფ. ყაითმაზაშვილი კახეთში მაშინ გაშლილ თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას ფიზიკურადაც ვერ შეათავსებდა თბილისის სემინარიაში რექტორობას და ამიტომაც ერეკლე II და თეიმურაზ II, რა თქმა უნდა, გაათავისუფლებდნენ მას ამ სემინარიის რექტორობისაგან. ამრიგად, თბილისის სასულიერო სემინარიაში ფილიპე ყაითმაზაშვილის რექტორად ყოფნის დრო განისაზღვრება არა უადრესი 1755 წ. დამდეგი — არა უგვიანესი 1758 წ. ოქტომბრით. 1758—59-სა და 60-იანი წლების დასაწყისში კი ფილიპე მხოლოდ თელავის „ფილოსოფიური“ სკოლის „სხოლაპეტი“ ანუ რექტორია. შემდეგ კი, გვიან, ოდესმე კვლავ იყო თუ არა ფ. ყაითმაზაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორად მოწვეული — არ ვიცით, რადგან სამისოდ არავითარი დამაჯერებელი საბუთი ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება. ამგვარად, 1758 წლის მეორე ნახევრიდან იოანე ოსეს-ძის რექტორად გამოჩენამდე, რაც მოხდა, როგორც ქვევით დავინახავთ, არა უადრეს 1783 წლის ივნისისა, ვინ იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი (ან იყვნენ რექტორები) — გამოურკვეველი რჩება.

ვახტანგ ბატონიშვილი თბილისისა და თელავის სემინარიების რექტორების შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: ერეკლე მეფემ „ჰყო სტამბაცა (იგულისხმება 1749 წ. დაარსებული სტამბა. — ა. რ.) და მიერთვან ისწავეს ქართველთაცა. ამაწვე ჰყო სემინარია ფილოსოფ[ი]ისა (იგულისხმება 1755 წ. დამდეგს დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარია. — ა. რ.), რომლისა იყო რექტორად მღვდელი ვინმე სომეხთაგანი სახელით ფილიპე, კაცი განსწავლული ვითა სომხურისა, ეგრეცა ქართულისა, და ისწავეს მრავალთა მისგან და თვით მეფემანცა ამან ისწავა, გარნა არა სემინარიასა შინა. ხოლო ოდეს გარდმოიღო როსიას იმპერიას ყოფასა შინა მეორედმან ძმამან მეფის ირაკლისამან, მეფის ძემან საქართველოსკათოლიკომან ანტონი ფილოსოფია რუსულთ ქართულად (ამ ფილოსოფიის“ გადმოღება დასრულებულია 1762 წელს. — ა. რ.)...



ამისა შემდგომად იყვნენ რეგტორად კაცი განსწავლულნი ზემოხსენებულისა მის კათოლიკოსისა ბატონისაგან, ვითარცა იყო [თელავს] ბატონი ზეველიძე დრიტი, რომელიცა არს არხიფისკოპოსად ასტარხნისა. ხოლო შემდგომად ამისსა (ე. ი. თელავის სემინარიაში გაი-ოზის რექტორობის შემდეგ.—ა. რ.) იყო ტფილი[ს]ს ტფილი-სის სობოროს პროტოპოპი იოანე, ხოლო კახეთს, ქა-ლაქსა თელავს — დავით ძე ალექსისა<sup>1</sup>. ფილიპე ყაით-მაზაშვილის შესახებ ზემოთქმულთა კიდევ ერთხელ დადასტურების გარდა, ვახტანგ ბატონიშვილი ამით სემინარიების სხვა რექტორე-ბის შესახებაც ზოგიერთ რამ საყურადღებოსაც გვაუწყებს. ვახტან-გი პირადად კარგად იცნობდა ზემოხსენებულ რექტორებს და სემი-ნარიების მუშაობასაც იყო გაცნობილი და ამიტომაც ეს მისი ცნო-ბები ნდობის ღირსია.

ზემოხსენებულ გადმოცემაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ 1749 წ. სტამბის დაარსების შემდეგ, „მიერთგან ისწავეს ქართველთაცა“. 1755 წ. დამდეგს დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარიის შექმნას ვახტანგ ბატონიშვილი მიაწერს ზეფე ერეკლეს: მან „ჰყო სემინარია ფილასოფ[ი]ისა“-ო. მის პირ-ველ „რექტორად მღვდელი ვინმე სომეხთაგანი სახელით ფილიპე, კაცი განსწავლული ვითა სომხურისა, ეგრეცა ქართულისა“ ყოფილა, ცხადია, ყაითმაზაშვილი. ამასთანავე განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგ ბატონიშვილის ის ცნობაც, რომ ამ ხანებში ფილიპე ყაითმაზაშვილი არათუ სხვების, არამედ თვით მეფე ერეკ-ლეს მასწავლებელიც კი ყოფილა ამ სემინარიის გარეშე სწავლებით, ცხადია, შინაური მისი მასწავ-ლებლობით: „... და ისწავეს მრავალთა მისგან და თვით მეფემანცა ამან ისწავა, გარნა არა სემინარიასა შინა“-ო,—წერს მამა მეფის, ერეკლეს შესახებ ვახტანგი. ამის შემდეგ ცხადია ჩვენთვის თუ რატომ ჭირსა და ლხინში ძლიერ ეხმარებოდა „გონიერი“ ერეკლე მეფე თავის მასწავლებელ ფ. ყაითმაზაშვილს, ყოველ შემთხვევისას; მას მისდამი ნდობაც კი ჰქონია პირადად თავისი მასწავლებლობისა და, ცხადია, სახალხო განათლე-ბის საქმეებშიაც ის მას დიდად ნდობდა და მის ინტერესებსაც კარგად იცავდა, რაც არა ერთი მაგალითით კიდევაც დასტურდება.

1782 წ. 28 მაისს დაარსებული თელავის სასულიერო სემინარიის

<sup>1</sup> „ისტორიებრი აღწერა...“, ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ. გამოც. გვ. 32—33. ხაზგასმა და კუთხურ ფრჩხილებში ჩანამატები ჩვენია.—ა. რ.

პირველი რექტორი იყო გაიოზი<sup>1</sup>. ამ სემინარიას ფაქტურად ის რექტორობს, უშუალოდ მასში ყოფნიტ მესტი და არსების წლისთავამდის მაინც, 1783 წ. ივლისის 15-სა ც<sup>2</sup>, ხოლო შემდეგ კი—არა უგვიანეს 1783 წლის ივლისისა; 1783 წ. ივნის-ივლისის დანიშნულ იქნა წევრად იმ კომისიისა, რომელმაც ქალ. გეორგიევსკში იოანე მუხრან-ბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის (ერეკლე მეფისაგან ოფიციალური რწმუნებულები) მეთაურობით შეკრა რუსეთთან 1783 წლის 24 ივლისის ცნობილი ტრაქტატი<sup>3</sup>,—ამ დროიდან გაიოზი რუსეთში მოღვაწეობდა და საქართველოში არც დაბრუნებულა (გარდაიცვალა ასტრახანში 1821 წელს)<sup>4</sup> და, ცხადია, 1783 წლის ივნის-ივლისის მაინც შემწყდარა მისი უშუალო რექტორობაც თელავის სემინარიაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერეკლე მეფე და ანტონ კათალიკოზი კიდევ გვიან ხანს არ ელოდებოდნენ მის დაბრუნებას რუსეთიდან და თელავის სემინარიაში კვლავ უშუალო ხელმძღვანელობას<sup>5</sup>; პირიქით, ჩანს, რომ ამ სემინარიაში ოფიციალურ რექტორად მათ სხვა არავინ არ დაუნიშნავთ 1790 წ. სექტემბრამდე და მანამ გაიოზს არ უქარგავდნენ ამ სახელოს.


<sup>1</sup> მე-19-20 სს. მწერალთაგან ზოგიერთი მას ბარათაშვილად ნათლავს, ზოგი — ნაცვლიშვილად, ზოგიც — თაყაშვილად. მაგრამ მისი გვარი, კ. კეკელიძის სიტყვით, „ისტორიისათვის გამოურკვეველი რჩება“ მაინც („ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 353—354). გაიოზის კარგად მცნობი თანამედროვე რაინგესი კი მას ვაგოშოშვილად ასახელებს (იხ. მისი Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, II, 1797, გვ. 102—103). ამრიგად, მართალია აკად. კ. კეკელიძე, როცა გაიოზის არათუ თავადობა, არამედ აზნაურობაც კი მას საეჭვოდ მიაჩნია (იხ. მისი ზემოხს. I ტომის იგივე გვერდები).

<sup>2</sup> 1783 წ. 28 მაისს, თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე მოწვეული სახეიმა „შეკრებულების“ წინაშე გაიოზი, როგორც რექტორი ამ სემინარიისა, სიტყვითაც გამოდის და სხვა მხრივაც ზეიმში მონაწილეობას იღებს (იხ. საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4—22). ამრიგად, მაისის ბოლოს საქართველოშია გაიოზი და, უძველთა, შემდეგ გაემგზავრა გეორგიევსკს ერეკლე მეფის ბრძანებით.

<sup>3</sup> П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. II, 1869 г., гл. 121—130, 170.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 355—356.

<sup>5</sup> 1784 წ. გაიოზი რუსეთში მოღვაწეობდა და ძლიერ საეჭვოდ მგვაჩნია საქ. მუხ. № 2109 H-ში მოთაყვებელი ცნობა, რომ თითქოს „ტფილისს, წელსა 1784“-ს გადმოთარგმნა მან რუსულიდან პეტრე პირველის „სამკედრო ტიბიკონი“ ერეკლე მეორის „ბრძანებით“ (იხ. თავფურცელზე ეს ცნობა, შემდგომ კი ეს თარგმანი—გვ. 1—195); აგრეთვე, ამგვარადვე საეჭვოა „ტფილისს“ 1784 წელსვე გადმოღებული ყოფილიყო პეტრე პირველისვე „სამკედრო ტიბიკონის მოკლდითა განმარტებითა“ (გვ. 198—301), „მოკლედ



1790 წ. 21 სექტემბერს, როცა ერეკლე მეორე, ცხადია, საქმად დარწმუნებული იყო გაიოზის რუსეთიდან დაუბრუნებლობაში, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორად „განწესდნა“ ანუ „დასაჯეს“ აძლევს დავით ალექსის-ძე მესხიშვილს. ალექსიშვილს: „ჩვენ, მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ, ალექსის-შვილი დავით“-ით<sup>1</sup>. ამ დღემდე დავით ალექსიშვილი იქნებ მოღვაწეობდა თელავის სემინარიაში და ფაქტიურად, გაიოზის მაგივრად, რექტორის მოვალეობასაც ასრულებდა, მაგრამ, აშკარაა, ის მანამ ოფიციალური რექტორი არ ყოფილა, რადგან მაშინ რექტორის სახელოსათვის განკუთვნილ სარგოს—„ჯამაგირსა და ულუფასაც“ შიილებდა. ეს სარგო მანამ არ ჰქონია, რადგან ხსენებული სიგელის გაცემამდე ის თელავის სემინარიის რექტორად მეფეს არ დაუნიშნავს და მხოლოდ ამ სიგელით აძლევს მონაგალში უფლებას ერეკლე, თავის მიერ შედგენილი სარგოს სიის მიხედვით, მიიღოს დავითმა „ჯამაგირი და ულუფა“ სხვადასხვათაგან<sup>2</sup>. ამასთანავე, მეფე ერეკლე 1790 წ. 21 სექტემბერსვე გაცემს ბრძანებებს „მოძღვართ-მოძღვრის მოხელეები“-სა და „თელავის სამღებროს იჯარადარი“-სადმი და მათ აკისრებს ამ დროიდან „ყოველს წელს“ დავით რექტორს მისცენ ამავე ბრძანებებშივე თავის მიერ მტკიცედ განსაზღვრული, მათდამი დავალებული „ულუფა“ და „ჯამაგირი“<sup>3</sup>. ამრიგად, 1790 წ. 21 სექტემბერს გაცემული ზემოხსენებულ სიგელისა და ბრძანებების მიხედვით, ერეკლე II „განაწესებს“ („განგაწესეთ“) ანუ ნიშნავს ოფი-

გამოხატა სამსაჯულოთა გამომეძიებლობათა“ [გვ. 332 (უნდა იყოს: 302)—379. შემდეგ მოთავსებულია „ხანდუკები“ ორი უკანასკნელი ნაწარმოებისა,—გვ. 380—396 + 396—397] და „ეგზერციცია, განმზადება მარშისადმი, წოდება და თანამდებობა პოლკის მოკელეთა“ (გვ. 402—479). გაიოზ რექტორი, 1784 წელს რუსეთში იქაური მთავრობისაგან დავალებული საქმეებით გართული, ამ წელს დროებით კიდევაც რომ ჩამოსულიყო საქართველოში, რა თქმა უნდა, იმდენი დრო მაინც არ დაურჩებოდა ჩვენს, რომ თითქმის ხუთასგვერდიანი ქართული ზემოხსენებული თარგმანები გადმოეღო რუსული ნაწარმოებებიდან „ტფილისში“. ერეკლეს „ბრძანებით“ გაიოზ რექტორმა ეს თარგმანები, უეჭველია, რუსეთში შეასრულა „წელსა 1784“-ს ერეკლესათვის გადმოსახვენად და მათი შექმნის ადგილად რამდენიმეჯერ „ტფილისის“ მოხსენიება № 2109 II-ში—ამ ხელნაწერის ან მისი დედნის გადამწერლის მიერ დაშვებული შეცდომაა, ავტოგრაფის შექმნის შემდეგ ტექსტში მის მიერ (ჰგონებდა რა ასე) შეუანილი.

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1068 Qd.  
<sup>2</sup> იხ. იქვე.  
<sup>3</sup> იხ. ორივე ბრძანება, საქ. მუხ. №№: 1065 Qd და 1066 Qd.



ციალურად დავით ალექსიშვილს თელავის სასულიერო-  
 რო სემინარიის რექტორად. მანამ კი გაიოზი, 1783 წ.  
 იენის-ივლისიდან რუსეთს სამუდამოდ ედრეკინებლი  
 ლი, ოფიციალურად ამ თანამდებობაზე ფარავს იქვე  
 შეუცვლია.

ახლა თუ გავიხსენებთ ჩვენ მიერ ზემოთქმულს, რომ ალექსანდრე  
 პირველის ვინმე უდიერ „რუსთ“ თელავის სასულიერო სემინარიის  
 არსებობა მიმძღავრებით შეუწყვეტიათ 1801 წლის მარტ-იენისში,  
 რის შესახებ თვით დავით რექტორი მოგვითხრობს<sup>1</sup>, შეგვიძლია  
 დავასვენათ შემდეგი: თელავის სასულიერო სემინარიაში  
 დავით ალექსიშვილის რექტორობა როგორც ოფი-  
 ციალურად, ისე ფაქტიურად 1790 წ. 21 სექტემბრი-  
 დან 1801 წ. მარტ-იენისამდე გაგრძელებულა; მარ-  
 ტო ფაქტიურად კი შესაძლოა ის ამ სკოლას 1783 წ. იენის-ივლი-  
 სიდანაც (რუსეთს გაიოზის წასვლის დროიდან) 1790 წ. 21 სექტემ-  
 ბრამდე „რექტორობდა“, გაიოზის მოვალეობის მხოლოდ  
 ფაქტიურად აღმასრულებელი. უთუოდ ასეთი გარემოების მოწამე  
 იყო ვახტანგ ბატონიშვილი, როცა ჩვენ ზემომოტანილ  
 ციტატაში გვაცნობებს: „ხოლო შემდგომად ამისა“,--ივლისხმება:  
 თელავის სემინარიაში გაიოზის რექტორობისა,--რექტორად „ყო  
 ტფილი[ს]ს ტფილისის სობოროს პროთოპოპი იოანე, ხოლო კახეთს,  
 ქალაქსა თელავს--დავით ძე ალექსისა“-ო. მაშასადამე, თბილი-  
 სის სემინარიაში „ტფილისის სობოროს პროთოპოპ  
 იოანეს“ რექტორობა და თელავში კი დავითისა  
 აღარაა უწინარეს 1783 წლის იენისისა და შემდეგ კი,  
 ამ წლიდანვე ან უფრო გვიანდელი დროიდან კი ყოფილან რექტო-  
 რებად. მართლაც, როგორც ვნახეთ, კერძოდ დავით რექტო-  
 რი ოფიციალურად 1790 წ. 21 სექტემბერს დაუნიშ-  
 ნავს ერეკლე მეორეს თელავის სემინარიის რექტო-  
 რად. ამიტომაც, რომ დავით ალექსიშვილი თავისთავს რექტორად  
 ამ სემინარიისა მხოლოდ ამ დროიდან ასახელებს რიგ თავის ნაწე-  
 რებში და არა აღრუ<sup>2</sup>. ამასთანავე საყურადღებოა დავითის ეს  
 განცხადებაც: „... ორმოც და ხუთის წლისა განვლისა ვიქმენ სრუ-

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომში ამავე (2) პარაგრაფის „ა“ განაკვეთი.  
<sup>2</sup> ასე მაგალითად, დავით ალექსიშვილი „ოკდომბერს 3, წელსა ჩღბთ“ (1789)  
 დავით ბატონიშვილის სახელზე შექმნილი „წარწერანი, ეპისტოლედ მიწერილ-  
 ნი“-ს ბოლოში ხელმოწერისას თავისთავს არა „რეკტორ“-ობით იხსენიებს, არა-  
 მედ ასე: „თქჳმნის უჯანათლებულესობის უჯანასყელი მონა, თქვენი მოძღუა-  
 რი სიბრძნის-მოყჳარე ალექსის ძე დავით“ (საქ.მუხ. № 105S, გვ.66). ცა-





ლიად კახეთის სამეფოსა რექტორად“-ო<sup>1</sup>. მაშასადამე, დავით რექტორი დაბადებულა (1790—45=) 1745 წელს ვახტანგ ბატონიშვილი ზემომოტანილ ცნობებს, რომ სამივე ზემოხსენებული რექტორი—გაიოზი, დავითი და იოანე — „... იყვნენ ... კაცნი განსწავლულნი ზემოხსენებულისა მის კათოლიკოზისა ანტონისაგან“-ო და სხვა. მართლაც, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორები გაიოზი და დავითი რომ იყვნენ ანტონ პირველის მოწაფენი, მისგანვე „განსწავლულნი“ და მისივე სკოლის მიმდევარნი—ეს საერთოდ ცნობილია. გაიოზი და დავითი, გარდა ქართული კულტურისა, ევროპულ სწავლა-განათლებასაც ზიარებულნი და მწერლობასა და სახალხო განათლების დარგში მეტად ცნობილი მოღვაწეები და მეცნიერები იყვნენ თავის დროზე საქართველოში<sup>2</sup>. მაგრამ ვინაა კათალიკოზ ანტონისაგანვე გაიოზისა და დავითისამებრ „განსწავლული“ მესამე მოწაფე „ტფილისის სობოროს პროტოპოპი იოანე“, რომელიც აჩაუადრეს 1783 წლის ივნისისა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად გამხდარა?

ვახტანგ ბატონიშვილის მიერ თბილისის სემინარიის რექტორად ხსენებული „ტფილისის სობოროს პროტოპოპი იოანე“—იოანე ოსეს-ძე resp. ოსეშვილია, ცნობილი იესე ოსეშვილის ღვიძლი უმცროსი ძმა. აი საბუთებიც. იესე ოსეს-ძე მოუთხრობს თავის თავგადასავალში შვილებს: „მამა-ჩემი იყო და ბიძა-ჩემები მღუღენი წმიდისა ეკლესიისანი, ... წვრილნი მეცნიერებითა საფილასოფოსათა და საეკლესიოთა წერილთათა და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებლობითა“-ო და სხვა<sup>3</sup>. იქვე, მეორე ადგილას ნათქვამი აქვს იესეს: „შთამომავლობათათვის ჩემი მამის—„ოსეს წილის ნახევარი ღიად მცირე იქნებოდა, რომელიც

ღია, მაშინ ის არ ყოფილა „რექტორი“ ოფიციალურად, თორემ თავისთვის ამ წოდებით მოიხსენიებდა აქაც იმგვარად, როგორც შემდეგ გვერდზე ვახტანგ ბატონიშვილის ხოტბის შესხმისას: „შესხმით უვალთ მაღალ-კეთილშობილი სიბრძნის-მოყუარე, სამეფოსა კახეთის სემინარიის რექტორი ალექსის ძე დავით... ჭებერქალა რიცხუთა 16, წელსა 1791“ (იქვე, გვ. 67). ამრიგად, დავით ალექსიშვილს 1790 წ. სექტემბერზე ადრინდელ თავის რიგ სხვა ნაწერებშიაც „რექტორ“ -ად არ აქვს თავისთავი დასახელებული (იხ. საქ. მუზ. იგივე ხელნაწერი № 105 S, № 1511 S, № 1512 S და სხვ.), რადგან მანამ უფლებაც არ ჰქონდა ასე აღენიშნა თავი ვინმეს წინაშე.

<sup>1</sup> საქ. მუზ. № 105S, გვ. 11.

<sup>2</sup> იხ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორია“, I და II ტომი, 1941 წ. გამოც. საკუთარ სახელთა საძიებლის მიხედვით.

<sup>3</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. გამოც., გვ. 26.

თვით დიდის იწროებით იმყოფებოდა, სამწყსო ჰქონდა და ტფილელის სახლთხუცობა ხან ჰქონდა და ხან არა“-ო<sup>1</sup>. მე სამე ადგილასაც იმავე ნაწარმოებში გადმოგვცემს: ოსეს ჰქონდა „...სახლთხუცობა, მდივნობა ტფილელისა“-ო<sup>2</sup>. მე ოთხე ადგილას კი ამავე თავადასავალში ანუ „ანდერძში“ იესესვე მიერ ნათქვამია, ქონებათა აღნუსხვისას: „ქ. სახლთხუცობა და მდივნობა, ... სამწყსო კეთილი და საუკუნო საუნჯე, სიონში სასახლე—ესენი ყველა ჩემი და იოანეს საძმოა, ნახევარი ჩემი და ნახევარი იოანესი“-ო<sup>3</sup>. მეხუთე ადგილას, იმავე ნაწარმოებში, იესე წერს: „...სახლები სიონისა... მეფეს ერეკლეს პირველს პაპის ჩემის იესე დეკანოზისათვის ებოძა“-ო<sup>4</sup>. ამრიგად, იოანე და იესე ოსეშილები მამა-პაპეულით სასულიერო წრის წარმომადგენელი არიან, სახელოთი ტფილელთან არიან დაკავშირებულნი, „სიონის სასახლეს“ აქვთ და „სამწყსო კეთილი“-ც არ დაუკარგავთ, რადგან იოანე მღვდელი ვახდა ახალგაზრდობაშივე. იოანეს მღვდლად კურთხევის შესახებ მოგვითხრობს იესე უთუოდ მაშინ, როცა გადმოგვცემს: 1767 წელს „დავაქორწილე“ და „ამავ წელს ვაკურთხებინე“-ო<sup>5</sup>. თვითონ იესე ოსეშილი დაიბადა 1728 წლის 10 ნოემბერს<sup>6</sup> და თავის ძმა იოანეზე უფროსია 22 წლით; იოანე დაბადებულა 1750 წელს: „ქორანიკონს 438 [1750 წელს] იოანე ჩემი ძმა დაიბადა. მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდაორისა და მესამესა ვმეწლები“-ო და სხვა, მოგვითხრობს თვითონ იესე ოსეშილი<sup>7</sup>. მასასადამე, ზემოხსენებულ კურთხევისას იოანე ოსეშილი ყოფილა 17 წლისა. იესე გაერისკაცდა, მისი ძმა იოანე კი მამა-პაპეულ კვალს მისდევს და „ტფილელ მიხაილს“, მის „სამწყსო-სახელოებსა“ და სიონს ემსახურება, „ტფილელი“ მას „თავისთან გაარიგებს“. 1778 წლის დეკემბერს იოანე ოსეს-ქე მოითხოვს ძმა იესესგან გამოყოფას და ამასთან დაკავშირებით იესე, სხვათა შორის, წერს შემდეგს: „ბოლოს რაღა მოგახსენოთ, მოსამართლენი დავიპირეთ. მერმე ტფილელმა მიხაილ ამჯობინა და თავისთან გაარიგა. სასახლე სიონისა და ბალი შევაფარდეთ და იოანეს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 61-63.

<sup>6</sup> იქვე, შეად. გვ. 3, 5, 8, 11, 20, 22 და სხვ. ცნობები ერთმანეთს.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 20.

4. აპ. როგავა.



ვარჩევინეთ. იოანე მ სახლი ი რჩ ივა, დამრჩა ბაღი მე, სხვა რაც იყო, შუა გაყო: ბიძიას სახლი, ქალაქს გარეთ მამულები, შე-სამოსი, წიგნები, სამწყსო-სახელოები ტფილისში და სხვა რამ ფერი—ყველა სანახევროდ დაიდვა. სიონის ტფილისში 23 თუმნად იყო გიროდ; ვალი ავიღე, 20 თუმანი მივეც, დაუხსენ და მივაბარე“-ო, გადმოვცემს იესე<sup>1</sup>. „ქრისტეს-შობის 23, კვირას დღეს, იოანე აიყარა, სიონში ჩავიდა, გაგვშორდა სიონისა და ბევრის ვალისათვის“-ო<sup>2</sup>, განაგრძობს იესე. ამრიგად, იოანე ოსეს-ძეს „სამწყსო-სახელოები ტფილისისა“ აქვს, სიონს ემსახურება, სიონშივე, თავის სახლში ცხოვრობს 1778 წლიდან და სხვა. იოანე ოსეშვილი ერთ-ერთ თავის აკროსტიხში «იოანე ხუცესი დეკანოზი ოსეს-ძე»-დ გვისახელებს თავისთავს კიდურწერილი ასოებით<sup>3</sup>. აგრეთვე ის «იკონომოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა»-დაც იხსენიება<sup>4</sup> და მართალია აკად. კ. კეკელიძე იმაში, რომ უკანასკნელს რექტორად თბილისის სემინარიისა — იოანე ოსეს-ძედ მიიჩნევს: „იოანე ოსეს-ძე, resp. ოსეშვილი, იყო დეკანოზი ჯერ ჯვარის მონასტრისა თბილისში, ხოლო შემდეგ «იკონომოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა» და რექტორი თბილისის სემინარიისა, გარდაიცვალა 1801 წელს“-ო, წერს პატივცემული მეცნიერი<sup>5</sup>. ამრიგად, იესეს უმცროსი ძმის—იოანე ოსეს-ძის რექტორობას მოწმობს ვახტანგ ბატონიშვილი, როცა თბილისის სემინარიის რექტორად დასახელებული ჰყავს „ტფილისის სობორის პროტოპოპი იოანე“.

სამწუხაროდ, ერთ რამეში შეცდომას უშვებს ზემომოტანილ ციტატაში კ. კეკელიძე. მას ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ „იოანე ოსეს-ძე, resp. ოსეშვილი, ... «იკონომოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა» და რექტორი თბილისის სემინარიისა“; გარდაცვლილი „1801 წელს“, უკანასკნელ თანამდებობათა მიღებამდე ყოფილიყო „დეკანოზი ჯერ ჯვარის მონასტრისა თბილისში“. პატივცემული მეცნიერი ამ შემთხვევაში არათუ თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში უშვებს შეცდომას, არამედ მეორე ნაშრომშიაც, სადაც მან ანტონ პირველის „სპეკალის“ გადამწერი „ტფილისის ქალაქის ჯუარის საყდრის დეკანოზი იოანე“ მი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 292 A, გვ. 407.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 362.

<sup>5</sup> იქვე.



იჩნია იოანე ოსეს-ძე resp. ოსეშვილად<sup>1</sup>. იოანე „დეკანოზი ჯვარის მონასტრისა თბილისში“ ანუ „ტფილისის ქალაქის ჯუარის საყდრის დეკანოზი იოანე“ არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო იოანე ოსეს-ძე ანუ ოსეშვილი. იოანე ოსეს-ძე, როგორც ზევით ვხანეთ, თავის უფროსი ძმის იესე ოსეს-ძის მოწმობით, დაბადებულია 1750 წელს, უნიკუმი ხელნაწერი „სპეკალისა“ კი გადაწერილია 1752 წელს „ტფილისის ქალაქს (sic) ჯუარის საყდრის დეკანოზი იოანე“-ს მიერ, რასაც მოწმობს გადამწერისვე ანდერძი ამ ხელნაწერის ბოლოს<sup>2</sup>. შეუძლებელია 2 წლის ბავშვი იოანე ოსეს-ძე ყოფილიყო „ტფილისის ქალაქის ჯუარის საყდრის დეკანოზი“ ანუ „დეკანოზი ჯვარის მონასტრისა თბილისში“ და წარმოუდგენელია ამ ხნის ბავშვისათვის ანტონ კათალიკოზს მიენდო „სპეკალის“ გადაწერა მეფე ერეკლესათვის „არმაღანად“ მისართმევად. აკრეფვე, ამავე „ტფილისის ქალაქს (sic) ჯვარის საყდრის დეკანოზის, იოანესითა“ ხელითა გადაწერილია 1760 წელს (10 წლის იოანე ოსეს-ძე ამას ვერ შეასრულებდა და ვერც დეკანოზი იქნებოდა!) კარგი ხელნაწერი — ს. ჯულფელის „დიალიკტიკა“<sup>3</sup>. ამრიგად, იოანე „დეკანოზი ჯვარის მონასტრისა თბილისში“ ანუ „სპეკალის“ გადამწერი „ტფილისის ქალაქს ჯუარის საყდრის დეკანოზი იოანე“ არ არის იოანე ოსეს-ძე resp. ოსეშვილი, არამედ ის სულ სხვა პიროვნებაა.


ეს რომ ეჭვმიუტანლად მართლაც ასეა, ამას მოწმობს იოანე ოსეს-ძის უფროსი ძმის იესე ოსეს-ძისვე ორი ცნობაც: 1) იესე ოსეს-ძე თავის თავგადასავალში 1762 წლის ამბად მოგვითხრობს: მანუჩარ სოლღაშვილმა ერთი კომლი კაცი, თიანეთს დასახლებული მომყიდაო და „სიგელი ჯვარის-მამის დეკანოზს იოანე მოძღვარს დამიწერინა, თავის კელით დააბეჭდვინა და მომცა თავისის მამულით ვარსიმაშვილები და თავეთის ნასყიდობით თვედორე პატარაკაცი და მამუკა“-ო<sup>4</sup>. 2) იესე იმავე თავგადასავალში ანუ „ანდერძში“ წერს: „ქორანიკონს 455, იანვარს, ქრისტეს აქეთ 1767 ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან — იოანე ჩემს ძმას ცოლი მოგვვარე, დავაქორწილე“-ო. მანამ იესეს დედა გარდაეცვალა. სიკვდილამდე დედამ „ბძანა, რომ ბალი თქვენ, ორ თავე ძმათათვის (იესეს, იოანეს გარდა, ძმა არ

<sup>1</sup> იხ. კ. კეკელიძის „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, III: სპეკალი, ახლად აღმოჩენილი ფილოსოფიური შრომა ანტონ პირველისა, ტფ. საზ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936 წ., გვ. 129.

<sup>2</sup> იხ. საქ. მუხ. № 1743 A.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 151 S.

<sup>4</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, გვ. 48—49.



ჰყავდა.—ა. რ.) მიანდერძებიაო, თქვენ ორთავე გქონდესთო, და  
 •ოანეს ცოლი მითხოვია, ჯვარის-მამის დეკანოზის  
 ძმის წულიო. სიგლები იმას ნიშნად აქესო, ნიშანი გაუღზავეყო  
 და ის სიგლები გამოართვითო. ეს სასახლო თასი იყო ნიშანი ერ-  
 თის თუმნისა და ორი თუმანი თეთრი. ეს ასე ვევიბძანა: ღმერთმან  
 ნუ ქნასო, რომ ერთი შვილი მლოცვედეს, მეორე მწყევდესო“<sup>1</sup>.

იესე ოსეს-ძის ამ ცნობებთან ერთად მეტად საყურადღებოა  
 ჯვარის მამა დეკანოზ იოანეს შესახებ ის გადმოცემაც, რომე-  
 ლიც ისტორიკოს პლატონ იოსელიანს შემოუნახავს თავისი  
 უფროსი თაობის (თავისი მამა ეგნატე და სხვ.) ნათქვამთა ნიადაგ-  
 ზე და, უთუოდ, ჩვენთვის უცნობი წერილობითი საბუთების საარგებ-  
 ლობითაც. პლ. იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამე-  
 ტისა“-ში გადმოგვცემს: „მასწავლებლად ქართულისა ენისა  
 მიუჩინეს მეფის ძესა (გიორგი ბატონიშვილს.—ა.რ.) მეშვიდესა ცხოვ-  
 რებისა მისისა წელსა დეკანოზი იოანე. 1751 წელსა მოვიდა  
 იერუსალიმით დროებით მუნ წარსული დეკანოზი ესე იოანე,  
 ძე გარსევანისა დეკანოზისავე მოძღვარი შვილად  
 გვარ-წოდებული. ესე იყო კაცი განსწავლული, დიდი მწიგ-  
 ნობარი, მწერალი წიგნთა და მცოდნე დროთა მათ, ფილოსოფიისა  
 და ღვთისმეტყველებისა ძველადგან ქართველთა შორის ნაქონთა.  
 პატრიარქისაგან იერუსალიმისა ქებითისა წერილითა მოსრული ევედ-  
 რა კათოლიკოსსა ანტონის პირველსა, რათა მიუბოძოს მას ადგილი  
 დეკანოზობისა ჯვარის ეკკლესიასა, იერუსალიმისა ჯვა-  
 რის-მამათა სადგურსა. კათოლიკოსმან ანტონი ამისთვის უბოძა  
 მას გრამატა შემდეგი“,—წერს პლ. იოსელიანი და მოჰყავს ხსენე-  
 ბული თანამდებობის ბოძებისას ანტონ პირველის მიერ იოანეს-  
 თვის გაცემული სიგელის ტექსტი<sup>2</sup>. სიგელი დაწერილია 1752 წ. 11  
 დეკემბერს და მისი ერთი ასლიც შემონახულია საქართველოს მუზეუმ-  
 ში<sup>3</sup>. პლ. იოსელიანი ზემოხსენებულ თხზულებაში ქვევით განაგ-  
 რძობს: „ესე იოანე პირველ სხვათა იყო მოძღვარი მეფისა ირაკ-  
 ლისა და დედოფლისა დარეჯანისა. ამას ჰყვანდა ქალი ერთი და,  
 რადგანაც ძმისწულნი ჰყვანდნენ მრავლად, დედოფალი ექმნებოდა  
 მომნათვლელი შვილთა მისთა; კათოლიკოსი ანტონი I იყოლიებდა  
 მას ვითარცა მეგობარსა და თვისთანა მარადის თანა-მზრახვე-  
 ლად. ამა დღიდგან იყო პატივცემულად მიღებული ყოველგან და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 61—62.

<sup>2</sup> „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, აკ. გაწერგლის რედ. 1936 წ. გამოც., გვ. 5—6.


<sup>3</sup> საქ. მუზ. № 2301 H.



მოდღვრად თვით კათოლიკოსისა და მისისა კრებულისა, ქ. თფილისსა მყოფობისა მათისა დროსა. ვითარცა მძღვრულად განკარგულნი ცხადდებულნი და მოხუცა, ბრძენი და მტკიცე მკვლევარი ექნა მოძღვრად კათოლიკოსსა იოსებსა და მთავარ-ეპისკოპოსსა კირილეს. მევის ძე გიორგი დიდად პატივს სცემდა მას და, ვითარცა მორწმუნე, სასობით ავედრებდა თავსა თვისსა ლოცვათა მისთა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი 1782 წელსა და დასაფლავდა მასვე ჯვარისა ეკლესიასა<sup>1</sup>.

იესე ოსეს-ძის მიერ გადმოცემულ, ზემოთყვანილ ორ ცნობაში ჯვარის საყდრის დეკანოზ იოანეს შესახებ რაიმე ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ამ იოანეს დახასიათებასა და ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემაში პლ. იოსელიანს მხარს უჭერს იესე ოსეს-ძის ეგვე ცნობები, 1752 წ. 11 დეკემბერს ანტონ პირველის მიერ გაცემული სიგლიდან შემონახული ასლი, თვით იოანეს ანდერძი, მოთავსებული ანტონ პირველის „სპეკალის“ შემცველი ხელნაწერის ბოლოს<sup>2</sup>, და სხვა. აგრეთვე ამავე იოანეს მომსწრე მოხუცების ნათქვამთა ნიადაგზე და, უთუოდ, ჩვენთვის უცნობი წერილობითი საბუთების გამოყენებითაც პლ. იოსელიანი ასეთი კატეგორიული სიტყვებით შეუძლებელია უშვებდეს რაიმე დიდ შეცდომას ზემოთყვანილ გადმოცემაში, რომ მასში მოცემული ცნობები საეჭვოდ მივიჩნით. იესე ოსეს-ძისა და პლ. იოსელიანის ამ ცნობებიდან კი გარკვევით ჩანს, რომ „ჯვარის-მამის დეკანოზი იოანე მოძღვარი“ არა იოანე ოსეს-ძეა, არამედ ისინი სულ სხვადასხვა პირები არიან; მეორე—პირველის სიძე გამხდარა 1767 წელს, მათ შორის სისხლ-ნათესაობაც შეუძლებელია ყოფილიყო და სინამდვილეშიაც თურმე ერთ გვარსაც არ მიეკუთვნებოდნენ. ამასთანავე, იოანე ოსეს-ძე 1757 წელსვე კურთხეულა<sup>3</sup> (თანახმად წესისა, ცხადია, ქორწინების შემდეგ და არა უფრო ადრე), 17 წლის ახალგაზრდა, და არც ამ დროს და, მით უფრო, არც ადრე მისი „დეკანოზობა“ შეუძლებელი იყო. ამრიგად, იესე ოსეს-ძის მიერ ხსენებული, 1767 წელსაც მყოფი „ჯვარის-მამის დეკანოზი იოანე მოძღვარი“, რა თქმა უნდა, 1752 წ. „სპეკალის“ გადამწერი ოტფილისის ქალაქს ჯუარის საყდრის დეკანოზი იოანე“-ა. ის გარსევან დეკანოზის-ძეა, გვარად

<sup>1</sup> „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 6. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1743 A.  
<sup>3</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, გვ. 61—63.



მოდღვრიშვილი. გარდაცვლილა 1782 წელს და არა უფრო გვიან, როცა იოანე ოსეს-ძე თბილისის სემინარიის რექტორი ხდება. ის ყოფილა მოძღვარი-მეფისა ერეკლესა და ანტონ პირველისა და არა ნოწაფე უკანასკნელისა, და ა. შ.. აშკარაა, ეს იოანე არა იოანე ოსეს-ძეა, არამედ უფროსი თანამედროვე იოანე ოსეს-ძისა, რექტორისა თბილისის სასულიერო სემინარიისა და «იკონომოს-დეკანოზისა ტფილისის სიონისა»<sup>1</sup>.

ზევით გამოჩვენებულ იქნა, რომ თბილისის სემინარიაში „ტფილისის სობოროს პროტოპოპ იოანეს“ რექტორობა (და თელავში კი დავითისა) აღარაა უწინარეს 1783 წლის ივნისისა და შემდეგ კი, ამ წლიდანვე ან უფრო გვიანდელი დროიდან კი ყოფილა რექტორად ამ სემინარიისა. ვახტანგ ბატონიშვილის მიერ ხსენებული „ტფილისის სობოროს პროტოპოპი იოანე“, რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა, როგორც გამოიჩვენა, იყო იოანე ოსეს-ძე. მაშასადამე, თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორად იოანე ოსეს-ძე დაინიშნა არა უადრეს 1783 წლის ივნისისა, ამ წელსვე ან უფრო გვიანდელ დროს. 1783 წელს ის 33 წლის იყო და ასაკითა და მეცნიერული მომზადებითაც შესაფერისს, ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „კათოლიკოზისა ანტონისაგან“ უკვე „განსწავლულს“ ამ წლიდანვე ან უფრო გვიანდელი დროიდან ჰქონია რექტორობა თბილისის სემინარიისა.

იოანე ოსეს-ძის რექტორობა თბილისის სასულიერო სემინარიაში შესაძლებელია ფაქტიურად გავრძელებულიყო 1795 წ. სექტემბრის შუა რიცხვებამდე, ალა-მაჰმად-ხანის ჯარის მიერ ამ სემინარიის განადგურებამდე. ამრიგად, თბილისის სასულიერო სემინარიაში იოანე ოსეს-ძის რექტორობის თარიღი 1783 წ. ივნისსა და 1795 წ. შუა სექტემბერს შორისაა საძიებელი ზუსტად განსაზღვრისათვის.

ზემოთქმულთა შემდეგ ახლა დაისმის საკითხი: 1758 წელს ერეკლე მეორის მიერ, თელავის „ფილოსოფიურ“ სკოლაში სხოლაპეტად ანუ რექტორად დანიშვნისა და სხვა მიზეზებისა გამო, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორობისაგან განთავისუფლებული ფილიპე ყაით-

<sup>1</sup> ამრიგად, კ. კეკელიძე ამ საკითხში შეცდომას უშვებს და ამ ნიადაგზე ჩვენს ადრინდელ ნაშრომშიაც „სპეკალის“ გადამწერ იოანეს დასახელებას იოანე ოსეს-ძედ (აპ. როგავა, თეზისები სადისერტაციო შრომისა „ანტონ პირველის „სპეკალი“, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1947 წ.) შეცდომად ვთვლით.



მაზაშვილის მაგიერ ვინ დაინიშნა რექტორად თბილისის სემინარიისა? ამასთანავე, ეს უცნობი ხომ არ შეუცვლია სხვა ვინმეს მანამდე, ვიდრე უადრეს 1783 წ. იენისისა, იოანე ოსეს-ძე დაინიშნებოდა? — ეს საკითხები ჩვენთვის ჯერჯერობით გადაუწყვეტილია და სათანადო კვლევა-ძიებას მოითხოვს<sup>1</sup>.

**დ) სასულიერო სემინარიების ხარჯებისათვის საჭირო ხაზელმწიფო წყაროები**

თელავის სემინარიის რექტორს მეფე ერეკლესაგან „განჩენილი“ ანუ განსაზღვრული ულუფა და ჯამაგირი ჰქონდა ყოველწლიურად. ერეკლე მეორე 1790 წ. 21 სექტემბერს უბრძანებს „მოძღვართ-მოძღვრის მოხელეებს“, რათა „მოძღვართ-მოძღვრის შემოსავლიდამ ხუთ თუმანს და ერთ საპალნე ღვინოს მოსცემდეთ ხოლმე ყოელს წელს უკლებლად ალექსის-შვილს დავითს... შაგირდები მივაბარეთ და იმისთვის განუჩინეთ ეს ულუფა. თქვენის ეკლესიის ყმიდამაც უნდა მიებაროს“-ო, ნათქვამია ბრძანებაში<sup>2</sup>. ერეკლეს მიერ იმავე დღის მეორე ბრძანებაშიც კი განსაზღვრულია: „ვინც თელავის საწლებროს იჯარაღარი იქნებოდეთ, ბატონის დედოფლის იჯარადამ სამ თუმან ნახევარს ალექსის-შვილს დავითს მოსცემდეთ ყოელს წელს თავის ჯამაგირში“-ო და სხვა<sup>3</sup>. მეფე ერეკლეს 1790 წ. 21 სექტემბერსვე დავით რექტორისადმი ბოძებულ სიგელში მისთვის განკუთვნილი ეს ორივე შემოსავალი სპეციალურად განსაზღვრული მისი „ჯამაგირისა და ულუფის“ სიაშიაც აღნიშნული აქვს და ამგვარ შემოსავლადვე იქვე ჩაუწერს შემდეგსაც: „ქ. ჩვენადამ მოგეცემა ხუთი თუმანი;“ „ქ. ალავერდლიდამ მოგეცემა ოთხი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო“; „ქ. კარის წინამძღვარმა — ოთხი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო; ქ. ბოდბელმა — ორ თუმან[ნ] ნახევარი; ქ. ნეკრესელმა — ერთი თუმანი და ერთი საპალნე ღვინო; ქ. პური მოგეცემა სურსათი დამ ოთხი ხალვარი. ქ. ესეები უკლებლად მოგეცემა მზვით (sic). სეკდემბრის კა, ქორონიკონს უოც“ (1790 წ.) — წერს ერეკლე ხსენებულ სიგელში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იოანე ოსეს-ძის უწინარეს ამ თანამდებობაზე 1782 წ. გარდაცვლილი, ზემოხსენებული დიდი მწიგნობარი იოანე გარსევანის-ძე მოძღვარი შვილი ხომ არ იყო? — ბუნებრივად წარმოიშვის საკითხი მონაწილე მკვლევარის წინაშე.

<sup>2</sup> საქ. მუხ. №1065 Qd.  
<sup>3</sup> საქ. მუხ. №1066 Qd.  
<sup>4</sup> საქ. მუხ. № 1068 Qd.





მართალია, ეს სიგელი ცოტა მოგვიანო ხანისაა, მაგრამ, ცხადია, დაახლოებით ასეთი ჯამაგირი და ულუფა ეძღვნებოდა სემინარიების სხვა რექტორებსაც. სიგელიდან ჩანს, რომ მეფე ერეკლე დავით რექტორს აძლევდა ყოველწლიურად სახელმწიფო შემოსავლიდან — „სურსათი-დამოთხი ხალვარს“ სარჩოდ, ულუფად. ამასთანავე, როგორც ჩანს ზემოხსენებული ბრძანებებიდან, თვითონაც კისრულობდა თავისი და დედოფლის პირადი შემოსავლიდან გაცვათ რექტორისათვის განსაზღვრული ოდენობით ფული მის „ჯამაგირში“ შესამატად. აგრეთვე, მისი „ჯამაგირისა“ და „ულუფის“ ყოველწლიურად გასანაღდებლად მეფე ზევიდან, თავისივე განსაზღვრისამებრ, მეტნაკლებად ავალდებულებდა საეკლესიო მსხვილ მებატონეებს გაეცათ ფული და ღვინო.

ზემომოტანილი საბუთებიდან ჩანს, რომ საეკლესიო მსხვილ ქონებათა მებატონეებზე მოდიოდა დავით რექტორის ჯამაგირისა და ულუფის მეტი ნაწილი. ერეკლე მეფისაგან, უეჭველია, ამგვარი მეტი ოდენობით ეკისრათ საეკლესიო მსხვილ ქონებათა მებატონეებს არათუ მართო დავით რექტორის, არამედ, საერთოდ, სემინარიების რექტორთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა ჯამაგირი, ულუფა ან სხვაგვარი საზღაური სამსახურისათვის. ამასთანავე, უეჭველია, მეტწილად ამგვარადვე იფარებოდა სემინარიების მატერიალურ საჭიროებათათვის აუცილებელი ყოველგვარი სხვა გასავალიც. ზემოთქმულთ სანეჭვოდ არ ხდის არათუ ზემოხსენებული საბუთები, არამედ ორივე სემინარიის თვითმხილველისა და მათი ცხოვრების კარგად მცოდნის — დავით ბატონი შვილის შემდეგი ცნობაც: თბილისისა და თელავის „სასწავლებლები (იგულისხმება: სემინარიები.—ა. რ.) ინახებოდა საეკლესიო შემოსავლების ხარჯზე“—ო (Эти „училища содержались на счет церковных доходов“)<sup>1</sup>. ჩანს, თბილისისა და თელავის სემინარიები იმდენად დიდად „ინახებოდა საეკლესიო შემოსავლების ხარჯზე“, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საეკლესიო მსხვილ ქონებათა მებატონეთაგან, რომ დავით ბატონი შვილს შედარებით უმნიშვნელოდაც მიაჩნია მოიხსენიოს სახელმწიფოს საერო სფეროდანაც სემინარიებისათვის განკუთვნილი შემოსავლები. უკანასკნელი შემოსავლები კი, როგორც ზევით დავით რექტორის „ჯამაგირისა და ულუფის“ მაგალითზე ვნახეთ („სურსათი-დამოთხი ხალვარი“, ერეკლე მეორისა და დედოფლისაგან — ფული

<sup>1</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовования“, მუხ. 178.



„ჯამაგირში“ შესამატად), არც მაინცდამაინც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, რომ, დავით ბატონიშვილისამებრ, მის ცხოვრებაში ვინმეს არ აღენიშნა. ამრიგად, მწიფოს საერო უწყებიდან (საიდან იძლეოდნენ „სურსათიდან ოთხ ხალვარს“) და საერო დიდ პიროვნებათაგან (მეფე, დედოფალი და, ალბათ, სხვაც), ისე განსაკუთრებით საეკლესიო მებატონეთაგან (ეპისკოპოსოები და სხვ.) ეძლეოდა სემინარიებსა და მის თანამშრომლებს სამუშაო პირობებისათვის საჭირო მატერიალური ხარჯები (ჯამაგირი, ულუფა, სკოლის კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხა და სხვა) მეფის განსაზღვრისამებრ. უეჭველია, ასეთ გარემოებას გულისხმობდა ანტონ II ქართველი მეფისა და სემინარიების შესახებ 1801 წელს, როცა გენ. კნორინგის კითხვებზე გაცემულ პასუხში წერს: „...seminarii в Тифлисе и в Телаве ... содержание имели от царя“<sup>1</sup>.

ზემოთქმულთა შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: მეფე აძლევდა თბილისისა და თელავის სემინარიებს მატერიალურ კმაყოფას თავისი პირადი განსაზღვრისამებრ არა მარტო სახელმწიფოსა და თავისი და დედოფლის შემოსავლებიდან, არამედ უფრო მეტად საეკლესიო შემოსავლებიდან, საეკლესიო მებატონეთადმი დაკისრებით.

ზემოხსენებულ თავის ყოველწლიურ შემოსავალთა გარდა, რექტორი მეფისაგან ხანდახან შესაფერ ტანსაცმელსაც კი ითხოვდა და ისიც თავისი ნებისამებრ აკმაყოფილებდა მას. მაგალითად, მეფე ერეკლე 1792 წ. წერს დავით რექტორს, სხვათა შორის, შემდეგს: „მერე შენი წიგნი მოგვივიდა. სათბუნებელი ქათობი გეთხოვნა. ღვთის მოწყალებით მოგივა...[ამ]აზე სარწმუნო იყავ, რომ შენ [შენი] შრომის მაგიერ ჯილდოს [მიიღებ] [ს]ულიერადაც და ხორცი[ელად]“-ო, წერს დავითს მისი „დიდი გარჯა და შრომით... დიად მადლიერი“ მეფე<sup>2</sup>. აშკარაა, რომ მეფე ტანსაცმელს ჩვეულებრივ უწყალობებდა რექტორს „შრომის მაგიერ ჯილდო“-თ იმ შემთხვევაში, თუ მისი „დიდი გარჯა და შრომით დიად მადლიერი“ იყო. ეს საქმე კი რომელიმე რექტორის პირადი ღირსებებისა და მეფის მისდამი განწყობილებიდან იყო დამოკიდებული და მუდმივ შემოსავლად რექტორს იგი, რა თქმა უნდა, აღარც ეთვლებოდა.

<sup>1</sup> А Е т ы Кавк. археограф. комиссиа, I, გვ. 530.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1069 Qd.



მეფე ერეკლე ყოველი რექტორის სასარგებლოდ მატერიალურად უზრუნველყოფისათვის ამრიგად იმიტომ ზრუნავდა, რომ მატერიალურად რექტორისადმი შეეძლო მიემართა მას სურვილი რექტორისადმი მის მიერ თქმული სიტყვებით: „შენ იცი, რასაც უმეტესად ეცდები და ღვთით მაგ ქვეყანაში დ კეთილს ნაყოფს გამოიღებ და ღვთისა მიერ შენდა რწმუნებულს ტალანტს აღნადგინებ ითურთ მიართმევ“-ო<sup>1</sup>. სემინარიების რექტორთა მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი საწინდარი იყო საერთოდ სემინარიების მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის და ამიტომაც მეფე ერეკლე დიდად ზრუნავს მათზე ამ მხრივაც. დავით ბატონიშვილისა და ანტონ მეორის ზემომოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ თელავისა და თბილისის სემინარიები ყოველგვარ მატერიალურ ხარჯებს ფარავდნენ მეფის შემწეობით („содержание имели от царя“), როგორც გამოიჩვენა, განსაკუთრებით საეკლესიო შემოსავლებიდან. მაშასადამე, მეფევე კისრულობდა ამ შემოსავლებით სემინარიების მოწოდებულთა და სხვა თანამშრომელთა შრომის საზღაურის განაღდებას და, აგრეთვე, სემინარიების სხვა მატერიალურ ხარჯებსაც. ამრიგად, ერეკლე მეორე დიდად ისწრაფვის სემინარიებისათვის მატერიალური ზრუნვითაც წინ წასწიოს სახალხო განათლების საქმე და სახელმწიფოს მით მოუპოვოს მისგანვე წინასწარდასახული შედეგი. ერეკლეს სურს სემინარიების დიდი წარმატების საშუალებით მოფინოს თავის ქვეყანაში დავით რექტორის მაგვარ ნიჭიერ აღამიანთა ცოდნა და მისი ფართო გამოყენებით („აღნადგინებითურთ“) „კეთილი ნაყოფი გამოღებულ იქნას“ სახელმწიფოს ძლიერებისათვის. ჩანს, ერეკლეს ანტონის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია, ჩვენთვის ანტონ კათალიკოზის ნაწარმოებებში განსაზღვრულ-ჩამოყალიბებული, ამოქმედებს დიდებულ ქართველ მეფე ერეკლეს, როცა ასე გადაციცებითა და გულისხმიერებით ამოქმედებს როგორც სხვა, ისე სასკოლო-საგანმანათლებლო დარგშიაც მატერიალური სახსრებისადმი დიდი ყურადღების მიქცევითაც.

### ე) მოსწავლეთა კონტინგენტი სემინარიებში

თბილისისა და თელავის სემინარიების მოსწავლეთა კონტინგენტის განხილვისას ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იქცევს მათი სოციალური შემადგენლობა. მართალია, ამ სემინარიების არქივები ჩვენს სიძველეთა საცავებში დღეს ჯერჯერობით მაინც უცნობია და

<sup>1</sup> იქვე.



იქნებ ადრე კიდევაც დაიღუპა, მაგრამ მათში დაცული სხვა მასა-  
 ლებით შესაძლებელია ხსენებული სკოლების შესახებ ზოგადი წარმოდგენა  
 მაინც ვიჭონით ამ მხრივაც კი. ჩვენთვის ცნობილია სასულიერო  
 ტორიო მასალებში თბილისისა და თელავის სემინარიების მოსწავ-  
 ლეთა კონტინგენტის სოციალური შემადგენლობის, მოსწავლეთა და  
 მოსწავლებელთა საერთო რაოდენობის ან სხვაგვარი ზუსტი სტატის-  
 ტიკური ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ შემონახული მასალების  
 ვრცლად განხილვა ზოგადად მაინც გვათქმევინებს იმას, რომ თი-  
 თოეულ სემინარიაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ  
 ნახევრისა სასულიერო წრის შთამომავალნი უნდა ყოფილიყვნენ.  
 საზოგადოებრივ სხვა წრეთაგან თითოეულთა წარმომადგენელნი თუ  
 რა რაოდენობით იყვნენ თითოეულ სემინარიაში—მით უფრო გამო-  
 ურკვეველი რჩება. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ სემინარიაში  
 თითოეული სხვა საზოგადოებრივი წრის პროცენტული შემადგენლო-  
 ბა, უეჭველია, იშვიათად თუ აღემატებოდა სასულიერო წრის  
 შთამომავალთა რაოდენობას. სასულიერო სემინარიების წარმა-  
 ტებას, რა თქმა უნდა, ეს გარემოება დიდად განსაზღვრავდა მათი  
 დაარსებიდანვე, განსაკუთრებით სასულიერო წრისაგან  
 სწავლისადმი მიდრეკილებით.

საქართველოს ისტორიაში საზოგადოდ ცნობილია, რომ ჩვენში  
 მხოლოდ მე-19 საუკუნეში, რუსი იმპერატორების ბიუროკრატიული  
 ხელისუფლებისა და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების დამკვიდრე-  
 ბის პირობებში წარმოიშვა სასულიერო წოდება და მანამ კი,  
 მე-18 საუკუნეში და ადრედაც, ეს წოდება საქართველოში არ  
 არსებობდა. მაშინ იყო მხოლოდ სასულიერო წრე, შემდგარი  
 ორი—თავად-აზნაურული და დაბალი წოდების წარმომადგენელ-  
 თაგან. როგორც ასეთი ორმაგი ბუნების მქონე, ეს წრე, რა თქმა  
 უნდა, რომელიმე (გაბატონებულ ან დაჩაგრულ) ერთ კლასსაც არ  
 მიეკუთვნებოდა,—მასშიაც არსებობდა დაპირისპირებულ კლასთა  
 ბრძოლა, ორი კლასის ინტერესთა წინააღმდეგობანი.

ზემოხსენებულ ორ წოდებას შორის და, იმავე დროს, ორ კლასს  
 შორის შემარიგებლობის პოლიტიკის გამოვლინებას ეპოულობთ  
 ჩვენ, რა თქმა უნდა, მისი მწარმოებლების—ერეკლე მეორისა და  
 ანტონ პირველისაგან თბილისის სემინარიასა და განსაკუთრებით  
 კი თელავის სემინარიაში მოსწავლეთა კონტინგენტის შევსებისას.  
 გიორგი XII და იქნებ თეიმურაზ II-ც თუ ასეთ პოლიტიკას  
 სემინარიაში აწარმოებდნენ,—ეს, უეჭველია, მათგან იქ მის წამო-  
 წყებას არ ამტკიცებს და მხოლოდ ანტონისა და ერეკლე მეორის

საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის მათზე ნაწილობრივ ზეგავლენის შედეგად უნდა აიხსნას.

კათალიკოზის სასახლესთან არსებულ თბილისის სემინარიაში რო სემინარიაში ლეზულობდნენ მოწაფეებად მხოლოდ თავიდა აზნაურობის წოდებისა და სასულიერო წრის შთამომავალთ. ამის შესახებ გვაცნობებს დავით ბატონიშვილი შემდეგს: „При доме католикосовом (გულისხმობს აქ არსებულ თბილისის სემინარიას. — ა. რ.) обучалось одно только благородное юношество и дети священнические и диаконские“.<sup>1</sup> აშკარაა, რომ მეფე და კათალიკოზი თბილისის სემინარიაში ამგვარი წესის შემოღებით ნაწილობრივ მაინც აზრებდნენ ორ წოდებას და, ამასთანავე, ორ კლასს შორის არსებულ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ინტერესებს სახალხო განათლების დარგში გამოვლინებით: „კეთილშობილთა“ („благородные“) ანუ თავად-აზნაურთა წოდებრივსა და კლასობრივ ინტერესებთან აქ შერიგება ნაწილობრივ ხდებოდა დაბალი წოდებისა და დაჩაგრული კლასის ინტერესებისა, იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი წოდებისა და კლასის წარმომადგენელნი სასულიერო წრისაგან ამ სემინარიაში მოწაფეებად მიღებული იყვნენ. დაბალი წოდებისა და დაჩაგრული კლასის არასასულიერო წრეთა (გლეხობის უმეტესობა, ხელოსნები, ვაჭრები და სხვ.) წარმომადგენელთ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში წესისამებრ არ იღებდნენ; დავით ბატონიშვილის მოწმობით, აქ „обучалось одно только благородное юношество и дети священнические и диаконские“ და არა ვინმე სხვა. ეს პრინციპულად, წესისამებრ ამ სკოლაში ასე ხდებოდა, თუმც ზოგიერთი გამონაკლისი, ჩანს, არსებობდა. მაგალითად, გაიოზი, დაბალი წოდებისა<sup>2</sup> და ლარიბთა წრის წარმომადგენელი, ჭაბუკობისას აქ აღუზრდია თვით ამ სემინარიის „დირექტორსა“ და „პროტექტორს“ ანტონ კათალიკოზს<sup>3</sup> და გვიან თელავის სემინარიის რექტორადაც კი გაუხდია. ამრიგად, დაბალი წოდებისა და ლარიბთა წრის წარმომადგენელს ერეკლე და ანტონი არათუ სხვა სკოლებში, არამედ პრივილეგირებული საზოგადოების ნაწილისათვის სპეციალურად მოწყობილ თბილისის სასულიერო სემინარიაშიაც კი გამონაკლის შემთხვევაში იღებდნენ და შემდეგ მისი ნიჭისა და უნარისამებრ

<sup>1</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовещения,“ მუხ. 179.

<sup>2</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომშივე ამის შესახებ ჩვენი შენიშვნა თ. II, § 2-ის „გ“ განაკვეთში.

<sup>3</sup> იხ. საქ. მუხ. № 2510 II-ში ანტონ პირველის წერილი — „ასტარხნის არხიერთან მიწერილი გაიოსის საქმეზედ“.


სახელმწიფოში დიდი პატივითაც კი აღზევებდნენ მალალ თანამდებობაზე.

როგორც ვხედავთ, დაბალი წოდებისა და დაჩაგრული კლასის წარმომადგენელთ მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკონი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გასაქანს აძლევდნენ და მათ ინტერესებსა და კეთილშობილთა წოდებრივ და კლასობრივ ინტერესებს შორის შემარიგებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. მაგრამ ეს საქმე უფრო ნათლად ჩანს თელავის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეთა მიღების წესიდან. ორივე სემინარიის ცხოვრების კარგად მცნობისა და თანამედროვე მოღვაწის, დავით ბატონიშვილის ვეცნობით, თელავის სემინარიაში „...სწავლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდელონი ფრიად გულ-მოდვინედ ვიდრე დაპყრობამდე რუსთაგან საქართველომასა“<sup>1</sup>. მაშასადამე, ამ სკოლაშიაც სწავლობდნენ „მრავალნი“ თავად-აზნაურთა წოდებისა და სასულიერო წრის შთამომავალნი. მაგრამ, როგორც ქვევით გამოჩნდება, ისინი ამ სკოლაში ჩარიცხვისას თბილისის სასულიერო სემინარიაში მიღებული, მხოლოდ მათთვის დაწესებული პრივილეგიით არ სარგებლობდნენ,—მათ გვერდით საზოგადოების სხვა ნაწილის (არასასულიერო წრის გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები და სხვ.) წარმომადგენელთაც თავისუფლად ღებულობდნენ თელავის სასულიერო სემინარიაში. ამ მოვლენას მოწმობს ისევე დავით ბატონიშვილი: „Телавское училище (იგულისხმება: სემინარია.—ა. რ.) открыто было для всех состояний грузинскаго народа“<sup>2</sup>. 1790 წ. 21 სექტემბრის ბრძანებაშიაც „მოძღვართ-მოძღვრის მოხელეებისადმი“ მეფე ერეკლესაც, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს: დავით რექტორს „შაჯირდები... თქვენის ეკლესიის ყმი-დამაც უნდა მიეზაროს“-ო<sup>3</sup>. უეჭველია, დიდებული მეფე ამ „ყმიდამაც“ არა მარტო სასულიერო წრის წარმომადგენელთ გულისხმობდა, არამედ დაბალი წოდებისა და დაჩაგრული კლასის იმ წარმომადგენელთაც,—არასასულიერო წრის გლეხთაც, ხელოსნებს და სხვებს,—რომელნიც „всех состояний грузинскаго народа“-შიაც შედიოდნენ და ამასთანავე, კერძოდ, „მოძღვართ-მოძღვრის“ „ეკლესიის ყმა“-საც წარმოადგენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფეს ხსენებულ ბრძანებაში ზოგადად სიტყვა „ყმიდამაც“ კი არ ექნებოდა ნათქვამი, არამედ უფრო ვიწროდ, კონკრეტულად განსაზღვრული

<sup>1</sup> „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ., გვ. 12-

<sup>2</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовещения“, მუხ. 180.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 1065 Qd.




იქნებოდა ამ „ყმილამ“ ის წრეც, საიდან მხოლოდ მივლინებულ იქნებოდნენ ყმები სასწავლებლად თელავის სემინარიაში. ამრიგად, თელავის სასულიერო სემინარიაში ორნივე (საზოგადოებრივი და დაბალი) წოდების (საზოგადოებრივი და დაბალი) კლასის წარმომადგენლებს თავისუფლად ღებულობდნენ მოწაფეებად. ამით ამ სემინარიაში უფრო სრულად და მეტად, ვიდრე თბილისის სემინარიაში, მეფე ერეკლე და კათალიკოზი ანტონ პირველი აწარმოებდნენ კეთილშობილთა წოდებრივ და კლასობრივ ინტერესებსა და დაბალი წოდებისა და დაჩაგრული კლასის ინტერესებს შორის შემარიგებელ პოლიტიკას, სახალხო განათლების დარგში გამოვლინებით.

ეროვნული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთიანობისა და სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებისათვის სახალხო განათლების დარგში ერეკლე მეორისა და ანტონ პირველისაგან წარმოებული ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ორივე „ძმის“ საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიით იყო ნაკარნახევი და მათი „სულისა ერთობრიობისაგან“ გამომდინარეობდა. ჩვენ მიერ ზევით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ თეორიის ავტორების, ანტონისა და ერეკლეს მოღვაწეობას სახალხო განათლების დარგში უაღრესად საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები ახასიათებდა<sup>1</sup>. ითქვა ისიც, რომ განსაკუთრებით ქართველი საზოგადოების გონებრივი განვითარებით, სახალხო განათლების საქმის მალლა დაყენებით ცდილობდა და იმედოვნებდა ორივე „ძმა“ „დაძმულბული“ სახელმწიფოებრივი ცხოვრების რეორგანიზაციას ახლებურად; ასეთი იყო მათი ფილოსოფიურ-რაციონალისტური მსოფლვაება, — აღამიანთა გონება განსაზღვრავდა მთელ საზოგადოებრივ ყოფიერებას<sup>2</sup>. ერეკლესა და ანტონის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის ნაყოფს, უტოპიურ საქმეს წარმოადგენს წოდებათა და, ამასთანავე, კლასთა ინტერესების შემარიგებლობითი ეს პოლიტიკა, რომელიც მათ უწარმოებიათ სემინარიებში მოსწავლეთა კონტინგენტის შევსებისას. მეფესა და კათალიკოზს, სახალხო განათლების ამ მთავარ ცენტრებში ორივე წოდებისა და ორივე კლასის წარმომადგენელთა შეძლებისამებრ ფართოდ მიზიდვით, სურდათ მათი საზოგადოებრივი ინტერესების შერიგება და ერთად აღზრდითა და ამგვარი შემარიგებლობითი სულისკვეთებით მიღებული „სიბრძნე“

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომში ამის შესახებ ვრცლად თ. I.

<sup>2</sup> იხ. იქვე.




— ცოდნა და განათლება — შათ მიერვე, მიუხედავად გვარი-  
შვილობისა, სიმდიდრისა თუ ღარიბობისა და სხვათა, საქართველოში საზოგადოების ყოველ ნაწილს მოჰფენდა „სიბრძნე“  
ლაც, აკი, ანტონ პირველის წარმოდგენით „სიბრძნე“  
აქნე“ არის „თანად მიფენ-მიკრთომაჲ მალალთაცა და მდაბალთა და წჳმა მართალთაცა ზედა და ცოდვლთა“<sup>1</sup>. ზევით როგორც ითქვა, განსაზღვრულ ფარგლებში ფართო სახალხო განათლებას მოითხოვდა ანტონისა და ერეკლესათვის იდეალური განათლებული აბსოლუტური მონარქიული ცენტრალისტური ხელისუფლება. ორივე „ძმა“ ამ მხრივ ზზის გაკაფვას ცდილობდა კიდევაც ფართო საზოგადოებისაკენ<sup>2</sup>, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ფართო საზოგადოებიდანვე სემინარიებში აღსაზრდელად მოსულთა და კურსდამთავრებულთა საშუალებითვე, და, ამასთანავე, მათი შემწეობით აწმყოსა და მომავალში წოდებრივი და კლასობრივი ინტერესების საბოლოოდ შერიგებას მთელ სახელმწიფოში. ანტონისა და ერეკლეს თვალსაზრისით, ამგვარი პოლიტიკით საზოგადოებაში მოფენილი „სიბრძნე“, ცოდნა, იყო ელექსირი მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის მიხედვით მთელი საქართველოს „დაძქვლებული“ ყოფიერების გარდასაქმნელად. მაგრამ ეს იდეალისტური თვალსაზრისი მათ, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში მრავალმხრივ არ უმართლდებოდა და ისინი ხშირად იძულებული იყვნენ სხვა რეალური ზომებისათვის მიემართათ სახელმწიფოში ცხოვრების წარმართვისათვის. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მათმა ასეთმა უტოპიურმა პოლიტიკამ სახალხო განათლების დარგში, საერთოდ, მეტად საყურადღებო შედეგები მოგვცა ქართული კულტურის „აღორძინების“ ხანაში.

მოწაფეთა კონტინგენტით სემინარიები რომ უზრუნველყოფილი იყვნენ, რექტორებს ემველებოდნენ თვით მეფე, კათალიკოზი და სხვანიც. ამის გარანტიას აძლევდა მეფე ერეკლე სემინარიის რექტორს: „...მოწაფეთ შემოგოკრეთ და ქ[ი]ლასოძია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერა“-ო<sup>3</sup>.

1758 წ. დაარსებულ თელავის „ფილოსოფიურ“ სკოლაში თუ მოზრდილებიც სწავლობდნენ „ყრმათა“ გვერდით<sup>4</sup>, სემინა-

<sup>1</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი ნიკოლოზ დეკანოზისადმი, საქ. მუხ. № 2510 H.  
<sup>2</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომის თ. I.  
<sup>3</sup> 1790 წ. 21 სექტემბერს დავით რექტორისადმი გაცემული სიგელი, — საქ. მუხ. № 1068 Qd.  
<sup>4</sup> დოსითეოს ნეკრესელი, წინასიტყვაობა „რიტორებისა“, 1761 წ., — საქ. მუხ. № 1137 S.





რიებში კი მოსწავლეებად დასახელებული არიან „წჭრილხი სემინარისტნი“<sup>1</sup> და „ჭაბუკნი“<sup>2</sup>; თბილისის სემინარიაში ადრე, როცა თელავის სემინარია არ არსებობდა და „ანტონ პირველი“ მოზრდილებიც კი გვხვდებიან. სემინარისტთა შორის მოზრდილები გვიანაც იმყოფებოდნენ; მაგალითად, დავით რექტორი 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში მოწვეული „შეკრებულების“ აღწერაში „სემინარისტთა“ შორის „მდივან სვმონ“-საც თვლის<sup>3</sup>. მაგრამ მათი პროცენტული შეფარდება მოსწავლეთა საერთო რიცხვთან უთუოდ თანდათანობით კლებულობს, რადგან სათანადო გვიანდელ საბუთებში უფრო იშვიათად იხსნებიან სემინარისტებად.

ანტონ კათალიკოზი თავის სასახლეში გამართულ თბილისის სასულიერო სემინარიაში, როგორც ჩანს, იღებდა მოწაფეებად განსაკუთრებით თავის მიერ შერჩეულ ნიჭიერ და ცოდნის მოტრფიალ „ჭაბუკთ“. მაგალითად, ის მოგვიხსნობს: „...წელიწადსა 1763 პირველად წარმოვედ რა როსიით და მოვიწიე მამულად და ქვეყანად ჩემდა, ვიხილე ტფილისის შინა ხსენებული იგი დიაკონი (ლაპარაკია გაიოზის შესახებ.—ა. რ.) ჭაბუკად, რომელს ძალ ედვათ თუ სადამე მასწავლებელი მისდა იქმნებოდა ვინმე, სწავლად აზნაურნი და თავისუფალნი ცნობანიცა. გარნა წიგნი ოდენ ესწავა და სხვაჲ არა რაჲ და შემოვიყვანე იგი საეპისკოპოსოდ სახლად ჩემდა და სხვათა თანა ჭაბუკთა თვთ მე მომისმენიეს მაგისდა ცნობანი ესე ქვემო წერილნი“—ო<sup>4</sup>.

ზემომოტანილი ამონაწერიდან ჩანს ისიც, რომ სემინარიაში მისაღებ მოსწავლეს „წიგნი“ მაინც უნდა სცოდნოდა, ე. ი. დაბალი განათლება მაინც უნდა ჰქონოდა წინასწარ მიღებული. საამისოდ კი, როგორც ქვევით მოთხრობილი გვაქვს, მამინ ქართლ-კახეთში სათანადო სხვადასხვა სასწავლებლები და მასწავლებლები არსებობდნენ მრავალ ადგილას<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. დავით რექტორის მიერ თელავის სემინარიისაგან მოწვეული „შეკრებულების“ აღწერა, — საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2510 H, ანტონ პირველის წერილი — „ასტარნისი არხიერთან მიწერილი გაიოსის საქმეზედ“.  
<sup>3</sup> საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4.  
<sup>4</sup> იხ. ანტონ პირველის ზემოხსენებული წერილი „გაიოსის საქმეზედ“.  
<sup>5</sup> იხ. ამით შესახებ წინამდებარე ნაშრომში ამავე (II) თავის მომდევნო §-ები: 3, 4 და 5.



ანტონ პირველი თბილისის სემინარიაში რექტორი თელავის სემინარიისა) „სხვათა თანა ჰაბუკა“ უკითხავდა ლექციებს შემდეგ საგნებში („თუ მე მომიხმენიეს მაგისა და ცნობანი ესე ქვემო წერილი“): „1. ღრამმატიკა, 2. პიოტიკასა ჯელოვნებასა შინა გამომიციდის, 3. რიტორიკაჲ, 4. ლოლიკაჲ ბაუმეისტრისა, 5. ქვეთქმულებანი (ე. ი. კატეგორიები.—ა. რ.) ძველის სხოლასტიკისა არისტოტელესნი, მეექვსე — მეტაფისიკაჲ ბაუმეისტრისავე, 7. ჭისიკაჲ სხვა და სხვათაგან ჭილოსოფოსთა ქმნილი, 8. ჭილოსოფია მორალი მისვე ბაუმეისტრისა“—ო,—გადმოგვცემს თვით ანტონი<sup>1</sup>.

შემოხსენებულ საგნებს თბილისში თვით ანტონ პირველი ასწავლიდა, მაგრამ, ცხადია, იმავე დროს სხვა საგნებიც ისწავლებოდა სხვა მასწავლებელთაგანაც სემინარიებში. მართლაც, ქვემოთაღნიშნულ სხვა ამონაწერებში ამ საგნებთან ერთად ის სხვა საგნებიც დასახელებული არიან ანტონის თანამედროვეთაგან. იმ სხვა საგნებს ჩვენ ქვევით მოტანილ ციტატებში ხაზს ვუსვამთ უკვე დასახელებულთაგან გამორჩევისათვის, რომ დამატებით ამ საგნებისა გავითვალისწინოთ.

დავით ბატონიშვილის ცნობით, თბილისისა და თელავის სემინარიებში „ისწავლებოდა ქვემოხსენებული საგნები: ა) საღმრთო სჯული და საეკლესიო ისტორია; ბ) მშობლიური ენა (отечественный язык) და წესები სამოქალაქო ზნეობისა (правила нравственности гражданской); გ) გრამატიკა, რიტორიკა, ფილოსოფია და ღვთისმეტყველება (აქ ორივე საგანში ბაუმეისტერის „ჭილოსოფია მორალ“—სა და მისივე „მეტაფისიკა“—ზე მეტი იგულისხმება, ამიტომ ორივეს ხაზს ვუსვამთ.—ა. რ.); დ) არითმეტიკა და დასაწყისი საფუძვლები მათემატიკისა (начальные основания математики)“.<sup>2</sup> ანტონ მეორეც 1801 წ. გენ. კნორინგის კითხვებზე გაცემულ პასუხში წერს: ერეკლე მეორის დროს თბილისისა და თელავის სემინარიებში „სწავლობდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას“—ო და სხვა<sup>3</sup> (აქაც ორივე საგანს ხაზს

<sup>1</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი — „ასტარხნის არხიერთან მიწერილი ვაილის საქმეზედ“, საქ. მუხ. № 2510 Н.  
<sup>2</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовования“, მუხ. 177.  
<sup>3</sup> А кты Кавк. археогр. комиссии, I, გვ. 530.  
 5. აბ. როვაკა.



ვუსვამთ ზემოხსენებული მიზეზისა გამო.—ა. რ.). ერეკლე მეფემ (1790 წ. 21 სექტემბერს დავით რექტორისადმი გაცემულ სიგელში მის საკურადლებოდ განსაკუთრებით აღნიშნავს: „...მონაწილეობა რიაში „...მოწაფეთ შემოგოკრეთ და ფ[ი]ლანტროპიკურად სიტყვას ხაზს ვუსვამთ ზემოხსენებული მიზეზებისა გამო.—ა. რ.) უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერა“-ო<sup>1</sup>. აქ ერეკლეს სიტყვა „წერა“-ში სემინარიისტებისათვის არა უბრალო მართლწერის სწავლება იგულისხმება,—ამას ისინი დაბალ სკოლებში უფრო ხანგრძლივ სწავლობდნენ,—არამედ, უქვევლია, ანტონის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის სრული მოძარჯვებითა და, საერთოდ, მეცნიერულ-ლიტერატურული ერთ ცოდნა წერისა („...უნდა მოასმენინო... წერა“) ყველა იმ საჭირო საქმითი ნაწარმოებისა, რომელსაც სემინარიის დასრულების შემდეგ, საშუალო ცოდნის მქონე აბალკაზრდისაგან საზოგადოების სასარგებლოდ და ცხოვრებაში რეალურ გამოსაყენებლად მოელოდა დიდებული მეფე.

ზეიმოტანილი ციტატებიდან ირკვევა, რომ სასულიერო საგნების გარდა, რიგ მეცნიერულ დისციპლინებსაც სწავლობდნენ თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში. არ უნდა დავგავიწყდეს ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ სიტყვა „ფილოსოფია“-ს (ჟ „ფილოსოფია“) ქვეშ მაშინ არა მხოლოდ საკუთრივ ფილოსოფიას გულისხმობდნენ, არამედ ფართო ცხებით იხმარებოდა და ლოგიკას, ფსიქოლოგიას და ფიზიკასაც შეიცავდა. მაშასადამე, ეს საგნები სემინარიებში ისწავლებოდა. მართლაც, როგორც ზევით ვნახეთ, მათგან კერძოდ „ფისიკა“-ს თვით ანტონ პირველი ასწავლიდა თურმე თბილისის სემინარიაში, აგრეთვე „ლოლიკა“-საც; ფსიქოლოგია კი — „მეტაფისიკა“-სთან დაკავშირებით ისწავლებოდა<sup>2</sup>. აგრეთვე, როგორც ითქვა, ასწავლიდნენ სემინარიებში ასეთ მეცნიერულ ანუ საერო ხასიათის საგნებს გრამატიკას, პოეტიკას, რიტორიკას, მშობლიურ (ქართულ) ლიტერატურას (დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ტექსტში ნათქვამი „арифметика и физика“, რომელიც ჩვენ ზევით „მშობლიურ ენა“-დ ვთარგმნეთ, უთუოდ

<sup>1</sup> საქ. მუზ. № 1068 Qd.

<sup>2</sup> ამ მხრივ დამაზნასათებელია, კერძოდ, თუნდაც ანტონ პირველის „ფილოსოფიური“ თხზულება „სპეკალი“: მასში საკუთრივ ფილოსოფია, ლოგიკა, მეტაფიზიკური ფსიქოლოგია და სხვაგვარი რამ ტექსტებიც მოცემულია (იხ. აბ. როვავას ნაშრომი „სპეკალი“ ანტონ პირველისა“ და კამოაყენად დამაზნებული ანტონის „სპეკალი“ ისტორიის ინსტიტუტში; შეად საქ. მუზ. № 1743A).



არა მარტო ენას, არამედ განსაკუთრებით მშობლიურ ლიტერატურას გულისხმობს, რადგან „გრამატიკა“ მისგან დამოუკიდებელია (აქვს დასახელებული), სამოქალაქო ზნეობის წესებს, (არაერთმეტყველად და „დასაწყის საფუძვლებს მათემატიკისას“ (უთუოდ ელემენტარულ ალგებრას, გეომეტრიასა და სხვ.) და მეცნიერულად გამართული ლიტერატურული ენით წერას. საფიქრებელია, აგრეთვე, ესწავლათ სემინარიებში სამოქალაქო ისტორიაც: ანტონ პირველის მიერ 1762 წ. რუსულიდან ვადმოთარგმნილი „კვანტოს კურციოსის «საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისა»“<sup>1</sup>, აგრეთვე სხვათა ნაწარმოებებიც, კერძოდ, მშობლიური „ქართლის ცხოვრება“ და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ერის ისტორიის შესასწავლად უთუოდ არა მარტო დაბალ სკოლებში იხმარებოდა სახელმძღვანელოდ ანტონ პირველის მიერ შედგენილი პატარა წიგნი „საქართულო-ჯსა მეფეთა შთამომავლობათათვის“<sup>2</sup>, არამედ იგი ელემენტარული ცოდნის განსამტკიცებლად პირველ ხანაში სემინარიისტებისათვისაც გამოდგებოდა.

ანტონ პირველის სიტყვით, სემინარიებში „მოწაუენი“ სწავლობდნენ „თავისუფალნიცა და აზნაურნი ცნობანი გოგონისნი“-ს<sup>3</sup>. ანტონი ამ სიტყვებში გულისხმობს, რა თქმა უნდა, ზემოხსენებულ მეცნიერულ ანუ საერო ხასიათის სასწავლო საგნებს სემინარიებისას და იქნებ კიდევ სხვა ამგვარივე საზოგადო მნიშვნელობის საგნებსაც. ამრიგად, გარდა სასულიერო საგნებისა, სემინარიებში ისწავლებოდა ზემოხსენებული რიგი მეცნიერული დისციპლინებისა ანუ საერო საზოგადო მნიშვნელობის საგნები. ანტონმა საამისოდ კიდევაც თარგმნა ან თვით შეადგინა რიგი სხვადასხვაგვარი სახელმძღვანელოებისა,<sup>4</sup> აგრეთვე განსაკუთრებით მისივე წინამძღოლობით თარგმნეს ან შეადგინეს სხვა თანამედროვეებმაც<sup>5</sup> და სხვა. ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის მიერ თუ რა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასეთი საერო ხასიათის საგანთა ანუ მეცნიერებათა ფართოდ გავრცელებას საქართველოში — ამის შესახებ ჩვენ მიერ ზევით საკმაოდ ითქვა<sup>6</sup> და კვლავ არ გავიუმოვებთ.

<sup>1</sup> იხ. საქ. მუხ. №№: 1273 S, 410 S, 3673 S, 394 S.  
<sup>2</sup> შემოწმებულია მოავალი ზელხაწური, იხ. საქ. მუხ. №№: 1082 H, 2316S, 1137A, 4989S და სხვ.  
<sup>3</sup> იხ. მისი 1767 წ. გრამატიკა, „ზედა-დაპროტოქა მესამისა ნაწილისად...“, § 23, — საქ. მუხ. № 720A.  
<sup>4</sup> იხ. მათ შესახებ წინამდებარე ნაშრომის ამავე (II) თავის § 9-ში.  
<sup>5</sup> გაიზო რექტოზა, დავით რექტოზა, დოსითეოზ ნეკრესელმა და სხვებმაც.  
<sup>6</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში.

შემონახული საისტორიო მასალების მიხედვით, რამდენადაც ჩვენ მათ ჯერჯერობით ვიცნობთ, ველარ ხერხდებდა აღვადგინოთ სრული სურათი იმ პედაგოგიური პროცესისა, რომელიც იმისათვის ხდებოდა სემინარიებში ზემოხსენებულ საგანთა სწავლებას მიუხედავად ამისა, ზოგი რამის აღნიშვნა მაინც აუცილებელია.

სემინარიებში მიღებული ყოფილა ლექციური მეთოდი სწავლებისა. მაგალითად, თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობისა გამო ანტონ პირველს გაიოზის (გვიან რექტორი თელავის სემინარიისა) შესახებ ნათქვამი აქვს: „სხვათა თანა ჭაბუკთა“ „თუთ მე მომისმენიეს მაგის და ცნობანი ესე ქვემო წერილნი“-ო და ჩამოთვლის იმ საგნებს, რომელთაც მათ ასწავლიდა<sup>1</sup>. აგრეთვე, ერეკლე მეფეც 1790 წ. 21 სექტემბერს დავით რექტორისადმი გაცემულ სიგელში მის საყურადღებოდ აღნიშნავს: თელავის სემინარიაში „...მოწაფეთ შემოგვიკრფეთ და ფილასოფია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერა“-ო.<sup>2</sup> ამრიგად, ორივე სემინარიაში მასწავლებელთა მეტყველებით მოსწავლეთა მიერ სასწავლო საგნების „მოსმენა“ ხდებოდა, ე. ი. მათგან ლექციური მეთოდით სასწავლო დისციპლინების გადაცემა მსმენელთადმი.

აგრეთვე, სემინარიებში წარმოებდა მოსწავლეთა გამოცდა სასწავლო საგნებში. მაგალითად, ანტონ პირველი გადმოგვცემს: თბილისის სემინარიაში გაიოზი „თუთ მე... პიტიკასა გელოვნებასა შინა გამომიცდიეს“-ო<sup>3</sup>, და სხვ.

სემინარიებში სასწავლო საგნების სწავლებასა და მოსწავლეთაგან მათ ათვისებას, რა თქმა უნდა, ძლიერ ზღვს უწყობდა ამ სკოლებში მუშაობის კარგად დაყენებისათვის მიღებული წამახალისებელი საშუალებანიც: სწავლაში წარმატებისათვის სემინარისტის დაჯილდოება მეფის მიერ, მეფისა და ბატონიშვილების სტუმრობა სემინარიაში და განსაკუთრებით კი საზეიმო „შეკრებულება“, რომელიც თავისებურ გამოცდას წარმოადგენდა არათუ მოსწავლეთა, არამედ მთელი სემინარიისას<sup>4</sup>.

სემინარიაში „სიტყუა კათედრით რექტორისა“ წარმოითქმოდა<sup>5</sup>

<sup>1</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი—„ასტარხნის არხიერთან მიწერილი გაიოსის საქმეზედ“, საქ. მუხ. № 2510H.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1068 Qd.

<sup>3</sup> იხ. ანტონ პირველის ზემოხსენებული წერილი, საქ. მუხ. № 2510H.

<sup>4</sup> იხ. ამათ შესახებ ვრცლად წინამდებარე ნაშრომის ამავე (II) თავში, § 2-ის „ზ“ განაკვეთში.

<sup>5</sup> დავით რექტორის მიერ 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში მომხდარი „შეკრებულების“ მოკლე აღწერა, საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4.



და უაუოდ სხვა პედაგოგებიც საჭიროებდას თავიანთ სიტყვებს  
 სემინარიაში კათედრიდანვე იტყოდნენ. ამასთანავე, **სემინარიის**  
 დარბაზში მასწავლებელი ანუ ლექტორი თავის **სემინარიის**  
 უეჭველია, კათედრიდანვე კითხულობდა. ეს რომ ასე იყო, ამას  
 მოწმობს ანტონ პირველის „სპეკალის“ ერთი ადგი-  
 ლიც. ავტორს საუბარი აქვს შეგარძნებათა ორგანოების შესახებ,  
 გაარჩევს მათ სხვადასხვა თვისებების მიხედვით და სხვათა შორის  
 გადმოგვცემს: „შერმეცა განრჩეულ იქმნების მალიად  
 პყრობითა, რამეთუ ხედვითნი მალიად იპყრობენ  
 განშორებულსა. სხვა იქმნებიან ვიდრემე ადგილითა, რამეთუ  
 არიან ხედვითნი რეცა მალალსა ზედა კათედრასა;  
 ხოლო შემდგომი და ჭეორე არს სმენითი“-ო<sup>1</sup>. რა თქმა  
 უნდა, ასეთი ფსიქოლოგიური თვალსაზრისის მქონე, სემინარიების  
 „დირექტორი, პროტექტორი და დიდასკოლოსი“ ანტონ პირველი  
 „კათედრაზე“ არა მარტო რექტორს, არამედ სემინარიის ყოველ  
 მასწავლებელს ავალდებულებდა ლექციის კითხვისას თუ სიტ-  
 ყვის წარმოთქმისას დგომას, „მოწაფეებს“ კი „მოსმენას“, რო-  
 გორც ზევით ითქვა.

დავით რექტორის სიტყვით, 1783 წ. 28 მაისს თელავის  
 სემინარიაში მოწვეული „შეკრებულების“ წინაშე „წჭრილთა სემინა-  
 რისტთაგან ითქვა ურთიერთისადმი სიტყუა განცუფრე-  
 ბითი და მაწუტველობითი სიბრძნისათვის“<sup>2</sup>. ავტორი  
 არ გადმოგვცემს კონკრეტულად თუ რაში გამოიხატებოდა ასეთი  
 „ურთიერთისადმი სიტყუა“ მათ შორის. საფიქრებელია, იგი ყოფი-  
 ლიყო ამ მცირეწლოვან სემინარისტთა ურთიერთისადმი შეჯიბრე-  
 ბა მათი ცოდნის გამოსამქლავნებლად (გაზიარება ლექსებითა და  
 აფორიზმებით, მოულოდნელი კითხვების დასმა ერთმანეთისადმი და  
 მოქნილი პასუხები და სხვ. მისთ.). სწავლების ამ ხერხს სემინარიებ-  
 ში, უეჭველია, სხვა დროსაც იშველიებდნენ პედაგოგები.

სემინარიაში ეწყობოდა „პაექრობა სემინარისტთა“ საზეი-  
 მო „შეკრებულების“ დროს<sup>3</sup>. უეჭველია, მოსწავლეთა პაექრობა  
 (დისპუტი) სემინარიაში ჩვეულებრივი იყო სხვა დროსაც, რო-  
 გორც საგანთა შესწავლის ერთ-ერთი ხერხი. მას, რა თქმა უნდა,  
 ხელმძღვანელობდა იმ საგნის მასწავლებელი, რომლის საგნის საკით-  
 ხებიც პაექრობაზე გამოტანილი იქნებოდა.

<sup>1</sup> „სპეკალი“, თ. 132.  
<sup>2</sup> დავით რექტორის მიერ იმავე „შეკრებულების“ აღწერა, საქ. მუხ.  
 № 2291 H, ფურც. 4.  
<sup>3</sup> იქვე.



სემინარიაში ეწყობოდა „სემინარისტთაგან კითხვა-მიგება“<sup>1</sup> — დიალოგი საზეიმო „შეკრებულების“ დროს<sup>2</sup>. უმეტესად როგორც საგანთა შესწავლის ერთ-ერთი ხერხი, ჩვენს სემინარიაში სხვა დროსაც. სხვათა შორის, „კითხვა-მიგებით“ ხერხით იმ დროს ჩვეულებრივი იყო არათუ ზეპირი სწავლება, არამედ XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც რიგი სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის წიგნებიც<sup>3</sup> იწერებოდა ამავე ხერხით. ჩანს, საგნის სწავლებისა და შესწავლისათვის ანტიკური ქვეყნებიდან მომდინარე ეს ხერხი (სოკრატესი, პლატონისა და სხვათა) ძლიერ ემარჯვებოდათ ერეკლესა და ანტონის დროსაც და შემდეგაც ჩვენს პედაგოგებსა და თვით მწერლებსაც კი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სემინარიაში მაშინ გალობასაც ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. გალობას, როგორც ქვევით ნათქვამია, მაშინ დაბალი ცოდნის მიღებისას ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ<sup>4</sup> და, უეჭველია, ის უფრო სრულყოფილად და მრავალფეროვნად ისწავლებოდა სემინარიებშიც. მაგალითად, 1783 წ. 28 მაისს, თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე მოწვეული „შეკრებულების“ წინაშე სემინარისტების მიერ ზეიმის დასაწყისს „ითქვა გალობით «მეუფეო ზეცათაო»“, ხოლო „დასრულებსა ზედა ითქვა გალობით მუჟღნი «ყოვლისავე მომცემელ არს სული წმინდა» და «შენდამი იხარებს მიმადლებულო»“, როგორც მოგვითხრობს დავით აღმაშენებელი, გვიან რექტორი ამავე სემინარიისა<sup>5</sup>. ამ დროსაც ძველთაგანვე ჩვენში არსებობდნენ ცნობილი მგალობლები, — მაგალითად, „სირი, ფსალმუნთა მსტვნავი“ ეფრემი, ანტონ პირველთან დაახლოებული განათლებული სასულიერო პირი<sup>6</sup>, და სხვანი, — და, საფიქრებელია, ასეთი მგალობლები სემინარიებში გამოეყენებინათ გალობის მასწავლებლებად.

ზემოხსენებული საგნების გარდა, შესაძლებელია, სემინარიებში სხვა საგნებიც ისწავლებოდა, მაგრამ ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილ საისტორიო მასალებში ამის შესახებ პირდაპირი ცნობები ვერ გვიპოვია. ამასთანავე გამოსარკვევი რჩება ზემოდასახელებული

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იხ. თუნდაც იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და სხვა მისთ.  
<sup>3</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომის ამავე (II) თავის § 4 და 5-ში.  
<sup>4</sup> დავით რექტორის მიერ იმავე „შეკრებულების“ აღწერა, საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4.  
<sup>5</sup> П. Л. Иоселиани, Описание древностей гор. Тифлиса, 1866 г., стр. 195—196.



საგნების სწავლების ის სხვა მეთოდები, ხერხები და საშუალებები, რომლებსაც, შემოხსენებულთა გარდა, უთუოდ კიდევ უმრავლესნი პედაგოგები თბილისისა და თელავის სემინარიებში მოსწავლეთა ცოდნის ამოღებისათვის. საერთოდ, ასეთი საკითხები უფრო ღრმად და ფართოდ სპეციალურ გამოკვლევებს საჭიროებს სათანადო ყველა საარქივო მასალის შესწავლით არა მარტო ერეკლე მეორის ხანის, არამედ მთელი აღრინდელი, ძველი საქართველოს სააღმზრდელო დაწესებულებებისას. ეს საქმე კი წინამდებარე ნაშრომის მიზანთა ფარგლებს დიდად სცილდება და მომავალში ჩვენი კულტურის ისტორიის მკვლევართა საპატიო მოვალეობას წარმოადგენს.

**ზ) სემინარიებში მუშაობის კარგად დაყენებისათვის წამახალიხებელი საშუალებანი**

სწავლაში ყველაზე უფრო წარმატებული მოსწავლე სემინარიის მეფისაგან ჯილდოს იღებდა და ძას საზოგადო მოწონებაც კი ჰქონია. სემინარიის მოწაფის ასეთი გარემოების შესახებ გადმოგვცემს ანტონ პირველი თავის 1767 წლის გრამატიკაში „შორისდებულის“ განსაზღვრის შემდეგ ერთ-ერთ მაგალითში. მაგალითში აღებულია შორისდებულად „ვაშა“: „დაეკჳთების, ვითარმედ შორის-დებულთანი მოკიდებულნი ლექსთა თანა, რათა თავით თვსით შევიდნენ სიტყჳათა შინა. მაგალ: «ძე შენი, რომელი მიეც სემინარიასა შინა ჩჳცნსა სწავლად გნოსისთა, სრულ-ჰყო მან ღღეს ჭილოსოჳიაჲ ხედვითი და წარემატა ყოველთა თანა-მოწაფეთა თვსთა, რომლისათვს სიბრძნის-მოყჳარისა მეფისაგან მიიღო ჯილდოჲ». გარნა შესაბამ არს მიგებად «ვაშა!»; რომელიცა დაიდების თავით თვსით»<sup>1</sup>.

მეფე ერეკლე და ბატონიშვილები ხანდახან ესტუმრებოდნენ სემინარიას. ასეთ შემთხვევაში მათ სემინარია გულთბილ შეხვედრას უწყობდა და ქებითაც მოსავდნენ დამბდურნი. მაგალითად, მეფე ერეკლესადმი მიძღვნილი ასეთი ერთ-ერთი ქების ბოლოს მიწერილია: „ეს ათორმეტი იამბიკო მე, ალექსის ძემან რეკტორმან დავით, გაუკეთე ჩემს მოწაფეთ ქალაქსა შინა თელავს, სემინარიასა, მისის სიმალლის მეფის ირაკლის მეორის შესხმად. ოდესცა სემინარიასა შინა შემობძანდა, მაშინ მარჯულ და მარცხულ თითო-თითო მოახსენეს

<sup>1</sup> საქ. მეზ. № 720A, გვ. 214, § 305; შვად. რ. ერისთავის მიერ გამოც., გვ. 212.





მიმოგდებით, სექტემბერს 13, წელსა 1791<sup>1</sup>-ა. აზგვარადევი და ვით რექტორის ვე მიერ დაწერილ შესაფერის ქებას უძღვნიან „სემინარისტნი“ „სემინარიასა შინა“ ვახტანგ ბატონიშვილს 1791 წ. 16 თებერვალს<sup>2</sup>. აგრეთვე, დავით რექტორის მიერ შეთხზულ ქებას უძღვნიან „ზოგად მოწაფენი“ თელავის სემინარიაშივე დავით გიორგისძე ბატონიშვილს 1791 წ. 2 აპრილს<sup>3</sup> და ა. შ.. ჩანს, ერეკლე მეფის მიბაძვით მისი შთამომავალი ბატონიშვილებიც თავიანთი მხრივ ინტერესს იჩენენ სემინარიის მუშაობისადმი. ასეთი სტუმრობა, რა თქმა უნდა, თბილისის სემინარიაშიაც იშვიათი აღარ უნდა ყოფილიყო და ორივე სემინარია, ბუნებრივია, მეფის ოჯახისგან იღებდა მრავალგვარ დახმარებასა და ხელისშეწყობას. ამასთანავე, უეჭველია, ასეთი სტუმრობა ახალისებდა თითოეული სემინარიის მთელ შემადგენლობას და უძლიერებდა სტიმულს საკუთარ საქმიანობაში.

სემინარიაში ეწყობოდა „შეკრებულება“. ამ „შეკრებულებაზე“ იკრიბებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო „უჩინებულესნი მოწოდებულთაგანნი“. მოწვეული სტუმრების წინაშე ხდებოდა დემონსტრაცია სემინარისტთა ცოდნისა: ეწყობოდა საჯარო „პაექრობა“ სემინარისტთა შორის მეცნიერულ საკითხებზე, ხდებოდა დიალოგი სხვადასხვა საკითხებზე, წარმოითქმოდა „წუტილთა სემინარისტთაგან... ურთიერთისადმი სიტყუთა განცუფრებითი და მაწუცველობითი სიბრძნისათვის“ და სხვა მისთანანი. ამ „შეკრებულებას“ ჰქონდა სემინარისტთა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მნიშვნელობის გარდა, დამსწრე საზოგადოებისათვისაც განათლებისა და პოლიტიკური თვალსაზრისით სააგიტაციო-საპროპაგანდო მნიშვნელობაც: წარმოითქმოდა, მაგალითად, „სიტყუთა კათედრით რექტორისა მიერ განდიდებისათვის ვითარებისა იმისის მეფობის დიდებულების საქმეთა“ და სახელმწიფოსათვის მეცნიერების „ჭაზრთა სარგებლობის“ შესახებ, წაიკითხებოდა „ეპისტოლე“ კათალიკოზისა „სემინარისტთადმი ბოძებული“ და სხვა. სანიმუშოდ მოვიტანთ დავით რექტორის მიერ შექმნილ მოკლე აღწერილობას თელავში მომხდარ ასეთ ერთ-ერთ „შეკრებულებისას“. თელავში „წელსა 1783, მაისს 28 დღესაჲ, ჟამსა 3 იქმნა შე-

<sup>1</sup> საქ. მუხ № 1785 S.

<sup>2</sup> იხ. ზემოხს. ხელნაწერში.

<sup>3</sup> იხ. ზემოხს. ხელნაწერში.

<sup>4</sup> თელავის სემინარია დაარსდა 1782 წ. 28 მაისს; ეს „შეკრებულება“ კი, ჩანს, საზეიმოა მისი არსებობის წლისთავზე.



მოკრება აქაურთა ჩინებულთა სამღმედლოთა და საე-  
როთა უფალთა სემინარიად და შემდგომად სრულყოფილად  
მოკრებისა მათისა, ითქვა გალობით «მეუფეო ზეცათაოა რომლისა  
თქმისა შემდგომად დასხდენ უჩინებულესნი მოწოდებულ-  
თაგანნი შესაბამად თვს-თვსთა ადგილთა სკამებთა ზედა.  
და ესრეთ წყრილთა სემინარისტთაგან ითქვა ურთი-  
ერთისადმი სიტყვა განცუფრებითი და მაწუცველო-  
ბითი სიბრძნისათვს. ამისა შემდგომად ითქვა სიტყვა კა-  
თედრით რექტორისა მიერ განდიდებისათვს ვითარე-  
ბისა იმისის მეფობის დიდებულების საქმეთა და მოკ-  
ლედ ცხად-ყოფისათვს საღრამმატიკოთა ჰაზრთა  
სარგებლობისა. და შემდგომად სრულ-ყოფისა სიტყვისა ამის,  
იწყეს პაექრობა სემინარისტთა საღრამმატიკოთა და-  
დებულებათა ზედა, რომლისაცა დამწყებელ იქმნა მდივანი  
სკომონ. და შემდგომად პაექრობისა ამის სრულ-ყოფისა, ითქვავე  
წყრილთა სემინარისტთაგან კითხვა-მიგებით ჰაზრი ღვთისათვს  
და სარწმუნოებისა. და მერმე წაკითხულ იქმნა ეპისტოლე  
იმის უწმიდესობის სემინარისტთადმი ბოძებული.  
ამის შემდგომად ითქვა სიტყვა მადლობისა რექტორის  
შიერ იმისის მალის ყოვლად-სამღმედლოების ნეკრესის ეპისკო-  
პოსის დოსითეოს ჩერქეზისადმი, და კვალად მუნ შემოკრებულ-  
თა უფალთადმი და სემინარისტთადმი. და შემდგომად ამისა ითქვა  
სემინარისტისაგანვე მოკლე სასათნოებო ქრისტე-  
ანებრი სწავლა. და ესრეთ დასრულებასა ზედა ითქვა გალო-  
ბით მეტლნი «ყოვლისავე მომცემელ არს სული წმიდა» და «შენდა-  
ში იხარებს მიმადლებულთა»<sup>1</sup>.

დღემდე შემონახულია შემოხსენებული „დადებულება სა-  
ღრამმატიკო საზოგადოებასა პაექრობისათვს“-ის ტექს-  
ტი, რომლითაც შემოხსენებულსავე პაექრობისას ხელმძღვანელობდნენ  
თელავის სემინარიის მოწაფენი, 1783 წ. 28 მაისს, და, უეჭველია,  
შემდეგ სხვა სემინარისტებსაც ამგვარივე პაექრობისას სანიმუშოდ  
გამოადგებოდათ. იგი შედგენილია გაიოზ რექტორის შიერ,  
შიეცავს 12 მუხლს და გააჩნია ამ მუხლთა განმარტებებიც<sup>2</sup>. ამ  
„დადებულებას“ „...მუნებურთა გნოსისთა დიდასკოლოსს და  
სემინარიათა დირექტორს და პროტექტორს, მეფის  
ძეს ანტონის მიართმევს მონებრის სიმდაბლით მისტეც სემი-

<sup>1</sup> დავით რექტორი, 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში მოწვეული  
„შეკრებულების“ მოკლე აღწერა, საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 4.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2291 H, ფურც. 13—18.

ნარიის რექტორი არხიმანდრიტი გაიოს<sup>1</sup>.<sup>1</sup> გაიოსვე დაუწერია „საზღვარი ღრამმატიკისა“. — ეგრეთვე ტერმინებისა და კატეგორიების მოკლე განმარტებები მოპაექრე სემინარისტათვის მაშინ განსაკუთრებით საჭიროა. შემონახულია, აგრეთვე, 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში მოწვეულ „შეკრებულებაზე“ გაიოს რექტორის მიერ ერეკლე მეორის, ანტონ პირველის, დოსითეოს ნეკრესელისა და სხვათა მიმართ წარმოთქმული მაღალი პატრიოტული სიტყვის ტექსტი<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, ანტონ პირველის „პროტექტორობითა“ და „ღიდასკოლოსური და დირექტორული“ შთაგონებითა და ბრძანებებით ეწყობოდა სემინარიებში ასეთი „შეკრებულებანი“. 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში „შეკრებულების“ რიგ საქმეთა უშუალო მოქმედად და საერთოდ მის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად ანტონ პირველის წინაშე თუ ამავე სემინარიის რექტორი, მისივე მოწაფე გაიოსი ჩანს, თბილისის სემინარიაშიაც, უძველია, ეწყობოდა ამგვარი „შეკრებულება“ და ანტონ პირველის წინაშე ასეთივე პასუხისმგებლად მეორე მისი მოწაფე იოანე ოსესძე ან რომელიმე სხვა რექტორი უნდა ყოფილიყო. როგორც ვნახეთ, 1783 წ. 28 მაისს თელავის სემინარიაში მოწვეულ „შეკრებულებას“ გარკვეული წესი და რიგი ახასიათებს. ამასთანავე, აქაური რექტორი გაიოსი საამისოდ წინასწარ მრავალმხრივ შემზადებულიცაა, აგრეთვე, ეგვე ითქმის მთელი სემინარიის შემადგენლობაზედაც. შეუძლებელია მთელი ეს წესი, რიგი და შემზადებულობა ასე მწყობრად 1783 წ. 28 მაისის „შეკრებულებისათვის“ თელავის სემინარიაში წარმოშობილიყო, თუ მას მსგავსი „შეკრებულებანი“ თბილისის სემინარიასა ან კიდევ 1758 წ. დაარსებულ თელავის „ფილოსოფიურ“ სკოლაშიაც არ უსწრებდა ამგვარივე წესით, რიგითა და შესაფერისი გამოცდილებით.

ასეთ „შეკრებულებათა“ მოწყობაც, გარდა სააღმზრდელო მნიშვნელობისა, ცხადია, დიდ სტიჟულს აძლევდა მუშაობაში სემინარიების მოწაფეებსა და მასწავლებლებს. ეგვე, უძველია, ახალისებდა „შეკრებულებაზე“ დამსწრე „ჩინებულთა სამღვდელთა და საეროთა უფალთა“ და მრავალ სხვა გარეშესაც, რომელსაც კიდევ შინც გული შესტკივოდა საზოგადო საქმისათვის.

<sup>1</sup> იგივე ხელნაწერი, ფურც. 13.

<sup>2</sup> იხ. იმავე ხელნაწერში ფურც. 19—22.

<sup>3</sup> იხ. იმავე ხელნაწერში „სიტყუთა საღრამმატიკოსთა...“, ფურც. 5—12.



ერეკლე  
მეორის

სახელმწიფო სკოლების — სემინარიების გარდა, ქართლ-კახეთში ანტონ პიოველისა და ერეკლე მეორის დროს არსებობდნენ კერძო სასწავლებლებიც. დავით ბატონიშვილის სიტყვით, ეს სასწავლებლები ინახებოდნენ საზოგადო კმაყოფიანზე („общественным иждивением“)<sup>1</sup>.

კერძო სასწავლებლები არსებობდნენ არა მარტო ქართველთა შორის, არამედ ასეთი სკოლები ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებ სხვა ეროვნებათა და სარწმუნოებათა წარმომადგენელთაც. მაგალითად, დავით ბატონიშვილისვე სიტყვით, „...в Тифлисе существовали частные училища для прочих исповеданий, как то католиков, армян и магометан... Предметы, в сих училищах преподаваемые, были сходны с обязанностями каждой нации“<sup>2</sup>. ამრიგად, სწავლა-განათლების უფლებით სახელმწიფოში ყოველი ერისა და სარწმუნეობის წარმომადგენელი სარგებლობდნენ.

ქართველთა შორის არსებულ კერძო სასწავლებლებში, დავით ბატონიშვილისვე გადმოცემით, „ასწავლიდნენ საღმრთო სჯულს, ქართულ ენას, გრამატიკასა და არითმეტიკას (წარითმეტიკასა და გრამატიკას)“<sup>3</sup>.

ერეკლე მეორის დროს კათოლიკე მისიონერებს სკოლა ჰქონდათ მათ მიერ 1741—49 წლებში თბილისში საუცხოოდ აშენებულ ხარების ეკლესიასთან. კათალიკოზ ანტონ პირველის „გაკათოლიკებისთან“ დაკავშირებით, 1755 წ. 23 დეკემბერს ეს მისიონერები თეიმურაზ მეორის მიერ ქართლ-კახეთიდან განდევნილ იქნენ, ეს ეკლესიაც ჩამორთმეულ იქნა და, ცხადია, მასთან არსებული კათოლიკური სკოლაც გაუქმდა. 60-იანი წლების დასაწყისიდან კათოლიკე პატრები, ერეკლე მეორის მიერ უკან გაბრუნებულნი, კვლავ მოღვაწეობენ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ხარების ეკლესია მათ ვერ დაიბრუნეს, თბილისშივე სხვაგან მოაწყვეს ეკლესია ერეკლეს

<sup>1</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовдения“, მუხ. 184.

<sup>2</sup> იქვე, მუხლები 181—182.

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 183. დავით ბატონიშვილი აქ (ნაშრომის ორივე ხელნაწერში) „ქართულიენის“ ქვეშ უთუოდ არა მარტო ენას, არამედ განსაკუთრებით მშობლიურ ლიტერატურას გულისხმობს, რადგან „გრამატიკა“ მისგან დამოუკიდებლად აქვს დასახელებული.



დახმარებით და გვიან ისევ სკოლაც გაუშართავთ<sup>1</sup>. მისიონერების ამ აღრინდელსა და გვიანდელ სკოლებში სწავლობდნენ ჩვეულებრივ ქართველ და სხვა ეროვნების კათოლიკეთა შვილები თვით XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც<sup>2</sup>.

მისიონერებს თავიანთი ამგვარი სკოლების და დასავლეთ ევროპული განათლება-მეცნიერების შემოტანისა და გავრცელებისათვის (შეღარებით მაღალი საექიმო ცოდნით ხალხის მკურნალობა, თვით ანტონ პირველისადმი თბზულებების შედგენისას დახმარება<sup>3</sup>, წიგნების გავრცელება და ა. შ.) არათუ აღრე, არამედ განსაკუთრებით ერეკლე მეორის ხანაშიაც ჩვენში ხელი მრავალმხრივ ეწყობოდა. ამ მხრივ მათ საყურადღებო ღვაწლი მიუძღვით ჩვენი ერის შაშინდელი კულტურის განვითარებაში. აკად. კ. ქეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „კათოლიკეთა მისიონერები, რომელთაც ჩვენში შემოჰქონდათ დასავლეთის კივილიზაციის შუქი, ხსნიდნენ სკოლებს, რომლებშიაც ისინი ასწავლიდნენ ენებს: იტალიურს, ლათინურს და ქართულს, აღვიძებდნენ აზროვნებას და ავრცელებდნენ მეცნიერულ ცოდნას“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მეფე ერეკლე II და გიორგი XII პირდებოდნენ კათოლიკე პატრებს ხარების ეკლესიისა და სხვათა დაბრუნებას, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს, ჩანს, კათოლიკეთა მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ წრეთადმი რიდის გამო. თვით გენ. კნორინგის დროსაც, 1801—2 წლებში, რომის პაპის რწმუნებულის საშუალებით კათოლიკენი ცდილობენ დაიბრუნონ გორსა და თბილისში ეკლესიები, ჩამორთმეულნი თეიმურაზ მეორისა და საეკლესიო კრების მიერ, მაგრამ უშედეგოდ. მათთვის ამ ეკლესიების დაბრუნება ისევე უხერხული ზდება და რუსეთის იმპერატორიც არ აკმაყოფილებს მათ სურვილს (იხ. ამის შესახებ მიწერბოწურანი, *Акты Кавк. археогр. комиссии*, I, გვ. 550—551).

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2485 Н. აგრეთვე ამ სკოლების შესახებ იხ. ცნობები შიხთამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902 წ., გვ. 363—409, 502, 518 და სხვაგან. პლატონ იოსელიანიც შეეხება კათოლიკე მისიონერთა ზემოხსენებულ საქმეებს და, როგორც მათი უკანასკნელი კარგი თვითმზილველი, წერს სხვათა შორის შემდეგს: „С 1763 года католики не получив церкви, обращенной уже в православную, исправляли богослужение свое в купленном ими доме, на том месте, где уже в 1804 году при пособии от казны... построили нынешнюю красивую церковь; равно дом для помещенных капуцанов; училище и богадельню и аждивенни и надворнаго советника Караяева, бывшего медика при царях Ираклие и Георгие XIII. Он скончался в 1862 году. В 1844 г римские проповедники удалили и управление католическою церковью в Тифлисе поручено ксензам польским“ („Описание древностей г.р. Тифлиса,“ 1866 г., გვ. 235—236. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.).

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ აპ. როგავას ნაშრომში „სპეკალი“ ანტონ პირველისა“.

<sup>4</sup> კ. ქეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 78.



განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „მისიონერთა მოქმედებას დაემატა რუსეთის კულტურის ზეგავლენაც გამო ჩვენში გამრავლდა რიცხვი ელემენტარული, პირველად სკოლებისა“<sup>1</sup>. ასეთ სკოლათა რიცხვს მიეკუთვნება 1778 წ. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად კურსდამთავრებული და ერეკლე მეორის მიერ საქართველოში გამოწვეული გაიოზის ხელმძღვანელობით თბილისში რუსული ენის შესასწავლად დაარსებული სკოლა<sup>2</sup>.

ერეკლე მეორე და ანტონ პირველი, მათი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის კარნახით, ასეთ საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებს სამეფო და საკათალიკოზო საჭეთმპყრობელობით ხელს ძლიერ უწყობდნენ და ამრიგად აჩქარებდნენ ქართველთა „ევროპეიზაციას“, საბოლოოდ საქართველოს ყოველმხრივი „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ მიზნით.

**§ 4. ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლები ეპარქიაში**

ნახევრად კერძო ტიპის სასწავლებლები უნდა ვუწოდოთ მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის ყოველ ეპარქიაში არსებულ სასულიერო დაბალ სასწავლებლებს: მათი სასწავლო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია და მათზე ყოველმხრივი მეთვალყურეობა ეკისრებოდა ზემდგომ ხელისუფალთა (კათალიკოზი, მეფე, საეკლესიო კრება) მიერ ადგილობრივ ეპისკოპოსს, ხოლო მატერიალური ხარჯები — მოსწავლეთა შრომლებს.

ასეთი სკოლები ჩვეულებრივ არსებობდნენ მონასტრებსა და დიდ ეკლესიებთან და მათში მასწავლებლებად იყვნენ სასულიერო წრის წარმომადგენელნი, უფრო ხშირად ბერები. თბილისში არსებული „სიონის სკოლა იოსებ ტფილელისა“, შემდეგ „საკათალიკოსო სკოლა“ წოდებული<sup>3</sup>, „კალოუზნის, ქაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატის და ნეკრესის სკოლა დოსითეოზ ნეკრესელისა“ და სხვანი<sup>4</sup>, რათქმა უნდა, ზემოდსახელბუღი ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლებია. ზოგიერთი მათგანი ერეკლე მეორის ხანაზე გაცილებით უფრო აღრედაც არსებობდა და ამ მხრივაც მათი საისტორიო

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 355.  
<sup>3</sup> ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა XVIII საუკუნეში, გვ. 32.  
<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 78; შეად. პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეტამეტისა“, 1936 წ. გამოც., გვ. 179.

საბუთები, რომლებსაც ჩვენს სიძველეთა საცავებში აქაიკ ეპოქა-  
ლობთ, ღრმად შესასწავლი რჩება რიგ სხვა საკითხებთან ერთად.

ერეკლე მეორის დროს ამ სასულიერო დაბალ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახელმწიფოს მხარე-  
კათალიკოსს ამ საქმეშიაც კონკრეტული ვალდებულებების დაკის-  
რებით დიდად ჩაუბამს სამღვდელობა: სამღვდელობა იყო ამ სკო-  
ლებს მთავარი მოჭირნახულე მოსწავლეთა სწავლება-აღზრდის  
მხრივ და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირებად აღსაზრდელთა  
სწავლა-განათლება მასიურად სწორედ ამ სასწავლებლებში ხდებოდა.  
ამ სკოლებში შედენილი დაბალი ცოდნის ან კერძოდ იმგვარივე  
განათლების მიღების გარეშე, 1748 წ. 13 ნოემბრის სა-  
ეკლესიო კრების დადგენილებითა<sup>1</sup> და რიგი სხვა სახელ-  
მწიფოებრივი ღონისძიებებითაც, შეუძლებელი იყო ეპისკოპოსის მიერ  
სამღვდლო პირად ვინმეს კურთხევა. ამიტომ მოსწავლეთა დიდი  
რაოდენობა, უკველია. ამ სკოლებისკენ მიისწრაფოდა. ამ სკოლის  
დამთავრების შემდეგ რჩეულნი, რომელთაც კი სხვა სათანადო პირო-  
ბებიც აღმოაჩნდებოდათ, სასულიერო სემინარიებში განაგრძობდნენ  
სწავლას. ამრიგად, სასულიერო სემინარიები განსაკუთრებით ამ  
ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლებით ივსებ-  
დნენ უთუოდ ძირითადად თავის მოსწავლეთა კონტინგენტს. ჩვენი  
ასეთი მსჯელობის საფუძველია ქვემომოტანილი საბუთებიც.

1762 წ. საეკლესიო კრების დადგენილებით, სხვათა  
შორის, ყოველი ეპისკოპოსი ვალდებულია ასწავლოს წერა-კითხვა  
თავის სამწყსოს<sup>2</sup>. ხოლო „ღრამოტა ახლად ჯელ-დასხმუ-  
ლის მღვდელ-მთავრის მისაცემელის“ ტექსტში ეპისკო-  
პოსის ვალდებულებათა შორის ეკითხულობთ: სამწყსოში „... უდი-  
დესისათვის წარმართებისა საქმისა... გაქტნდეს  
ზრუნვაჲ სასწავლებელთათვის, რათა შკლნი სამღვდელ-  
ლოთანთაჲ ჰმოდტრებულ-იყვნენ არა ოდენ სწავლითა, არამედ  
კეთილითაცა ჩტულებითა თანამდებობისადმი მღვდელო-  
ბისა, რათა ეკლესიასა აქტნდეს ღირსნი კაცნი  
დიდისა მის ჩინებულისანი, რათა აღყუანამან მათმან  
მღვდლობასა შინა ჰმსახუროს აღშენებასა მისსა და  
არა დაქცევასა“<sup>3</sup>. ამრიგად, ერეკლე მეორის ხელისუფლებას

<sup>1</sup> იხ. ვინმე მესხის მიერ გამოცემული, „კვალი“, 1894 წ., № 37.

<sup>2</sup> Д. Пурцеладзе, Груз. перек. гуджары, 1881 г., გვ. 40—42.

<sup>3</sup> „ღრამოტა ახლად ჯელ-დასხმულის მღვდელ-მთავრის მისაცემელი“, საქ.  
მეზ. № 1170 S.



ეკლესიისათვის სჭირდებოდა „ღირსნი კაცნი დიდნი მის  
 ღინებულისანი“ და ამიტომ მის დროს კათალიკოზი ამკურნებელი  
 ავალდებულებს ყოველ ეპისკოპოსს „აქტენდეს ზრუნვად სასწავლებელთა  
 ბელთათვის“-ო, სადაც აღიზრდებოდნენ „შვლნი სამღმდელო-  
 თანი... არა ოდენ სწავლითა, არამედ კეთილითაცა ჩუბულე-  
 ბითა თანამდებობისადმი მღმდელოებისა“. ცხადია,  
 აქ საუბარია ყოველი ეპისკოპოსის ეპარქიაში არსე-  
 ზულ სასულიერო დაბალ სასწავლებელთა შესახებ,  
 სადაც აღზრდა-განათლებას ლებულობდნენ თურმე „შვლნი სამღმდე-  
 ლოთანი... თანამდებობისადმი მღმდელოებისა“. ყოველი ამ სასწავ-  
 ლებისადმი ზრუნვა მეთვალყურეობა თავის ეპარქიაში ევალება  
 ადგილობრივ ეპისკოპოსს. ამისათვის პასუხისმგებელია ის, როგორც  
 ჩანს „ღრამოტის“ ტექსტიდან, „უწმინდესი პატრიარქისა“ და „ირაკ-  
 ლი მეორის“ წინაშე ეპისკოპოსად მისი „კელდასხმის“ დროიდანვე<sup>1</sup>.  
 სასკოლო საქმისადმი ამგვარი ყურადღების მიპყრობის აღნიშვნით,  
 ეპისკოპოსისადმი ასეთი „ღრამოტის“ მიცემის წესი ერეკლე მეო-  
 რის დრომდე ჯერ დაუდასტურებელია და, საფიქრებელია, ანტონ  
 პირველს შემოეღო პირველად იგი და შემდეგ ანტონ მეორე-  
 საც გაეცა ასეთი „ღრამოტა“, კერძოდ, 1788 წ. 8 ნოემბერს  
 „ნიქოზის ეპისკოპოზი ათახასისადმიც“<sup>2</sup>.

ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის დროს ქართლ-კახეთში  
 ყოველი ადგილობრივი ეპისკოპოსის პასუხისმგებლობას ხელდასხმის  
 საქმეში და მის მოვალეობას თავის ეპარქიაში ყოველი საეკლესიო  
 მოსამსახურის სათანადო განათლების შესახებ მოწმობს „სწავ-  
 ლა მღმდელო-მთავრისაგან ახლად დადგინებულთა  
 მღმდელოთა მიმართ“-ის ტექსტის შემდეგი ადგილიც: „...  
 საკურთხეველსა შინა... ესრეთ ჯერ არს, რათა თვინიერ მღმდელისა  
 და დიაკონისა და წიგნის მკითხველისა და მგალობელისა—თვინიერ  
 ამათსა არაეინ შევიდეს, რომელიც ხელდასხმული არ იყოს. მღმდელო-  
 მთავრისა მიერ უნდა იცოდეს წიგნის კითხვა,  
 გალობა და ეკკლესიის მსახურება, რამეთუ მნათე ანუ  
 სხვანი მოსამსახურენი წმიდისა ეკლესიისანი ჯერ არს,  
 რამეთუ იყვნენ გამორჩეულ, წმიდა და პატიოსან და არა რაჲ  
 აქტენდეს ბრალი ცოდვისა... და აქტენდეს მათ წესი საღმრ-  
 თოსა რიგისა მღმდელო-მთავრისაგან“<sup>3</sup>. ამრიგად, სათა-  
 ნადო პირად ზნეობრივ ღირსებათა ქონების გარდა, სასულიერო

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იხ. ეს „ღრამოტაც“ საქ. მუხ. № 1170 S-წივგ.  
<sup>3</sup> საქ. მუხ. № 355 A, ფურც. 29—32.



პირად გახდომის მსურველს უნდა შეესწავლა „მღვდელ-მთავრის მიერ“, ე.ი. ეპისკოპოსის ხელისშეწყობითა და იმისივე ეპარქიაში არსებული საშუალებების შემწეობით, საჭიროების შემთხვევაში კითხვა, გალობა და ეკლესიის მსახურება“. საეკლესიო მსახურებაში ბრივ სამსახურზე ეპისკოპოსს უამისოდ არავინ არ უნდა დაენიშნა, ასე რომ ყოველ მნათესაც კი უნდა ჰქონოდა შესწავლილი „წესი საღმრთისა რიგისა მღვდელ-მთავრისაგან“. სამღვდლო პირთა ხელდასხმაც ამგვარი მოთხოვნების გარეშე ეპისკოპოსს აღარ შეეძლო. ასეთი იყო კანონი მაშინ და ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის საეკლესიო სამართალი ქართლ-კახეთში ყოველ ეპისკოპოსსა და საეკლესიო სხვა მსახურს ცხოვრებაში ამის გატარებას მტკიცედ ავალდებულებდა. ეპარქიებში არსებული სასულიერო დაბალი სასწავლებლები კი დიდად შეველოდნენ ადგილობრივ ეპისკოპოსებს მომავალ საეკლესიო მსახურთა აღზრდის საქმეში.

ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ საზრუნავ, ყოველ ეპარქიაში არსებულ სასულიერო დაბალ სასწავლებელთა შესახებ ანტონ მეორე გადმოგვცემს გვიან, 1801 წელს, გენ. კორონგის კითხვებზე გაცემულ პასუხში შემდეგს: „Обучают детей во всех епархиях Карталинии и Кахетии читать и писать и петь. Ученики сии содержатся из своих домов. Во время же блаженной памяти царя Ираклия II были семинарии в Тифлисе и в Телаве, в коих обучались грамматике, реторике, философии, богословию, и содержание имели от царя“<sup>1</sup>. დაახლოებით ამავე დროს ანტონ II კვლავ წერს: „Для духовенства ни в которой уже нет епархии училища, в коем бы преподавались философия и богословие, но в разных местах учат церковным книгам, пению и письму“<sup>2</sup>. ამრიგად, ანტონ მეორის მოწმობით, XIX საუკუნის დასაწყისში ერეკლესდროინდელი სემინარიები, სადაც ასწავლიდნენ ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას, უკვე მოსპობილი ჩანან და დარჩენილან ეპარქიებში სასულიერო წრის შთამომავალთათვის („для духовенства“) სასულიერო ძველი დაბალი სასწავლებლები, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გალობასა და საეკლესიო წიგნებს. პლატონ იოსელიანიც, ეყრდნობა რა უფროს თანამედროვეთა ცნობებს, გადმოგვცემს, რომ გიორგი XII-ის მეფობისას ასწავლიდნენ თბილისის ეკლესიების—ნათლისმცემელის,

<sup>1</sup> А кты Кавк. археограф. комиссии, I, გვ. 530.

<sup>2</sup> „Сообщение католика Антония о подведомственной ему части“, А кты..., II, გვ. 263.

კალოზნიის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის სკოლებში შემდეგ საგნებს: „წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრჭმე-ტიკას, კატეხიზმოს ანტონი კათოლიკოსისა სწავლებ-მითა, ძველთა სამეფოთა ისტორიასა მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავებდენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა ანტონისაგანვე შედგენილსა. მოწაფენი ღრთა ამით იყვნენ ოთხ-სამდინ, ვითარცა იტყოდენ თვალთ მხილველნი მოხუცინი“<sup>1</sup>. ცხა-დია, უფრო ადრედაც, ერეკლესა და ანტონ პირველის ღრთს ამა-ვე ეპარქიალურ დაბალ სასწავლებლებში სწავლობდნენ სასულიერო წრის შთამომავალნი და მათ საჭირო პირად და სასკოლო ხარჯებს აძლევდნენ მათივე ოჯახები („ученики сии содержатся из своих домов“). ამასთანავე, რა თქმა უნდა, ამავე სასწავლებლებში შესა-ძლებელი იყო მოხვედრილიყვნენ სხვა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელნიც, რადგან, ანტონ მეორის სიტყვით, მაშინ „в духовное звание поступают потомственно, а иные из дру-гих званий; поступают же в священство не по избра-нию начальства, но по избранию родителей и по воле их самих“<sup>2</sup>. ამრიგად, ეპარქიალურ დაბალ სასწავლებლებში არა მარტო სასულიერო წრის წარმომადგენლებს ღებულობდნენ, არამედ, მიუხედავად წოდებრივი და კლასობრივი განსხვავებისა, ყოველი სხვა საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელთათვისაც იქ ცოდნის შესაძენად გზა უფლებრივად ხსნილი იყო.

პლ. იოსელიანი ზემომოტანილ ამონაწერში გადმოგვცემს, რომ მას შეუტყვია თავის ღროზე „თვალთ მხილველთა მოხუცთა-გან“, რომ თბილისის ეკლესიებთან არსებულ სკოლებში „მოსრულ-თა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწა-ვებდენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთის-მეტყველებასა ანტონისაგანვე შედგენილსა“. მაშასადამე, „ძვე-ლი და ახალი ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ანტონისაგანვე შედგენილი“ აღარ შედიოდა ეპარქიალური დაბალი სკოლის სასწავ-ლო საგნების რიცხვში; სათანადო ცოდნით აღჭურვილი მასწავ-ლებლები ზოგიერთ („არა ყოველგან“) ეპარქიალურ სკოლაში, გარე-შე მცირე „ჰასაკის“ მოწაფეთა სწავლებისა, „ასწავებდენ“ ამ ორ საგანს „მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ“, ე. ი. მხოლოდ დაბალი ცოდნის უკვე მქონეთ. როგორც მომდევნო პარაგრაფში დავინახავთ,

<sup>1</sup> „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ. გამოც., გვ. 179.  
ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.

<sup>2</sup> АКТЫ ..., II, გვ. 263.

6. აპ. როგავა.

ესა თუ ის დიდად განათლებული მოსწავლელი (მაგ., იოანე ოსეს-ძე, ვარლამ ერისთავი და სხვ.) ზოგიერთი ეპარქიალური სკოლის შენობაში ხსენებული ორი საგნის სწავლებას კერძოდ კი სწავრობებდა მოსწავლეთა მიბარებით<sup>1</sup> და სწორედ ამათგან უმეტესობას პლ. იოსელიანი შემომოყვანილ სიტყვებში „მოხუცთა“ ცნობებზე დაყრდნობით. აგრეთვე, ამ ორი საგნის სწავლება, როგორც ითქვა, სასულიერო სემინარიებში წარმოებდა სპეციალურად და ეპარქიალურ დაბალ სკოლებში სათანადო მოუმზადებლობისა გამო შეუძლებელი იყო ვინმეს ეფექტა მათი შემოღებაც კი სასწავლოდ. ანტონ მეორის და პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული, შემოჩამოთვლილი სხვა საგნების სწავლება კი ეპარქიალურ დაბალ სკოლებში მეტად დამახასიათებელი და ბუნებრივია. ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის პოლიტიკისათვის სახალხო განათლების დარგში, განსაკუთრებით ეკლესიის განათლებისა და შემომოტკიცებისათვის, ასეთი გარემოება, ცხადია, ხელსაყრელი იყო.

საერთოდ შესამჩნევია ის გარემოება, რომ დაბალი ცოდნის მიღება მოსწავლეებს ჩვენში წინათაც ჩვეულებრივ ნორმალურ ასაკოვნობისას უხდებოდათ; გამოჩნაკლისები, რა თქმა უნდა, მუდმივ არსებობდა, მაგრამ, ჩანს, ქართველი პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები შეძლებისამებრ ცდილობდნენ ბავშვობისას შეეძინათ დაბალი განათლება მათგან აღსაზრდელთ. ძველი ქართული საისტორიო წყაროები ამ გარემოებას საკმაოდ მოწმობს<sup>2</sup> და ეგვევ აღსანიშნავია გვიანაც, მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთშიაც. მაგალითად, იესე ოსეს-ძე resp. ოსეშვილი მოგვითხრობს თავის თავგადასავალში ანუ „ანდერძში“ შემდეგს: „მეშვიდეს წელს რომ მოვიწიე“, თამაზ-ხანი, ნადირ-შაჰად შემდეგ წოდებული, „ღვინობისთვის 6 შემოვიდა და 21 წავიდა“ ქალაქიდანო<sup>3</sup>. თამაზ-ხანი კი, ცნობილია, 1735 წ. შემოვიდა თბილისში. იესე განაგრძობს: „ამ წელიწადებში (საგულვებელია 1735—36 წლები.—ა. რ.)... წიგნს მაკითხებდნენ, გალობასა და წერას მასწავლიდენ. ვიყავ ეკლესიის გალავანში, და რა რომ ტყვეებს კრეფას დაუწყებდენ, აკლამებში ჩაგვსხმდნენ მე და ჩემს დას

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ მომდევნო § 5-ში.

<sup>2</sup> მაგალითად, იხ. გიორგი მერჩული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება... იოანესი და ეფთჳმესი...“; გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფია—გიორგი ხუცესმონაზონისა და სხვ.

<sup>3</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. გამოც., გვ. 7.

ახუას“-ო<sup>1</sup>. იესე კი დაბადებულა 1728 წ. 10 ნოემბერს<sup>2</sup>. მაშასადამე, 7—8 წლების ასაკისას მას, რადვან ეკლესიასთან ცხოვრობდა, უთუოდ სასულიერო პირნი უკვე ასწავლიდნენ წიგნის კითხვას, გასწავლას და წერას. შემდეგ,—წერს იესე,—9 წლის შესრულებამდე, წინა-1737 წლის ნოემბრამდე, „... ამ წელიწადებში წერისა, გალობისა და წიგნის სწავლის მეტი რა შეძლება მექნებოდა: მკედრული და ხუცური წერა ვისწავლე, გალობა—ზოგი იოთამ შატბერაშვილისაგან და ზოგი იოსებ მროვლისაგან და ვაყავ“-ო<sup>3</sup>. ამრავად, 7 წლის დასაწყისიდან 9 წლის შესრულებამდე ბავშვს, იესე ოსეშვილს, დუხჭირ პირობებშია ც კი მხედრულად და ხუცურად წერა-კითხვა შეუსწავლია და ზოგი რამ გალობისაც კერძო ხელმძღვანელოთაგან და იქნებ კიდევ ეკლესიასთან არსებული სკოლის მასწავლებელთაგანაც. დაახლოებით ამდენავე ხნისა ჩანს იოანე ქართველი შვილიც, როცა ამგვარივე ცოდნა მას უნდა შეეძინა, სანამ მიაღწევდა კითხვამდე „პარაკლიტიკოსისა“<sup>4</sup>. ამრიგად, 7—9 წლების ასაკისას ხდებოდა ჩვეულებრივ, მით უფრო ნორმალურ პირობებში, ქართული წერა-კითხვისა და ზოგი რამ გალობის შესწავლა ბავშვთაგან ჩვენში მე-18 საუკუნეში არა მარტო მკოდნე ახლობელთა და სხვა კერძო მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, არამედ, რა თქმა უნდა, როგორც კერძო, ისე ნახევრად კერძო (ეპარქიალურ) დაბალ სასწავლებლებშია ც უმცროს ჯგუფებში; უმცროს ჯგუფებში (ანუ კლასებში) იმიტომ, რომ დაბალ სკოლებშივე, როგორც ზევით დავინახეთ, ასწავლიდნენ აგრეთვე უფრო რთულ სხვა საგნებსაც, ცხადია, უფროს ჯგუფებში უფრო მეტ წლოვანებს: „ღრამმატიკას, კატეხიზმოს ანტონი კათოლიკოსისა სისტემითა“ და სხვა საეკლესიო წიგნებსაც, „ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვ“.. დაბალ სკოლებში, ბუნებრივია, ბავშვთა შორის იშვიათად უნდა ყოფილიყვნენ პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული „მოსრულნი ჰასაკისა შინა“. ზემოთქმულთა გარდა, ამ გარემოებას ადასტურებს ის მოვლენაც, რომ სემინარიაში, დავით რექტორის სიტყვით, სწავლობდნენ, სხვათა შორის, „წჳრილნი სემინარისტნიც“<sup>5</sup>, რომელთაც, როგორც ვიცით, დაბალი ცოდნის გარეშე არავინ მიიღებდა ამ საშუალო სკოლაში და მანამ მათ შესწავლილი უნდა ჰქონოდათ, იქ ჩასარიცხავად, დაბალ


<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, შეად. გვ. 3, 5, 8, 11, 21, 22 და სხვ. ცნობები ერთმანეთს.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>4</sup> იხ. ქვევით, მომდევნო პარაგრაფში ციტატა.

<sup>5</sup> დავით რექტორი, თელავის სემინარიაში 1783 წ. 23 მაისს მოწვეული „შეკრებულების“ აღწერა,—საქ. მუხ. № 2291 II, ფურც. 4.



სკოლაში სავალდებულო ზემოხსენებული საგნები. ეს „წერილი“ სემინარისტნი“ ხნოვანობით, ცხადია, „მოსრულთა ჰასტანა“ წინააღმდეგ შემცროსი იყვნენ. მაგრამ პირველთა შორის, უმკვეთესი ზეპირი შემცროსი ძლიერ იშვიათად თუ ვინმე ერია, რადგან უფრო ადრე დაბალი სკოლის ზემოდასახელებული საგნების ათვისებას ძლიერ იშვიათადვე თუ ვინმე მოასწრებდა. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთში ეპარქიალურ და კერძო სასწავლებლებსა და კერძო მასწავლებლებთან სრული დაბალი ცოდნის შექმნა ქართველ მოსწავლეთაგან წარმოებდა ჩვეულებრივ 7—14 წელთა ასაკოვნობისას.

ჰქონდათ თუ არა სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთ თავიანთ სკოლებში ჩვენში მაშინ ეგვეე წესი მოსწავლეთა ასაკოვნობისა ან სხვაგვარი რამ, სახელდობრ რა საგნებს ასწავლიდნენ, ვინ და როგორ და ა. შ. — ეს საკითხებიც ყურადღების ღირსია და სპეციალურ გამოკვლევასაც საჭიროებს. ერეკლე II და ანტონ I და მათი საერო და საეკლესიო ხელისუფლება ქართლ-კახეთში მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების კულტურულ-იდეოლოგიურ მოვლენებს პატივისცემით ეპურობოდნენ და მათ სასკოლო-საგანმანათლებლო მუშაობაში უშუალოდ არ ერეოდნენ. აგრეთვე, ქართველობა თავის „ქართველობას“ როგორც აგრესორი ქვეყნებისაგან, ისე შიგნით, სახელმწიფოში ადრითგანვე შერობიზნულ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთაგან კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროშიაც, მიუხედავად ზოგი რამ მეზობლურ ბუნებრივ ზეგავლენათა, საერთოდ მტკიცედ იცავდა; ქართველები თავიანთ მიწა-წყალზე მათში კი არ ითქვიფებოდნენ, არამედ, პირიქით, მათი ასიმილაცია ხდებოდა ძირითად მოსახლეობასთან და ბევრი მათგანი ქართველობდა კიდევაც. ერეკლე მეორის საშინაო პოლიტიკა, ცნობილია, ამ მხრივ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ძლიერ ხელს უწყობდა ჩვენში და სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართ (გრიგორიანებს, მაჰმადიანებს, კათოლიკებს), ბუნებრივია, განსაკუთრებით ამ მეფის დროსაც ეზრუნათ თავიანთ შთამომავალთა აღზრდა-განათლებაზე. თავისუფლად სარგებლობდნენ რა მაშინ საამისო უფლებით, ისინი თავიანთ კერძო სკოლებში ასწავლიდნენ იმ საგნებს, რომლებიც, დავით ბატონიშვილის სიტყვით, „были сходны с обязанностями каждой нации“.<sup>1</sup> მაგრამ უცხო ეროვნებათა წარმომადგენლების განათლების საქმე მე-18 საუკუნის საქართვე-

<sup>1</sup> „Обозрение Грузии по части прав и законовдения“, მზ. 182.



ლოში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ იდგა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მათი ამ საქმის საკითხებზე მაგელობებს ვრცელ აღვიღებთ და მხოლოდ გაკვრით ვეხებით.

ერეკლე მეორის სამეფოში ყოველი ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელი თავიანთ სკოლებში სარგებლობდნენ რა თავიანთსავე ენებზე სწავლა-განათლების უფლებით, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ეტანებოდნენ სხვაზე უფრო საჭირო „წიგნის კითხვასა და წერას“. მშობლიურ ენაზე კითხვა და წერა, პირველ რიგში, და შემდეგ კი შეძლებისა და მოთხოვნილებისამებრ თანდათან სხვა საგანთა შესწავლა კერძოდ თუ სკოლაში — ასეთი იყო გეზი ყოველი მათგანისა, ვისაც კი მაშინ გული ერჩოდა ცოდნის შესაძენად. კერძოდ, ქართველობისათვის „წიგნის კითხვის, წერისა და გალობის“ ცოდნა იყო მაშინ ყოველი შეძლებული მშობლის მყოლი მოსწავლე ახალგაზრდისაგან „კაცობაში“ მოსაწონი, და შემდეგ კი სხვა რამის ცოდნაც მით უფრო ეთვლებოდა მას დიდ ღირსებად; „უცოდინარობა“, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით შეძლებულ ახალგაზრდას ეძრახებოდა. მაგალითად, იესე ოსეს-ძე 1768 წ. ანდერძად უღებს თავის შვილებს: ქონება თქვენთვის ბევრი შემიძენია, „... ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ. უცოდინარი არ დასდგეთ ან თქვენი შვილები არ დააყენოთ. წიგნი, წერა, გალობა უნდა ასწაოთ“-ო.<sup>1</sup> ამრიგად, მაშინდელ დაბალ სკოლებში სასწავლო საგანთა მთელ კურსს თუ აღარ შეისწავლიდა, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვისა და გალობის ცოდნა მაინც მოეთხოვებოდა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ყოველ შეძლებულ ახალგაზრდას „კაცობისათვის“. ასეთ „კაცობას“ ნამდვილი მოქალაქური მოვალეობისათვის მას აკისრებდა უპირველეს ყოვლისა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი იყო თვით იესე ოსეს-ძეც.

დაბალ ცოდნასაც კი ცხოვრებაში მოხმარება სჭარდებოდა, უამისოდ ახალგაზრდისაგან დიდი რამ „კაცობა“ აღარ იქნებოდა. ამიტომ 1780 წ. იესე ოსეს-ძე უსაყვედურებს თავისივე შვილებს: „...ჯერ არაფერი კაცნი ხართ და გწუხხვარ: გალობა გასწავლე, აღარ გალობთ; წიგნი და წერა გასწავლე და აღარა იქმნოთ. თუ ბოლომდი ასე ჰქმენით, ღმერთმან თქვენს მტერს მის-

<sup>1</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. გამოც., გვ. 68.



ცეს“-ო<sup>1</sup>. იესე ამ შემთხვევაშიაც გამოხატავს, რა თქმა უნდა, არა მარტო პირად, არამედ მოწინავე საზოგადოებრივ უმჯობესებელ შედლებული ახალგაზრდის მიმართ, კერძოდ თავისივე შვილებისადმი კჳუსის სასწავლებლად გამოთქმით.

ნახევრად კერძო ტიპის ეპარქიალური, სასულიერო დაბალი სასწავლებლები წარმოადგენდნენ არა მარტო ფართო მნიშვნელობის სახალხო განათლების კერებს, არამედ ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოზის მიერ მათ წინაშე დასახული იყო მიზანი უპირველეს ყოვლისა, მათივე სასწავლო განხრისამებრ, აღეზარდათ მომავალი საეკლესიო მოსამსახურენი. მეფისა და კათალიკოზის წინაშე ამ საქმეში იყო რა მთავარი პასუხისმგებელი, ყოველ ეპისკოპოზს ყოველმხრივ უნდა ეზრუნა თავის ეპარქიაში სასულიერო დაბალი სასწავლებლების საკმაოდ გამრავლებისა და წარმართვისათვის. ერეკლე მეფის ამგვარ დიდ ყურადღებასა და მოწინავე პროვინციალური ეპისკოპოზის ასეთ საქმიანობას მოწმობს ნეკრესის სკოლისა და სხვათა შესახებ წერილი ერეკლესი დოსითეოზ ნეკრესელისადმი, 1762 წ. დაწერილი საპასუხოდ დოსითეოზის წერილისა<sup>2</sup>, და სხვა მისთანანი.

ასეთ გარემოებაში სახელმწიფოს ყოველი ეპისკოპოზის მიერ თავისი ეპარქიალური სასწავლებლებისათვის მასწავლებლებად შერჩეული უნდა ყოფილიყვნენ შედარებით გამოცდილი და მკოდნე სამღვდელო პირები. მხოლოდ პირადი ღირსების მქონე ასეთ მასწავლებლებს შეეძლოთ ეპარქიალურ სკოლებში აღეზარდათ ისეთი საეკლესიო მოსამსახურენი, რომელნი, 1748 წ. 13 ნოემბრისა და შემდეგ რიგი სხვა საეკლესიო კრებების დადგენილებებით, „უვიცთა“ მიუღებლობითა და მხოლოდ კარგად „გამოჩხრეკით“ უნდა ეკურთხებინა იმავე ეპარქიის ეპისკოპოზს. საამისოდაც ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის მიერ საეკლესიო კონტროლი ადრითგანვე იყო დაწესებული<sup>3</sup> და ყოველი ეპისკოპოზიც შეკრული იყო მეფისა და კათალიკოზის წინაშე ეპარქიის მიღებისას დადებული ფიცის წიგნის პირობებში შეტანილი ერთ-ერთი მუხლითაც<sup>4</sup>. აგრეთვე, „ღრამოტა ახლად გელდასხმულის მღჳდელ-მთავრის მისაცე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>2</sup> საქ. მუხ. №215 Ad; შეად. დ. Пурцеладзе, Груз. перк. гуджары, 1881 г., გვ. 40.

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, მოწოდება ერეკლესა და ანტონისა ქართლ-კახეთის „ეპისკოპოსთა მიმართ“, 1768 წ. გამოც.,—საქ. მუხ. № 317 A, ფურც. 179—186.

<sup>4</sup> იხ. ეპისკოპოზთა ფიცის წიგნის ნაწყვეტი ერთ ფურცელზე საქ. მუხ. ხელნ. №3153 H-ში.

მელიც“ ავალდებულებდა ეპისკოპოსს ეპარქიაში „...უდიდესისათვის წარმართებასა საქმისა... გაქტნდეს ზრუნთა და სწავლასა... ბელთათვის, რათა შიშნი სამღვდელთათნი ჰმოძღვრებოდეს... სწავლითა“-ო და სხვა რამითა<sup>1</sup>. ამრიგად, ყოველი ეპისკოპოსი ერიკლეს ხანაში ვალდებული იყო ეზრუნა თავის ეპარქიაში უპირველეს ყოვლისა სასულიერო განათლებისათვის.

ყოველი ეპისკოპოსი თავისი მხრივ ამ საქმის წარმართვისათვის ავალდებულებდა მღვდლებს, დიაკვნებსა და საეკლესიო სხვა მსახურებსაც; საამისოდ მათგან მათდამი კონკრეტული ვალდებულებანიც კი არის მოცემული ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა დღემდე შემონახული: „სწავლა მღვდელთ-მთავართაგან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ“<sup>2</sup>, „ფორმა მღვდელთ-მთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად გელ-დასხმულისა მღვდლისადმი“<sup>3</sup>, „ფორმა მღვდელთ-მთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად გელ-დასხმულისადმი დიაკონისა“<sup>4</sup> და სხვა.

ეს მღვდლები და დიაკვნები, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ეპარქიალურ სკოლებშივე იყვნენ უმეტესად აღზრდილნი ან საგანმანათლებლო საქმიანობაში მათთან ხშირად ახლო მდგომნი მაინც. ვინც კი მართლა თავის მოვალეობას თავს არ არიდებდა, სამწყსოს მომსახურებისათვის დაბალ განათლებას იყენებდა კიდევაც. სწავლულ კაცებად მაშინ, სოფლებში მით უფრო, სწორედ მღვდლები და დიაკვნები ითვლებოდნენ საქართველოში და მათ ცოდნასაც მრავალმხრივი გასავალი ჰქონდა ხალხში.

ამრიგად, ეპარქიალური დაბალი სასწავლებლები მეტად ფართო გასაქანს პოულობდნენ მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის მოსახლეობაში. მათ, უეჭველია, არანაკლები, თუ არ უფრო დიდი, ღვაწლი მიუძღვით ჩვენში მაშინდელი სახალხო განათლების ამოღლების საქმეში, ვიდრე რომელიმე სხვა სახის სასწავლებლებს.

## § 5. კერძო სასწავლებლები

იესე ოსეს-ძის თხრობიდან უკვე გავიგეთ, რომ სწავლა-განათლების მიღება ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის ხანაში ხდებოდა კერძო სასწავლებლებთანაც<sup>5</sup>. ისინი უმეტესად სასულიერო პირები იყვნენ და იბარებდნენ აღსაზრდელებს.

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1170 S.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 2795 S, ფურც. 4—5.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 2302 S.

<sup>4</sup> იხ. იმავე ხელნაწერში.

<sup>5</sup> იხ. ამის შესახებ ამავე თავის § 4-ში.





ასეთი მასწავლებლები იყვნენ არათუ ქალაქებში, არამედ სქა-იქ სოფლებშიაც. მათგან სასწავლო ადგილად გამოყენებულნი იყვნენ ეკლესიო შენობანი ან მასწავლებლისავე საცხოვრებელი სახლი, ანდა, როგორც ზევით ითქვა, ადგილობრივი სკოლის შენობა, სადაც იმავე სკოლის მოწაფეებსაც ასწავლიდა იგივე მასწავლებელი<sup>1</sup>, ან თვით მიდიოდა შეძლებულ მოწაფესთან სახლში და ა. შ.. კერძო მოსწავლის როგორც პირად, ისე სასწავლო ხარჯებს მისი მშობლები ან ახლობლები კისრულობდნენ ფულით და, განსაკუთრებით კი, ნატურით. დაბალი ცოდნის მისაღებად მას უპირველეს ყოვლისა ასწავლიდნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას და, თვით მასწავლებლის მომზადებისა და მონდომების კვალობაზე, მეტ-ნაკლებად, სასულიერო წიგნებს, გრამატიკას, გალობას და სხვა საგნებსაც; დაბალი ცოდნის მქონეს კი საშუალო ცოდნის მისაღებად ასწავლიდნენ ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას და სხვა საგნებსაც, რომლებიც სემინარიაში ისწავლებოდა.

იესე ოსეს-ძის მიერ თავის თავგადასავალში მოთხრობილზე უფრო უკეთესად და ვრცლად კერძო სწავლების საუცხოო სურათი გვეშლება თვალწინ იულონ ბატონიშვილის „ხუცესი“ იოანე „ქართველოვის“ ანუ ქართველიშვილის მემუარებში, რომელიც დაწერილი აქვს მას 1801 წელს. დაბადებულია იოანე ქართლში, სოფელ ფხვენისს, 1772 წელს. მისი ბავშვობისას, ადრე დაქვრივებულ დედამისს „მწენდ მამაკაცებრ“ უზრუნვია, „რათა ესწავლებინა ჩემდა სამღმდელონი და აღზრდილ-ვიყავცა სამღმდელოდ“, გადმოგვცემს მემუარების ავტორი. დედის „მრავლითა ღვაწლითა“ იოანემ, „გამომცვლელმან სხვათა და სხვათა მასწავლებელთა მოძღვართამან, ხოლო მდაბიურ წოდებით, ოსტატთამან, ოდესმე მუნვე ფხვენისს და შინდისს, ოდესმე ქრცხინვალს და სხვაგანცა მივაწიე კითხვად მდე პარაკლიტიკოსისა“-ო. 12 წლის ბავშვი, 1784 წელს „წარმიყვანა დედამან ჩემმან ქალაქსა ტფილისს. აქა უკმც მოვიგე მოძღვრად მასწავლებლად ჩემდა დიდის მოწამის გიორგის, კალუბნად წოდებულის ეკლესიის მღმდელო იოანე, რომლისაგანცა ვისწავლე წიგნნი საეკლესიონი. უმჯობეს მოვიდა ჩემდა დროსა მას ცნობა ქვეყანისა და სხვათა საზოგადოთა საქმეთა, ჰასაკისა ძლით“. აგრეთვე, 1785—86 წლებიც „განვლე მუნვე ეკლესიასა შინა კალუბნისასა ყოფნითა და კითხვითა საეკლესიოთა წერილთათა“-ო.

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებაც იმავე პარაგრაფსა და ამავე პარაგრაფშიაც ქვევით.



1787 წელს იგი სწავლობს ანტონ პირველის მოწადე ელემენტარული ტრიქილესთან“. „თთვე ხუთი ვიყავ უკუტა ვახასთანა საპატრიარხოთა ეზოსა შინა და ვმსახურებდი ეკლესიასა სა შინა სტიხარ-ცმული იპო-დიაკონობით და ვსწავლულობდი წერილთა საეკლესიოთა და წერასა მკედრულსა წიგნითურთ“-ო. 1788 წ. მარტს მას სიონში აკურთხებენ „მთავარ დიაკონად“ და ამ დროიდან კი იგი კალიგრაფიულ მუშაობასაც აწარმოებს, სხვადასხვა სასულიერო წიგნებს გადაწერს. „წელიწადსა 1791... გულად მომიკდა სურვილი სამეცნიეროთა წიგნთა სწავლისა. ამისთვის შევევედრე პატრიარხსა, ძესა მეფის ირაკლისასა ანტონისა, და მიმაბარა ერისთვის შეილსა არხიმანდრიტსა თვისსა ვარლამს, კაცსა ფრიად მეცნიერსა, რომელმან შემდგომად მიიღოებისკობოსობა ახტალისა, წარვიდა რუსეთს და აწარს მუნ. ამან უკუტა მაწყებინა კითხვა ღრამმატიკისა და განვლე წელიწადი ესეცა ესრეთ“-ო. 1792 წ. იანვარს იოანეს მღვდლიად აკურთხებენ და ვარლამთან ისევ განაგრძობს სწავლას: „ამისვე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჰქსნით ვარლამისგან წიგნნი ესენი: ღრამმატიკა, რიტორიკა, კათილორია, ლოლიკა და მეთაფისიკა, და გარდავწერეცა წიგნნი ესენი, თვინიერ კათილორიისა. ეგრეთვე განვლე წელიწადიცა 1793.. კითხვითა და წერითა ზემო-ჰქსენებულთა წიგნთათა. ჟამსამას ფრიადითა შრომითა მოვირეწდი საზრდელსა და ვცხოვრებდითოცა მწირობით, რამეთუ არა მაცალებდა კითხვა და წერა ზემო-ჰქსენებულთა მათ სასწავლოთა“-ო და სხვა. 1794 წ. „მოვივე მოძღვრად მასწავლებლად ფისიკისა და საღმრთოესა დამასკელის ოთხ-ნაწილოვან წიგნისა“ იოანე ოსეს-ძეო. შემდეგ კი თვითონაა კერძო მასწავლებლად იოანე ქართველიშვილი: „... ვიახელ... მეფის ძესა იულონს და ვმსახურობდი ეზოსა შინა თვისსა მღვდელობით და ძეთა მისთა წიგნის კითხვით“-ო, —წერს ის თავის მემუარებში<sup>1</sup>.

თბილისში კალოუზნის ეკლესიასა, „საპატრიარხოთა ეზოსთან“ —ანჩისხატსა და სიონის ეკლესიასთან არსებობდნენ მაშინ, როგორც ზევით ითქვა, ეპარქიალური დაბალი სასწავლებლები<sup>2</sup>. ამ სასწავლებლებთან ჰქონდათ რა სამსახურებრივი უშუალო, საფიქ-

<sup>1</sup> საქ. მუხ. №1196 (1234) A; შუად. „ივერია“, 1889 წ., №№ 203, 204.  
<sup>2</sup> იხ. ამათ შესახებ ამავე თავის § 4-ში.



რებელია, იქ უშუალო მასწავლებლობითაც, დამოკიდებულება, კალოუზის „ეკლესიის მღვდელი იოანე“, პატრიარქის მოწაფეები იგუმენი ტრიფილე, არქიმანდრიტის თავი და სიონის დეკანოზი იოანე ოსეს-ძე (ეს იმავე დროს თბილისის სემინარიის რექტორიც იყო), უეჭველია, არ აყოვნებდნენ თავიანთ სხვა, კერძო მოწაფეთა (და თვით იოანე ქართველიშვილისათვის) კერძოდ სასწავლებლადაც ამ სკოლების შენობებისა და სასკოლო-დიდაქტიკური საშუალებების გამოყენებას. მხოლოდ ამრიგად აიხსნება პლ. იოსელიანის გადმოცემა იმის შესახებ, რომ მას თავის დროზე მოუსმენია „თვალით მხილველთა მოხუცთაგან“, რომ თბილისის ეკლესიებთან არსებულ სკოლებში „მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავებდნენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა ანტონისაგანვე შედგენილსა“<sup>1</sup>. ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ეპარქიალური დაბალი სასწავლებლების სასწავლო საგნებს არ წარმოადგენდა და უკვე დაბალ ცოდნამიღებულ „მოსრულთა ჰასაკსა შინა“ მოსწავლეთა ამ სკოლებში სასწავლოდ მოსასვლელად არათფერი არ ესაქმებოდათ, თუ არ ზემოხსენებულთა მაგვარ, დიდად განათლებულ მასწავლებელთაგან სასემინარიო საგნების—ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების—კერძოდ შესწავლა.

იოანე ქართველიშვილის მემუარებიდან ზემომოტანილ ვრცელ ამონაწერებში როგორც ჩანს, სანამ თვით იოანე გახდებოდა კერძო მასწავლებელი იულონ ბატონიშვილის ოჯახში, მანამ მას ბავშვობიდანვე უსწავლია, ყოველი სკოლის გარეშე, რიგი კერძო მასწავლებლების ხელში, ანბანის სწავლებიდან დაწყებით მეცნიერებათა შესწავლის დამთავრებით. ამგვარად, არა მარტო იოანე ქართველიშვილი, არამედ სხვებიც ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის ხანაში, სახელმწიფო და კერძო სკოლების გარეშედაც, კერძო მასწავლებელთა დახმარებითა და თვითგანვითარებით ღებულობდნენ კარგ განათლებას; იოანე ქართველიშვილი ამრიგ სწავლულთაგან ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. სხვათა შორის, თვით ანტონ კათალიკოზი ახალგაზრდობისას სწავლობდა ამგვარად ბერძნულ ენას საქართველოში ხანგრძლივ მცხოვრებო პამფილიის ეპისკოპოზ პართენისაგან<sup>2</sup>. აგრეთვე, თვით ერეკლე მეორემ და ანტონ პირველმაც ამგვარი კერძო მასწავლებლე-

<sup>1</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ. გამოც., გვ. 179. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.

<sup>2</sup> პლ. იოსელიანი, წინასიტყვაობა 1853 წ. გამოც. ანტონ პირველის „წყობილ-სიტყუაობისა“.




გისაგან ბავშვობისას ერთად მიიღეს „შინაური“ განათლება<sup>1</sup> და ბევრ სხვადას. რა თქმა უნდა, ასეთ გავლენიან და შედეგად მწიგნობართა კავშირს ეს კერძო მასწავლებლები ხშირად სახლში მიუტანდნენ.

ზემომოტანილ ამონაწერებში საყურადღებოა ისიც, რომ კერძო მასწავლებლები მოიპოვებოდნენ არათუ ქალაქში (თბილისში), არამედ დაბებსა და სოფლებშიაც (ქრცხინვალი, ფხვენისი, შინდისი...). რა თქმა უნდა, სასულიერო სემინარიებისა და ეპარქიალური და კერძო მასწავლებლების გვერდით, ცალკე მოქმედ ასეთ კერძო მასწავლებლებსაც მიუძღვით ერეკლე მეორის დროინდელი საზოგადოების განათლების საქმეში საპატიო წვლილი.

ცხადია, დაბალი ეპარქიალური ან კერძო მასწავლებლისა თუ კერძო მასწავლებლების მიერ განსწავლულ დაბალი ცოდნის მქონეთ შეეძლოთ მხოლოდ კერძო მასწავლებელთან ან სემინარიებში „სამეცნიერო წიგნთა სწავლა“ და საშუალო ცოდნის მიღება. იოანე ოსეის-ძეს, ვარლამ ერისთავს და სხვამათ მაგვარ „კაცსა ფრიად მეცნიერსა“, მეცნიერებათა დარგების შესასწავლად ცალკედ თუ სემინარიებში, მხოლოდ წინასწარი ამნაირი საშუალებებით ელემენტარული, დაბალი ცოდნის მიღების შემდეგ მიებარებოდნენ ქართველი მოსწავლენი. მეცნიერებათა ათვისება მოსწავლეთაგან წინასწარ ამას მოითხოვდა და, კერძოდ, სემინარიებში მათ უამისოდ არც კი იღებდნენ.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ერეკლეს ხანაში ობლის მეურვეს ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ვექილს სამეფოს სამართალი აკისრებდა დიდ სააღმზრდელო მოვალეობას. ობლის სამეგვიდრეო ქონების შესაბამისად, ვექილი ვალდებული იყო უპირველეს ყოვლისა ეზრუნა მისი ფიზიკური და განსაკუთრებით გონებრივი განვითარებისათვის. საამისოდ მას უფლება ჰქონდა მისთვის დაეჭირავებინა მასწავლებლები და მიეჩინა, უთუოდ ხელფასითაც კი, შესაფერისი ზედამხედველი და ლალა. დავით ბატონიშვილს თავის „Обзорение-“ში ამათ შესახებ ერეკლეს ხანის სამართლიდან ორი შემდეგი მუხლი აქვს შეტანილი: 1) „430. Так как первую и главнейшею обязанностью опекунов постановлено было образование детей, их попечению вверенных, то им позволяется иметь нужных для сего учителей на счет доходов в

<sup>1</sup> იხ. „სპეკულში“ ეპისტოლე ანტონ პირველისა ერეკლე მეორისადმი. აგრეთვე იხ. ამის შესახებ უფრო ვრცლად აპ. როგავას ნაშრომში „სპეკულში“ ანტონ პირველისა“.



наследии сироты“. 2) „446. Когда воспитанник вне дома опекуна своего делает какую [нибудь] неблагопристойность, или приносит кому вред и убыток, то опекун за сие не отвечает, и только виновен в том надзиратель или дядька, который и подвергается ответу“<sup>1</sup>.

საქართველოში ობოლთა ვექილები (მეურვენი), ბავშვთა ზედამხედველები და ლალები, რა თქმა უნდა, ერეკლეს ხანამდევ არსებობდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებო ისაა, რომ ერეკლეს კანონები ამ აღმზრდელებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს წინაშე. ამიტომაც, კერძოდ, ვექილობა „წმინდა წოდებადაა“ („священное звание“) მაშინ (და უთუოდ ადრედაც) მიჩნეული<sup>2</sup>.

თუ ობლებს, ვექილთა შემწეობითა და სათანადო მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც საგანგებო ზედამხედველი და ლალა უნდა ჰყოლოდათ, მით უფრო ყოველ მოსიყვარულე შეძლებულ მშობელს (თავადსა და სხვ.) თავისი შვილისათვის ასეთი პირები უნდა მიეჩინა. და მართლაც არათუ მეფე ერეკლეს შვილებს (გიორგი, ლევანი და სხვ.), არამედ შედარებით ნაკლებ შეძლებულ ქართველთა შვილებსაც, ზოგან მაინც, ასეთი საგანგებო აღმზრდელი პირები მოეპოვებოდათ.

არა მარტო ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეებით, არამედ მწიგნობრული განათლების გავრცელების საქმიანაც ასეთ აღმზრდელებს დიდი დამსახურება მიუძღვით ადრინდელი ქართული კულტურის წინაშე.


**§ 6. ქართველთა მიერ სწავლა-განათლების შექმნა რუსეთში**

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით კი მე-18 საუკუნეში ბევრი ქართველი იმყოფებოდა რუსეთში—პეტერბურგს, მოსკოვს, უკრაინასა და სხვაგან. უმეტესობა მათგანი პოლიტიკური დევნის შედეგად გარდაიხვეწა რუსეთს (არჩილ მეფე და მისი ოჯახი, ვახტანგ VI და მისი მრავალრიცხოვანი ამალა და სხვა), ზოგიც სხვა მიზეზებისა გამო განშორდა სამშობლოს რუსეთში თავის შეფარვით.

მე-18 საუკუნე ქართველობისათვის რუსეთთან პოლიტიკურად და კულტურულად დაახლოების ზრდის ხანას წარმოადგენდა და ამ გარემოებამ ძლიერ ხელი შეუწყო რუსეთის გზით დასავლეთ ევროპის

<sup>1</sup> Царевич Давид, Обзорение Грузии по части прав и законовещения.

<sup>2</sup> იქვე, მუხ. 443.



კულტურის გაცნობასაც საქართველოში. მართალია, რუსეთში მაშინ წასული ქართველების უმეტესობას სანშობლოში დაბრუნებდა, არაფერი სება, მაგრამ ნაწილი მაინც ბრუნდებოდა და მას თან ჩამოჰქონდა ჩვენში იქაური სწავლა და განათლება; აგრეთვე, ბევრადენენ რა იქ ქართულ სტამბებში ნათარგმნ თუ ორიგინალურ თხზულებებს, დაბეჭდილ წიგნთა ნაწილს საქართველოში აგზავნიდნენ; სთხვადენენ სამეცნიერო შრომებს, ლექსებსა და სხვა ნაწარმოებთ და ხელნაწერების სახითაც ესეც როგორც რუსეთში მყოფ ქართველებს შორის, ისე საქართველოშიაც ნაწილობრივ ვრცელდებოდა და ა. შ.. ამ მხრივ მუშაობით განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურული მუშაკები და შემდეგ სხვანიც.

ამ კულტურულ მუშაკებს არა მარტო მშობლიური ძველი მდიდარი კულტურა ასაზრდოებდა, არამედ, ამასთანავე, ის სწავლა-განათლებაც, რომელსაც ბევრი მათგანი იქვე, რუსეთშივე სკოლებსა, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში იძენდა. მე-18 საუკუნეში თვით რუსეთის მთავრობის სამსახურში მყოფ ქართველთაგან ამ მხრივ აღსანიშნავია სამხედრო დარგში, მაგალითად, ალექსანდრე არჩილის-ძე ბაგრატიონი — პეტრე პირველის უახლოესი თანამებრძოლი და პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი რუსეთის არმიისა, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ვანტანგის-ძე ბაგრატიონი, სუვოროვის თანამებრძოლი და დიდი მხედართმთავარი გენ. პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი და სხვა; აგრეთვე, პოლიტიკურ და საეკლესიო დარგებშიაც რუსეთში წარმატებით მოღვაწეობდნენ რუსეთშივე სწავლული რიგი ქართველებისა.

მაგრამ, როგორც ითქვა, რუსეთში სწავლა-განათლება მიღებულ ქართველთაგან ნაწილი საქართველოში ბრუნდებოდა და ჩვენში უშუალოდ მოღვაწეობდა სახალხო განათლების დარგსა თუ სხვა სფეროში საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, მაგალითად, კათალიკოზი ანტონ პირველი. მან ჯერ ადრე სწავლა-განათლება მიიღო სამშობლოში და შემდეგ თითქმის 7 წლის განმავლობაში რუსეთში გადასახლებისას (1756 წ. აპრილი — 1763 წ. მარტი), უმეტეს ხანს მსახურობდა რა ქალ. ვლადი-მირს ეპისკოპოზად, სხვათა დახმარებითა და მრავალმხრივი შრომითა და გარჯით დამოუკიდებლადაც გაამდიდრა თავისი გონება რუსული და დასავლეთ ევროპული კულტურული მიღწევებით. ასეთმა გონებრივმა შენაძენმა ნიჭიერ და მეტად უნარიან ანტონს, ცნობილია, დიდი ნაყოფი გამოაღებინა ქართული მწერლობისა და საერთოდ კულტურის განვითარებისათვის. რუსეთში ანტონის გა-



დასახლებისას მასთან იყვნენ ამაღლაში, სხვათა შორის, მისივე მოწაფეები და მიმდევრებიც: არქიმანდრიტი სტეფანე, ივერეთის მიხეილი, მღვდელი ზაქარია, პროტოდიაკონი გაბრიელი, იეროდიაკონი დიმიტრი, დიაკონები პორფირი, ეფრემი, ივანე, გიორგი და ფსალმუნის მკითხველი ტიმონი<sup>1</sup> და ანტონის ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლადაც ყველა ესენი მაშინ რუსეთში იქაურ ცოდნასა და გამოცდილებას იძენდნენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმეტესობა მათგანი ცნობილი გახდა რუსეთში ამრიგად შენაძენი ცოდნითა და გამოცდილებითაც და სხვებთან ერთად ესენიც წარმატებით მოღვაწეობდნენ ჩვენში სახალხო განათლების დარგსა, მწერლობასა თუ საეკლესიო სფეროში. ზემოხსენებული იეროდიაკონი იოანე შემდეგ ცნობილი მოგზაური და მწერალი მიტროპოლიტი იონა გედევანი შვილია<sup>2</sup>, იგუმენი მიხეილი დაახლოებით 1770 წლიდან თბილისში მიტროპოლიტადაც გახდა<sup>3</sup> და ანტონ პირველის ცნობილი თანამოღვაწეა, ასევე ეფრემი — ცნობილი მგალობელი და საეკლესიო წიგნთა გამომცემელი<sup>4</sup>, პორფირი — კარგი კალიგრაფი და ფილოსოფიის მცოდნე და სხვაც ა. შ.. მაგრამ ანტონ პირველის მოწაფეთა შორის რუსულსა და დასავლეთ ევროპულ კულტურას ეზიარა განსაკუთრებით გაიოზ რექტორი; ის მისი დიდი მასწავლებლის, ანტონის სკოლის მიმდევართაგან დიდად საყურადღებოა ამ მხრივაც, რაც მეტად შესამჩნევია კერძოდ მის სამწერლო ნაწარმოებებში, სასკოლო-პედაგოგიურ საქმიანობასა და სხვაგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიაც.

1772 წელს რუსეთს დიპლომატიური მისიით წასულ ანტონ პირველს თან წაუყვანია თავისი მოწაფე და არქიდიაკონი გაიოზიც. პეტერბურგიდან 1774 წ. მისიის დაბრუნებისას ახალგაზრდა გაიოზს მოუსურვებია მოსკოვს დარჩენა „სწავლისათვის ლათინურისა და რუსულისა“ და, მიუხედავად მის თხოვნაზე ნებადაურთველობისა, ჩემგან ფარულად მაინც „დაშთა მოსკოვს“-ო, წერს თვით ანტონ პირველი, ამ მისიის მეთაური და გაიოზის მასწავლებელი<sup>5</sup>. პეტერბურგში მისიის ყოფნისას გაიოზს ალექსანდრე ნეველის სემინარიაში დაუწყია რუსული, ლათინური და ბერძნული ენების შესწავ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ. ф. Канц. Синода (796), за 1756 г., оп. 37, д. № 489, ფურც. 32, სია ანტონ კათალიკოზის ამაღლსა.

<sup>2</sup> იხ. ვრცლად იონა გედევანიშვილის მოღვაწეობის შესახებ კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 352—353.

<sup>3</sup> Пл. Иоселиани, Описание древностей гор. Тифлиса, 1866 г., გვ. 189.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 195—196.

<sup>5</sup> იხ. ანტონ პირველის წერილი — „ასტარზნის არხიერთან მიწერილი გაიოსის საქმეზედ“, საქ. მუხ. № 2510 Н.


ლა და შემდეგ, მოსკოვში დარჩენისას, 1775 წელს შესულა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში თავისი განზრახვის შესასრულებლად. 1778 წელს გაიოხს დაუშთავრებია მოსკოვის აკადემია და, ერეკლე მეორის მიერ გამოწვეული, ჩამოსულა თბილისში, სადაც მას დაუშთავრებია რუსული ენის შემსწავლელთა სკოლა. 1780 წელს გაიოხი გაწვეულ იქნა რუსეთში, საიდანაც 1782 წელს რუსეთის მთავრობის მიერ იგი გამოგზავნილ იქნა საქართველოში ერეკლე მეორესთან პოლიტიკურ საქმეთა გამო მოსალაპარაკებლად<sup>1</sup>. ამავე წლის 28 მაისს ქ. თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის პირველ რექტორად გაიოხი იქნა მოწვეული. 1783 წ. იენის-იელის იგი დაინიშნა ერეკლეს მიერ წევრად იმ კომისიისა, რომელმაც ამავე წლის 24 ივლისს შეკრა რუსეთთან ქალ. გეორგიევსკში ტრაქტატი. ამ დროიდან სიკვდილამდე (1821 წ.) გაიოხი რუსეთის ეკლესიისა და მთავრობის სამსახურშია და საქართველოში არ დაბრუნებულა. მიუხედავად ამისა, მან შემდეგაც, ცნობილია, მრავალმხრივ არგო ქართულ კულტურას<sup>2</sup>. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში აღზრდილი და ასე ხანგრძლივად რუსეთის კულტურულ ცენტრებს, სამსახურებრივ მოვალეობათა გარდა, მაღალი ინტელიგენტური ინტერესებითაც გაცნობილი გაიოხი, რა თქმა უნდა, რუსულსა და დასავლეთ ევროპულ კულტურასაც კარგად ეზიარა და, ბუნებრივია, ანტონ პირველის ამ ნიჭიერმა მოწაფემ მითაც მშობლიურ კულტურას ბევრი რამ შესძინა, განსაკუთრებით როგორც პედაგოგმა და მწერალმა.

ანტონ კათალიკოზის მოწაფე-მომდევრების მსგავსად, სხვა ქართველი თითო-ოროლა ახალგაზრდაც, საქართველოში სწავლა-განათლების მიღების გარდა, გარკვეულ შემთხვევისას რუსეთშიაც წასვლით ახერხებდა ცოდნის შეძენას და შემდეგ სამშობლოში უკან ბრუნდებოდა სამოღვაწეოდ. აგრეთვე, რუსეთში საშუღამოდ მცხოვრები და იქაურ სწავლა-განათლების მქონე ქართველები, ემსახურებოდნენ რა თავიანთ ახალ სამშობლოს—რუსეთს, ვინც მთლად არ გარუსდნენ და ქართველობდნენ მაინც, მეტ-ნაკლებად აღარ ივიწყებდნენ ძველ სამშობლოს—საქართველოსაც და შეძლებისამებრ მრავალმხრივ ემსახურებოდნენ მას. კერძოდ, ქართული კულტურის წინაშე მათგან ასეთი სამსახურის შედეგია ქართულ ენაზე რუსეთში შექმნილი ზოგიერთი სამეცნიერო თხზულება, რიგი მხატვრული ნაწარმოებებისა, იქაურ ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნები და სხვ., რომელთაგან ნაწილი საქართველოში ვრცელდებოდა და ნაწი-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 355.

<sup>2</sup> იხ. გაიოხის შესახებ ვრცლად კ. კეკელიძის ზემოხს. ნაშრომი, გვ. 353—357.






ლი კი—რუსეთში მყოფ ქართველთა შორის. განსაკუთრებით მოსკოვის ქართულ კოლონიას ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. აკად. ნ. ბერძენიშვილის საბარათლიანო აღნიშვნით, იგი „დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად ბევრი ქართველი კულტურის... კერა“-ს წარმოადგენდა რუსეთში<sup>1</sup>. ამასთანავე, მართალია, „საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას არ ქმნიდა“, მაგრამ, — ხაზგასმით აღნიშნავთ პატივცემული ავტორის შემდეგ სიტყვებს, — „მიუხედავად ამისა საქართველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო, მან ძლიერად შეუწყობდა საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან“<sup>2</sup>. „გარდა ამისა“, — განაგრძობს ავტორი, — „ამ კოლონიას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მოსკოვის ქართული კოლონია ქართველი ხალხის იმ რწმენის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე აღნიშნული კოლონია მძლავრად ზემოქმედებდა ამ მიმართულებით საქართველოში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეებზე. რუსეთში ქართველები მალე დაწინაურდნენ სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის სხვადასხვა სარბიელზე და თავის მხრით დიდად შეუწყვეს ხელი რუსეთ-საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ დაახლოებას“<sup>3</sup>.

მე-18 საუკუნეში რუსეთში სამუდამოდ მცხოვრებსა და საქართველოდან დროებით იქ ჩასულ, მეცნიერებისა და მწერლობის მოტრფიალე პატრიოტ ქართველებს, გარდა მშობლიური ქართული კულტურისა, ასაზრდოებდა რუსული და დასავლეთ ევროპული მეცნიერება და მწერლობაც. თუ არ ეს საფუძველიც, ვერც მეცნიერები ანტონ პირველი, გაიოზ რექტორი, ვახუშტი ბატონიშვილი ან თვით

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწ. I, 1946 წ., გვ. 373.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 373—374. XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც, როცა საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულია, მოსკოვის ქართული კოლონია კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას, ამგვარადვე პეტერბურგისაც. პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის სემინარიაში, 1809—1812 წლებში სწავლა-განათლება მიიღო იონა ხელაშვილმა, პეტერბურგშივე აღზარდა სოლომონ დოდაშვილი და სხვა მრავალი მთამაგე მაშინდელი ქართული კულტურისა.



მხატვრული მწერლობის ისტატი დავით გურამიშვილიც კი და ვერც დიდი სამხედრო ხელოვანი პეტრე ბაგრატიონი და ა. შ. სხვანაც ველარ იქნებოდნენ ისეთი დიდი სახელის მატარებელნი, როგორც დაც ქართველ ერს მის სასიქადულოდ ისინი მოეველინენ.

მე-18 საუკუნეში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურმა დაახლოებამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო რუსეთში წასვლით ქართველთა მიერ სწავლა-განათლების შეძენასა და საერთოდ საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან. მაგრამ, ამასთანავე, ეგვევ კულტურული დაახლოება ძლიერ აჩქარებდა და აღუღებებდა ორივე ქვეყნის პოლიტიკურ დაახლოებასა და მეგობრობას და მოძმე ერის—რუსეთის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს შესვლასაც.

ამრიგად, მე-18 საუკუნეში რუსეთთან დაახლოების გაძლიერებითა და რუსეთის გზით ევროპასთან კავშირით თანდათან ხდებოდა ქართველთა „ევროპეიზაცია“, რისთვისაც ერეკლე მეორე და ანტონ პირველი, თავიანთი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის შესაბამისად, თავგამოდებით მრავალმხრივ იბრძოდნენ. მათი თვალსაზრისით, ამ გზით ევროპასთან მჭიდრო კავშირი ნიშნავდა საქართველოს „გამოხსნასა“ და „აღდგომას“ და ამიტომაც, სხვათა შორის, ქართველთა მიერ რუსეთში წასვლით სწავლა-განათლების შეძენასა და შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთ სწავლულთა გამოყენებას ისინი ძლიერ ხელს უწყობდნენ.

**§ 7. „მოდვარტ-მოდვარის“ ინსტიტუტის დამოკიდებულება სახალხო განათლებასთან XVIII საუკუნის ძარტლ-კახეთში**

საყურადღებოა ერეკლესა და ანტონის ხანის ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში ძველი დროიდანვე შემორჩენილი „მოდვარტ-მოდვარის“ ინსტიტუტის არსებობა. 1786 წლის ერთ-ერთ საბუთში იხსენიება „მოდვარტ-მოდვარი ნიკოლოზ მდივნის ძე“<sup>1</sup>. ამავე წლის მეორე საბუთშიაც იხსენიება ეგვევ „მოდვარტ-მოდვარი ნიკოლოზ“<sup>2</sup>. დავით ბატონიშვილიც გადმოგვცემს: 1789 წელს „კახეთის სოფელს არტოზანს ინება არხიმანდრიტმან შუამთისამან მოძლუართ-მოძლუ [ა]რმან მდივნიშვილმან ნიკოლოზ აღშენება ეკლესიისა წმინდისა ნიკოლოზისი...“<sup>3</sup>. მაშასადამე, ეს „მოდვარტ-მოდვარი“

<sup>1</sup> თ. ყორღანიძე, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 246—247.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 247—248.  
<sup>3</sup> „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ. გამოც., გვ. 34—35.  
 7. აბ. როგავა. 97


მდივნის ძე resp. მდივნი შეიღია და არქიმანდრიტია  
შუამთისა, მოღვაწეობს 1786—89 წლებში მაინც, მოძღვართ-  
მოძღვრად.

მაგრამ ამავე დროს მეორე „მოძღვართ-მოძღვარი“  
სამეფოში. 1787 წელს ერეკლე მეორე უბრძანებს „მოძღვართ-  
მოძღვარ ბიქტორს“: „მარაულებს ელისბარს და ივანეს, საცა  
სახარჭნელოში მამული იყოსო ბეთალმანი მოუნახეთ და მიე-  
ცით“-ო. ისიც ასრულებს ამ ბრძანებას და ეს „მოძღვართ-მოძღვა-  
რი“ თავისი „ბრძანებით და სიტყვით“ „ირაკლის ერდგულებაში“  
აძლევს მათ ასეთ მარჯულს და სიგლითაც უფორმებს<sup>1</sup>.

ამრიგად, ერეკლეს სამეფოში ორი „მოძღვართ-მოძღვარი“ არსე-  
ბობს ერთდამივე დროს: ერთი, ნიკოლოზი, შუამთის მონას-  
ტრის არქიმანდრიტია და მეორე კი, ბიქტორი, „სახარჭ-  
ნელოში“ იძლევა მამულს და, ჩანს, იქაური მოღვაწეა.

„მოძღვართ-მოძღვარი“ ნიკოლოზის შუამთის მონასტრის  
არქიმანდრიტობა და „მოძღვართ-მოძღვარი“ ბიქტორის სა-  
ხარჭნელოში მოღვაწეობა შემთხვევითი მოვლენა არაა, როგორც  
ჩანს საბუთებიდან. მაგალითად, 1748 წლის 13 ნოემბრის საეკლე-  
სიო კრების დადგენილებაზე ზოსიმე ხარჭაშნელს ასე უწერია  
ხელი: „ზოსიმე უღირსმან ეპისკოპოსმან ხარჭისთვალის-  
სამან და მოძღვართ-მოძღვარმან წარესწერენ.—ზოსიმე“<sup>2</sup>.  
არა მარტო ერეკლე მეორის დროს, არამედ მე-17—18 საუკუნეთა  
მიჯნის ერთ-ერთ საბუთშიაც ასე წერია: „ხარჭაშნელი მთა-  
ვარ ეპისკოპოზი მოძღვართ-მოძღვარი ბატონი პარ-  
თენი“<sup>3</sup>. 1701 წლის ერთ-ერთ საბუთშიაც იხსენიება ეს „მოძღ-  
ვართ-მოძღვარი პართენი“<sup>4</sup>. ამრიგადვე, მთელი მე-18 საუკუ-  
ნის რიგ საბუთებში პირდაპირ დასახელებულია ან ნაგულისხმევია ესა-  
თუ ის „მოძღვართ-მოძღვარი“ ხარჭაშნელ ეპისკოპოზად ან  
შუამთის მონასტრის არქიმანდრიტად<sup>5</sup>. ჩვენ საქ-  
ცენტრ. არქივში [ფ. 230 (5)] განგებ გადავთვალიერეთ შუა-  
მთის მონასტრის შემონახული საბუთები XVIII საუკუნისა და  
XIX საუკუნის დასაწყისისა და აღმოჩნდა, რომ ყველა აქაური  
არქიმანდრიტი „მოძღვართ-მოძღვრის“ წოდების  
მქონე ყოფილა მაშინ, როგორც სხვა ზემოხსენებულნი, ამ

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 8951 Hd.  
<sup>2</sup> იხ. ვინმე მესხის მიერ გამოც, „კვალი“, 1834 წ., № 37.  
<sup>3</sup> თ. შარდანიძე. ქართლ-კახეთის მონასტრ. დაცლ. ისტ. საბუთები, გვ. 249.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 244—246.  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 261—262; საქ. მუხ. №1065Qd და სხვ.



საბუთებში იხსენიებიან „მოძღვართ-მოძღვრებად“ შუამთის შემდე-  
 გი არქიმანდრიტები: 1810 წ.—ინოკენტი (№ 76); 1795 წ.—  
 წლებში—ბიქტორი (№№ : 46, 55); 1788, 1780 წ.—  
 კოლოზი (№№ : 75, 59); 1753 წ.—იოანე (№№ : 96, 86). ამ-  
 გვარადვე, სახელდობრ იხსენიებიან სხვა „მოძღვართ-მოძღვრებიც“  
 შუამთისა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში (1711 წ.—№ 89;  
 ნახეთ სხვა წლებისაც №№ : 87, 90, 92, 95, 97, 98, 112, 115,  
 124, 126). ჩანს, მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში არ-  
 სებობს „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ინსტიტუტის კერები ორ  
 ადგილას: შუამთის მონასტერთან, მისი არქიმანდრი-  
 ტის „მოძღვართ-მოძღვრობით“, და მეორე კი—სახარჭ-  
 ნელოში, უთუოდ „ხარჭაშოს ეკლესიასთან“, სადაც,  
 ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, „ზის ეპისკოპოზი,  
 მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-გვესურეთისა და თუშეთისა, რამეთუ  
 შემუშვრასა ჩელეთისასა მოსცვალეს აქა [ანუ ეს არს ჩელეთი]“;  
 აქაური ეპისკოპოზი გვევლინება მე-18 საუკუნეში „მოძღვართ-მოძღ-  
 ვრად“ ქართლ-კახეთში და არა რომელიმე სხვა ეპარქიის ეპისკო-  
 პოზი, დღემდე ცნობილ საისტორიო მასალებით.

შესაძლებელია აღმოჩნდეს რაიმე საბუთი იმის შესახებ, რომ რო-  
 მელიმე სხვა ეპარქიის ეპისკოპოზიც ქართლ-კახეთში მაშინ ატა-  
 რებდა ასეთ წოდებას ანდა, გარდა შუამთის მონასტრისა და სახარჭ-  
 ნელოს „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ინსტიტუტის კერებისა, კი-  
 დევ არსებობდა მაშინ ქართლ-კახეთის რომელიმე ადგილას ამივე  
 ინსტიტუტის სხვა კერა. მაგრამ ეს კი აშკარაა ცნობილი მასალები-  
 დან, რომ ყოველი ეპარქიის ეპისკოპოზს ან მონასტრის არქიმან-  
 დრიტს, განურჩევლად ადგილმყოფობისა, არ შეეძლო ამ წოდების  
 მიღება ქართლ-კახეთში. პირიქით, ჩანს, აქ მაშინ არა ნაკლებ  
 ორი (შუამთის მონასტრისა და სახარჭნელოში) ან იქნებ სამი-ოთ-  
 ხი, მაგრამ არც უფრო მეტად მრავალი გარკვეული „სამოძღვართ-  
 მოძღვრისეული“ ადგილისაგან ერთ-ერთში მოღვაწეობასთან იყო  
 დაკავშირებული ამ წოდებით მოხსენიება ვინმესი. ამრიგად,  
 გარკვეულ ადგილებთან მათი დაკავშირება და ამასთანავე,  
 როგორც ქვევით დავინახავთ, მეფის მიერ „მოძღვართ-მოძღ-  
 ვრის“ მოხელეებისადმი ბრძანებით „მოძღვართ - მოძღვრის“  
 ყმების მივლინება სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად და  
 სწორედ ამიტომაც რექტორის სასარგებლოდ, ულუფისა და ჯამა-  
 გირის ანგარიშში, შედარებით სხვებზე უფრო მეტი გადასახადის

<sup>1</sup> „ადწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურისა და ნ. ბერ-  
 ძენიშვილის რედაქციით 1941 წ. გამოც., გვ. 91.

დაკისრება და სხვა რიგი საქმიანობანიც მოწმობენ შემდეგს: „მოდღვართ-მოდღვრის“ წოდების ტარება მე-18 საუკუნეშიც ჩვენში რომელიმე სასულიერო პირის მიერ არ წარმოადგენდა ტარებას ეპიტეტს, ერთგვარ პირად სამკაულს მის სადიდებლად და უფრო კვეთილი სამონასტრო-ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო-კულტურული სახელოს ფუნქციებით ამ ინსტიტუტის არსებობასა და საქმიანობაზე მიგვითითებს სახელმწიფოში განსაზღვრულ ამა თუ იმ ადვილას.

ჩვენ არ ვიცით XVIII საუკუნეში „მოდღვართ-მოდღვრის“ წოდება გააჩნდა თუ არა ყოველ ხარჭაშენელ ეპისკოპოსს, მაგრამ ის კი გავიგეთ, რომ ეს წოდება ჰქონია მაშინ შუამთის მონასტრის ყოველ არქიმანდრიტს. ამასთანავე ისიც უეჭველია, რომ მეფე და კათალიკოზი ყოველ შემთხვევისას შეეცდებოდნენ ხარჭაშენელად ან შუამთის მონასტრის არქიმანდრიტად დაენიშნათ „მოდღვართ-მოდღვრისეული“ ცოდნისა და გამოცდილების მქონე ბერი. საქართველოს ზემოხსენებულ და სხვა ასეთ ადგილებში ამ ინსტიტუტის წარმატებაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, ყოველი გონიერი მეფისა და კათალიკოზისაგან ასეთ საზრისს, როგორც მე-18 საუკუნეში, ისე ადრედაც, მუდმივ მოითხოვდა.

ჩვენს მიზანს აქ არ წარმოადგენს ხელი მოგვიდოთ „მოდღვართ-მოდღვრის“ ინსტიტუტის გამოკვლევის საქმეს ადრინდელი საუკუნეების საისტორიო მასალების აქ მოტანით. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შეეხნენ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი<sup>1</sup>, კ. კეკელიძე<sup>2</sup>, ე. თაყაიშვილი<sup>3</sup> და პროფესორები გ. თავაძე<sup>4</sup> და ს. ყაუხჩიშვილი<sup>5</sup>, „მოდღვართ-მოდღვრის“ ინსტიტუტის სრული სახე ჩვენთვის XI—XII საუკუნეებში და მით უფრო გვიანდელ ხანებში მაინც გამოურკვეველი რჩება, სათანადო საისტორიო მასალების ნაკლებობისა გამო. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ზემოხსენებულ მეცნიერთა შორის ამ საკითხში ურთიერთ საწინააღმდეგო ზოგი რამ მოსაზრება გამოითქვა და ჩვენთვის უდავოდ, პოზიტიუ-


<sup>1</sup> „ქართული სამართლის ისტორია“, წ. II, ნაკვ. II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 55—57.

<sup>2</sup> „ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 76—77.

<sup>3</sup> „გელმწიფის კარის გარიგება“, ტფილისი, 1920 წ., წინასიტყვაობის გვ. XXI—XXX.

<sup>4</sup> „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში“, ნაკვ. I, თბილისი, 1938 წ., გვ. 58—63.

<sup>5</sup> „გელათის აკადემია“, თბილისი, 1948 წ., გვ. 18—19.



რად მისაღები რჩება შემდეგი: 1) „ბიზანტიურ უმაღლეს სკოლას-  
თან... ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ უმაღლეს სკოლასთან. ხისანი-  
ნავია ისიც, რომ თვით სახელწოდება მოძღვართ-მოძღვართაა, რომ  
გორც ეს საუცხოვოდ არის დამტკიცებული აკად. ე. თაყაიშვი-  
ლის მიერ, წოდება გელათის აკადემიის რექტორისა, იქნეს ნათე-  
საობას ბიზანტიურ ტერმინოლოგიაში: იქაც უმაღლესი სკოლის უფ-  
როსს ეწოდება *ὁ ἐκκλῆσιάρχης ἐν ἐπιθετικῶν, ὁ μὲν γὰρ ἐν ἐπιθετικῶν* ან  
*ἐν ἐπιθετικῶν τῶν ἐπιθετικῶν*“.<sup>1</sup> 2) XI—XII საუკუნეებში საქარ-  
თველოში „მართო მოძღვრები არა ყოფილან, მათ ერთგვარი წეს-  
წყობილება ჰქონიათ და უფროსიც ჰყოლიათ, რომელსაც „მოძლ-  
ვართ-მოძღვარი“ ეწოდებოდა. ამ მოძღვართ-მოძღვარს თავისი „მო-  
წაფენი“ ჰყავდა... მას და მის მოწაფეებს საქართველოში უაღ-  
რესი პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი“.<sup>2</sup> 3) გელათის აკადემია მართ-  
ლაც არსებობდა XI—XIII საუკუნეებში და „მოძღვართ-მოძღვარი“  
მისი რექტორი იყო; სხვაგან,—გადმოცემებით, იყალთოს, გრემსა  
და თბილისს,—მართლაც იყო თუ არა მაშინ უმაღლესი სასწავლებ-  
ლები, საამისოდ არსებითი რამ დამაჯერებელი წყარო დღეს არავის  
არ მოეპოვება და, მით უფრო, იყვნენ თუ არა იმ ადგილებში „მოძლ-  
ვართ-მოძღვრები“ თავიანთი ინსტიტუტის კერებით—ამის შესახებ  
მსჯელობაც კი ჯერჯერობით მაინც უსაფუძვლოა.

გელათის აკადემია, საგულეველია, XIV საუკუნეშიაც,  
გიორგი V-ის მეფობისას (1314—46 წწ.) და ბაგრატ V-ის მეფო-  
ბის ადრინდელ პერიოდში (1360—1386 წწ., თემურ-ლენგის პირ-  
ველ შემოსევამდე) არსებულებოდა. მაგრამ XIV ს. ბოლოს საქარ-  
თველოში მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის სუსხისა, შინა-  
პოლიტიკური და ეკონომიური სიძნელებისა და საზოგადოებრივ-  
კულტურული ცხოვრების დაქვეითებისა გამო იგი ვერ იარსებებ-  
და. უთუოდ ამ ხანებში შეწყდა გელათის აკადემიის არსებობა.  
ყოველ შემთხვევაში XIV ს. ბოლოსა და შემდეგ ხანებში ამ აკა-  
დემიის არსებობა საისტორიო წყაროებით ჯერჯერობით დაუ-  
მოწმებელია. მაგრამ ტერმინი „მოძღვართ-მოძღვარი“ არა უმაღ-  
ლეს სასწავლებელთან დაკავშირებით ხშირად მაინც გვხვდება საის-  
ტორიო წყაროებში XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამასთანავე, „მოძლ-  
ვართ-მოძღვარი“ საქართველოს არა ერთ ადგილას გვხვდება, არა-  
მედ თანდათან უფრო მრავალრიცხოვნად მის სხვადასხვა კუთხეებ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929 წ., გვ. 56—57.




ში. XIV საუკუნეში შედგენილ „კელმწიფის კარის გარიგება“-ში ძველებურად მხოლოდ ერთი „მოძღვართ-მოძღვარი“ ლათიან დაკავშირებით, იხსენიება<sup>1</sup>. აგრეთვე, XIV საუკუნის ერთი სიგლის მოწმობითაც, გელათის „მოძღვართა-მოძღვარი“ საბა არის<sup>2</sup>. მაგრამ არც „კელმწიფის კარის გარიგებაში“, არც XIV საუკუნისვე ამ უკანასკნელ სიგელსა ან სხვა საბუთებში და, შით უფრო, გვიანდელი საუკუნეების მწერლობის ყოველი დარგის ხელნაწერებში გელათის აკადემიის ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის ხსენებაც არ მოგვეპოვება ამ დროის „მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტთან დაკავშირებით. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა უმაღლესი სასწავლებლის იქ მაშინ არ არსებობის დასტურად, რომ XV—XVI საუკუნეების მრავალ სიგელ-გუჯარში უფრო ხშირად, ვიდრე ადრე, გელათის „მოძღვართ-მოძღვარი“ იხსენიება, მაგრამ აკადემია მაშინდელ „მოძღვართ-მოძღვართან“ დაკავშირებით არასდრ არ არის ამ საბუთებშიაც დასახელებული. ასე, მაგალითად, გელათის 1495 წ. გუჯარშიაც აკადემიის გარეშე გელათის „მოძღვართ-მოძღვარი“-ა მოხსენებული<sup>3</sup>. 1509 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ გაცემულ შეწირულობის წიგნში იხსენიება „... დიდისა მონასტრისა გელათისა... მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ“, რომელიც ყოფილა იმავე დროს თვით მეფის „სულისა მოძღვარი“ და „[პა]ტრონი“-ც<sup>4</sup>. 1513 წ. თვით ამ ილარიონს გაუტია შეწირულობის წიგნი, რომელიც გელათის ტაძრის საბუთებში შემონახულია, და ბოლოში მიუწერია: „მე: დიდისა: მონას-

<sup>1</sup> ამ ძველში „მოძღვართ-მოძღვარი“ ათჯერ იხსენიება. აქედან, შემონახული გვიანდელი უნიკუმი ხელნაწერის გადამწერის წყალობით, ერთ ადგილას ის სამჯერ მრავლობით რიცხვშია თქმული უმართებულოდ, რამაც გამოცემაშიაც თავი იჩინა (იხ. „კელმწიფის კარის გარიგება“, ვ. თაყაიშვილის მიერ 1920 წ. გამოც., სტრიქონები 269, 276, 279, 280, 281, 293, 377 || 387, 390, 399). უეჭველია, თავდაპირველად ამ ადგილასაც სამჯერვე ეს სიტყვა მხოლოდით რიცხვში უნდა ყოფილიყო და გადამწერს შეცდომა მოუვიდა იმ ფაქტის ზეგავლენით რომ მის დროს, XVII ან XVIII საუკუნეში, რამდენიმე „მოძღვართ-მოძღვარი“ ანუ „მოძღვართ-მოძღვარი“ არსებობდნენ საქართველოში. ეს მოსაზრება წამოაყენა და სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა აკად. ნ. ბერძენიშვილმა („დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“, „მიმოხილველი“, ტფილისი, 1926 წ., გვ. 110).

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 25.—მეფე დავითის სიგელი.

<sup>3</sup> თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 310—311.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, 1926 წ., გვ. 2—4.



ტრისა: მოძღვართა მოწრსა: ილარიონს:“ დამიმტკიცებიაო და სხვა<sup>1</sup>.  
 1505—1519 წლებში ნასყიდა ბანცაძე და სხვანი უწერდნენ „მოძღვართა-  
 ყიდვის საბუთს „...გელათსა... დამკიდრებ[უ]ლთა ძმათა მოძღვართა-  
 ვართა-მოძღვარსა [პა]ტრონსა ილარიონს და წინამძღუარსა აბაშიძესა მელქიზედექს“ და სხვებს<sup>2</sup>.  
 1510—1524 წლების ერთ-ერთ შეწირულობის წიგნშიაც იმერეთის მეფე  
 ბაგრატის მიერ ნათქვამია: გელათის „... მოძღვართ-  
 მოძღურის მეტი სხვათა ხელი არავის [შევიდოდეს]“-  
 ო<sup>3</sup>. იმერეთის მეფე ბაგრატის მიერ 1527 წ. გაცემულ სიკელში  
 აბხაზეთის კათალიკოზ მალაქიასა და ქართლის კათალიკოზ ბასილის  
 შემდეგ, უწინარეს სხვებისა, იხსენიებიან „დიდისა საყდრისა მოძღ-  
 ვართ-მოძღვარი მანასე და წინამძღვარი მაკარე“<sup>4</sup>;  
 აქ „დიდისა საყდრის“ ქვეშ იგულისმება გელათის საყდარი, სა-  
 დაც ყოფილა „მოძღვართ-მოძღვარი“, კათალიკოზების შემდეგ დი-  
 დი პატივით მოსახსენებელი. მოკლედ რომ ვთქვათ, ასე შემდეგაც,  
 XVI და XVII საუკუნეებისა<sup>5</sup> და, როგორც უკვე ვნახეთ, XVIII  
 საუკუნის რიგ სხვა საისტორიო წყაროებშიაც. ყოველგვარი უმაღ-  
 ლესი სასწავლებლის მოხსენების გარეშე, ჩვენ ვხვდებით „მოძღვართ-  
 მოძღვრის“ დასახელებას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ  
 საქართველოს განსაზღვრულ ადგილებში და ისიც ხანგრძლივი  
 დროის მონაკვეთში (როგორც აქ მოტანილ მაგალითებშია: აღ-  
 რე—გელათში, გვიან—სახარქნელოსა და შუამთაში) და არა განსაზღ-  
 ვრული ადგილისა და ხანგრძლივი დროის გარეშე. ეს გარემოება  
 კი ნიგვითითებს ამ განსაზღვრულ ადგილებში სწორედ „მოძღვართ-  
 მოძღვრისეული“ ინსტიტუტის კულტურულ-საგანმანათლებლო კე-  
 რების ხანგრძლივადვე არსებობაზე არა უმაღლეს სასწავლებელ-  
 თან დაკავშირებით.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 4—5.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 5—6.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 6—8.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 8—10.

<sup>5</sup> მაგალითად, აკად. ე. თაყაიშვილი, ტიმოთე გაბაშვილის ცხო-  
 ბაზე („მოხილქა...“, 1852 წ. გამოც., გვ. 155) დაყრდნობით და უთუოდ სხვა რამ  
 ჩვენთვის უთქმელი საფუძვლითაც, აღნიშნავს: „შესანიშნავი სწავლული და მოღ-  
 ვაწე მე-XVII საუკუნისა ნიკიფორე ჩოლაყაშვილი კახეთში მოძღვართ-მოძღვარი  
 იყო“-ო (წინასიტყვაობა „ველმოწ. კარის გარიგებისა“, 1920 წ. გამოც., გვ.,  
 XXXIII—XXXIV). ტიმოთე გაბაშვილის ამავე ცნობაშივე ეს ნიკიფორე იგი-  
 ვე ნიკოლოზ ჩოლაყაშვილია (იხ. „მოხილქის“ ეს ადგილი სრულად  
 ზემოხს. გვერდზე) და ამ „ნიკოლოზს ჩოლაყაის-ძეს“ კი ანტონ






„მოძღვართ-მოძღვარი“ XVI—XVIII საუკუნეებში, როგორც აღ-  
 რედაც, უფრო მაღალი თანამდებობის მქონე იყო, ვიდრე წინამძღ-  
 ვარი რომელიმე მონასტრისა და მას სახელმწიფოში მითითებული  
 ვი ჰქონდა, ვიდრე უკანასკნელს. ამას მოწმობს არათუ ზემოხსენ-  
 ბულ საბუთებში მათი თანმიმდევრობითი დასახელება (ილარიონის  
 შემდეგ წინამძღვარ მელქიზედეკის ხსენება და მანასეს შემდეგ კი  
 —მაჯარესი) და ბაგრატი მეფის მიერ გელათისადმი შენაწირის  
 შესახებ თქმული „...მოძღვართ მოძღვრის მეტი სხვათა ხელი არა-  
 ვის [შევიდოდეს]“, არამედ სულხან-საბა ორბელიანის თა-  
 ვის ლექსიკონში: „მოძღუართ-მოძღუარი — უფროსი წინამ-  
 ძღუარი“-აო<sup>1</sup>. „წინამძღუარი“ სიტყვის განმარტებისას კი სა-  
 ბა ამასვე უფრო ვრცლად გადმოგვცემს: „წინამძღუარი ეწოდების  
 კრებულის უფროსსა, გინა მგზავრთა ეტიკსა, გინა ბრმის  
 წინამყუანებელსა. ხოლო სამღვდლო მონასტერთა წინამ-  
 ძღუართა განყოფილებანი ესრეთ არიან: ერთისა მონასტრისა  
 კრებულის უფროსსა ეწოდების წინამძღუარი, ხოლო შვიდთა  
 და რვათა მონასტრის წინამძღუართა ზედამდევსა, რათა იგი განა-  
 გებდეს — მათასახლისი, ხოლო მრავალთა მამასახლისთა ზედა-  
 დევსა — მოძღუართ-მოძღუარი და მრავალთა მოძღუართ-

პირველი დიდი ქებით შეამკობს თავის „წყობილ-სიტყუიობაში“ (1853 წ. გა-  
 შოც., სტროფ. 783—784). ანტონ პირველის სიტყვით, ეს ნიკოლოზი იყო  
 მრავალი უცხო ენის მცოდნე და აზიასა, ევროპასა და აფრიკაში ნამოგზაური, სი-  
 ბრძნისმოყვარე, „ღრამმატიკოსი“ და „რიტორ ფილოსოფოსი“. ის იყო „არხი-  
 მანდრიტი“, „... არჟიტ მთავრობდა, ჰსწავლათა თვსთა  
 მიერ განაშუშენებდა კახთა, მეგრელ-ქართულთა, ძეჩინე-  
 ბულთა, მთავართა კახეთისათა“-ო („წყობილ-სიტყუიობის“ იგივე  
 სტროფები). ეს ნიკიფორე resp. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი, ჩანს, მართლა „მოძღ-  
 ვართ-მოძღვარი“ იყო და გასაკვირველი არაა მას ასეთი განმანათლებლობა  
 გაეწია თავისი „მოძღვართ-მოძღვრობითაც“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.  
 თეიმურაზ ბატონიშვილიც მის შესახებ გადმოგვცემს: იერუსალიმში  
 „...ცხოვრებულა... ჯვარის მამა ნიკოლოზ, ყოფილი ნიკიფორე, ძე  
 ომან ჩალაყა-შვილისა, დედით არაგვი ერისთვასულის ბარბარეს შვილი, კა-  
 ცი სახელოვანი, წინამძღვარი მეტეხის ქალაქისა და მოძღ-  
 ვართ-მოძღვარი კახეთისა, ოდიშ, სოფელ კოროცხელ (sic) და  
 იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და გოლგოთისა, სამკჯდროსა ჩვენ ქართველ-  
 თა მეფეთა და ერისა მისიცა არხიმანდრიტი“-ო და სხვა („ისტორია  
 დაწყებითგან ივერიისა...“, 1848 წ., გვ. 297).

<sup>1</sup> იხ. სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, ი. ყიფშიძისა  
 და ა. შანიძის რედაქციით 1923 წ. გამოცემული.



მოდღუართა ზედამდეგსა—მოდღვართა პეტი (მოდღუარპეტი) ეწოდების“-ო<sup>1</sup>. ამრიგად, XVII—XVIII საუკუნეთა საქართველოში მოღვაწე დიდი ქართველი მეცნიერი საბა ორბელიანი „მრავალთა მოღღუართ-მოღღუართა“ არსებობას როგორც თავის დროში, ისე უთუოდ აღრედაც. ამასთანავე, „წინამძღუარი“ მას მიაჩნია ერთი მონასტრის კრებულის უფროსად, რომელიც „მოდღვართ-მოღღვრის“ უმცროსის (მამასახლისის) უმცროსია თანამდებობით.

ცნობილი ლექსიკოგრაფისა და მწერლის, ს. ორბელიანის ზემოხსენებული სიტყვები დიდად ანგარიშვასაწევია. საბა, უეჭველია, კარგად იცნობდა „მოდღვართ-მოღღვრის“ ინსტიტუტსა და პირადად ზოგიერთ „მოდღვართ-მოღღვრისა“ მაინც თავის დროზე და შეუძლებელია ასეთი პიროვნება შეცდომას უშვებდეს მათ შესახებ გადმოცემაში. მისი სიტყვით კი აშკარაა, რომ „მოდღვართ-მოღღვარი“ ყოფილა თუ არ აღრედაც, მისსავე ხანაში მაინც, XVII—XVIII საუკუნეებში მონასტერთა წინამძღვართა და მამასახლისთა ზედამდეგი, მათი საერთო ხელმძღვანელი. ბუნებრივია ასეთი თანამდებობის მქონე სასულიერო პირი XVI საუკუნეში, 1527 წ. ზემოხსენებულ სიგელში დასახელებული მანასე, ბაგრატ მეფეს კათალიკოზთა მომღვეწოდ და უწინარეს მონასტრის წინამძღვრისა დაესახელებინა. ესა და სხვა ზემოხსენებული სიგელები XVI საუკუნისა მოწმობენ საბა ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტების სისწორეს „მოდღვართ-მოღღვრის“ შესახებ კერძოდ XVI საუკუნის პირობებშიაც ჩვენში. ამასთანავე, არც XVII საუკუნის საისტორიო წყაროების ცნობები ეწინააღმდეგება მის ამ განმარტებას და საბას ამ მხრივ მხარს უჭერს ჩვენ მიერ ზემოხსენებული საბუთებიც XVIII საუკუნისა. ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVI—XVIII საუკუნეებში „მოდღვართ-მოღღვარი“ ყოფილა მონასტერთა წინამძღვართა და მამასახლისთა ზედამდეგი, მათი საერთო ხელმძღვანელი. მაგრამ XVIII საუკუნის ეგვევ საბუთები უფრო მეტად ვრცლად დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს.

XVIII საუკუნის ზემოხსენებული საბუთებიდან საერთოდ ჩანს შემდეგი: „მოდღვართ-მოღღვარი“ აუცილებლად სასულიერო პირია (ეპისკოპოზი, არქიმანდრიტი) და ისიც ბერი, მქონე არა უმდაბლეს არქიმანდრიტის ხარისხისა. იგი მშენებლობის დარგშიც მუშაობს

<sup>1</sup> იქვე.



(აშენებს ეკლესიას, გალავანსა და სხვ.). „მოდღვართ-მოდღვრები“ ხატების შენახვაზე ზრუნავენ და მეფის რაიმე საგანგებო დასაწყობის ბეზსაც ასრულებენ (სამამულო სადავო საკითხების განხილვა). „მოდღვართ-მოდღვარს“ აბარია ეკლესია, ჰყავს ყმები, თავისი მოხელეებიც, რომელნიც „შაგირდებად“ აბარებენ მის ზოგიერთ ყმას, მაგალითად, დავით რექტორს სემინარიაში. ამ საქმისათვის „მოდღვართ-მოდღვრის მოხელეები“ „მოდღვართ-მოდღვრის შემოსავლი დამ ხუთ თუმანს და ერთ საპალნე ღვინოს მოსცემდეთ ხოლმე ყოველ წელს“ დავით რექტორსო, ბრძანებს ერეკლე მეორე. „შაგირდები მივაბარეთ და იმისთვის განუჩინეთ ეს ულუფა. თქვენის ეკლესიის ყმიდამაც უნდა მიეზაროს“-ო<sup>1</sup>. მაგრამ მეტად საყურადღებო ის არის, რომ მეფე ერეკლე არათუ სხვებზე, არამედ თვით თავისთავზე და ალავერდელ მიტროპოლიტზე მეტ გადასახადს აკისრებს სამისოდ მათ „მოდღვართ-მოდღვრის შემოსავლი დამ“, სახელდობრ—„ხუთ თუმანს და ერთ საპალნე ღვინოს“, დავით რექტორის ჯამაგირისა და ულუფის დადგენისას<sup>2</sup>. ყოველ მათგანზე მეტი ასეთი მატერიალური საზღაურის დაკისრება მეფისაგან „მოდღვართ-მოდღვრისადმი“ მოწმობს იმას, რომ „მოდღვართ-მოდღვარი“ სახალხო განათლების დარგში სხვაზე ნაკლებ ჩაბმული არ იყო და სწორედ მისეულ ინსტიტუტსა და ამავე ინსტიტუტთან დაკავშირებულ „მოდღვართ-მოდღვრისეულ“ ყმებსაც სხვაზე ნაკლებ სასარგებლო სწავლა-განათლებით არ ემსახურებოდა დავით რექტორი და მისი სემინარია. ამიტომაც მონასტერთა წინამძღვართა და მამასახლისთა საერთო ზედამდეგი „მოდღვართ-მოდღვარი“, ბუნებრივია, XVIII საუკუნის საბუთებშიაც რომ ყველასაგან საპატიო პიროვნებადაა მიჩნეული, მას „ბატონად“ იხსენიებენ და ა. შ..

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ XVI—XVIII საუკუნეებშიაც ჩვენში მონასტრები და მათთან არსებული რიგი საეკლესიო დაწესებულებებისა წარმოადგენდნენ სახელმწიფოში განსაკუთრებით სამღვდლო და სხვა საეკლესიო თანამდებობის პირთა აღმზრდელსა და სასულიერო ცოდნისა და განათლების გამავრცელებელ კერებს. სწორედ აქ არსებობდნენ უმეტესობა ეპარქიალური დაბალი სკოლებისა, უმეტესობა კალიგრაფთა ჯგუფებისა, მგალობელთა წრეები და სხვა მისთანანი. აგრეთვე, სამონასტრო დაწესებულებებ-

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1065 Qd.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 1068 Qd.



ში წარმოებდა განსაკუთრებით სამღვდელმსახურეობითი პრაქტიკის მიღება სამღვდელოდ მოსამზადებელ პირთა, აქვე იყო მდებარე წიგნთსაცავები და სხვა. ამრიგად, „მოძღვართ-მოძღვარის“ გორც მონასტრების საერთო ზედამდევს, მათი საყოფაცხოვრებო საქმეთა და შინაგანაწესის შესრულების მეთვალყურეობასთან ერთად, თავისი პირადი სამოსამსახურეო აპარატითა და მთელი მისეული ინსტიტუტის დახმარებით, რა თქმა უნდა, ევალეობდა სახელმწიფოში განსაკუთრებით მომავალი სამღვდელოების აღზრდაც და ეს საქმე იყო სახალხო განათლების დარგში მისეული ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება. რომ ეს მართლაც ასეა, ამას მოწმობს 1513 წ. „მოძღვართ-მოძღვარ“ ილარიონის მიერ გაცემული შეწირულობის წიგნის ერთ-ერთი ადგილიც: „...ხახულისა საკურთხევისა ღმრთის მშობელსა შემოგწირეცა მცირე [ესე] შესაწირავი მე სახითა ოდესმე [აჩრდილმა მღრდელთა მოძღვარ მობისმა მოძღვართ-მოძღვარმა ილარიონ. [შემო]გწირე [პატრონისა მეფეთა-მეფისა ალექსანდრესათვისა სულისათვისა“-ო და ასახელებს შეწირულ ყმებს<sup>1</sup>. ამ საბუთში ილარიონის მიერ პირდაპირ თქმულია, რომ ის „მღრდელთა მოძღვარობის მოძღვართ-მოძღვარი“ იყო თავის დროზე, ე. ი. მღვდელთა სწავლება წარმოადგენდა მის, როგორც „მოძღვართ-მოძღვრის“ მთავარ ხელობასა და დანიშნულებას<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ეს საქმიანობა არა მარტო ილარიონ „მოძღვართ-მოძღვრის“ მოვალეობა იყო, არამედ ყოველი „მოძღვართ-მოძღვრისა“ და ამ შემთხვევაში კერძოდ თავისთავზედაც გამოთქვამს ილარიონი. ილარიონ „მოძღვართ-მოძღვარი“, რომელსაც გელათში ჰქონდა რეზიდენცია, უეჭველია, ხელმძღვანელობდა „მღრდელთა“ სწავლა-განათლების საქმეს მის ზედამდებობაში შემაჯავლი მონასტრების სასკოლო-სააღმზრდელო დაწესებულებ-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, დასავლ. საქ. საეკლ. საბ., წ. I, 1921 წ., გვ. 4—5.  
 ს. კაკაბაძის სიტყვით, „როგორც ზოგ სხვა მე-XV—XVI საუკუნის საბუთებს, შეწირულების ამ წიგნს ანასათებს ზედმეტი ხმარება ასო ა-ნისა“. მოტანილ ციტატში ეს ზედმეტი ასო საჭიროებისამებრ გამოვრიცხეთ.  
<sup>2</sup> „მოძღვარი“, საბა ორბელიანის განმარტებით, „ოსტატი“-ა, „ოსტატი“ კი — „ველოსანთ უფროსი, უფალთ უზუცესი“. ამასთანავე, „მამა“ სიტყვის სინონიმებია, საბასვე განმარტებით, „მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უზუცესი“ (იხ. საბას ლექსიკონი). „მოძღვრობა“ საერთოდ ძვ. ქართულში სწავლებას ნიშნავს, „მოძღვარი“ კი — მას სწავლებელს. აგრეთვე, „ოსტატსაც“ კი უწოდებდნენ მასწავლებელს (იხ. თუნდაც იოანე ქართველი შვილის მემუარები, საქ. მუხ. № 1196 (1234)A, და სხვ.).

ბების საშუალებით და მთელი თავისი „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ინსტიტუტის საქმიანობით. ბუნებრივია, ილარიონი, ეპიტოფი თანამედრობის პირი, 1509 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრეს სულთისა მოძღვარი“ და „[პა]ტრონი“-ც ყოფილიყო, როგორც ამ მეფის მიერვე იგი მოხსენებულა ზემოდასახელებულ ერთ-ერთ შეწირულობის წიგნში. ასეთ განმანათლებლებს, „მოძღვართ-მოძღვრებს“; XVI—XVIII საუკუნეების მანძილზედაც მეფის ხელისუფლებისა და საერთოდ საერო წრეებისაგანაც პატრვი მართლაც არ უნდა დაკლებოდათ, თუ ვინმეს ეკლესიის გადამტერება ოდნავად მაინც არ სურდა.

ამრიგად, ახლა შეგვიძლია უფრო ვრცლად დავასკვნათ: XVI—XVIII საუკუნეებში „მოძღვართ-მოძღვარი“ იყო მონასტერთა წინამძღვართა და მამასახლისთა ზედამდევნი, მათი საერთო ხელმძღვანელი. „მოძღვართ-მოძღვრისა“ და „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ინსტიტუტის ფუნქციებში შედიოდა არა მარტო მონასტრების საყოფაცხოვრებო საქმეთა და შინაგანაწესის შესრულების მეთვალყურეობა, არამედ განსაკუთრებით სამღვდელთა პირთა სწავლება მონასტრებთან არსებულ სკოლებსა, მგალობელთა წრეებსა და კალიგრაფთა ჯგუფებში, აგრეთვე სამღვდელმსახურეობითი პრაქტიკის გადაცემა მოსწავლეებისადმი და სხვა.

ამასთანავე გასაგებია ჩვენთვის, თუ რატომ რომელიმე სხვაზე მეტ გადასახადს აკისრებს მეფე ერეკლე „მოძღვართ-მოძღვრის შემოსავლიდამ“ „მოძღვართ-მოძღვრის მოხელეებს“ დავით რექტორის ჯამაგირისა და ულუფის ანგარიშის გასასწორებლად ყოველ წლიურად და რატომ ავალებს განსაკუთრებით მათ: დავით რექტორს „შაგირდები... თქვენის ეკლესიის ყმიდამაც უნდა მიებაროს“-ო. ამ მოხელეების მიერ წინასწარ შერჩეულ, ადრევე „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ინსტიტუტში დაბალ ცოდნა მიღებულ და შემდეგ თელავის სასულიერო სემინარიაში კურსდამთავრებულ, ზოგადი საშუალო სწავლა-განათლების მქონე „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ყმას, რა თქმა უნდა, მომავალში კიდევ უფრო მეტი გასაქანი ეძლეოდა „მოძღვართ-მოძღვრისეულივე“ ინსტიტუტის შტატებში „მოძღვართ-მოძღვრისეული“ ცოდნა-ხელობის თუ სამსახურებრივი მოვალეობის უკეთ შესრულებისა და გამოყენებისათვის, — სამონასტრო ცხოვრების უკეთ მოგვარებისა და სამღვდელთა პირთა აღზრდისათვის. ჩანს, საქართველოში ცოდნა-განათლების ამალღებით საერთოდ დიდად დაინტერესებული მეფე ერეკლე, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ამ-

გვარი „მომატებული“ სწავლებითაც,<sup>1</sup>—უმალესი სასწავლებლის (აკადემიის) სამსახურისაგან აღრევე მოწყვეტილ დაქვეითებულ, XVI—XVIII საუკუნეების დაბალ სასულიერო მოძღვრისეულ“ სწავლა-განათლებას „მომატებული“ სასულიერო სემინარიული ზოგადი საშუალო ცოდნის გადაცემითაც,—ცდილობდა აღეზარდა თანამედროვეთა შორის უფრო განათლებული როგორც ე. წ. შავი, ისე თეთრი სამღვდელოება ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ძლიერებისათვის. მართლაც, ასეთ ზომებს უკარნახებდა ერეკლეს თავისი და ანტონ პირველის საერთო საზოგადოებრივ-პოლატიკური თეორია.

„მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტის საკითხი აღრინდელსა და გვიანდელ საქართველოში უფრო ღრმად და სპეციალურად შესწავლას საჭიროებს, ვიდრე ეს დღემდე რომელიმე მეცნიერს მის შესახებ მცირერიცხოვან საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით უწარმოებია. მის შესახებ არსებული ცნობილი საისტორიო მასალები ცოტა რამეს გვაძლევს მისი სრული სახისა და ბუნების გამოსამყვანებლად. ამიტომაც ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით შევხებით მას ერეკლე მეორის ხანის სახალხო განათლების საკითხებთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც ჩვენ ხელში ზოგი რამ ახალი საამისო მასალაც, სხვათა მიერ აღრე გამოქვეყნებულთან ერთად, აღმოგვაჩნდა.

„მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტმა თავისი წარმოშობის დროიდან აღსასრულამდე, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალგვარ ცვალებადობასთან ერთად, უქვევლია, ზოგი რამ სახეცვლილება განიცადა. ამიტომ, ბუნებრივია, ეს ინსტიტუტი საგრძნობლად გარდაქმნილი სახით გვევლინებოდეს XVIII საუკუნის საქართველოში, ვიდრე XI—XIII საუკუნეების პირობებში იგი ჩვენში არსებობდა. „მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტის ნაწილობრივ სახეცვალებადობის ზოგი რამ ჩვენთვის შესაჩინევი მოვლენა ზევით აღნიშნულია.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ შეძლებისამებრ გზადაგზა აღნიშნულია XVIII საუკუნეში მეფის, კათალიკოზისა და ადგილობრივი ეპისკოპოზების როლი სამღვდლო პირთა აღზრდის საქმეში სემინარიების, ეპარქიალური სკოლების, სტამბის, ბიბლიოთეკების თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. ამჟარა ჩვენთვის, რომ „მოძღვართ-მოძღვრებიც“ იღებდნენ მონაწილეობას ამ დაწესებულებათა საქმიანო-

<sup>1</sup> იხ. ერეკლე მეორის 1762 წ. წერილი დოსითეოზ ნეკრესელისადმი, საქ. მუხ. № 215 Ad.

ბაში. მაგრამ ამ დაწესებულებებში საქმიანობისას რა ურთიერთობა არსებობდა ზემოხსენებულ პირთა და „მოდღართ-მოდღარებს“ შორის, იქ სახელდობრ რა ევალეობდა უკანასკნელთ დასაქმებას სხვა მისთანანი — ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით. „მოდღართ-მოდღარებს“ ინსტიტუტის სპეციალურად კვლევა-ძიებისას ასეთი საკითხები ყურადღების ღირსია, ჩვენ კი აქ მხოლოდ ზემოთქმულით განვისაზღვრებთ.

## § 8. უმაღლესი სასწავლებლების დაარსების პროექტების შესახებ

აღ. გარსევანი შვილის სიტყვით, ერეკლე მეორის დროს „სხვათა შორის დააარსეს ორი სემინარია — ერთი ქალაქში, მეორე თელავში. ამავდროს შეიშუშავეს პროექტი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ. ქალაქ გორში აპირებდნენ ამგვარ უმაღლეს სკოლის დაარსებას. აქ უნდა ესწავლათ ქართველებს ორი ძველი ენა — ლათინურ-ბერძნული და ერთი ახალი — ფრანგული ენა“-ო<sup>1</sup>. რა საბუთი გააჩნია ამ სიტყვების ავტორს თქმულის დასადასტურებლად, ჩვენ ეს არ ვიცით, — მას იგი არ მოაქვს. მიუხედავად ამისა, რამდენადაც საეჭვო არ უნდა იყოს, მაინც საფიქრებელია ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის მიერ ასეთი პროექტის შემუშავება. ანტონს, 1756—63-სა და 1772—74 წლებში ოუსეთში ნამყოფს და იქაური სწავლა-განათლების დარგს კარგად გაცნობილს, აგრეთვე, მშობლიური ლიტერატურული წყაროების კარგად შესწავლით, თანამედროვეთა შორის სხვებზე უფრო უკეთესად ძველი გელათის აკადემიისა და იქაური მოღვაწეების (ი. პეტრიწი და სხვა) ცხოვრების მცოდნეს<sup>2</sup>, დიდი ერუდიციის პატრონსა და მეცნიერებით გატაცებულ კათალიკოსს შეეძლო ეს პროექტი შეედგინა. ერეკლემ ასეთი პროექტის განსახორციელებლად არც არაფერს დაიშურებდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ჯერჯერობით მაინც რაიმე უტყუარი საბუთი არ მოგვეპოვება ამ პროექტის არსებობა ფაქტად მივიჩნიოთ. მომავალში მაინც მოსალოდნელია ასეთი საბუთის აღმოჩენა; ზემომოყვანილი სიტყვების ავტორს, აღ. გარსევანი-შვილს, უთუოდ გააჩნდა საუფძელად რაიმე წყარო იმისათვის, რომ ასე კატეგორიულად განეცხადებინა მკითხველის საყურადღებოდ ამ

<sup>1</sup> „ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან“, „კვალი“, 1888 წ., № 49. ხაზასმა ჩვენია, ა. რ.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ მისი „სპეკალის“ თ. 151, „წყობილ-სიტყუაობის“ სტროფები 571, 576, 731—742 და სხვ., აგრეთვე სხვა ნაწარმოებებიც ანტონ პირველისა.

პროექტის შესახებ და ეს ამბავი მაინცდამაინც სიცრუეს არ უნდა წარმოადგენდეს.

სემინარიების დაარსების დროს, ერეკლეს ხანაში, ლესი სასწავლებლის გახსნის პროექტი თუ ამგვარად ჩვენთვის მხოლოდ საფიქრებელი ჯდება, სამაგიეროდ ისეთი პროექტი ცოტა უფრო გვიან, გიორგი მეთორმეტის მეფობისას, მისი შვილი იოანეს მიერ 1799 წ. მართლაც შემუშავებულ იქნა. იოანე ბატონი შვილი მამა მეფეს სახელმწიფოში გასატარებელი სხვადასხვა აუცილებელი რეფორმების შესახებ ამ წელს მიართმევს წერილობით მოხსენებას, რომელშიაც ერთ-ერთ ღონისძიებად ეს პროექტი წარუდგენია სასკოლო მშენებლობის დარგში. ამ პროექტით იოანე ითვალისწინებდა თბილისს, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების გახსნას. ამ სასწავლებლებში მსმენელებს უნდა ესწავლათ კლასიკური ენებიდან — ბერძნული და ლათინური, აღმოსავლურიდან — სომხური და თათრული, აგრეთვე რუსული და სხვა ევროპული ენებიც რიგ სხვა სასწავლო საგნებთან ერთად<sup>1</sup>.

იოანე ბატონიშვილი 1799 წ. პროექტით თუ სამი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ვარაუდობს გიორგი XII-ის დროს, როცა ქართველი მეფის ტახტი ირყევა და ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება სულს ძლივს ღაფავს, მით უფრო დასაჯერებელია აღ. გარსევანიშვილის შემომოყვანილი სიტყვა, რომ ერეკლე მეორის დროს, სემინარიების დაარსებისას „შეიმუშავეს პროექტი უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ“ გორში. სემინარიების დაარსებისას, ქართლ-კახეთის სამეფოს შედარებით ძლიერების დროს ერთ ადგილას მაინც უმაღლესი სასწავლებლის დაარსების განზრახვა, რა თქმა უნდა, უფრო მოსალოდნელი იყო და საამისოდ, შესაძლებელია, პროექტი წინასწარ კიდევაც შედგენილიყო. ეს საკითხი ღრმა კვლევა-ძიებას საჭიროებს და ამჟამად, სათანადო მასალების უქონლობისა გამო, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, გარდა შემოგამოთქმული მოსაზრებისა.

### § 9. ანტონ პირველისა და მისი მიმდევრების მუშაობა სახელმძღვანელო წიგნების შესაქმნელად

ანტონ პირველი და ერეკლე მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერული დისციპლინებისა და სასულიერო-საეკლესიო საგნების შესასწავლად სკოლებში, თან კერძო ოჯახებში გამო-საყენებლადაც სახელმძღვანელო წიგნების შექმნას მშობლიურ ენაზე. 1767 წლის გრამატიკის ერთ-ერთ პარაგრაფში ანტონ პირ-

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 2155 H; იხ. აგრეთვე კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორია“, 1, 1941 წ., 83-79.





ველი, სხვათა შორის, წერს: „ამიერითგან იბრძანების სიმალ-  
ლისაგან მისისა მეფისა ჩუცნისა ქმნად წიგნებდა  
გალობანი და წერანი ქართულებნი სხვადასხვადას  
ყრმათათჳს, ხოლო კვალად თავისუფალნიცა და აზნაურ-  
ნი ცნობანი გნოსისნი და სემინარიანი ქმნად მოწა-  
ფეთათჳს. და ესენი რა იქმნებიან, გჳაქჳს სასოებაჲ ღვთი-  
სა მიმართ, რათა საბეჭდავნიცა იქმნეს წერილთა-  
ნი“-ო<sup>1</sup>. ამრიგად, ერეკლე და ანტონი ცდილობენ ქართულ ენა-  
ზე დაბალი და საშუალო ცოდნის მისაღებად ახალგაზრდობისათვის  
შექმნან სახელმძღვანელო წიგნები და ამ საქმეში სტამბაც გამოი-  
ყენონ.

ანტონ პირველი სკოლებსა და კერძო ოჯახებში სახელმძღვანელო  
წიგნებს არათუ თვით ჰქმნიდა, არამედ ამ საქმეში მას აუოლიებულნი  
ჰყავდა თავისი თანანზრომლები და მოწაფე-მიმდევრები. ანტონისა-  
და მათ მიერ შეიქმნა რიგი ასეთი სახელმძღვანელო წიგნებისა, რო-  
გორც სასულიერო დანიშნულებისა, ისე საერო—ელემენტარული  
და „მაღალი“ სამეცნიერო ხასიათისანი. ამ საქმეში თავი ისახელეს  
დოსითეოზ ნეკრესელმა, ფილიპე ყაითმაზაშვილმა, ნიკოლოზ ქიზი-  
ყელმა, გაიოზ რექტორმა, დავით ბატონიშვილმა და სხვებმაც. ამ  
საქმის სულისჩამდგმელი იყო კათალიკოზი ანტონ პირველი და მან,  
როგორც ინიციატორმა ამ საქმისამ და თანამედროვეთა შორის ყვე-  
ლაზე უფრო მომზადებულმა პიროვნებამ, ამ მხრივაც მთავარი სიმ-  
ძიმე თვითვე იტვირთა, სხვათაგან მისაბაძავად.

ეს სახელმძღვანელოები ანტონის მიერ ზოგი თარგმნილი იყო  
უცხო (სომხური, ლათინური, რუსული) ენებიდან, ზოგი კი—ორიგი-  
ნალურად შედგენილი. მის ნათარგმნ სახელმძღვანელო ნა-  
წარმოებთაგან საყურადღებოა: ფრიდერიკოს ქრის-  
ტიანოს ბაუმეისტერის (1709—1785) 1) მეტაფიზი-  
კა, 2) ლოგიკა და 3) ეთიკა,—1762 წ. ლათინურიდან ნათარგ-  
მნნი<sup>2</sup>; 4) სიმონ ჯულფელის „დიალიკტიკა“, 1753—  
56 წლებში ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით სომხურიდან ვად-  
მოდებული ანტონისეული ვარიანტი<sup>3</sup>; 5) ქრისტიანოს ვოლ-

<sup>1</sup> იხ. 1767 წ. გრამატიკაში „ზედა-დაპროტუჲა მესამისა ნაწილისად...“, §  
23,—საქ. მუხ. № 720A, გვ. 297—298; შეად. რ. ერისთავის რედ. გამოც., ვგვევ პა-  
რაგრაფი.

<sup>2</sup> საქ. მუხ. ხელნ. № №: 15 A, 1154 S, 1169 S, 3663 S, 2356 H, 2357 H,  
2359H, 337 H, 585 Q და სხვ.; იხ. ანტონ პირველის ცნობაც 1767 წ. გრამატიკაში,  
— № 720 A, § 324, შეად. რაფ. ერისთავის რედ. გამოც., § 32ხ, გვ. 220.

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ ქვევით.

ფის (1679—1754) „ფიზიკა“, რუსულიდან გადმოღებული მიხეილ ლომონოსოვის თარგმანი „Вольтфианская экспериментальная физика...“-დან, რომელიც ორჯერ გამოიცა პეტერბურგს: 1746 წელსა და 1760 წელს<sup>1</sup>; 6) კვიციანი კვიციანის (I ს., ახ. წ.) „საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა“ ანუ „ისტორია ალექსანდრე დიდისა“, 1762 წ. ორ ტომად (10 „წიგნი“, — თითოეულ ტომში 5 „წიგნი“) რუსულიდან გადმოთარგმნილი<sup>2</sup>; 7) „რიტორიკა“, 1764 წ. ქმნილი მხითარ სევეასტიელის სომხური რიტორიკის გვარზე, რომელშიაც ანტონს მაგალითები ქართულიდანაც მოუყვანია<sup>3</sup>. ანტონ პირველის ორიგინალურ სახელმძღვანელო ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია: 8) კატეხიზისი სხვადასხვა წლებისა<sup>4</sup>; 9) „ღმთის-მეტყუტლება“ 4 ტომად, 1760 წ. დასრულებული<sup>5</sup>; 10) „კატილორია“ ოთხი სახისა, სხვადასხვა დროს გარდაქმნილი<sup>6</sup>; 11) გრამატიკა ორგვარი, 1753 წლისა<sup>7</sup> და 1767 წლის<sup>8</sup>.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტონ პირველი იყო რა დიდი პატრიოტი ქართული მწერლობისა და მშობლიური მეცნიერულ-კულტურული მემკვიდრეობის უაღრესი შემფასებელთაგანი და ძლიერი გამომყენებელი, ამასთანავე, როგორც ყოველი დიდი მეცნიერი, თავს არ იზღუდავდა არასდროს ვიწრო ნაციონალურ-კულტურული ჩარჩოებით. მას მარად აინტერესებდა, ქართული ეროვნული პროგრესული საზოგადოებრივ-კულტურული იდეალების შესაბამისად, მსოფლიო დიდი მოაზროვნეების შემოქმედებათა შესწავლა და თავისი ერის სასარგებლოდ მათი ნააზროვნების რაიმე მხრით გამოყენება. ამიტომ ანტონის ფილოსოფიური და მეცნიერული შრომები წარმოშობილი არიან არა მარტო მდიდარი მშობლიური მწერლობის ნია-

<sup>1</sup> ანტონის თარგმანის ნუსხები—საქ. მუხ. №№: 44 S, 491 Q, 275 A და სხვ.; იხ. ანტონის ზემოხს. გრამატიკის იმავე ადგილას ცნობაც.

<sup>2</sup> საქ. მუხ. №№: 1273 S (I და II ტ.), 410 S (I ტ.), 3673 S (I ტ.), 394 S (II ტ.); იხ. ანტონის ზემოხს. გრამატიკის იმავე ადგილას ცნობაც.

<sup>3</sup> საქ. მუხ. №№: 175 A, 333 A; იხ. ანტონის ზემოხს. გრამატიკის იმავე ადგილას ცნობაც; აგრეთვე, იხ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 349.

<sup>4</sup> საქ. მუხ. №№: 796A, 155 A, 245A, 2343 II და სხვ.

<sup>5</sup> საქ. მუხ. №№ 3657—3660 S, გადაწერილი ანტონ პირველის მოწაფე ტრიფილეს მიერ.

<sup>6</sup> იხ. ამის შესახებ ქვეით.


<sup>7</sup> საქ. მუხ. №№: 531 A, 785 A.

<sup>8</sup> საქ. მუხ. № 720 A და სხვ.; ეს გრამატიკა გამოცემულია რაფ. ერისთავის რედაქციით 1885 წ. თბილისში.

დაგზე, არამედ ქართული ეროვნული ინტერესებითა და მიზანდასახულობით დიდად დაკავშირებული არიან მოწინავე ევროპული მეცნიერება-ფილოსოფიასთანაც — დეკარტეს, ლეიბნიცის, ვოლფის, ჰემელიცის, ტერის, ლომონოსოვის და რიგი სხვა, განსაკუთრებით კი ცელსიუსის ისტორი მიმართულებების მიმდევრების სახელებთან. ანტონი თავის ნათარგმნ და ორიგინალურ ნაშრომებში დაინტერესებულია არა მარტო მათი ფილოსოფიური აზროვნებით, არამედ მათივე ასტრონომიული, მათემატიკური და სხვა მეცნიერული ცოდნით, განსაკუთრებით კი ფილოლოგიასა და ფიზიკაში მიღწევებით.

მაგრამ საყურადღებოა ის მოვლენა, რომ ანტონ პირველი, შიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ მოაზროვნეთაგან ბევრი რამით სარგებლობს, მათგან გადმოსაღებს ლებულობს საერთოდ არა მექანიკურად და მონური მიბაძვით, არამედ თავისებური გააზრებითა და მიზანდასახულობით და ხშირად ცვლილებების შეტანითაც. ეს საქმე არა მარტო მის ორიგინალურ თხზულებებში აღინიშნება, არამედ, მეტ-ნაკლებად, ნათარგმნ თხზულებებშიაც კი. ანტონს თავის მიერ ნათარგმნ ზოგიერთ ნაწარმოებში ავტორისაგან განსხვავებით გზადაგზა ბევრი რამ შეუქმნია თვითნებურად: ახალი პარაგრაფების ჩართვით, კომენტარების დართვით, სათარგმნი ტექსტის თავისებური გარდაქმნით და სხვა. ასე რომ, აშკარად ჩანს, მთარგმნელს ამ შემთხვევაში არ ბოჭავს ავტორის თხზულების სწორი თარგმანის შესრულების მოვალეობა და საგანგებოდ, თავისებური ინტერესებით, ქართველ მკითხველს აწოდებს სრულიად თავისუფალ თარგმანს. ბუნებრივია, დიდი პედაგოგი ანტონი უცხო ავტორის ამა თუ იმ შრომას თარგმნის შემთხვევაში თავისუფლად რომ მოჰკიდებია, რადგან ასეთი თარგმანები მას ჩვენში სახელმძღვანელოებად სჭირდებოდა სკოლებისა და კერძო მკითხველებისათვის. ანტონის ასეთ თარგმანებში, მის მიერ შეტანილ ცვლილებებსა და საკუთარ ადგილებში ხშირად მოჩანს ანტონის არა მარტო დიდი ერუდიცია, არამედ ორიგინალური აზრებიც, რომლებიც ქართული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო არიან. ასეთია ანტონის ზემოხსენებულ თარგმანთაგან, მაგალითად, ქრ. ვოლფის „ფიზიკა“.

ანტონ პირველის მიერ მიხეილ ლომონოსოვის რუსული თარგმანიდან გადმოღებული ქრ. ვოლფის „ფიზიკა“ წარმოადგენს თავდაპირველი (გერმანული) დედნისაგან დიდად დაცილებულ ტექსტს. ამ გარემოებას მოწმობს ჯერ თვით ლომონოსოვის მიერ თავის თარგმანზე ზედწარწერა: „Вольфианская экспериментальная физика с немецкаго подлинника на латинском языке сокращенная, с котораго на российский язык перевел Михайло



Ломоносов..., 1746 г.“. ლომონოსოვს ეს თარგმანი გაუკეთებინა ტიმიგის ლათინური შემოკლებიდან. მეორე გამოცემისას 1766 წ. ლომონოსოვს მისთვის დაურთავს თავისი ფიზიკო-მათემატიკური სტატიებიც და, ჩანს, ამ გამოცემით შეასრულა თავისი თარგმანი ანტონ პირველმა 1762 წელს. ანტონის თარგმანი შეიცავს 4 ნაწილს + დამატება = 391 პარაგრაფს. ეს თარგმანი საგანგებოდ შესასწავლია ლომონოსოვის რუსულ თარგმანთან დაკავშირებით და მაშინ დაწვრილებით გამოირკვევა ანტონის მიერ ნაწარმოები ჩამატებანი, ცვლილებანი და სხვა. მაგრამ ამის გარეშედაც, ზოგადად ძაინც, ჩანს ქართულ თარგმანში ასეთი განსხვავებანი რუსული თარგმანის მიმართ, რომლის მიხედვით წარმოშობილია. ანტონი თავის თარგმანში ადგილ-ადგილ თვითონ გვიმჟღავნებს იმას, რომ ესა თუ ის ადგილი ტექსტში მის მიერ არის ჩამატებული. მაგალითად, § 94 ანტონის მიერ არის შექმნილი, რასაც აშკარად მოწმობს იქვე საგანგებო შენიშვნა: „პარაგრაფი ესე, 94, ანტონის მიერ ქმნილ არს და აქა დადებულ“, და სხვა მისთანანი. აგრეთვე, ანტონს თარგმანის ძირითადი ტექსტისათვის დაურთავს მეტად საყურადღებო განმარტებები და რიგი სხვადასხვაგვარი შენიშვნები, რომელთაც სქოლიოების სახით მთელი წიგნის მესამედი ნაწილი მაინც უჭირავს. ამ განმარტებებსა და შენიშვნებში ანტონი დაინტერესებულია არა მარტო მექანიკისა და სხვ. საკითხებით, არამედ ელექტრონის თეორიითაც კი. აქვე მას აინტერესებს ფიზიკის გამოყენებითი ხასიათიც საწარმოო-პრაქტიკულ ცხოვრებაში. ვოლფის ამ „ფიზიკაში“ გარჩეულია ასტრონომიული, ანატომიურ-ფიზიოლოგიური და რიგი სხვა საბუნებისმეტყველო საკითხებიც და ანტონ პირველი თავის მიერ შექმნილ სქოლიოებში (მისი ყოველი სქოლიოს ბოლოში მიწერილია: „ანტონი“) ამ საკითხების შესახებაც ზოგან საყურადღებო აზრებს გამოთქვამს. მართალია, აქა-იქ სქოლიოში ანტონს ემჩნევა ღვთისმეტყველების ზეგავლენა და საეკლესიო ავტორიტეტებსაც იმოწმებს, მაგრამ ძირითადად სამეცნიერო შრომებს, მეცნიერებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ეყრდნობა და იხსენიებს, როგორცაა: „პარიზის სამეფო აკადემია“, „კარტეზიოს“, „სანგო-პეტრებურხის აკადემიისა პროფესორნი“ და სხვა. ამავე სქოლიოებში ანტონი მათემატიკურ მეცნიერებათა დიდი პატივმდებელია და თვით მას ცხადად ემჩნევა განსაკუთრებით გეომეტრიის ცოდნა.

ზემოხსენებული ზოგიერთი სახელმძღვანელო ანტონის მიერ სხვადასხვა დროს რამდენიმეჯერ გარდაქმნილ-გადაკეთებულია ან ერთხელ გარდაქმნამდე—ადრე თარგმნილი და ა. შ.. ასე, მაგალითად, ს. ჯულფელის „დიალიკტიკა“ ქართულ მწერლობაში მოკვებო-

ვება ორი სახით: ა) ზაქარია მადინაშვილის და განსაკუთრებით ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით ანტონ პირველის მიერ სომხურიდან გადმოკეთებული და ანტონის „სპეკალში“ შეტანილ დიალიქტიკა<sup>1</sup>; ბ) ფ. ყაითმაზაშვილის მიერ ქართულ ენაზე გადმოღებული „დიალიქტიკის“ ორი ვარიანტი: ანტონ პირველისა (1753—56 წწ.)<sup>2</sup> და ნიკოლოზ ქიზიყელისა (1753—56 წწ.)<sup>3</sup>.

ანტონის „კატეხიზის საც“ განუცდია ავტორისვე წყალობით სახეცვლილება სხვადასხვა წლებში<sup>4</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ XVIII საუკუნის ქართველ მკითხველ საზოგადოებაში მეტად გავრცელებულ ანტონის „კატილორიას“, სანამ 1767 წ. მიიღებდა საბოლოო სახეს (შემონახულია ამ სახის მრავალი ხელნაწერი საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში), განუცდია ავტორისგან რამდენიმეჯერ სახეცვლილება. ანტონ პირველს ოთხი სახის „კატილორია“ შეუდგენია სხვადასხვა დროს: ა) „სპეკალის“ ავტორგრაფის შექმნის (1752 წ. 1. VII—14. X) დრომდე შედგენილი, „მარტივ-მიღების“ შემცველი, ჯერ მოუპოვებელი „კატილორია“, რომელიც სკოლებში სახელმძღვანელოს წარმოადგენდა; ბ) 1752 წ. „სპეკალში“ შესული სამნაწილობითი „კატილორია“<sup>5</sup>; გ) 1753—62 წლებში შედგენილი „კატილორია“ — „პორფირიოსის ხუთთა კმათა და არისტოტელის ათთა კატილორიათა“ შეკრებილი, სკოლებში სახელმძღვანელოდ ხმარებული, ჯერ მოუპოვებელი ნაწარმოები; დ) 1767 წელს შედგენილი, სკოლებში სახელმძღვანელოდ ხმარებული „კატილორიაჲ, სიმეტრეჲ და ჰსჯილი მისგან“<sup>6</sup>.

ანტონის გრამატიკულ ადრინდელ შრომასაც (მხითარ სევასტიელის სომხური გრამატიკის მიხედვით 1753 წ. შედგენილი ქარ-

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 1743 A.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № №: 131 S, 1110 S, 1593 S, 340 A, 185 A, 1751 H და სხვა.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 329 A და ზუგდიდის მუხ. ხელნაწერი № 688. ს. ჯულფელის „დიალიქტიკის“ ორივე ვარიანტის შესახებ იხ. ვრცლად ა. პ. როგავას გამოკვლევაში „სპეკალი“ ანტონ პირველისა; აგრეთვე იხ. თეზისები ამავე გამოკვლევისა, საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1947 წ.

<sup>4</sup> შეად. ერთმანეთს საქ. მუხ. ხელნაწერები; 1746 წ. (?) შედგენილი კატეხიზისი № 796 A; 1769 წ. კატეხიზისი, — № 155 A, № 245 A; აგრეთვე კატეხიზისი № 2343 H და სხვ.

<sup>5</sup> საქ. მუხ. № 1743 A.

<sup>6</sup> საქ. მუხ. № №: 1270H, 2067H, 259H, 2143H, 117A, 233A, 1150 S, 52 S და სხვა; ასეთი ხელნაწერები ზოგან საქართველოს სხვა მუზეუმებსა და არქივებშია მოიპოვება. ოთხივე სახის „კატილორიის“ შესახებ იხ. ვრცლად ა. პ. როგავას ნაშრომში „სპეკალი“ ანტონ პირველისა.

თული გრამატიკა) განუცდია მისგანვე არანაკლები ცვლილებები, ვიდრე ზემოხსენებულ ნაწარმოებებს. ამ საქმეს არათუ შემოწმებული 1753 წ. და 1767 წ. გრამატიკების ხელნაწერების ურთიერთი შედარება მოწმობს, არამედ თვით ანტონიცი პირდაპირ გვაუწყებს განგებ ამის შესახებ. 1767 წ. გრამატიკის „შეყუანილება“-ში ანტონი გადმოგვცემს: „... ორ-გზის არა ვპირიდე შრომად ქმნისადმი ღრამმატიკაჲსა“-ო.<sup>1</sup> აგრეთვე, ამავე გრამატიკის ერთ-ერთ პარაგრაფშიაც ის გადმოგვცემს: „წელიწადსა 1753 კმად განისაჯა ჩქჳნ მიერ პირთათჳს და დროთა ზმნათასა“-ო და სხვა,—ამბობს მხითარ სევასთიელის გრამატიკის მიხედვით შედგენილი თავისი გრამატიკის შესახებ. „მაგრა წელიწადსა შინა 1767, განმეორებასა ჩქჳნკან ღრამმატიკის ქმნისასა“,—ლაპარაკობს საკუთარი სისტემით შექმნილი 1767 წ. თავისი გრამატიკის შესახებ,— „შთავჳს ქჭირიტეთ რა პირველისაგან უგამოცდილესად, ვჳპოვენით ენისამებრ ჩქჳნისა რჭანდ უღლჭანი ზმნათანი“-ო და სხვა<sup>2</sup>. მართლაც, ამ ორ შრომას ვინც შეადარებს ერთმანეთს, დააწმუნდება, რომ ზმნის გადმოცემის საქმეში ანტონს დიდი შრომისმოყვარეობით არსებითი ცვლილებებიც კი უწარმოებია ადრინდელი გრამატიკის მიმართ 1767 წლის გრამატიკის შექმნისას. აგრეთვე ასეთი ცვლილებები აქვს მას შექმნილი ადრინდელი გრამატიკის მიმართ ახალში შეტანით სახელთა გადმოცემისას, სინტაქსურ ნაწილში და ა. შ.. გასაგებიცაა თუ რატომ: ეს უკანასკნელი, 1767 წლის გრამატიკა, ანტონ პირველმა თავისებური სისტემით შექმნა. ქართული ენის ბუნება მან ამ გრამატიკაში უფრო მეტად ღრმად და ფართოდ გაითვალისწინა და გადმოგვცა, ვიდრე ადრინდელში, თუმც ზედმეტი ხელოვნურობაც არ დააკლო.

ამრიგად, ზემოთქმულთაგან გარკვევით ჩანს, რომ თავის იდეოლოგიურ ზრდასთან ერთად ანტონ პირველი არათუ თარგმნიდა უცხო ენებიდან რიგ სხვადასხვა თხზულებებს მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოებად, არამედ მათთვის თვითონაც ჰქმნიდა ორიგინალურ სხვადასხვა თხზულებებს: სახელმძღვანელოებადვე. ამასთანავე, ანტონი რეგულარულად აწარმოებდა ამ ნათარგმნი და, მით უფრო, ორიგინალური ნაწარმოებების გარდაქმნას თავისებურად, მათში ახალ-ახალი ცოდნის თანდათან შეტანით, და ამით ცდილობდა ქართველ მოსწავლეთა გონების უფრო მეტად გამდიდრებისათვის. ეს იყო

<sup>1</sup> რაფ. ერისთავის რედ. გამოც., გვ. 1—2.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 720 A, § 253; შეად. რ. ერისთავის რედ. გამოც., გვ. 169—170.



ზმისი მიანი და ამიტომაა ის რომ წერს 1767 წლის „წინასიტყვაობა ახლად ქმნილისა კვატილორიისა“<sup>1</sup> „არ სილაღითმან კადრმან გუბათანადა ჩუცნ ბახლოდ...“  
 „ყოფად ქტს-თქმულობანი ძტსლნი... მგონიეს, რომელ სათანადო არს ესე, ვითარმედ ახლად ცნობად მომზიდტსლობა მოძღუართად მათი, რომელ თან-მიინერგენს თვსთა გნოსისთა მოწაფენი შედგომით, ვინაცა ახლად მივჰსცნე ძტსლნი ცნობანი“<sup>2</sup>. ასეთ რამეს ანტონი იმიტომ აკეთებს, „...რათა თქტსნ, ჩემთა მოწაფეთა გონება მკტსთორი აღტლესო უმკტსთორეს ცნობათადმი“ - ო და სხვა<sup>3</sup>. თავისი მოწაფე ახალთაობის გონების „მკტსთორად აღლესტა“ მეცნიერებისა და ფილოსოფიის „უმკტსთორეს ცნობათადმი“, ცოდნის მაღალი მწვერვალებისაკენ მოსწავლეთა წინსვლა—აი რა სურს ანტონ პირველს და ამიტომ ახალ-ახალი, მისგან შეძენილი ცოდნით ტვირთავს ქართველ ახალგაზრდობას, გაუმჯობესებული სახელმძღვანელოების შედგენით — „პირველისაგან უგამოცდილესად“. ამრიგად, ანტონ პირველი ჩვენში მეცნიერებისა და ფილოსოფიის ცოდნის ამაღლებისათვის საზოგადოებაში ფართოდ გასაერცვლებელ წიგნებს, სახელმძღვანელოებს, მარად აუბჯობებსებდა ამ დარგებში სხვათა და თავისი ახალი მიღწევებით.

მაგრამ, როგორც ვთქვით, სახელმძღვანელო წიგნების შექმნაში ანტონს აყოლიებული პყავდა თავისი თანამშრომლები და მოწაფემიმდევრები. ასე, მაგალითად, მათ მიერ შექმნილ ნათარგნ და ორიგინალურ სახელმძღვანელო წიგნთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1) ნიკოლოზ ქიზიყელისეული ვარიანტი სომხურიდან ქართულ ენაზე ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ გადმოღებული ს. ჯულფელის „დიალიკტიკისა“ (1753—56 წწ.), რომელიც ერთხელ ზევით მოვიხსენიეთ<sup>4</sup>; 2) დოსითეოზ (ჩერქეზიშვილი) ნეკრესელისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ 1761 წელს სომხურიდან გადმოღებული „რიტორება“ მხითარ სევასტიელისა<sup>5</sup>; 3) მათვე მიერ 1758—59 წლებში სომხურიდან გადმოღებული დავით უძლეველის „წიგნი საზღვართა“ ანუ „საზღვრის წიგნი“<sup>6</sup>; 4) მათვე მიერ 1762 წელს სომხურიდან

<sup>1</sup> ანტონ პირველის „წყობილ-სიტყვაობა“, პლ. იოსელიანის რედ. გამოც., სტროფები 819—820.

<sup>2</sup> იქვე, სტროფი 822.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 329 A და ზუგდიდის მუზეუმის ხელნ. № 888.

<sup>4</sup> საქ. მუხ. № 1137 S.

<sup>5</sup> საქ. მუხ. № 2564 S; იხ. აგრეთვე მის შესახებ ცნობა თვით დოსითეოზ ნეკრესელისა ზემოხსენებული „რიტორების“ წინასიტყვაობაში, საქ. მუხ. № 1137 S.



გადმოთარგმნილი „ახსნა პორფირის შეყვანილებისა“<sup>1</sup>;  
 5) მათვე მიერ 1762 წელს სომხურიდან გადმოთარგმნილი „მოკლებითი ახსნა პერიერმენიასი“<sup>2</sup> და ვით შემდეგისა;  
 6) მათვე მიერ 1764 წელს გადმოღებული „მცირე ლოლიკა“<sup>3</sup> ანტონი კოვიდისა<sup>4</sup>; 7) გაიოზ რექტორის მიერ 1789 წელს კრემენჩუგს დაწერილი და 1796—1800 წლებში მოზდოკს დაბეჭდილი ქართული გრამატიკა<sup>5</sup>; 8) აგრეთვე ყურადღების ღირსია გაიოზ რექტორის მიერ არა სკოლებისათვის, არამედ უთუოდ მეფისა და მისი მახლობელი სამხედრო წრისათვის სახელმძღვანელოებად, ერეკლე მეორის „ბრძანებით“ 1784 წელს რუსულიდან გადმოთარგმნილი შემდეგი ნაწარმოებები: ა) პეტრე პირველის „სამჯედრო ტიბიკონი“, 1753 წლის — მესამე გამოცემის მიხედვით გადმოღებული<sup>6</sup>; ბ) პეტრე პირველის „სამჯედრო არტიკული მოკლითა განმარტებითა“, 1755 წლის გამოცემის მიხედვით გადმოღებული<sup>7</sup>; გ) „მოკლედ გამოხატუა სამსაჯულთა გამომეძიებლობათა“<sup>8</sup> და დ) „ეგზერციცია, განმზადება მარშისადმი, წოდება და თანამდებობა პოლკის მოკელეთა“, 1756 წლის გამოცემის მიხედვით გადმოღებული<sup>9</sup>; 9) დავით ბატონიშვილის მიერ არა უგვიანეს 1798 წლისა შედგენილი ქართული გრამატიკა<sup>9</sup>. აგრეთვე, საყურადღებოა სახელმძღვანელო წიგნების შექმნის საქმეში იოანე ორბელიანის, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის<sup>10</sup> და სხვათა მოღვაწეობაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

დიდი უმეტესობა ამ სახელმძღვანელო წიგნებისა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სკოლებში გავრცელებული იყო. აგრეთვე ამავე წიგნებით ხელმძღვანელობდნენ მაშინ ცოდნის მწყურვალნი კერძოდაც, სკოლის გარეშე.

<sup>1</sup>— ამ თარგმანთა შესახებ იხ. ვრცლად კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორიის“ I ტომში, 1941 წ., გვ. 335 — 338.

<sup>2</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 32 და № 33 (234 (9)); იხ. აგრეთვე „ქართული წიგნი“, ტ. I, საქ. სახ. წიგნის პალატის მიერ 1941 წ. გამოც., გვ. 74.

<sup>3</sup> საქ. მუხ. № 2109 H, იხ. თავფურცელი და გვ. 1 — 195.

<sup>6</sup> იმავე ხელნაწერის გვ. 198 — 301.

<sup>7</sup> იმავე ხელნაწერის გვ. 332 (უნდა იყოს: 302)—379. ხელნაწერში შემდეგ მოთავსებულია „ზანდუკები“ ორი უკანასკნელი ნაწარმოებისა, — გვ. 380 — 396 + 396 — 397.

<sup>8</sup> იმავე ხელნაწერის გვ. 402—479.

<sup>9</sup> А. Цагарели, О грамматической литературе груз. языка, 1873г., გვ. 36 — 38.

<sup>10</sup> იხ. მათ შესახებ ვრცლად კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორიის“ I ტომში, 1941 წ.





ამავე წიგნებს და ანტონასეული სკოლის სხვა წიგნებსაც XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი ჰყავდა ჩვენში მკითხველთა გარკვეული წრე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა ცივილიზაციამ და მწიგნობრობამ მაშინდელ მოწინავე ქართველობაში ანტონისეულ აზროვნებას წინ გაუსწრო, ჩვენი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი მაინც საკმაოდ განიცდიდა ანტონის სკოლის იდეოლოგიურ ზეგავლენას, კერძოდ, ისევ სახელმძღვანელოების შედგენისას და, საერთოდ, მწერლობასა და მწიგნობრობაში. ანტონ პირველს ამ დროსაც ჰყავდა მიმდევრები, თუმცა უფრო მეტად აღმოაჩნდნენ მოწინააღმდეგენი, საერთოდ ძველი მწერლობის გადამფასებელი ახლებურად.

ამ გარემოების საუცხოო დამახასიათებელია ანტონ პირველის პოზიციებიდან იონა ხელაშვილის უთუოდ 1827 წ. ერთ-ერთი წერილის ადგილი. იონა ხელაშვილი პეტერბურგიდან წერს თბილისში მაშინ მოღვაწე და მანამ თავის მიერ რუსეთში აღზრდილ, ცნობილ მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილს, აღუთქვანს რა მას „ხვასტაგთა წარმოგზავნას“ კულტურულ საქმეთათვის საქართველოში, შემდეგს: „... კაცაკთა ლაღთა, კადნიერთა, წარმდებთა, ურცხვთა, ბილწთა და არა მეცნავთა ძველისა და ახლისა წერილებთა ძარღვთა და ძალთა და უბირთა წ. გრიგორი ნაზიანზელისა ღვთისმეტყველებისა და ანტონი I კათოლიკოსისა, ნუ მიჰსცემ წარსაკითხველად, განქიქებად, ვითარცა ჩვეულება არს ვიეთთამე აზიურ, რომელი კეთილთა წიგნებთა დაჰსდებენ წუხთა ამაღ, რომელ მიიღონ ქება უგუნურთაგან და ინატრდენ თავით თვისთ ეგრეთ მეტყველთა: უკმარ არსო იგი წიგნი და უპროსოდო და უკავშირო, რომელი გონებისაებრ ჩემისა არა არს დაწერილ და არც რა მესმისო, ყდიდამ ყდამდინ ვერ წარვიკითხეო, ჰოქორაქისა ძილისაგან აქა და იქი ამოვლექე და არა რაჲ ვჰპოე და თითო-ორ-ორი ტრიქონი ამან და იმან წარიკითხეს და იმათცა ვერა გაიგეს. აჰა, ესე ვითართა კაცთა ნუ მიჰსცემთ კელად, რომელთა არა აქჷნდესთ ბიბლიოტიკა, არამედ მათ ანათხოვრეთ, რომელი იკრეფდეს წიგნებთა და რომელთაცა ჰსურდეს გარდაწერა და ჰსწავლა, მათდამი განჰფინეთ ტალანტი ეგე, განამრავლეთ ბუტკართ ყუბვილად, რათამცა იგემონ მანანა, ჰსძე, გოლი საღვეთოდ რე“-ო<sup>1</sup>. ამრიგად, იონა ხელაშვილი XIX საუკუნის პირველ ნახე-

<sup>1</sup> საქ. მუზ. № 2226 H, ფურც. 392.



ვარში სასტიკად იცავს ანტონ პირველისა და სხვათა ადრინდელ სამწერლო ტრადიციებსა და აზროვნებას და მათდამი პატივს სცემს და მათი ღირსების შეფასებას აგონებს თვით სოფოკლეს<sup>1</sup> დრამაში შვილსაც,— ამ საუკუნის, ახალი ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების დიდ წამომწყებს.

მართლაც, მიუხედავად ახალი ევროპული კულტურული მოვლენების მძლავრად ათვისებისა, სოლომონ დოდაშვილის აზროვნებაში ნაწილობრივ მაინც მოჩანს ანტონის სკოლისეული სამწერლო ტრადიციები. ამ გარემოებას ჩვენ ვამჩნევთ, კერძოდ, მის „ქართულ დრამატიკა“-შიაც, რომელიც გამოიცა თბილისში 1830 წელს<sup>2</sup> და რომლითაც ხელმძღვანელობდა მაშინდელი მოსწავლე ახალგაზრდობა.

მაგრამ ეგვევ გარემოება ს. დოდაშვილის გრამატიკაში წარმოდგენილზე უფრო მეტად საგრძნობია სხვა მაშინდელი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებში: 1) არქიეპისკოპოზ ვარლამ ერისთავის მოკლე ქართული გრამატიკა, 1802 წ. პეტერბურგს გამოცემული<sup>3</sup>; 2) იესე ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა, 1816—17 წწ. თბილისს გამოცემული<sup>4</sup>; 3) პლატონ იოსელიანის „პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა დრამატიკისა“, 1840 წ. თბილისს გამოცემული<sup>5</sup>; და სხვანი.

ამასთანავე არ უნდა დაგვაფიწყდეს ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც ჰქონდა გასავალი განსაკუთრებით სასულიერო წრეში ანტონისა და მისი სკოლის და სხვათა ადრინდელ ნაწარმოებთაც, რასაც მოწმობს ამ დროს გადაწერილი მათი მრავალი ნუსხა, შემონახული დღემდე ჩვენს არქივებში (მაგ., 1767 წ. „კატილორიის“ ნუსხები<sup>6</sup> და სხვ.).

აგრეთვე, აქვე უნდა გავიხსენოთ „მამების“ ანტონისეული პოზიციაც „შვილების“ საწინააღმდეგოდ XIX საუკუნის შუა ხანის მწერლობაში.

ჩანს, ანტონისეული სკოლისა და სხვათა ადრინდელ სამწერლო ტრადიციებსა და აზროვნებას XIX საუკუნეში, სამოციანი წლე-

<sup>1</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, 1873 г., 88. 43—44.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38—39.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 39—41.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 44—45.

<sup>5</sup> საქ. მუხ. №№: 1298 Н (კვირინიშანში მოცემულია: 1813), 2365 Н (1814 წ.), 2142 Н (1851 წ.), 3663 S (1809—10 წ.წ.) და სხვ.



ბის მოღვაწეთა გამოჩენამდე, მართლაც საგრძნობლად გასაღვალა ჰქონია. სამოციან წლებში კი ამ მდგომარეობას, ცნობილია, საბოლოოდ ზღვარი დაედო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილმა ზემოხსენებულმა სახელმძღვანელო წიგნებმა განსაკუთრებით ხელი შეუწყო ანტონ პიტრეელისა და მისი სკოლის პრესტიჟის ამაღლებასა და მათი აზროვნების გაბატონებას ამავე საუკუნის ქართულ მწერლობაში. შემდეგ კი, XIX საუკუნეში, ცხადია, ახალ საზოგადოებრივ-კულტურულ ვითარებაში მათი სამწერლო ტრადიციები და აზროვნება იზღუდება, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ თანდათან. სწორედ ამიტომ ანტონისა და მის მიმდევართა მიერ აღრე შექმნილ სხვადასხვა ნაწარმოებებსაც, ჩანს, საგრძნობი გასაღალი მაინც ჰქონდა მაშინ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, ამ საუკუნის სამოციან წლებამდე.

თავი მესამე

**ზევდვის საქმე და ანტონ პირველის ღვაწლი  
ამ საქმის, მხატვრობისა და კალიგრაფიული ხელოვნების  
განვითარებაში**

საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის და განსაკუთრებით კი სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელებისათვის ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის დროს ქართლ-კახეთში საჭირო იყო ბეჭდვის საქმის მოგვარება. კალიგრაფიული ხელობა მარტო ვერ აკმაყოფილებდა მკითხველი საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას და თანაც გადამწერლის ნამუშევარი ძვირი ჯდებოდა. ამიტომ სასტამბო საქმეს ერეკლე მეორის ხანაში დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენში სახელმწიფოს მხრივ. სტამბის საქმის მოგვარება სამჯერ მოხდა ამ დროს ჩვენში: 1749 წელს<sup>1</sup>, 1762—63-სა<sup>2</sup> და 1780—82 წლებში<sup>3</sup>.

1709 წლიდან თბილისში მოქმედი ვახტანგ მეექვსისეული სტამბარუსეთში 1724 წელს თვით ამ მეფის გადასახლების შემდეგ მტერთაგან აოხრებულ იქნა და გაუქმებული. მაგრამ, როგორც ირკვევა პაპუნა ორბელიანის ქვემომოყვანილი სიტყვიდან, ამ სტამბისადმი გულშემატკივარ ადამიანებს მაშინ სასტამბო იარაღები ძირითადად მაინც გადაურჩენიათ მოსპობისაგან და ფარულად შემოუნახავთ სამერმისოდ. ამ გარემოებისა გამო ბეჭდვის საქმე მაშინ კარგა ხანს შეწყდა ჩვენში და მხოლოდ 1749 წელს ანტონ პირველმა და ერეკლე მეორემ „გამოიძიეს დიდის ცლით და გამოიღეს სტამბა“ ესე, საიდუმლოდ შემონახული ვახტანგისეული სტამბის საწარმოო იარაღები.

1749 წლის, ამ აღდგენილი სტამბის შესახებ მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი შემდეგს: „ესეცა შესძინეს, გამოიძიეს

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი..., საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, 1946 წ., გვ. 401.

<sup>2</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 66—67.

<sup>3</sup> ქართული წიგნი, ტ. I, საქ. სახ. წიგნის პალატის მიერ 1941 წ. გამოც., შესავალი, გვ. XI.



დიდის ცდით და გამოიღეს სტამბა, რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მოელო ვლახეთით და მის შემდეგ აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონი<sup>1</sup> ანტონი<sup>2</sup> შვილმა, პატრიაქმა კეთილმან და სარწმუნოებისა და ქრისტესჯულის განმაძლიერებელმა, იგულს-მოდ გინა ფრიად, შემწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღაწესეს წიგნითა ქართლი“-ო<sup>3</sup>. ამრიგად, ანტონ პირველის ინიციატივით და მეფე ერეკლეს შემწეობით მაშინ მოუძიებიათ ვახტანგ მეექვსისეული სტამბის საწარმოო იარაღები, ისევ გაუხსნიათ სტამბა და წიგნთა ბეჭდვის საქმე კარგად მოუგვარებიათ: „აღუესიათ წიგნითა ქართლი“. ერეკლემ „ჰყო სტამბაცა და მიერთგან ისწავეს ქართველთაცა“, გადმოგვეცემს ამის შესახებ ვახტანგ ბატონიშვილიც.<sup>4</sup>

1749 წ. აღდგენილი სტამბიდან გამოვიდა რიგი წიგნებისა ნუსხახუტური შრიფტით. მაგალითად, 1749 წელსვე დაბეჭდილ იქნა დავითნი,<sup>5</sup> 1751 („ჩინა“) წელს გამოსცეს ანტონ პირველის „ქადაგება... დღესასწაულსა შიგებებისა უფლისა ჩუცნისა იესო ქრისტესსა, ეკლესიასა შინა თვისისა პალატისასა“<sup>6</sup>, ამავე წელს აქვე დაიბეჭდა კონდაკი<sup>7</sup>, და სხვ.. ეს სტამბა იმყოფებოდა თბილისს, ანტონ კათალიკოზის სასახლეშივე, — „პალატსა შინა საპატრიარხოსა“, როგორც ეს ნათქვამია ზემოხსენებული, 1751 წ. გამოცემული კონდაკის თავფურცელზე მოთავსებულ ცნობაში.<sup>8</sup>

ზემოხსენებული სტამბა 1762—63 წლებში ერეკლე მეორის მიერ განახლებულა.<sup>9</sup> სტამბა მაშინ არსებობს „ეზოსა სამეფოსა.“<sup>10</sup> საგამომცემლო მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა. შეუდგნენ სასულიერო წიგნების „გასწორებასა“ და „შესწორებას“ და, აგრეთვე, „ლრამატიკის კანონთა ზედა გამართვას“<sup>11</sup>.

სასულიერო წიგნების „გასწორება“ და „შესწორება“ მაშინ განსაკუთრებით რუსული საეკლესიო ნაწარმოებების ზეგავლენით ხდებ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის მიერ გამოც., გვ. 417.

<sup>2</sup> „ისტორიებრი აღწერა...“, საქ. მუხ. № 3667 S; შეად. ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ. გამოც., გვ. 32.

<sup>3</sup> ქართული წიგნი, ტ. I, 1941 წ., გვ. 51—52.

<sup>4</sup> საქ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყ. № C—1; იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 52.


<sup>5</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 52.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 66—67.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 67.



ბოდა. ყოველი სასულიერო და მეცნიერული წიგნის „ღრამატიკის კანონთა ზედა გამართვისათვის“ კი არსებობდა ანტონ პირველის საკუთარი გრამატიკული სისტემა, მის 1767 წლის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ამ გრამატიკის ორთოგრაფიულ წესებს უნდა დამორჩილებოდნენ მწერლები, ვინც კი წიგნების გამოცემას აპირებდნენ. სწორედ ამიტომაა კათალიკოზი ანტონ პირველი ზოგიერთ მათგანს, კერძოდ, კიდევაც ემუქრება, ქარაგმათა „უჩუტველთა“ ხმარებისა გამო, შემდეგი სიტყვებით: „ამიერითგან... იბრძანების მწერალთა მიმართ პირველაკათასა, რათა თქმულთა ქარაგმათა ემკაცრნენ, და თუ სადამე თვით-ჰსჯულობით წინა-აღმდგომ იქმნენ, ჭეშმარიტად მეფობითითა და მღწედელ-მთავრობითითა კელმწიფებისა მიერ პატიჟებულნი განიდევნებიან ტიპოღრაფით“-ო<sup>1</sup>. „ღრამატიკისა კანონთა ზედა გამართვა“ 1764 წლიდან სავალდებულო ხდება თითქმის ყოველი დასაბეჭდი ტექსტისათვის.<sup>2</sup>

ანტონ პირველი ყოველმხრივ ცდილობს ამგვარად გასწორებული და გამართული დაბეჭდილი წიგნებით მოამარაგოს ეკლესიები და სკოლები. ანტონი 1768 წელს „ეპისკოპოსთა მიმართ“ მიცემულ თავის დარიგებაში, ჩამოთვლის რა საჭირო და სავალდებულო წიგნებს, უბრძანებს მათ ეს წიგნები სუჟთად და გასწორებულად იყოს ეკლესიებში მოვლილ-შენახული<sup>3</sup>.

ამავე დარიგებაში ანტონი გადმოგვცემს, რომ „ეკლესიის ხატთათვის, ნებითა ღვთისათა, მხატვრები არიან და წიგნთათვის სტანბა არის და სხვა სახმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩვენს საბრძანებელში“-ო<sup>4</sup>. მართლაც, მაშინ გამოცემულ წიგნებსაც ხშირად არ აკლია მხატვრული გაფორმებაც როგორც გარეკანზე, ისე შიგნითაც. ამ მხრივ საქმიანობაში აღსანიშნავია, მაგალითად, „მხატვარი იოანე“, 1749—55 წლებში გამოცემული ტიბიკონის გადფორმებელი<sup>5</sup>. ეგვე „მხატვარი იოანე“ სხვებთან ერთად შენდობას თხოვს მკითხველებს 1749 წ. გამოცემული დავითნის ერთ-ერთ გვერდზე: „წყალობითა ღმრთისათა და ლოც-

<sup>1</sup> 1767 წ. გრამატიკა. „ზედა-დაპრთჳაჲ მესამისა ნაწილისად...“, §23, —საქ. მუხ. № 720 A, გვ. 297—298; შეად. რ. ერისთავის მიერ 1888 წ. გამოცემულში ამავე პარაგრაფს.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., შესავალი, გვ. XI.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილის ხეშობს. ნაბრომი, გვ. 67. შეად. ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 57—58.

<sup>4</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 57—58.

<sup>5</sup> საქ. მუხ. № 948 A; შეად. М. Джанашивили, Опис. рукоп. церк. музея, кн. III, 1908 г., გვ. 214—215.

ვითა თქვენითა, მცირე იმათ მუშაკთაგანი მოხამსახურე  
სტანბისა ამის, მეცა უღირსი შენდობას ვითხოვე, მხატვარი  
იოანე“-ო.<sup>1</sup> ჩანს, ამ წიგნის მხატვრულ გაფორმებაშიც ვერც  
„მხატვარი იოანე“ მონაწილე.

ჩვენს ხელნაწერ წიგნებს, ცნობილია, უძველეს დროიდანვე მდიდარ  
მხატვრული გაფორმება მოსდევდა და, ჩანს მრავალი ნიმუში-  
დან, XVIII საუკუნის დაბეჭდილ ქართულ წიგნებშიაც საერთოდ  
ეს ხელობაც არ მიუვიწყებიათ. საყურადღებოა, რომ ჩვენი სტამ-  
ბის მუშაობაში ეს ხელობა შემოუღლიათ არა მარტო წიგნთა მხატ-  
ვრული გაფორმების ევროპული სასტამბო ტექნიკის ათვისების  
გზით, არამედ მხატვრულად გაფორმებული მშობლიური ხელნაწერ  
წიგნების ზეგავლენასაც სტამბის მუშაკებზე ადგილი ჰქონია და  
მათ ცდა არ დაუკლიათ ამ ხელნაწერთა მხატვრებისადმი მიებაძათ.  
ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ „ვახტანგის სტამბის წიგნები უმე-  
ტეს შემთხვევაში მდიდრულად გაფორმებული არიან. მარ-  
თალია, მათი შემკულობანი თითქმის მთლიანად დასავლეთ ევრო-  
პის სტამბის წიგნებიდან გადმოღებული ჩანს, მაგრამ ამ შემკულო-  
ბათა ორნამენტების დალაგებასა და კომბინაციაში, განსაკუთრებით  
სამეფო ღერბებისა და ვახტანგის პორტრეტების გაფორმებაში,  
ორიგინალური ქართული შემოქმედება ჩანს. მდიდარია ვახტანგის  
სტამბა აგრეთვე შრიფტების ნაირობითაც“<sup>2</sup>.


კიდევ უფრო მეტიც. XVIII საუკუნის 90-იან წლებში წიგნის  
ტექნიკური მხარის გაუმჯობესებასთან ერთად მისი მხატვ-  
რული მხარეც ადრინდელზე უფრო მეტად ვითარდება. „თბილი-  
სის სტამბის წიგნი მე-18 ს. 90-იან წლებში თავს აღწევს წაბამუ-  
ლობის სტადიას და ორიგინალურ მხატვრულ ამოცანებს  
ისახავს. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ფაქტი 1793 წ. დაბეჭ-  
დილი მარხვანის ორნამენტების და სხვა შემკულობათა მხატვრულ  
კომპოზიციებში... ეს წიგნი არაჩვეულებრივად მდიდარია ნაირნაირ  
შემკულობით. მისი შრიფტი, ორნამენტები, თავკაზმულობანი და  
ბოლოკაზმულობანი უეჭველი თავისებურების ნიშანს ატარებენ“<sup>3</sup>.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, სასტამბო ხელოვნება და ტექ-  
ნიკა ჩვენში წიგნთა მხატვრული გაფორმების მხრივ მაშინ მაინც  
ისეთ საფეხურს, ცხადია, ვერ აღწევდა, რომ დაბეჭდილი წიგნები  
ხელნაწერ წიგნებს ამ მხრივ გაჯიბრებოდა: მათში მრავალგვარი  
ფერების გადმოცემას ვერ ვხვდებით, ხელნაწერებთან შედარებით

<sup>1</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 51.

<sup>2</sup> იქვე, შესავალი, გვ. X.

<sup>3</sup> იქვე, გვ. XII; იხ. აგრეთვე გვ. 68—70 და 72.



შინც სუსტია ორნამენტაცია და ა. შ.. სამაგიეროდ ზოგიერთ მა-  
შინდელ ხელნაწერს შედარებით ასეთი რამ არ აკლია ფერადი  
ლილი წიგნები. ჩანს, მაშინდელი მხატვრები ხელნაწერების გაფორ-  
მებაში საკმაოდ დამშვრალან. აღსანიშნავია ამ მხრივ თვით სახალ-  
ხო განათლების დარგის მეთაურის, ანტონ პირველის მზრუნველო-  
ბაც. მაგალითად, მის მიერ მეფე ერეკლესადმი „არმადანად“ მიძ-  
ღვნილი „სპეკალის“ უნიკუმი ხელნაწერი შეიცავს ოთხ სქემას,  
ვინმე მხატვრის მიერ ფერებითა და საუცხოო ორნამენტაციით შეს-  
რულებულს<sup>1</sup>.

ზემოთქმულთაგან გარკვევით ჩანს, რომ ერეკლე მეორისა და ან-  
ტონ პირველის „საბრძანებელში“, ქართლ-კახეთის სამეფოში,  
XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილან სამ საქმეში მეტ-  
ნაკლებად დახელოვნებული მხატვრები: 1) „ეკლესიის ხატთა  
მხატვრები“, 2) სტამბაში „მოსამსახურე მხატვარი“,  
რომელიც დასაბეჭდი წიგნის მხატვრულად გაფორმებას ემსახურე-  
ბოდა, და 3) ხელნაწერების გამფორმებელი მხატვრე-  
ბი. ამთაგან პირველი და მესამე საქმის მხატვრები საქართველოში  
უძველეს დროიდან არსებობდნენ და რაც შეეხება სტამბაში მოსამ-  
სახურე მხატვარს,—ის ჩვენში პირველი სტამბის დაარსებიდან,  
ვახტანგ მეექვსის დროიდანვე იხსენიება. მაგალითად, 1716 წელს  
გამოცემული დავითნის თავფურცელზე მოთავსებულ ცნობაში  
სხვათა შორის ნათქვამია: „განსრულდა დავითი ესე თვესა ივნისსა,  
ქორონიკონსა უდ, სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატ-  
ვარისასა“-ო<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, გიორგი მხატვრის „სტამბის მე-  
ურნეობა“ ვახტანგისეულ სტამბაში უპირველეს ყოვლისა როგორც  
ამ დავითნის, ისე სხვა გამოსაცემი წიგნების მხატვრულ გაფორ-  
მებაში მყდარდებოდა მაშინ სტამბის სასახელოდ. ამრიგად, XVIII  
საუკუნეში ჩვენში გამოცემული მხატვრულად გაფორმებული წიგ-  
ნები მოწმობს თითოეულ სტამბაში ასეთი „მოსამსახურე“ ან „მე-  
ურნე“ ამა თუ იმ მხატვრის, როგორც გამოსაცემი წიგნების მხატ-  
ვრულად გაფორმების სპეციალისტის, განსაზღვრულ საქმიანობას.  
მართალია, 1768 წ. ანტონ კათალიკოზს თავის „საბრძანებელში“  
„ეკლესიის ხატთათვის... მხატვრები“ საკმაოდ ეგულება, მაგრამ ასე-  
თი ხატები მის დროს საქართველოში რუსეთიდანაც კი შემოდის-  
და. ამ გარემოებას, მაგალითად, თვით ანტონ პირველის წერილე-  
ბიც კი მოწმობს. 1770 წ. 4 ივნისს ანტონი საქართველოდან

<sup>1</sup> იხ. საქ. მუხ. № 1743 A.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 24—25.






წერს რუსეთში მყოფ ზაალ ორბელიანს: თქვენგან „ვიტხოვა, რომ ერთი ლონდონის საათი მომიტანო ვეცხლის [მომიკვდებ]ა, ვეცდები კარგი ფასი მოგართვა. და ერთი [ქობრე] კა სი და პავლესი მოციქულთ [ხატი მო]მიტანე კარგი მხატვრობა, მე რომ ხატები მაქვს ჩემს სენაკში, იმ ტანისა“-ო<sup>1</sup>. აღრე კი, 1759—61 წლებში, ანტონი რუსეთიდან წერდა მეფეთა მოძღვარ ზაქარია გაბაშვილს, სხვათა შორის, შემდეგს: „ჯვარცმის ხატი გეთხოვა ზეთით დახატული, და ეს ქვეყანა ევროპა არის, კინილამ ცხოველთ-მხატვარნი სულ ურთიერთარს მსგავსებით ხატვენ“-ო და სხვა<sup>2</sup>. ჩანს, ზაქარია გაბაშვილს რუსეთში ზეთით დახატული ხატები მოსწონდა საქართველოში და ამიტომ რუსეთში მყოფი ქართველისათვის უთხოვნია წერილით ზემოხსენებული ხატის გამოგზავნა.

ამრიგად, რუსეთში კარგ მხატვართაგან შესრულებულ ხატებს ჩვენში მაშინ მოწონება ჰქონია შემძენელთაგან. ცხადია, ჩვენი მხატვრები დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ რუსული მხატვრობის შესწავლითა და გამოყენებით. ამიტომ 1784 წლის ერთ-ერთ წერილში ანტონ პირველის მიერ დასახელებული, რუსეთში ნაცხოვრი და საქართველოსკენ გამოგზავრებული „აბხაზი მხატვარი“<sup>3</sup>, რუსეთში ყოფნის დროს, უეჭველია, რუსულ მხატვრობას მაინც გაეცნობოდა, თუ სპეციალურად მის შესასწავლად არ იყო იქ წასული საქართველოდან.

საფიქრებელია, ანტონ პირველის მიერ ხსენებული ეს „აფხაზი მხატვარი“ იყოს იგივე „ნიკოლოზ მხატვარი აბხაზი“, რომლის შესახებ პლ. იოსელიანი გადმოგვცემს: „დედოფალ მან დარეჯან დაახატვინა ამას კანკელი ანანური საეკლესიისა და სხვათა ცა ეკლესიათა, ამანვე განაახლა სიფრთხილით ანანურისა ეკლესიისა კედელზედ დახატულნი ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი“-ო<sup>4</sup>. ჩანს, ნიკოლოზ აბხაზი ეკლესიის ფრესკების კარგი ოსტატი ყოფილა და დარეჯან დედოფალიც მის საეკლესიო მხატვრობას ხელს უწყობდა. ერეკლესა და ანტონის დროის საისტორიო მასალებში, გარდა

1 საქ. მუხ. № 6185 Hd.  
 2 საქ. მუხ. № 2510 H, იხ. ანტონ პირველის წერილი—„ვლადიმირი დამ მოწერილი ქალაქს ტფილისს ნამოძღვროლთან“.  
 3 საქ. მუხ. № 2510 H, იხ. ანტონ პირველის წერილი „მეფის ასული“ ბეგუმისადმი (= ანა ქაიხოსრო მეფის ასული).  
 4 „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ. გამოც., გვ. 263. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.



ზემოხსენებულთა, სახელდობრ სხვა მხატვრებიც იხსენიებენ ქართლ-კახეთში, მაგალითად, მხატვარი არკადი<sup>1</sup> და სხვა. აღსანიშნავია XVIII საუკუნის ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში რუსული წიგნების მხატვრული გაფორმებისადმი მიზნად: მაგალითად, „რუსეთში 1736—1744 წწ. გამოსული ქართული ნაბეჭდი წიგნები განსხვავდებიან ვახტანგის სტამბის (1709—1722) წიგნებისაგან, როგორც გარეგნული გაფორმებით, აგრეთვე ზოგიერთი შინაგანი თვისებითაც... მოსკოვის სტამბის წიგნებში აღარ ათავსებენ სტამბის დიდ მოღვაწეთა პორტრეტებს. ამ წიგნების შემკულობანი მთლიანად რუსული სტამბის გამოცემიდან ნასესხები არიან. წარწერებიც კი შემკულებაზე — ბევრგან სლავიანური არის დატოვებული. ორიგინალობა შერჩენილი აქვს მხოლოდ ბაგრატიონთა ღერბის გაფორმებას. როგორც ვიცით, ვახტანგის სტამბის წიგნების საკმარისად დიდი პროცენტი მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი. მოსკოვის სტამბა მხოლოდ ნუსხურ შრიფტს ხმარობს“<sup>2</sup>. ასეთივე გარემოება ჩანს ათანასე ამილახვარის ინიციატივით და ხარჯით 1762—68 წწ. მოსკოვის სტამბის მიერ გამოცემულ წიგნებშიაც<sup>3</sup> და ამ საუკუნეში რუსეთში არსებული სხვა ქართული სტამბების გამოცემებშიაც.

თუ ვახტანგ მეექვსის სტამბის მუშაკები წიგნების მხატვრულ გაფორმებაში ძლიერ ბაძვდნენ დასავლეთ ევროპის სტამბების წიგნებს, ერეკლე მეორის სამჯერ განაზღვრულ სტამბაშიაც ეს ტრადიცია არ უარუყვიათ და, ჩანს, რუსეთში გამოცემული ქართული წიგნების მხატვრულ გაფორმებასაც გაცნობიან. ამასთანავე, ვახტანგისეული სტამბის მუშაკთა მიერ წამოწყებული წიგნთა მხატვრული გაფორმების ორიგინალური ქართული შემოქმედება ერეკლეს დროს უფრო წარმტაცი სრულყოფილობით განუვითარებიათ, რის საუცხოო ნიჟუშს წარმოადგენს თუნდაც ზემოხსენებული, 1793 წ. თბილისს დაბეჭდილი მარხვანი.

აგრეთვე, 1780—82 წ წ. ერეკლე მეორემ კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ გამოწვეულ ოსტატს (პოლოს ოჰანესიანს) ჩამოასწმენინა როგორც ნუსხა-ხუცური, ისე „მხედრული შრიფტიც, რომელიც ამ დროიდან ისევ პოულობს მოქალაქეობრივ უფლებას 1722 წლიდან მოყოლებული ხარეზის შემდგომ“<sup>4</sup>. უეჭველია, უც-

<sup>1</sup> „მოძღვრის ზაქარიას ერთგულთაგან თქმული შაირნი“ დავით ურიაყოფილის საბასუხოდ, — საქ. მუხ. № 1511 S, გვ. 973—979.  
<sup>2</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., შესავალი, გვ. X.  
<sup>3</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ. გვ., 53—60.  
<sup>4</sup> იქვე, შესავალი, გვ. XI.

ხოელ ოსტატს ამ საქმეში ჩვენი კალიგრაფებისა და მხატვრების კონსულტაცია მაინც დასჭირდებოდა, გარდა სხვათა მრავალმხრივი დახმარებისა.

ვახტანგ მეექვსის დროსაც შესამჩნევი ხდება და შემდეგ კი განსაკუთრებით ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის ხელმძღვანელობით ჩვენში გარკვევით ჩამოყალიბდა საგამომცემლო და სტამბის მუშაკთა მთელი იერარქია. ერეკლეს დროს „წიგნები იბეჭდება „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოზისა“; შემდეგ ბეჭდვის საქმე გადადის „პრობის-მართველის“, „მესტამბეთ-უხუცესის“, „ბეჭდვის ზედამდგომელის“ და „სტამბის სახმართა ზედა გამრჯელის“ ხელში. მოხსენებულნი არიან აგრეთვე წიგნის სარედაქციო დარგის მუშაკნი, მთარგმნელები, დრამატიკულ კანონზე შემსწორებლები და სხვ.“<sup>1</sup> მათ შორის უნდა გავიხსენოთ ზემოხსენებული „მოსამსახურე მხატვარი“ სტამბისა.

„ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოზისა“ წიგნების გამოცემა ერეკლე მეორის ხანაში უდავოდ ნიშნავს იმას, რომ მეფე და კათალიკოზი ურთიერთი თანხმობით იყვნენ მთავარი ცენზორები გამოსაცემი წიგნებისა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ, როგორც ქვევით, ამავე თავის ბოლოს ნათქვამი გვაქვს, არსებობდა მაშინ მათზე არანაკლებ უფლებამოსილი სხვა ცენზორიც—საეკლესიო კრება ან მისი სახელით კათალიკოზის მიერ სახელდახელოდ სპეციალურად მოწვეული სასულიერო პირთა კრება. შეტად საპასუხისმგებლო შემთხვევაში, როცა „მწვალებლობის“ გაპარვის საშიშროება იყო, ან პირველი ან მეორე კრება წყვეტდა საკითხს. ამრიგად, კათალიკოზის საცენზურო უფლება მათ მიერ იყო განსაზღვრული. აგრეთვე, მეფეც მათ დიდად ანგარიშს უწევდა ამ საქმეში.

ამასთანავე, დაუაფიქრებელია ზაქარია ჭიჭინაძის კატეგორიული განცხადება, რომ მაშინ „ანტონ კათალიკოზის ცენზორი“ არსებობდა<sup>2</sup>. ანტონ კათალიკოზი, როგორც ვნახეთ, თვითონ იყო თავის დროზე ცენზორი და მას კიდევ თავისი ცენზორი არ დასჭირდებოდა. მაგრამ, რადგან მეფისა და კათალიკოზის ცენზორობის გვერდით საეკლესიო კრებაც, კონფესიონალური თვალსაზრისით, საცენზურო საქმეებში არა ნაკლებ ერეოდა, ამიტომაც შესაძლებელი

<sup>1</sup> ბ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 67—68. ხაზგასმა ჩვენი, ა. რ.

<sup>2</sup> „ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე“, 1909 წ., გვ. 7.



იყო მისი სახელით კიდევ ერთი მუდმივი ცენზორი სახელმწიფოში ყოფილიყო. ამას ერეკლეს ხანაში წიგნთა გამოცემის ხმარი მოკლულა ნაც მოითხოვდა საეკლესიო კრებისაგან. განსაკუთრებით კატალიკოსის საზღვდელგობის მოთხოვნით და მეფისა და კათალიკოსის თანხმობით, უკანასკნელთა გარდა, თუ ვინმე კიდევ ცენზორის თანამდებობის მქონე იყო სახელმწიფოში, რუსეთში სინოდის მიერ ცენზორის დანიშვნისამებრ, ქართლ-კახეთშიაც საეკლესიო კრების მიერ უნდა ყოფილიყო იგი დანიშნული. კათალიკოზ ანტონ პირველის დროს ყველაზე უფრო მეტად ასეთი თანამდებობის მქონედ სავარაუდებელია განსაკუთრებით საცენზურო საქმეებში ორთოდოქსალური, ძველებური მართლმადიდებლური ეკლესიისა და საეკლესიო კრების რეაქციული ფრთის სახელით მოქმედი მღვდელი ზაქარია გაბაშვილი; იქნებ ის არა მარტო საქმით, არამედ ოფიციალურად დანიშნული ცენზორი ყოფილიყო, რომ მისთვის მიუღებელ, თვით ცენზორ ანტონ კათალიკოსის შრომებს წვაავს საჯაროდ 1764—67 წლებში: „აპოლოგია“ დაუწვა და „მიწყალეს თარგმანსაც“ „მწვალებლობისა“ გამო დასაწვაავად მოსთხოვს ავტორს<sup>1</sup>. აგრეთვე, ცენზორის მოვალეობის უაღრეს სიშკაცურეს იჩენს ზაქარია გაბაშვილი 1764 წლის 18 ოქტომბრის საეკლესიო კრებაზე, როცა თვით მეფე ერეკლეს და ანტონ კათალიკოზს ბრალს დებს კათალიკოზაში და კატეგორიულად მოითხოვს „აპოლოგიისა“ და „მიწყალეს თარგმანის“ მოსპობას<sup>2</sup>. ამრიგად, საფიქრებელი ხდება ჩვენთვის: ზაქარია გაბაშვილი ასეთ პირობებში ოფიციალურად ცენზორის თანამდებობის მქონე ხომ არ იყო და არა ჩვეულებრივი წევრი საეკლესიო კრებისა, და მას ხომ არ ამოძრავებდა არა მარტო მართლმადიდებლური ეკლესიის ორთოდოქსალური მრწამსები, არამედ მისი ცენზორული მოვალეობაც? მაშინ ასეთი ცენზორის თანამდებობის არსებობის შესახებ ჯერჯერობით მაინც უეჭველი ცნობები არ მოგვეპოვება და ამჟამად კატეგორიულად ამ საკითხის გადასაწყვეტად ვერაფერს ვიტყვი.

კათალიკოზი ანტონ პირველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტამბის მუშაკთა ხელობის განვითარებას.

<sup>1</sup> იხ. ზაქარია გაბაშვილის წერილი ასტრახანის ეპისკოპოზ მეთოდესადმი, *КИД* -ის საქმე 1762—76 წწ., № 4, ფურც. 177—187, აღწ. 140.—ვსარგებლობთ ი. ლორთქიფანიძის მიერ მოსკოვიდან ჩამოტანილი მასალებით, იხ. საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტში.

<sup>2</sup> იხ. ამ კრების „განჩინება და მსჯავრი... ზაქარიასთვის ხუცისა...“, საქ. მუხ. № 2802 Sd/3182 S.



ამასთანავე, მისი „ბრძანებით“ სტამბაში „შაგირდებიც“ სწავლობდნენ სტამბის საქმეს მცოდნე პირთაგან. დავით ხუცესი (1784) წ. იანვარს აძლევს არზას მეფე ერეკლეს: „შატყვა წესი სტამბის ბრძანებით სტამბაში მიველდა, თუ ვიცოდო რამე, იმოსტატსაც და სხვებსაც ვასწავლიდი და წარემართა. და შარშან თებერვალში მორიგის საბადლო გამომართვეს და სამუშაო კი არ მომცა და ახლაც მთხოვენ. თქვენს მეტ[ს] ჩემხედ მოწყალება არავის მოუღია. ერთი წელიწადია ჩემის კელსაქმისა და შაგირდებისაგან მომცდარი ვარ სტამბაში და აქ ეკლესიაში თქვენის მეფობის წარმართების მწირველობასა და მლოცველობაში დავებრდი“-ო. ბოლოს იგი ითხოვს მორიგის საბადლოსაგან განთავისუფლებას<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ეს დავით ხუცესი თავის სასტამბო ხელობას არათუ „შაგირდებს“, არამედ „ოსტატსაც“ კი ასწავლის ახალ სტამბაში, 1783—84 წლებში ანტონ პირველის მიერ საგანგებოდ მიჩენილი. რა თქმა უნდა, ასეთი „კელსაქმის“ მცოდნეს ერეკლე მეფეც წყალობს და ბრძანებს იქვე, არშიაზე მიწერით: „ქ. ლაშქარნივისებო და უზბაშ! ეს დავით დვდელი სტამბაში განწესებულია. ეს ეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახური იაო. ამას მორიგეთნუ გამოიყვანთ. იანვარს კზ, ქორონიკონს უბო“. არზას აზის ბეჭედი ერეკლესი<sup>2</sup>. ამრიგად, სტამბის ასეთ მუშაკს მაშინ მეტად სასარგებლო „საქვეყნიერო და სჯულის სამსახურის“ კაცად თვლიდნენ და ერეკლე ნას, როგორც გამონაკლისს, მორიგის საბადლოსაგანაც კი ათავისუფლებს.


ბუნებრივია, ერეკლესეულ სტამბაში ვახტანგისეული სასტამბო იარაღები ორჯერ განახლების (1749 წ. და 1762—63 წ.) შემდეგ დაძველებულიყო და გაცვეთილიყო და ამიტომაც ერეკლეს „სურვილი ფრიად“ ჰქონებოდა ახალი სტამბის გამართვისა. მის სინამდვილეში ამის შესახებ კიდევაც უზრუნვია. „ბერძენთ ნათესავე“ მელიტონის კონსტანტინოპოლში წარგზავნით და იქიდან ხელოსანთა ჩამოყვანით, ერეკლეს მიერ გაღებული საფასით, კიდევაც გაუკეთებიათ ახალი სტამბა თბილისში 1780—82-ს<sup>3</sup> თუ 1781—82 წლებში<sup>4</sup>. კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულ ბესტამბე პოლოსოჰანესიანს ერეკლე მეორის დავალებით ჩაუტარებია სტამბის დაძველე-

<sup>1</sup> სჯ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყ. № E—160, ფურც. 8 v.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., შესავალი, გვ. XI.

<sup>4</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 68—71.




მული იარაღების და შრიფტის სრული შეკვლა. ამ ოსტატს მაშინ ჩამოუსხამს, როგორც ზევით ითქვა, არა მარტო ნუსხა-ხუცური, არამედ მხედრული შრიფტიც, რომელიც წინათ ვახტანგ მეექვსის სტამბაში მიღებული იყო და 1722 წლიდან ამ დრომდე ქართულ სტამბებში წიგნების გამოსაცემად არ ხმარებულა<sup>1</sup>.

1780—82 წლებში თბილისში ამრიგად განახლებული „ახალი“ სტამბა მოთავსებული ყოფილა „პალატსა სამეფოსა“, რასაც მოწმობს არა მარტო თვით პოლოს ოჭანესიანის „შესხმა პირჭელი ახლისა ამის წიგნთა-საბეჭდავისათჳს“, 1782 წელს გამოცემული<sup>2</sup>, არამედ ამავე სტამბიდან გამოსულ სხვა წიგნთა ცნობებიც<sup>3</sup>.

ერეკლე მეორემ თავისი სტამბა, როგორც ვიცით, დააარსა 1749 წელს. ამ სტამბის განახლება პირველად მოხდა 1762-63 წლებში, ხელმეორედ განახლდა კი—1780—82 წლებში. პოლოს ოჭანესიანი, როგორც ვნახეთ, ხელმეორედ განახლებულს — „ახალ წიგნთა-საბეჭდავს“ უწოდებს და არც უშვებს შეცდომას. ანტონ პირველი თავის „წყობილ-სიტყუაობაში“ გადმოგვცემს: ერეკლე „ორ-გზის მაახლი წიგნთა-საბეჭდავისა“-ო.<sup>4</sup> აგრეთვე, 1784 წ. გამოცემულ კურთხევანში მოიპოვება ანტონ პირველის აკროსტიხი, რომლის კიდურწერილობითა და ბოლო სტრიქონით გადმოგვცემს შემდეგს: „ირაკლი მეფე საქართულოისა, ორგზის მაახლი წიგნთა-საბეჭდავისა“-ო.<sup>5</sup> ამავე წიგნში მოიპოვება სამების ხატი წარწერით: „სამებაო წმიდაო, აღიდე მადიდებელი შენი, ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად საქართულოისა ირაკლი“-<sup>6</sup>. ამრიგად, მე-18 ს. 80-იანი წლებიდან იმ შემთხვევაში, როცა ვახტანგ მეექვსის სტამბას არ გულისხმობდნენ, არამედ მხოლოდ ერეკლე მეორის სტამბას, სამართლიანად იტყოდნენ ერეკლეს შესახებ „ორგზის მაახლი წიგნთა-საბეჭდავისა“-ო, გულისხმობდნენ რა ერეკლეს სტამბის დაარსებას 1749 წელს და შემდეგ მის პირველ განახლებას 1762—63 წლებში,

<sup>1</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., შესავალი, გვ. XI; იხ. აგრეთვე: ამავე წიგნში ძეგლთა №№: 57, 58, 60, 61.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 61—62.  
<sup>3</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ.: გვ. 62—1783 წ. გამოცემული კონდაკი, გვ. 64—1734 წ. კურთხევანი, 1734 წ. ლოცვანი. და სხვ. შეად. საქ. მუზ. № 947A, გვ. 1; საქ. ცენტრ. არქ. №48 (234(9), ფურც. 1, და № 12 (234(9), გვ. 1.  
<sup>4</sup> „წყობილ-სიტყუაობა“, სტროფი 635.  
<sup>5</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 48 (234(9)).  
<sup>6</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 48 (234(9)); შეად. ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 64.



მეორეს კი — 1780—82 წლებში. იმ შემთხვევაში კი, როცა ვახტანგ მეექვსის სტამბასაც გულისხმობდნენ, მაშინ სტამბის პირველ განახლებად 1749 წელს თვლიდნენ, მეორე განახლებად — 1762—63 წლებს და მესამე განახლებად კი — 1780—82 წლებს, რადგან „ახალი“ სტამბაც ძველის ნიადაგზევე „განახლებული“ წარმოიშვა. ამ პირობითობას ნათლად მოწმობს 1764 წ. დაბეჭდილი კურთხევანის პირველ-გვერდზე მოცემული ანტონ პირველის აკროსტიხი, რომელიც კიდურწერილობითა და ბოლოსტრიქონით გადმოგვცემს: „ირაკლი მეფე საქართველოსა, ორგზის მახლი წიგნთა-საბეჭდავისა“-ო, და მეორე გვერდზე კი — სამების სურათი, წარწერით: „სამებაო წმინდაო, აღიდე მადიდებელი შენი, ბეჭდისა ამის მეორედ განმახლებელი მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი“<sup>1</sup>. ეგვევ, როგორც ვნახეთ, თქმულია 1784 წელს გამოცემულ კურთხევანშიაც. მასაშადად, პირველ კურთხევანში იგულისხმება ვახტანგ მეექვსის სტამბაც და მისი პირველი განახლება 1749 წელს და მეორე კი — 1762—63 წლებში; მეორე კურთხევანში კი ვახტანგის სტამბა არ იგულისხმება და მხოლოდ ერეკლეს სხვადასხვა დროის სტამბაზეა ნაგულისხმევი: პირველი განახლება 1749 წ. დაარსებული სტამბისა 1762—63 წლებში და მეორე კი — 1780—82 წლებში. ამრიგად, ასეთ ზოგიერთ ცნობაში გამოსავალად ხან ვახტანგ მეექვსის სტამბაა ნაგულისხმევი, ხანაც ზოგიერთში — ერეკლე მეორის მიერ 1749 წ. დაარსებული სტამბა.

„თბილისის განახლებული სტამბის ნაყოფიერება, მისი არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (1749—1795), მეტად არათანაბარია. პირველი, უფრო ხანგრძლივი პერიოდი (1749—1782 წწ.) აღნიშნულია წიგნის ბეჭდვის განვითარების საკმარისად მოღუენებული ტემპით თბილისში. 30 წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ამ სტამბიდან გამოსული რვა თუ ცხრა წიგნი (№№ 38—40, 44, 45, 47, 52, 56), იმ დროს, როცა ვახტანგის სტამბამ 14 წლის მანძილზე — 20, მოსკოვის (ბაქარის და იოსებ სამებელის) სტამბამ 8 წელიწადში 11 წიგნი გამოუშვა“<sup>2</sup>. მეორე პერიოდში კი, 1780—82 წლებში „ახალი“ სტამბის მოწყობის შემდეგ, წიგნების ბეჭდვა დიდი ინტენსივობით გაგრძელებულ იქნა. ამ დროს დაიწყო სა-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 55—56. სამების ამგვარივე სურათი ამავე წარწერით მოიპოვება 1768 წელს ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის მიერ „ეპისკოპოსთა მიმართ“ დაბეჭდილ მოწოდებაშიც (იხ. საქ. მუხ. № 317A, უფრც. 179—186).

<sup>2</sup> ქრ. შარაშიძე, შესავალი, ქართული წიგნი, ტ. I, საქ. სახ. წიგნის პალატის მიერ 1941 წ. გამოც., გვ. XI.



გამომცემლო ასპარეზზე მოღვაწეობა ცნობილმა გამომცემელმა ქრისტეფორე კეჟერაშვილმა, რომლისათვის მიეწოდებოდა ლეს გადაუტია სტამბა სათანადო პირობით: მოგვების წესების შესახებ მას სამეფო ხაზინაში უნდა შეეტანა, ხოლო საბეჭდი ქალაქი მეფეს უნდა მიეწოდებინა<sup>1</sup>. ქრ. კეჟერაშვილის ამ წამოწყებით გაჩნდა ჩვენში კერძო პირთა მიერ წიგნთა ბეჭდვა საკუთარი ხარჯით, მანამდე კი სამეფო ხარჯით იბეჭდებოდა<sup>2</sup>.

ქრ. კეჟერაშვილმა სპსტამბო მოღვაწეობა დაიწყო არა უგვიანეს 1784 წლისა. ამ წელს მაინც, თუ არა უფრო ადრე, მას უნდა დაებეჭდა თბილისის ახალ სტამბაში და უჯდომელი<sup>3</sup>; მის მიერვე 1784 წ. იქვე დაიბეჭდა გაიოზ რექტორის მიერ თარგმნილი „კიტაიის სიბრძნე“<sup>4</sup> და შემდეგ რიგი სხვა წიგნებისაც ამ სტამბიდან „კეჟერაშვილის ქრისტეფორეს გამგეობითა და ზედამხედველობითა სტამბისა“ გამოიცა 1795 წლის სექტემბრამდე<sup>5</sup>.

თავისი ნაყოფიერი მუშაობის შესახებ თვითონ ქრ. კეჟერაშვილი 1793 წ. გამოცემული მარხვანის ბოლოსიტყვაობაში ვადმოგვცემს: „მებრძანა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა კელმწიფისა ყოვლისა საქართულოჲსა ირაკლი მეორისა მე, მისსა მონასა, მისის უმაღლესობის კარის მღვდელს მარტყოფელს კეჟერა-შვილს ქრისტეფორეს განმგეობაჲ და ზედამხედველობაჲ სტამბისა, რომლისა სურვილი ფრიადი მაქჳნდა. და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა მეკდრული დაუჯდომელი უ; და კიტაიის სიბრძნე უ; ლოცჳანი ჩ; სახარება ყ; დავითნი ჩ; სამოციქულო ჩ; კვალად დაუჯდომელი ჩ; ჟამნი ჩ; კვალად სახარება ყ; და მარხჳანი ესე ჩ. და შეწვევითა ყოვლად-წმიდისა სულისათა ესე ყოველნი ზემოკსენებულნი წიგნნი დამიბეჭდავს ხარჯითა ჩემითა“-ო და სხვა<sup>6</sup>. ყოველი ამ გამოცემის თითო-ოროლა ცალი დღემდე წიგნთსაცავებში შემონახულია<sup>7</sup>, რაც ადასტურებს ქრ. კეჟერაშვილის ამ ცნობას. აგრეთვე შემდეგაც, 1793—95 წლებში ქრისტეფორემ გამოსცა თბილისის სტამბაშივე: კონდაკი<sup>8</sup>, მცირე ლოცვანი<sup>9</sup>, კურთხევანი<sup>10</sup> და დავითნი<sup>11</sup>.

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 71.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 72.  
<sup>3</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 62—63; იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 68—69, 1793 წ. გამოც. მარხვანის ბოლოსიტყვაობა ქრ. კეჟერაშვილისა.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 63—64.  
<sup>5</sup> იხ. ამ გამოცემათა შესახებ ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 62—71.  
<sup>6</sup> იქვე, გვ. 68—69. <sup>7</sup> იქვე, გვ. 62—69. <sup>8</sup> იქვე, გვ. 68. <sup>9</sup> იქვე, გვ. 69—70.  
<sup>10</sup> იქვე, გვ. 70—71. <sup>11</sup> იქვე, გვ. 71.





ქრ. კეყერაშვილის მიერ საკუთარი „შრომითა და საფასით“ გამოცემულ ზემოხსენებულ წიგნებს თუ მიეუმატებთ ამ ახალ სტამბაში შივე მეფე ერეკლეს „საფასეთა წარგებით“<sup>1</sup> გამოცემულ წიგნებსაც (ზატიკი, 1788 წ.; კუცრექსი ძლევისათვის და შეწვევისა მკედრობათასა, 1788 წ.; დავითნი 1783—1788 წლებისა ან 1790 წლის)<sup>2</sup>, გამოდის, რომ 1782—95 წლებში ახალ სტამბას ძლიერ ნაყოფიერად უმუშავნია. ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ ამ ახალი სტამბიდან გამოსულ წიგნთა რიცხვი 10000 ცალს სჭარბობდა<sup>3</sup>.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ერეკლე მეორე ამ ახალ სტამბაში არა მარტო ქრ. კეყერაშვილს აბეჭდვინებდა მისი „შრომითა და საფასით“ რიგ წიგნებს, არამედ იმავე დროს, ხანდახან, თვით ერეკლე, როგორც ვთქვით, თავისი „საფასეთა წარგებითა“-ც ამ სტამბაშივე აბეჭდვინებდა სხვა წიგნებსაც. საუბედუროდ, 1795 წ. სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა ბევრ სხვა რამესთან ერთად ეს სტამბაც ცეცხლით გადაბუგა<sup>4</sup>.

რიგი ზემოხსენებული საქმეებისა, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა დავით ბატონიშვილს, როცა სამშობლოს განშორებული რუსეთში წერდა: „Многие думают, что грузины не имели ни книг, ни типографии и даже будто не умели ни писать, ни читать...“ მაგრამ უძველეს დროიდანვე განათლებული ვიყავითო და ჩამოთვლის იმ დროიდან თავის დრომდე შექმნილ მრავალ ნაწარმოებს მთელ შვიდ ფურცელზე. ბოლოს გადმოგვცემს: „При деде моем, царе Ираклии, усовершенствована была в Тифлисе типография, где для всей Грузии отпечатано было книг в довольно-ном количестве для всех мест по всей Грузии и Имеретии“<sup>5</sup>. ამრიგად, 1782—95 წწ. ახალი სტამბა არათუ აღმოსავლეთ საქართველოს აკმაყოფილებდა დაბეჭდილ წიგნთა საკმაოდ რაოდენობით, არამედ დასავლეთ საქართველოსაც. განათლე-


<sup>1</sup> 1788 წ. გამოცემული ზატიკის ბოლოში მოთავსებული ცნობა,—ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 65—66.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 65—66.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, 1940 წ., გვ. 388.

<sup>4</sup> იხ. ქვევით გიორგი XII-ის სიგლიდან ამონაწერი.

<sup>5</sup> Давид Царевич, История Грузии,—საკ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყ. № М—14. თხზულების ეს ხელნაწერი 1805 წ. გამოცემულ Краткая история Грузии, Санкт-Петербург წიგნზე გაცილებით უფრო ვრცელია და დღემდე უცნობი, მეტად საყურადღებო ცნობების შემცველი. განსაკუთრებით ამ ხელნაწერის მიხედვით თხზულების ხელახალი გამოცემა მეცნიერებისათვის დიდად სასარგებლო საქმეა.



ბული აბსოლუტური მონარქის სახელის მადიებელმა ერეკლე მეორემ, „მეფე ყოვლისა საქართველოჲსა“-მ, თავისი „ძმის“ — ანტონი ჰერცეგისა და მოწინავე საზოგადოებრივი წრის დახმარებით, საქმეში მაშინ ამგვარ წარმატებას მიაღწია; იგი არა მარტო თავის სამეფოში, არამედ დასავლეთ საქართველოშიაც თავის სტამბაში გამოცემულ წიგნთა გავრცელებით განმანათლებლობდა.


აღსანიშნავია, აგრეთვე, ქრისტეფორე ბადრიძის მოღვაწეობაც ბეჭდვის საქმეში. გიორგი XII-ის მიერ 1799 წ. 22 დეკემბერს მისდამი გაცემულ სიგელში, სხვათა შორის, ნათქვამია: მეფე ერეკლე მეორის დროს „წახველ აღთქმის ქვეყანას. მესტამბობა მიგელო, მოხველ. საქართველო სამლოო წიგნებისაგან ნაკლებად იყო და თორმეტი ათასი წიგნი დაგვიბეჭდე“ მამა ერეკლეს დროსვეო. შემდეგ ნათქვამია სხვა მის სამსახურზედაც და ბოლოს ისევ სასტამბო საქმეზე: „... აღა-მამად-ხანმა ქალაქი ტფილისი რომ დაწვა, სტამბის ქარხანაც დაეწვათ. ჩვენ სტამბა დაგვჭირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდის შრომით გამართეთ და მოგვართვი. და ნაცუღად ამ სამსახურისა“, ქრისტეფორე ბადრიძეს და მისიანებს, გაგლენკაცებულთ, „ახნაურიშვილობა განვახლეთ და გიბოძეთ“-ო, აგრეთვე მამული და სხვა. სიგლის გაცემისას ქრ. ბადრიძე იხსენიება მეფე გიორგისაგან „მღვდელი ჩვენისა კარისად“<sup>1</sup>.

ამრიგად, 1799 წ. დეკემბერს გიორგი XII-ის მიერ, ქრისტეფორე ბადრიძის შემწეობით, სტამბა უკვე „გამართულია“. 1800 წ. თბილისში არსებული ქართული სტამბა, სადაც ამ წელს დაუჯდომელი და დავით ბატონიშვილის „ნარკუტევი“ დაიბეჭდა<sup>2</sup>, უქვევლია, იგივე ქრისტეფორე ბადრიძის მიერ „გამართული“ სტამბაა. მაგრამ ამ სტამბას რაღაც „ნაკლები“ აღმოჩენია და ამის აღმოფხვრა კი „შეუსრულებია“ „კარის საყდრის დავით მღვდლის ძე მესტამბე იოანე“-ს. ამ გარემოებას მოწმობს ხსენებული დაუჯდომელის ბოლოში მოთავსებული ცნობა: „აღესრულა, დიდება ღმერთსა, ივლისს კვ. ქორონიკონს უპს. სტამბისა ამის ნაკლებისა შემასრულებელი კარის საყდრის დავით მღვდლის ძე მესტამბე იოანე. განმგებობითა და პლაკის მჭრელობითა [და] დაზგის მმართველობითა მეტეხის დეკანოზის ძის იოსებ მღვდლისათა. მწერლობითა კარის მღვდლისა ქრისტესიას ძის პანტელეიმონისათა“-ო<sup>3</sup>. ქრისტეფორე

<sup>1</sup> გ. ფარადაშვილი, „მეფე ერეკლე II და გიორგი XII მოძღვარი, მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე“, „ივერია“, 1900 წ., № 171. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 77—78.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 78.



ბადრიძე გიორგი XII-ის მიერ ზემოხსენებულ სიგელში იხსენიება, როგორც ითქვას, „მღვდელი ჩვენისა კარისა და სხვა სხვა სხენებული პანტელეიმონი, „კარის მღვდლისა ქრისტეფორე რომელიც „მწერლობდა“ ამ სტამბაში, ქრისტეფორე ბადრიძის შვილია. ამრიგად, ქრისტეფორე ბადრიძეს 1799 წ. დეკემბერს გიორგი XII-ის დავალებით ეს სტამბა არა მარტო მოუწყვია, არამედ შემდეგ თავისი შვილი პანტელეიმონიც სასტამბო საქმეში ჩაუბამს. თვითონ კი 1800 წ. ივლისს დაუჯდომელის ცნობაში არც „მესტამბედ“ და არც „განმგედ“ ან სხვა რამედ არ იხსენიება და რა მიზეზით განშორდა ამ სტამბას 1799 წ. დეკემბერსა და 1800 წ. ივლისს შორის — გამოურკვეველი რჩება.

აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, რომ XVIII საუკუნეში როგორც საქართველოში, ისე მის გარეშედაც, რუსეთშიაც არსებობდნენ ქართული სტამბები სხვადასხვა დროს. ჯერ კიდევ 1705 წელს მოსკოვის სინოდის სტამბასთან მოწყობილ ქართულ წიგნთსაბეჭდავში დაიბეჭდა ქართულ ენაზე ნუსხა-ხუცური შრიფტით დავითნი არჩილ II მეფისა და მისი ძის, ალექსანდრეს მიერ<sup>1</sup>. მოსკოვშივე პირველი ქართული სტამბა დააარსა იოსებ სამებელმა თავისი „შრომითა ფრიადითა და წარსაგებელითა საფასეთათა“, ბაქარ მეფის „ბრძანებითა“ და „თანა-შემწეობითა გურამის-შვილის ქრისტეფორესითა“. ქრ. გურამიშვილი ამ სტამბის შესახებ გადმოგვცემს: იოსებ სამებელმა „ნიბრძანა მე, ყოვლად უღირსსა ბერს, გურამის-შვილს ხუცეს-მონაზონს ქრისტეფორეს, სტანბის გაკეთება. და გავაკეთებინე სტანბადი დითა გულსმოდგინებითა და წარგებითა საფასითა მისითა“-ო. ქრისტეფორე ყოფილა ამ „სტამბისა და ბეჭდის ზედა მუჟრნე“ ანუ „სტანბისა და ბეჭდვის ზედა მდგომი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 5; შესავალი, გვ. VIII.

<sup>2</sup> იხ. 1737 წ. გამოც. დავითნისა, 1738 წ. ხატიკისა, 1739 წ. გამოც. ბასილიოს მაკედონელის ტესტამენტისა, 1739 წ. გამოც. თეოფანე პროკოპოვიჩის „პიროველი სასწავლო ყრმათასა“ და სხვა გამოცემული წიგნებისადმი დართული ცნობები, — ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 35—42, 44—48.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი ჩვენი დიდებული მწერლის—დავით გურამიშვილის ძმაა. დავით გურამიშვილის ცნობით, ქრისტეფორე უკანასკნელად მსახურობდა ოსეთის კომისიაში და გარდაცვლილა 1753 წლის 4 მარტს, ორივე ძმის ბიოგრაფიისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის ЦГИАЛ, ფ. Канц. Синода (796), опись 37, за 1756 г., д. №120: „1756 года, марта 19 дня. По прошению грузинскаго гусарскаго полку прапорщика князь Давыда Гурамова, об отдаче после умершего игумена Христофора, а его брата, именоущахся во Осетии пожитков и прочего ему, Давыду Гурамову, или кому от него пошерено будет“. ამის შესახებ იხ. ვრცლად ა.პ. როგავას წერილი „პოეტის ძმა (ახლად მოპოვებული საარქივო მასალები დავით და ქრისტეფორე გურამიშვილების ბიოგრაფიისათვის)“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1949 წ. 12 ივნისისა.



მოსკოვის ამ სტამბაში 1737 წ. დაიბეჭდა პირველი წიგნად და ვითნი<sup>1</sup>. ეს სტამბა გაუმჯობესებულ იქნა და დაედასტურა სოფ. ვსესვიატსკოეში, მოსკოვის მახლობლად, და დაედასტურა ლეში<sup>2</sup>. აქ დაიბეჭდა ცნობილი „ბაქარის ბიბლია“ ანუ მოსკოვის გამოცემა.<sup>3</sup> 1737—44 წლებში ბაქარმა და მისმა თანამოღვაწეებმა ამ სტამბაში, მოსკოვსა და ვსესვიატსკოეში, დაბეჭდეს 10 თუ 11 დიდტანიანი წიგნი<sup>4</sup>.

მოსკოვის სტამბისათვის ქართული შრიფტი „კეთდება პეტერბურგში, სტამბის დიდი მოღვაწის ქრისტეფორე გუროვილის ხელმძღვანელობით. ამავ პირის მონაწილეობით, ეყვება სტამბა პეტერბურგშიაც (სამეცნიერო აკადემიასთან 1736—1737 წ წ.). ამ სტამბიდან გამოსული რუსულ-ქართული ანბანი ლოცვებითურთ, ლათინური ლოცვების ტექსტებითა და გერმანული შენიშვნებით, დატულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, ლენინგრადში<sup>5</sup>. ამ „სტამბის მსახურნი ამ საბეჭდავით პატივცემულობასა თვსთა მოწმობენ“ მისასალმებელი ფურცლის გამოშვებით 1761 წ. 21 ივნისს თეიმურაზ მეორისადმი, რომელიც პეტერბურგს ჩავიდა მაშინ<sup>6</sup>.

რუსეთში გადახვეწილ ქართველთა მიერ, გარდა ზემოხსენებულთა, გვიან სხვა ქართული სტამბებიც მოეწყო.

ზაქარია კიკინაძის სიტყვით, ქართული სტამბა „ვლადიმერს გაიხსნა 1757 წ. ანტონ კათალიკოზის მეთაურობით“. რა საბუთს ეყრდნობა ზაქარია ამ შემთხვევაში — ჩვენ ეს არ ვიცით, რადგან მას ტექსტში არ იმეორებ<sup>7</sup> და მისგან თქმული, ცხადია, საეჭვოდ გვჩნება. „ზოგიერთი ცნობების თანახმად, — წერს პ. გუგუშვილი, — გაფრანგებისათვის საქართველოდან განდევნილმა ანტონ I-მა ვლადიმერს მოაწყო ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე და სხვათა შორის იქ 1760 წელს დაბეჭდა იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“, თარგმნილი რუსულიდან ვახუშტის მიერ“-ო<sup>8</sup>. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნა-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 35.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 44—47, — იხ. თავფურცელი და ვახუშტი ბატონიშვილის ბოლოაიტყვაობა 1743 წ. გამოცემული ბაქარის ბიბლიისა.  
<sup>3</sup> იქვე.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 35—48.  
<sup>5</sup> ქრ. შარაშიძე, შესავალი ქართული წიგნისა, 1941 წ., გვ. IX.  
<sup>6</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 53.  
<sup>7</sup> „ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე“, 1909 წ., გვ. 6. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.  
<sup>8</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 86.



წარმოები ქართულენაზე, „ქართული წიგნის“ I ტომის (1941 წ.) გამომცემელთა აზრით, მოსკოვს 1737—1744 წლებში უნდა ეწოდებოდეს მულიყო<sup>1</sup>. ორჯერ ამ წიგნის გამოცემა, მოსკოვს და ვლადიმირის ძლიერ საეპისკოპოსოსს. უფრო საფიქრებელია ის მართლაც მოსკოვს გამოცემულიყო ერთჯერ, მაგრამ არა 1737—1744 წლებში, არამედ 1757—62 წლებში ანტონ პირველის მიერ: ანტონ პირველი ამ წლებში მოსკოვთან ახლოს იმყოფება, ვლადიმირის არქიეპისკოპოსია; მიუხედავად იმისა, რომ სინოდი მას ძლიერ ზღუდავს და მოსკოვში ჩასვლის უფლებასაც კი იშვიათად აძლევს, მოსკოვის ქართველთა კოლონიასთან მაინც მჭიდრო ურთიერთობა აქვს<sup>2</sup>; საგამომცემლო საშუალება მოსკოვს არსებობდა, ვლადიმირში კი სტამბის მოსაწყობად ანტონს დიდი თანხა დასჭირდებოდა, რომლის უქონლობაზე ხშირად ჩივის<sup>3</sup>; თანაც რუსეთის არქივებში (ლენინგრადსა და მოსკოვს) ანტონის შესახებ დაცულ მრავალრიცხოვან საბუთებში მისი სტამბის შესახებ ვერაფერს ვპოულობთ. ამასთანავე, ანტონმა თავისი „თვენი“ ნაწილი 1756—62 წლებში, უეჭველია, მოსკოვს დაბეჭდა<sup>4</sup>; ალბათ თავისი საფასით, და, საფიქრებელია, ამგვარადვე ქართული თარგმანი — სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ მოსკოვშივე 1757—62 წლებში დაებეჭდვინებინა.

აქვე აღსანიშნავია არქიმანდრიტი ტარასი მესხიშვილის შემდეგი გადმოცემაც, 1863 წელს ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში შეტანილი: „პარაკლიტონი, რომელსაც ხმარობს ქართველთ ეკლესია, პირველად დააბეჭდვინა ტფილისში ვახტანგ მეექვსეებმა 1712-სა წელსა. შემდგომ ქათალიკოზმან დიდმან ანტონიმ დააბეჭდვინა ესევე წიგნი 1760-სა წელსა, ჟამსა მყოფობისა თვისისასა არქიეპისკოპოსად ვლადიმირისა და იეროპოლისა. ამა ანტონის მიერ დაბეჭდილს პარაკლიტონს აქჟს შემდგომი ესე წარწერა: «თანამშრომლობითა ჩემის ეპარხიის ანდრია დეკანოზისათა, რომელი იყო კაცი მეცნიერი და მცოდნე ბერძნულისა ენისა, გავშიწვეე პარაკლიტონი ესე. რადცა არა იპოებოდა მას შინა, სლავიანურიდან გარდამოვიღე; რადცა არ პოვნილ იქმნა სლავიანურსა შინა, იგი მან დეკანოზ-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 48.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. Канц. Синода (796), оп. 41, за 1760 г., д. №53; იქვე, оп. 37, за 1766 г., д. №489; იქვე, оп. 43, за 1762 г., д. №52; იქვე, оп. 38, за 1757 г., д. №№: 444, 445; და სხვა.

<sup>3</sup> იქვე, იგივე საქმეები.

<sup>4</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 52.



მან თარგმნა ბერძნულით; და რაჲცა ჩუენსა შინა პარაკლიტონსა ვპოვეთ, ჩუენნი დამიდვიეს. და ესე გამიმართავს და მსურს მსურს ფიეს და ვერ კადნიერ ვიქმენ რათა სხვა რაჲმე შემოგვიტაროს [არა] აქუს აღმოსავლეთის ეკკლესიასა; ამისთვის არცრა შემატებაჲ, არცაღა დაკლება რაჲმე მიიღო ახლად გამართულ მან ამა წერილმან ნუგეშინის. ცემითმანა<sup>1</sup>. ჩანა, „ახლად გამართული“ ეს პარაკლიტონი ტარასი არქიმანდრიტს ხელში ჰქონია და იქიდან ამოუწერია ეს შემომოყვანილი წარწერა და ამიტომაც ის, უეჭველია, თავის გადმოცემაში შეცდომას არ უნდა უშვებდეს. ანტონ კათალიკოზს ქართული სტამბა ვლადიმირს რომ ჰქონოდა და იქ დაებეჭდა ეს პარაკლიტონი — ამასაც ტარასი პირდაპირ გვეტყოდა. მაგრამ ეს მას ნათქვამი არ აქვს და ანტონ პირველმა ეს პარაკლიტონიც, როგორც თავისი „თენის“ ნაწილი და სტეფანე იაგორსკის „კლდე სარწმუნოებისა“, საფიქრებელია, მოსკოვს დაბეჭდა და არა ვლადიმირს.

ანტონ პირველის მიერ რუსეთში ჩატარებული საგამომცემლო მუშაობა უფრო ღრმა კვლევა - ძიებას მოითხოვს, ვიდრე ეს დღემდე ვინმეს უწარმოებია. ამასთანავე, კატეგორიულად მსჯელობა რუსეთში, ქ. ვლადიმირში ანტონ პირველის სტამბის არსებობის შესახებ უეჭველ რაიმე საბუთს ჯერჯერობით მაინც მოკლებულია.

1762 წელს მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი საკუთარი ხარჯით მოსკოვში ხსნის ახალ ქართულ სტამბას სინოდის ნებართვით. ამ სტამბამ დიდად ნაყოფიერად იმუშავა 1762—68 წლებში. „ბრძანებითა და ნება-რთვითა უწმიდესისა მმართველის სრულიად რუსეთის სინოდისათა, წარსაგებელითა და მოღვაწეობითა მიტროპოლიტი ტფილისისა ათანასე ამილახვაროვისათა“ მოსკოვს „გამოუცდელთა ჯერედ სტამბისა მუშაკთა“ მიერ გამოცემულ იქნა 1762 წ. 1 სექტემბერს და უჯდომელი<sup>2</sup>. შემონახულია აგრეთვე ამ სტამბიდან გამოსული 1765 წ. სამოციქულო<sup>3</sup>, 1766 წ. სახარება გამოკრებული<sup>4</sup>, 1767 წ. პარაკლისი<sup>5</sup>, 1768

<sup>1</sup> „ისტორიული განხილვა საეკლესიო წიგნთა მართლმადიდებელის საქართველოს ეკკლესიისა“, — საქ. მუხ. № 322 A: პირველი (თეთრად) ხელნაწერის ფურც. 25, შუად. მეორე (შავად) ხელნაწერის ფურც. 15v — 16 r.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 53.  
<sup>3</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 131 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 56.  
<sup>4</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 68 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 56.  
<sup>5</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 56.

წ. ორი გამოცემა ლოცვანი<sup>1</sup>, 1768 წ. ჟამნი<sup>2</sup>, 1768 წ. დავითნი<sup>3</sup> და აღრინდელი გამოცემაც — 1764 წლისა<sup>4</sup>. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 1786 წელს პეტერბურგში ეპისკოპოს გრიგოლ ხარჭაშენელს გაუხსნია ქართული სტამბა, სადაც, სხვათა შორის, დაბეჭდილა სახარება<sup>5</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1796—1801 წლებში გაიოზ რექტორის ინიციატივითა და ხარჯების გაღებით მოზდოკში მოქმედი ქართული სტამბა. ამ სტამბიდან გამოსულ გამოცემათაგან ოთხი დღესაც მოგვეპოვება: მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი, 1796 წ. გამოცემული, სადაც თბილისიდან, ალა-მაჰმად-ხანის ჯარის შემოსევის გამო, მოზდოკს გადახვეწილი რომანოზის მიერ მოთხოვნილია, თუ როგორ მან გაიოზის ბრძანებითა და ხარჯით მოაწყო ეს სტამბა 1796 წელს (წერილი წარმოადგენს „ნატყფრ პრობა“-ს)<sup>6</sup>; 1797 წ. გამოცემული გაიოზ რექტორის „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანოს წაველა“<sup>7</sup>, რომელიც „სასტამბო ხელოვნების შედეგს წარმოადგენს“<sup>8</sup>; 1796—1800 წწ. გამოცემული გაიოზის გრამატიკა, რომელიც ავტორმა 1789 წელს კრემენჩუგს დაწერა<sup>9</sup>; აგრეთვე უთუოდ მოზდოკს 1801 წელს დაიბეჭდა „განწყესება შინაგანი-სა საქათველოდსა მართვისა“<sup>10</sup>.

XVIII საუკუნეში რუსეთში არსებული ზემოხსენებული სტამბების მიერ გამოცემულ იქნა მრავალი ქართული წიგნი<sup>11</sup>. ნაწილი ამ წიგ-

<sup>1</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 57 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 58—59.

<sup>2</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 5 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 59—60.

<sup>3</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 10 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 56—57.

<sup>4</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., 54—55.

<sup>5</sup> К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, 1908 г., გვ. XXXI; პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 85.

<sup>6</sup> საქ. ცენტრ. არქ. № 162 (234(9)); იხ. აგრეთვე ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 71—73.

<sup>7</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 73—74.

<sup>8</sup> იქვე, შესავალი, გვ. XII.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 74; იხ. აგრეთვე საქ. ცენტრ. არქ. № 32 და № 33 (234(9)).

<sup>10</sup> ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 80; შესავალი, გვ. XII.

<sup>11</sup> იხ. ეს წიგნები საქ. სახ. წიგნის პალატის მიერ 1941 წ. გამოცემული ქართული წიგნის I ტომის გვ. 5—74 აღწერათა მიხედვით; აგრეთვე იხ. პაატა გუგუშვილის „ქართული წიგნი“, 1929 წ., გვ. 77—86.

ხებისა საქართველოში იგზავნებოდა და აქ გამოცემულ წიგნებთან ერთად ვრცელდებოდა ჩვენში<sup>1</sup>. ამრიგად, რუსეთში გამოცემულმა ქართულმა წიგნებმაც ხელი შეუწყო XVIII საუკუნის საქართველოში სახალხო განათლების განვითარებას.

ყველა ამ დაბეჭდილი წიგნის გვერდით საქართველოში მრავლად ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით არა მარტო სასულიერო-საეკლესიო ხასიათის, არამედ განსაკუთრებით სამეცნიერო ხასიათის წიგნები, მხატვრული ლიტერატურა და სხვა. ანტონ პირველისა და ერეკლე მეორის ხანაში კალიგრაფიული ხელობა კიდევ უფრო მეტად ვითარდებოდა, ვიდრე ახლო წარსულში და მტკიცედ ეჯიბრებოდა მზარდ სასტამბო საქმეს.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ აღორძინების ხანის მწერლობაში არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკალიგრაფიო სკოლა შეიქმნა<sup>2</sup>. ამათგან ყველაზე უფრო საყურადღებო იყო, განსაკუთრებით ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის დროს ფართოდ მოქმედი მესხი შვილთა სკოლა: ალექსი, გიორგი, სოლომონ და დავით რექტორი სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ. მათ გვერდს უმშვენებდნენ ჩვენში სხვა დახელოვნებული კალიგრაფებიც, როგორიც იყვნენ: „ტფილისის ქალაქს ჯვარის საყდრის დეკანოზი“ იოანე მოძღვრიშვილი, ზაქარია დიაკვანი, იესე ოსეს-ძე, ანტონისვე მოწაფეები — იოანე ოსეს-ძე, ტრიფილე, იოსტოსი, ნიკოლოზ მალაღძე და სხვა მრავალი.

ყველა ესენი „კაი ხელით“ ხელნაწერთა გადაწერას კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და მრავალი წიგნიც გადაუწერიათ. მათ მიერ შექმნილ ხელნაწერთაგან ბევრი დღემდეც შემონახულა და ჩვენს სიძველეთა საცავებში ინახება. მათ შორის ზოგიერთი მაინც კალიგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, მაგალითად, „ტფილისის ქალაქს ჯვარის საყდრის დეკანოზ იოანეს“ მიერ შესრულებული ხელნაწერები<sup>3</sup> და სხვა.

<sup>1</sup> ერეკლე მეორის დროს, გარდა ამ წიგნებისა, რუსეთში ზოგიერთ შემთხვევაში დაბეჭდილია ქართველთა საეკლესიო საბუთებიც. მაგალითად, ლენინგრადში ცენტრალური ისტორიულ არქივში დაცულია ასეთის შესახებ ერთი საქმე:

1786 года. „Дело о напечатании в здешней типографии грамот нинциндской епархии архиепископу Антонию на архиерейской сан, також и протчим“. საქმეში 13 ფურცელია და უკანასკნელ ფურცელზე ასეთი მინაწერია: „1786 года, августа 10 дня, данную мне от святаейшего Синода на архиерейской сан настольную грамоту принял“. ხელს აწერს ასომთავრულად „არხიეპისკოპოსი ანტონი ნინოწმინდისა“ (ЦГИАЛ, ф. Канц. Синода (796), оп. 67, за 1786 г., д. № 257), ერეკლე მეორის შვილი.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 61.  
<sup>3</sup> საქ. მუხ. № 1743 А (1752 წ. გადაწერილი ანტონ პირველის „სპეკალი“), № 131 S (1760 წ. გადაწერილი ს. ჯულფელის „დიალიკტიკა“) და სხვა.



ამრიგად, კალიგრაფიული ხელობა მზარდ ბეჭდვის საქმეს მიიღწევრ განუდევნია და ანტონ პირველის დროს კიდევ უფრო მეტად განვითარებული იყო, ვიდრე ადრე, აღორძინების ხანის სხვა დროს. მიუხედავად სასტამბო საქმეზე დიდი მზრუნველობისა, ჩანს, მაშინ ჩვენში მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილება დაბეჭდილი ნაწარმოებების როგორც ცალობრივი რაოდენობით, ისე თვისობრივადაც საკმაოდ აბ იყო დაკმაყოფილებული და ამიტომ კალიგრაფიულ ხელობას და ხელოვნებას მისცემია ფართო გასაქანი.

ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის ხანაში მწერლობის ყოველი დარგის ნიმუშები ჩვენში ხელნაწერთა სახით კარგა მრავალრიცხოვნად ვრცელდებოდა და ამიტომ კალიგრაფებს კარგი შემოსავალიც ჰქონიათ. შაგალითად, იესე ოსეს-ძე resp. ოსე შვილი თავის თავგადასავალში წერს: „ჩემი შემოსავალი სამწყსო იყო; ვიჯექ პატოსნად სენაკში, სამლუდელოს შიგნებს ვწერდი, ვყიდდი და ამით მოვირეწდი. შეგირდები მისხდენ ოცდაათი, ზოგი სამლუდელო, ზოგი საერო. ისინი მმსახურებდენ კარგად და ღმერთი გვზრდიდა ჭეშმარიტად. პატოსნად გვეცვა ყველასა, არათუ ყუმაში, მაგრამ კაცსა თუ ქალსა მათდის ტოლომა და ლაინის კაბა, ახალუხი არა გვეკლებია, აგრევე საქმელი უნაკლულოდ გვექონდა, დაღათუ იწროვებით ვიშოვდით. მივიდი, ბატონი-შვილი ანუკა ვნახი, მისი საფარველი მედვა, პატივს მცემდა, ღმერთმან სასუფეველში განუსვენოს, და ჩემთვის ილუწიდა. ქორანიკონს 432 [1744 წ.], მაისს მეფეს თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა ყენმა, მეფეს ერეკლეს—კახეთისა. მაშინ ვიყავ წლისათხუთმეტისა სრული და ექვსის თვისა“<sup>1</sup>. ამრიგად, ჯერ კიდევ არა სრული 16 წლის იესე ოსეშვილი 1744 წელს კალიგრაფობაში ისე გაწაფულია, რომ მას 30 სამლდელო და საერო შეგირდიც კი ჰყავს, მათ იმსახურებს და კარგი სარფაც აქვს ამგვარი შემოსავლით. იესეს დიდი მფარველიც კი ჰყოლია, ცხადია, განსაკუთრებით ამ კულტურულ საქმიანობაში,— ანუკა ბატონიშვილი. აგრეთვე, 1747 წელს, არბაბობისას დუშეთს 14 სული სახლეულნიტ განახიზნი იესე (მაშინ 19 წლისაა), მაშინდელი თავისი მდგომარეობის შესახებ გვიან, 1767 წელს გადმოგვცემს თავგადასავალშივე შემდეგს: „ჩემი შემწე არავინ ყოფილა, ერთი ჩემი ჯავახი ბიჭი მახლდა... ვწერდი და ვყიდდი წვრილმანა წიგნებსა და იქიურნიც დიად კელს მიწყობდენ, ღმერთმან

<sup>1</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. გამოც., გვ. 10—11.



მიავოსთ ყოველთავე<sup>1</sup>. აშქარაა, კალიგრაფიული ხელობა ამ გასა-  
ჭირის დროსაც კი კარგ შეძოსავალს აძლევდა იესეს, რადგან მრავალ-  
რიცხოვან თავისიანებსაც მით დახმარებია.

რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ასეთივე კარგი შემოსავალი  
ჰქონდათ ანტონ პირველის თანამედროვე სხვა ცნობილ კალიგრა-  
ფებსაც: მესხიშვილთა სკოლის წარმომადგენლებს — ალექსის, გი-  
ორგის, სოლომონსა და დავით რექტორს, აგრეთვე სხვათაც: იოანე  
მოდღერიშვილს, იოანე ოსეს-ძეს, ტრიფილეს, ზაქარია დიაკვნს,  
იოსტოსს, ნიკოლოზ მაღალაძესა და სხვებს. მათ მიერ შექმნილმა  
ხელნაწერებმა დღემდეც კი მრავალრიცხოვანად მოაღწიეს. კალიგრა-  
ფებს სამუშაო, ჩანს, დიდი ჰქონდათ და მუშაობდნენ კიდევ. აკად-  
ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, XVIII საუკუნის მეორე  
ნახევარში ერთი გვერდის გადაწერაზე კალიგრაფს ჩვეულებრივ  
ორი შაური მოუწევდა, რომლითაც მაშინ ნორძალურ ფასებში ერთი  
კოდი პურის ყიდვა შეიძლებოდა<sup>2</sup>. ახლა თუ მივიღებთ მხედველო-  
ბაში ჩმას, რომ მაშინ „კარგი და სწრაფი გამამწერი დღეში 20—23  
პატარა ტანის (9,9×6,9 სანტ.) გვერდის, 13—16 მოზრდილი (30,5×  
20,5 სანტ.) გვერდის და 6—8 დიდი ტანის 44×28, ან 30×20,5  
სანტ. გვერდის დაწერას ახერხებდა“,<sup>3</sup> გამოდის, რომ შემოხსენებული  
კალიგრაფები ყოველ სამუშაო დღეს კარგ საფასურს ღებულობდნენ  
თავიანთი შრომისათვის. ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის მიერ  
გაცემულ არა ერთ საბუთშიაც შემოხსენებული კალიგრაფები  
მრავალგვარად ნაწყალობებნი არიან და, ჩანს, განსაკუთრებით კა-  
ლიგრაფიულმა ხელობამ მათ არათუ მატერიალური სარტიანობა, არა-  
მედ კარგი სახელი და გავლენაც კი შესძინა საზოგადოებაში. კარგი  
კალიგრაფები არათუ კარგ შემოსავალს ღებულობდნენ მაშინ კალი-  
გრაფიული ხელობით, არამედ ამ ხელობითა და მეცნიერების მცოდ-  
ნეობით დიდად აღზევებულნიც იყვნენ ერეკლე მეორისა და ანტონ  
პირველის მიერ. მაგალითად, ცნობილი კალიგრაფი და მეცნიერი  
დავით ალექსის-ძე მესხიშვილი ანუ დავით ალექსიშვილი ერეკლეს  
მიერ თელავის სასულიერო სემინარიის რექტორად იქნა დანიშნული;  
აგრეთვე, ერეკლემ და ანტონმა ასეთივე კალიგრაფი და მეცნიერი  
იოანე ოსეს-ძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად  
დააწინაურეს.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 14—16.


<sup>2</sup> „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფი-  
კა“, 1926 წ., გვ. 98—99.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 60—61.

ანტონ პირველი, კერძოდ, დიდად ხელს უწყობდა კალიგრაფიული ხელობისა და ხელოვნების განვითარებას ჩვენში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ თვით ანტონის მრავალრიცხოვანი სასულიერო და განსაკუთრებით სამეცნიერო ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლები მე-18 საუკუნეში არც ერთი არ დაბეჭდილა და მხოლოდ ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა სკოლებისა და ფართო საზოგადოებისათვის. მაშინ ჩვენში დაიბეჭდა მხოლოდ ერთი თუ ორი მისი ქადაგება, რამდენიმე მიმართვა სამწყსოსადმი და სხვა მომცრო ამგვარი ნაწარმოები. ამრიგადვე, განსაკუთრებით ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა ანტონის თანამედროვეთა ნაწარმოებნიც. საერთოდ ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში საქართველოსა და რუსეთში დაბეჭდილი ქართული ლიტერატურიდან 85% მაინც ძველი სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებია. დაბეჭდილ ძლიერ მცირერიცხოვან საერო ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია: ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, 1712 წ. გამოცემული; გაიოზ რექტორის „კიტიის სიბრძნე“, 1784 წ.; მისივე ქართული გრამატიკა, 1796—1800 წწ., „ანბანი...“, 1797 წ. და კიდევ სხვათა რამდენიმე ნაწარმოები<sup>1</sup>.

ძლიერ მცირერიცხოვნობა საერო და თანამედროვეთა სასულიერო ნაწარმოებების გამოცემისა და, ამასთანავე, შედარებით მრავალრიცხოვნობა ძველი სასულიერო ხასიათის თხზულებათა ბეჭდვისა XVIII საუკუნეში ქართულ ენაზე როგორც საქართველოში, ისე რუსეთში აიხსნება არა მარტო იმით, რომ სასულიერო განათლებას მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა, არამედ იმით, რომ როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში ძლიერი საეკლესიო ცენზურა ერეოდა. ქართული საეკლესიო ცენზურა საერო ნაწარმოებებისა და თანამედროვე ქართველთა სასულიერო თხზულებების გამოქვეყნებას ვიწრო კონფესიონალური თვალსაზრისით მკაცრად ეკიდებოდა. იმ დროინდელი რუსეთის სინოდის ცენზურა ქართული წიგნების მიწართ ამ მხრივ ცნობილია იქ არსებული ქართული სტამბების საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე ჩანს საქართველოშიც, განსაკუთრებით რეაქციული სამღვდელთა აქტივობის გამო. ეს წრე ზღუდავდა ჩვენში წიგნების ბეჭდვის თავისუფლებას. ამის

<sup>1</sup> შესაპოვნებლად იხ. ქართული წიგნი, I, 1941 წ., გვ. 5—74; პ. გუგუშვილის მიერ გამოქვეყნებული სია მაშინდელი დაბეჭდილი წიგნებისა, — „ქართული წიგნი“, 1929 წ., გვ. 73—74; და სხვა მისთანანი.



საუცხოო მაგალითია „ვეფხისტყაოსნის“, კერძოდ კი ვახტანგისეული გამოცემის დევნა მაშინ ჩვენში და, როგორც ხეობითი თქვა, თვით ანტონ კათალიკოზის სასულიერო დასის დაუბეჭდავი (მისი დაბეჭდვის შესახებ ფიქრიც ზედმეტი იყო!) წიგნის — „აპოლოგიის“ დაწვა, ხოლო „მიწყალეს თარგმანის“ დაწვის შემზადება ზაქარია გაბაშვილის თაოსნობით და სხვა მისთანანი.

მართალია, დაბეჭდილი წიგნების ცნობების თანახმად, XVIII საუკუნეში მეფე და კათალიკოზი იყვნენ ჩვენში ოფიციალური ცენზორები, მაგრამ რომელიმე ახალი საერო ან სასულიერო, კონფესიონალური თვალსაზრისით საეჭვო წიგნის არათუ გამოცემა, არამედ ხელნაწერთა სახითაც გავრცელება, საეკლესიო კრებისა ან სახელდახელოდ საამისოდ მოწვეული გარკვეულ სასულიერო პირთა კრების დასტურის გარეშე, წესისამებრ, მათ აღარ შეეძლოთ. ანტონ კათალიკოზი მის დროს არსებული ამ წესის შესახებ თავისი „ღმთის-მეტყუტელების“ მესამე ტომში სათანადო პარაგრაფსაც კი ათავსებს: „უკეთუ წიგნი ახლად ქმნილი დროსა შინა ჩუცნსა მართლ-მადიდებელისა მოძღვრისა (წინამძღვარი ცოდნისა, ცოდნის გადმომცემი, მასწავლებელი. — ა. რ.) შესმენილ იქმნას, ვითარმედ შინა აღმდგომ არს იგი ანუ სარწმუნოებისა მიმართ, ანუ საიდუმლოთა ეკლესიისათა, ანუ მოცემულთა, ანუ სხუთა შეწყნარებულთა ერთისაგან წმიდისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა აღმოსავალისა, სათანადო არს შეკრება ეპისკოპოსთა და მღვდელთა მათ, რომელნიცა იყვნენ გამოცდილ ღმთის-მეტყუტეებითა შინა წერილთა და კანონთა შინა მამათასა და ისტორიათა შინა ეკლესიურთა და განხილუად და განჰსჯად ყოველნი ნაკუთნი ჰაზრთანი და ლექსნიცა რომელნიმე, ცხადნიცა და დაფარულნი. და თუ სადამე იპოვოს წინა-აღმდგომი რამე აღმოსავალისა ეკლესიისა წიგნსა მას შინა, იგიცა განხილუად და განჰსჯად, ნუ სადა მწერალთაგან იყოს გარდაცუტალებულ. ხოლო თუ სადამე იპოვოს წიგნი იგი ვითარმედ ყოველსა შინა აქუნიდეს ქეშმარიტებაჲ, სათანადო არს შეწყნარებად და ბიბლიოტიკასა შინა დადებად და არა შეურაცხყოფად შრომაჲ იგი ავქსონისა მისისა. ხოლო უკეთუ რომელსამე შინა წინა-აღმდგომ იყოს წმიდისა ეკლესიისა აღმოსავალისა წიგნი იგი, სათანადო არს ყოვლითურთ გარე-განგდებად<sup>1</sup>. აშკარაა, ანტონ პირველის დროს არათუ გამოცემა ყოველი ახალი საერო ან სასულიერო,

<sup>1</sup> § 189, —საქ. მუხ. № 3659 S.




კონფესიონალური თვალსაზრისით საეკლესიო წიგნისა, არამედ ხელნაწერის სახითაც გავრცელება, თუ არ მაინცდამაინც საეკლესიო კრებისა, სახელდახელოდ სპეციალურად საამისოდ მოხსენებულ სასულიერო პირთა კრების დასტურის გარეშე მაინც, მეფესა და კათალიკოზს თვითნებურად აღარ უნდა ეკისრათ. მართლაც, აკი ხაქარია გაბაშვილი მოითხოვდა 1764 წლის 18 ოქტომბრის საეკლესიო კრებისაგან ანტონ პირველის „აპოლოგიისა“ და „მიწყალეს თარგმანის“ არათუ გავრცელების აკრძალვას, არამედ ხელნაწერთა სახითაც მოსპობას. მას „აპოლოგია“ გვიან კიდევაც დაუწვავს, წაართვა რა ავტორს ორთოდოქსალური, ძველებური მართლმადიდებლური, რეაქციული სამღვდლოების „კრების“ წყალობით! ამრიგად, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შესვეურთა სრულ თანხმობას მოითხოვდა ყოველი საერო ან სასულიერო „ავესონის“ (ავტორი) ახალი ხელნაწერი თუ დაბეჭდილი წიგნის გავრცელება საზოგადოებაში.

ზემოხსენებული წესით „ჩხრეკდნენ“ ჩვენში XVIII საუკუნეში რეაქციული სამღვდლოების წარმომადგენელნი ყოველ ახალ წიგნს და, ბუნებრივია, მათ აღარ დაენდოთ აუტო-დაფეს მოსაწყობად ქრისტიანობის „გამრყუნელი“ ნაწარმოებები—გამოცემული ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ცალები და ანტონ პირველის ზემოხსენებული ხელნაწერი წიგნები<sup>1</sup>. საეკლესიო კრება და მისივე სახელით მოქმედი, სპეციალურად მოწვეული ზემოხსენებულ სასულიერო პირთა კრება, როგორც მკაცრი ცენზორები, კონფესიონალური თვალსაზრისით მოქმედებდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში დაუბეჭდავ და დაბეჭდილ ნაწარმოებთა მიმართ. ორთოდოქსალური მართლმადიდებლური ეკლესიის ეს კრებები ზღუდავდნენ მათივე კათალიკოზის საცენზურო უფლებებს და მეფეც, რა თქმა უნდა, დიდ ანგარიშს უწევდა მათ ამ მხრივაც. მსგავსად აღრინდელი ზოგიერთი მეფისა, ერეკლე მეორის მიერაც გაცეპულ საბუთებში ცნობილია არაერთგზისი განცხადება ეკლესიის უფლებებში მეფის ჩაურევლობის შესახებ; მიუხედავად თავისი მონარქობისა, ჩანს, ამ მხრივაც იჩენდა ერეკლე ეკლესიის წინაშე მისთვის საჭირო ტაქტს.

ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია ჩვენთვის თუ რატომ ვერ გამოსცა მაშინ თავისუფალი მეცნიერული აზროვნების მოყვარულმა კათალიკოზმა ანტონ პირველმა თუნდაც თავისი მეტად საჭირო, განსაკუთრებით სკოლებში გასავრცელებელი ერთ-ერთი სამეცნიერო სახელმძღვანელო მაინც, რომელმაც ჩვენს დრომდეც ხელნაწერთა

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ ვრცლად ა. პ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრული მწერლობისადმი“.



სახით მრავალრიცხოვნად მოაღწია (მაგ., 1767 წ. „კათილორია“, 1767 წ. გრამატიკა და სხვა). ჩანს, ერეკლე და ანტონ პირველი არ უწყობდნენ ხელს ჩვენში კალიგრაფიული ხელოვნების დართობის განვითარებას; რეაქციული სასულიერო ცენზურა, მიუხედავად შემოსხენებული წესისა, უძლური იყო საერო მხატვრული მწერლობისა და სამეცნიერო ლიტერატურის ხელნაწერთა სახით გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხელნაწერთა შექმნასა და გავრცელებაზე კონტროლი რეაქციული სამღვდელთა მეთაურთათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ერთ სტამბაზე მეთვალყურეობა. თანაც ისინი სასკოლო მუშაობას ამ მხრივ აშკარად ხელს ვერ შეუშლიდნენ საზოგადოებრივი მოთხოვნების მძლავრი ზეგავლენითა და ერეკლე მეფის რიდით. ცხადია, ხსენებული ხელნაწერი სახელმძღვანელოების გავრცელება მათ ძალაუხერბურად, ასე თუ ისე, უნდა ეცნოთ ხოლომე post factum, მით უფრო, რომ ამ წიგნებში დიდი რამ „მწვალებლობა“ არც შექჳნდათ ავტორებს.

ამრიგად, საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ: ბეჭდვის საქმე საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით რეაქციული სამღვდელთა კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა და ამის გამო მისგან შეწყნარებულ ძველ სასულიერო ნაწარმოებთა გამოცემები ძლიერ ჭარბობდა საერო და ახალი სასულიერო მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემებს; საერო და ახალი სასულიერო მწერლობა, მისგან სხვა მხრივაც შეზღუდული, განსაკუთრებით ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ჩვენში. ანტონ პირველის სასკოლო-პედაგოგიური მოღვაწეობა და საერთოდ განათლების დარგში მისი და სხვათა მუშაობა საქართველოში მაშინ ამგვარი პირობებით განისაზღვრებოდა.

ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის პროგრესულ საზოგადოებრივ-კულტურულ ღონისძიებებს ბეჭდვის საშუალებით ბევრი რამ ემატებოდა. ამასთანავე, ამ „ძმებს“ თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრახვების სასარგებლოდ პრესის მეტად გაშლისათვის აზრი უნაყოფოდ ურჩებოდათ, რადგან ეკლესიაშიაც არსებული მძლავრი რეაქცია დაუპირისპირდა მათ ბეჭდვის საქმეში: არსებითად, რეაქციული თავადური წრის სულისკვეთების გამოხატულებას წარმოადგენდა ძველებური, ორთოდოქსალური მართლმადიდებლური თვალსაზრისითა და საეკლესიო კრების სახელით მოქმედი სასულიერო ცენზურა. თავადური სისტემის დამცველ რეაქციონერთა შეგნებული ნაწილი ამგვარ საეკლესიო ცენზურას ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იყენებდა ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოზის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საზიანოდ სახალხო განათლების დარგში.

თავი მეოთხე

**წიგნოსაცავთა ძველი ქართლ-კახეთის სამეფოში და  
ანტონ კირველის ღვაწლი ამ დარგში**

ძველი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მწიგნობრობის განვითარებასთან ერთად წიგნოსაცავებიც ჩნდება. განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში ეს მოვლენა მეტად თვალსაჩინო ხდება ქართველთა განათლების დარგში. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, მაშინ „წიგნები დანიშნულებისდა მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთნი შინ, სახლში სახმარებლად იყვნენ განკუთვნილნი—ასეთ წიგნებს მაშინ „საშინაონი“ ეწოდებოდა, — მეორენი თან სატარებლად ჰქონდათ ხოლმე, რომელთაც „სათანაონი“ ერქვათ“<sup>1</sup>. მაშინ ქართულ მონასტრებში წიგნებისათვის განსაკუთრებული ოთახი ყოფილა, სადაც „საწიგნეებზე“ ხელნაწერები ელაგა. იქვე არსებობდა სამკითხველო ოთახიც, სადაც ისევე „საწიგნეთა ზედა“ ხელნაწერები იყო დალაგებული. ამ წიგნებით სარგებლობისათვის გარკვეული, ყველასათვის სავალდებულო წესი არსებობდა. ზოგან ქართველებს „დიდი წიგნისსაცავი“ ჰქონდათ, ზოგან კი—პატარა. ეს მეტ-ნაკლებად მდიდარი წიგნოსაცავები არსებობდნენ მაშინ მონასტრებსა და ეკლესიებში (მაგალითად, მცხეთის საპატრიარქო მდიდარი წიგნოსაცავი). იყო, აგრეთვე, სამეფო, კერძო პირთა და სხვათა წიგნოსაცავებიც. დავით აღმაშენებელს არათუ ძირითადი სამეფო, არამედ მოძრავი ბიბლიოთეკაც ჰქონდა ლაშქრობისას სამეცადინოდ, ჯორებსა და აქლემებზე აკიდებულნი<sup>2</sup>.

ასე იყო ქართული კულტურის აყვავების ხანაში, XI—XII საუკუნეებში და XIII საუკუნის დასაწყისში, როცა ხალხის მშვიდობიანობა პოლიტიკურად უზრუნველყოფილი იყო. შემდეგ კი გარეშე მტრების არაერთგზისმა შემოსევამ წიგნოსაცავების ზრდა არათუ შეაფერხა, არამედ ბევრი მათგანი კიდევ მოსპო. ზოგიერთი წიგნოსაცავი ხშირად ზიანდებოდა, მაგრამ არსებობას მაინც განაგრძობდა.

<sup>1</sup> „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, 1926 წ., გვ. 83—86.

<sup>2</sup> იქვე.



მაგალითად, ძველი საპატრიარქო მცხეთის მდიდარი წიგნთსაცავი, XVI საუკუნის შუა ხანამდე ძლიერ ვალარიბებულია, — 1546 წელს ლუარსაბ მეფისა და კათალიკოზის მიერ შედგენილ სვეტიცხოვლის საეკლესიო განძის ანგარიშში მხოლოდ 51 წიგნიღა იხსენიება<sup>1</sup>.

მაგრამ ქართული მწერლობის აღორძინების ხანაში, განსაკუთრებით XVII საუკუნეში და, მით უფრო, XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში წიგნთსაცავთა რიცხვმა თანდათანობით იმატა. მაგალითად, განახლებული დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერს ახლად შექმნილი წიგნთსაცავი გააჩნია, — მას 1712 წელს 87 წიგნი ჰქონდა, აქედან 15 წიგნი ნაბეჭდი იყო და 1 ვერცხლით მოჭედული<sup>2</sup>; 1690 წლიდან 1778 წლამდე დოდოს მონასტრის წიგნთსაცავში 217 წიგნი შეუკრებიათ<sup>3</sup>, და ა. შ. ეს წიგნთსაცავები ახალია, ამ მონასტრების განახლების დროიდან — XVII—XVIII საუკუნეებში არსებულნი. მაგრამ ამავე დროსაც ძველი, შემორჩენილი ეკლესია-მონასტრების წიგნთსაცავებიც ხომ არსებობდნენ! მაგალითად, ანტონ პირველს ძველი „წესი გამორჩევისა და კელდასხმისა მღვდელმთავრობითისა“, როგორც თვით გადმოგვცემს, უპოვნია „საუნჯეთა შინა წიგნის-საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“<sup>4</sup>, ე. ი. მცხეთაში ძველთაგანვე არსებულ საპატრიარქო წიგნთსაცავში. რა თქმა უნდა, ანტონ კათალიკოზი თავის დროზე ამ წიგნთსაცავს ყურადღებას არ აკლებდა და ამდიდრებდა კიდევ თბილისის სტამბის ახალი გამოცემებით. XVIII—XIX საუკუნეებში მოქმედებდა შიო მღვიმის მონასტრის ძველი წიგნთსაცავი, რომელშიაც, 1862 წელს შედგენილი სიის თანახმად, 85 წიგნი ყოფილა (მათ შორის 1270 წლის სახარება და სხვა ძველი ხელნაწერები ეტრატზე შესრულებული)<sup>5</sup>. მაშინაც არსებობდა თბილისის სიონის ძველი წიგნთსაცავი და სხვა. სხვათა შორის, საყურადღებოა ისიც, რომ, ერთი ცნობის თანახმად, ვახტანგ მეექვსეს თავის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები დაურიგებია საქართველოში და სამაგიეროდ მოუთხოვია ხელნაწერები. ამრიგად შეგროვილი ხელნაწერებისათვის სიონის მახლობლად აუგიათ წიგნთსაცავი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 88—89.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>4</sup> საქ. მუხ. № 201 A, ფურც. 1—38; შეად. თ. ყორღანიძე, Опис. рукоп. гр. церк. музея, I, გვ. 227.

<sup>5</sup> საქ. ცენტრ. არქივის ფ. 360, საქმე № 2.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წ., გვ. 59.






ზემოხსენებული წიგნთსაცავები შეფე ერეკლესა და ანტონ პირველს ვერ აკმაყოფილებდა და ორივე „ძმა“ სხვაგვარად უნდა განსაკუთრებით სამღვდელობას აბამდა წიგნთსაცავების რაოდენობისა და გამდიდრების საქმეში. მაგალითად, 1768 წელს გამოცემულ მოწოდებაში „ეპისკოპოსთა მიმართ“ ისინი უბრძანებენ ყოველ სამწყსოს, რათა ყოველ ეკლესიაში მღვდელმსახურებისათვის საჭირო სასულიერო წიგნები მაინც ჰქონოდათ აუცილებლად შემონახული<sup>1</sup>. მაშასადამე, ამ დროიდან, წესისამებრ, ყოველ ეკლესიაში პატარა წიგნთსაცავი მაინც უნდა არსებებოდა. აგრეთვე, იოანე ოსეს-ძის გამოცემით, ანტონ პირველი, სხვაგვარ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასთან ერთად, „განმდიდრებად იღუწიდა ეკლესიის წიგნთსაცავის, აქამდე კლებული-სა, რათა მის ზედა არ აქჷნდეს მალლობა სხუათა კერძოთა, გინა წინააღმდეგობითა, და ესრეთ სრულ-ჰყოკლებულება მრავალთა“ -<sup>2</sup>. მაშასადამე, ზემოხსენებული წიგნთსაცავების გამდიდრებაში ანტონ კათალიკოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის. როგორც იოანე ოსეს-ძის სიტყვიდანაც ჩანს, ამ წიგნთსაცავებს ანტონი იმეტომ ამდიდრებდა, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცოდნა-განათლება გავრცელებულიყო და მასზე „მალლობით“ საწინააღმდეგო რამ არ გაბატონებულიყო. ჩანს, განათლებული კათალიკოსი ცოდნა-განათლებით იცავს ქართველთა ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას, და ახალი ცოდნა-განათლებით ავითარებს ქართველობის ამ სარწმუნოებას და არა ძველი დოგმებითა და მრწამსებით, როგორც ამას აკეთებდა ორთოდოქსალური მართლმადიდებლობისათვის თავდადებული ზოგიერთი თანამედროვე რეაქციონერი სამღვდლო პირი. ამრიგად, სამწყსოს აღზრდასა და სასულიერო-საეკლესიო წესების აღსრულებაშიაც ანტონ პირველი ებრძოდა რეტროგრადობასა და ყოველგვარ რეაქციას. ასეთ მოვლენებშიაც კი გარკვევით ჩანს ანტონ კათალიკოსის რაციონალისტური მსოფლგაგება და პროგრესული აზროვნება.

ძველ დროიდანვე, დავით აღმაშენებლის მსგავსად, ბევრ ქართველ მეფეს ჰქონდა წიგნთსაცავი თავის სასახლეში. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნეში მწერალ მეფეებს—ვახტანგ მეექვსესა და თეიმურაზ მეორეს სასახლეებში გააჩნდათ კარგი წიგნთსაცავები. წიგნთსაცავი ჰქონდა „საწილოსოფოსოთა სწავლითა

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 517 A, ფურც. 179—186.  
<sup>2</sup> საქ. მუხ. № 266 A, გვ. 9.



აღმკულ“, „გონიერ“ ერეკლე მეორეს აც. ერეკლე მეორის  
 წიგნთსაცავის არსებობის შესახებ გვაცნობებს ანტონი „სპეკალი“  
 თავის თხზულება „სპეკალი“ში. მიუძღვნის რა ამ თხზულებას მხოლოდ  
 ერეკლეს, ანტონი წერს: „მიიღე ესე და დადევ ფასის-საცავ-  
 სასიტყვი თთა შესაწირავთასა,... ვინადგან მერაჯცა მაქუნდა,  
 იგი შეეწირე შენდა“-ო<sup>1</sup>. „ფასის-საცავსა სიტყვითა“ ქვეშ ანტონი,  
 ცხადია, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მეფე ერეკლეს  
 წიგნთსაცავს, სადაც უნდა შენახულიყო ხელნაწერი „სპეკალი“, და,  
 აგრეთვე, მეტსაც—ქართული მწერლობის სალაროს, რომლისათვის  
 დიდად ზრუნავდა დიდებული მეფე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ანტონ პირველს  
 გააჩნდა საკუთარი დიდი დამდარი ბიბლიო-  
 თეკა. მისი მრავალრიცხოვანი შრომების განხილვა ამას მოწმობს.  
 უძველესი ქართული ხელნაწერებიდან მოყოლებული თავის თანამედ-  
 როვეთა ნაწარმოებების ჩათვლით, ანტონს ამ წიგნთსაცავში მშობ-  
 ლიურ ენაზე, უეჭველია, მოეპოვებოდა მწერლობის ყოველ დარგ-  
 ში საჭირო წიგნები და სხვადასხვა საარქივო დოკუმენტები. ამას-  
 თანავე, რა თქმა უნდა, მის წიგნთსაცავში მოიპოვებოდა სომხურ,  
 რუსულ, ლათინურ, ბერძნულ და სხვა ენებზე არსებული სხვადასხვა-  
 გვარი წიგნები, თვით „მწვალებლური“ ხასიათისანიც კი. უამისოდ  
 ანტონი ვერ დაწერდა ვერც „მზამეტყველებას“, ვერც „ლჳთის-მეტ-  
 ყჳსლებას“, ვერც „მიწყალეს თარგმანს“, ვერც „აპოლოგიას“ და  
 რიგ სხვა ნაწარმოებებს. უცხო ენებზე არსებული ლიტერატუ-  
 რით რომ იგი ფართოდ სარგებლობდა—ამის შესახებ თვით ანტონი  
 მოგვითხრობს „სპეკალის“, „ლჳთის-მეტყჳსლების“, 1767 წლის  
 „კატილორიის“ და რიგი სხვა ორიგინალური თხზულებების ტექს-  
 ტებში. აგრეთვე, ანტონის მიერ ნათარგმნი თხზულებები ხომ თავის-  
 თავად მოწმობენ ამას, რის შესახებ ჩვენ მიერ საკმაოდ ითქვა  
 ზევით, II თავის § 9-ში.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის საქმე, რომ ანტონ  
 პირველი, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ქართულ ენაზე არსე-  
 ბულ ადრინდელ და გვიანდელ ნაწერებს, რა ხასიათისანიც არ უნდა  
 ყოფილიყვნენ ისინი, იძენდა თურმე ყველას თავისი წიგნთსაცავი-  
 სათვის. 1767 წ. გრამატიკის ერთ-ერთ პარაგრაფში ანტონი  
 გადმოგვცემს: ჩემს დროს, დღემდე გადმოთარგმნილი წიგნების  
 (ჩამოთვლის თავის სახელთან დაკავშირებულ წიგნთა უმეტესობას)  
 გარდა, „ჩჳცნიისა-მებრ ენისა წერილნი არა ფრი-

<sup>1</sup> „სპეკალი“, თ. 152,—საქ. მუხ. № 1743 A.

ად მცირენი მაქტუნ და სადაცა ვისმენ, ვითარმედ არს წერილი, რომელი მე არა მაქტს, დიდგვარეულთა ცადინობითა ვჰპოვებ და დავაწერინებ. ქვემოთა ტადთუ ჰსთქტა, კინლა სიგლახაკისა ნაწილისა მივიღენ ამის ძლით და მათ შინაცა გამოვიცადე. და ამათ მიერ, ვითარცა ქეშმარიტებისა მცნობელი, მივენდევათავსა ჩემსა ამისდამი, ვითარმედ არა დავაკლდი მადლსა მას, რომელნიცა იყუნეს პირველ ჩტუნსა საუკუნესა ამას შინა ღრამმატიკოსობასა შინა კმად დაკელოვნებულ. და ამათ მიერ ღრამმატიკოსებისა მიმართ დასამტკიცთა დავამტკიცებ და უკუთქმადთა უკუეჰსთქტამ<sup>1</sup>. გაიოზ რექტორიც მოწმობს ანტონ პირველის წიგნთსაცავის სიმდიდრეს. ის 1782 წელს თავის მასწავლებელ ანტონს, მიუძღვნის რა თავის მიერ რუსულიდან თარგმნილ იერომონახ პლატონის „მართლმადიდებლობით მოძღვრებას“, სთხოვს მის დადებას „წიგნთა საცავსა მას თქტენსა, ყოვლად მდიდარსა თქტენ მიერ“<sup>2</sup>. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით, ანტონ პირველის წიგნთსაცავში 7000 ტომი ითვლებოდა<sup>3</sup>. ამრიგად, ანტონს ჰქონია საკუთარა დიდი და მდიდარი წიგნთსაცავი. ის ამ წიგნთსაცავისათვის დიდი მეცადინეობით იძენდა არა მარტო ძველი ღროის, არამედ XVIII „საუკუნესა შინა“ თავის ნაწარმოებთა უწინარეს („პირველ ჩტუნსა“) გამოსულ ყოველგვარ ნაწარმოებს სხვადასხვა ენებზე. ანტონი ყოველგვარი წიგნების საშუალებით ეძებს მეცნიერულ ქეშმარიტებას; კერძოდ, ქართული გრამატიკის შექმნისათვისაც კვლევა-ძიების პროცესში „დასამტკიცთა დავამტკიცებ და უკუთქმადთა უკუეჰსთქტამ“-ო, წერს თავისუფალი მეცნიერული აზროვნებით გატაცებული კათალიკოზი. სწორედ ასეთი თავისუფალი აზროვნებისა გამო არა მარტო მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, არამედ ღვთისმეტყველებასა და საეკლესიო მწერლობაში, ორთოდოქს მართლმადიდებელთა რეაქციონერ წინამძღოლთაგან საეკლესიო კრებებზე თანამემამულეთა დასაფრთხობლად, ანტონ კათალიკოზს არაერთხელ ეწოდა „მწვალებელი“.

ანტონ პირველის ძვირფასი წიგნთსაცავი ჩვენს ღრომდე, სამწუხაროდ, არ მოღწეულა. იგიც აოხრდა 1795 წლის სექტემბერს, თბილისში ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, როცა კათალიკოზის სასახლე და მასთან არსებული სემინარია გაანადგურა

<sup>1</sup> საქ. მუხ. № 720 A, § 325; შეად. რ. ერისთავის რედ. გამოც., გვ. 220.

<sup>2</sup> საქ. მუხ. № 241 A, გვ. 6.

<sup>3</sup> „ქართ. ლიტ. ისტორია“, I, 1941 წ., გვ. 59.



მტერმა. უთუოდ მაშინ ამ წიგნთსაცავიდან სხვადასხვა პირობა-  
 მიერ გატაცებულ იქნა ის ნაწილი შემონახული ხელნაწილები, რომლებსაც ანტონის ხელი ატყვია და რომლებიც დღემდე ინახვნიან.  
 სიძველეთა საცავების სეიფებში ინახება. ანტონის ამ ძვირფასი-  
 წიგნთსაცავისა და რიგი სხვა წიგნთსაცავების განადგურებისა გამო,  
 ანტონის შემონახულ ისედაც მნიშვნელოვან ნაწარმოებებს კიდევ  
 უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დღეს ჩვენი წარსულის შესა-  
 სწავლად. მათში ძველ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე  
 დაცულია ხშირად ისეთი ცნობები, რომლებიც სხვა ძეგლებში არ  
 მოგვეპოვება.

მეფისა და კათალიკოზის პირადი წიგნთსაცავების გარდა, XVIII  
 საუკუნის ქართლ-კახეთში სხვათა კერძო წიგნთსაცავე-  
 ბიც მოიპოვებოდა. იოანეს ძმა იესე ოსეს-ძე მოუთხოვს  
 თავის თავგადასავალში შეილებს: „მამა-ჩემი იყო და ბიძა-ჩემები  
 მღუდელნი წმიდისა ეკლესიისანი, მარადის მღვიძარენი მსახურებასა  
 წმიდისა ეკლესიისა..., წვრთილნი მეცნიერებითა საფი-  
 ლასოფოსათა და საეკლესიოთა წერილთათა და  
 მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებელობითა“-  
 და სხვა<sup>1</sup>. მაშასადამე, იესე ოსეს-ძის მამასა და ბიძებს ჰქონიათ  
 „მდიდარნი“ წიგნთსაცავნი, სადაც როგორც საეკლესიო, ისე „სა-  
 ფილასოფოსო“ (ე. ი. მეცნიერული და ფილოსოფიური) წიგნები  
 მოიპოვებოდა. როგორც ქვევით დავრწმუნდებით, თვით იესესაც  
 ჰქონია წიგნთსაცავი. ის, რა თქმა უნდა, სხვა პირებსაც გააჩნდათ:  
 მაგალითად, მზექტაბუჯ ორბელიანს, დავით ორბელიანს და მრავალ  
 სხვა განათლებულ პირს.


თუ ანტონ პირველის საკუთარ წიგნთსაცავში 7000 ტომი ითვ-  
 ლებოდა, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეო-  
 რის სამეფო წიგნთსაცავებში თითოეულში თითო-ორ-ორი ათასი  
 მაინც მოსალოდნელია ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასე „მდიდარი“  
 ოსეს, მისი ძმების და სხვათა კერძო წიგნთსაცავები არ იქნე-  
 ბოდა; თითოეულ მათგანში თუ რამდენიმე ასეული წიგნი იყო, ესეც  
 დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა მისი პატრონისათვის და ძლიერ  
 საექვო რომელიმე მათგანში ათასობით წიგნი არსებულყო. ამას-  
 თანავე, ზემომოტანილ ამონაწერში იესე ოსეს-ძის მიერ ხმარებული  
 სიტყვა „მდიდარნი“, სხვების წიგნთსაცავებთან შეფარდებით ნახ-  
 მარი, რა თქმა უნდა, იესესთვის ცნობილ სხვა უფრო პატარა-პა-

<sup>1</sup> „თავგადასავალი იესე ოსეს წვილისა“, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. გამოც., გვ. 26. ხაზგასმა ჩვენია, ა. რ.

ტარა წიგნთსაცავებსაც გულისხმობს, სხვადასხვა დაწესებუ-  
ლებებსა და კერძო პირთა ხელში არსებულთ. თითოეულ მათგანში  
უთუოდ არა ათასეული ან ასეული, არაქედ ათეული წიგნები და  
პოეზობდა. მართლაც, სხვა არა იყოს რა, მღვდელმსახურების წე-  
სიერად შესასრულებლად ათიოდე წიგნის ქონებას მაინც აკისრებდა  
მრავალრიცხოვანი სოფლის თითოეულ ეკლესიას ერეკლე მეორისა  
და ანტონ პირველის შემოხსენებული, 1768. წლის მოწოდება „ეპის-  
კოპოსთა მიმართ“<sup>1</sup>. ეს მოწოდება მეფისა და კათალიკოზისა, მათი  
სტამბიდან მიწოდებული წიგნების წყალობით, უმეტეს ადგილას  
მაინც სრულდებოდა. ასეთი პატარ-პატარა წიგნთსაცავები მაშინ-  
დელი ქართლ-კახეთის დაწესებულებებსა და კერძო სახლებში  
მრავალრიცხოვნად არსებობდა.

ანტონ პირველი, გარდა თავისი წიგნთსაცავისა, საჭიროებისას,  
რა თქმა უნდა, სარგებლობდა შემოხსენებული სხვა წიგნთსაცავები-  
დანაც; განათლებულ კათალიკოზს მონასტრებისა და ეკლესიების  
წიგნთსაცავები ყურადღების გარეშე არ ურჩებოდა და კერძო პირებიც  
კი სიამოვნებით ათხოვებდნენ ხოლმე მას საჭირო წიგნებს. მაგალი-  
თად, ანტონის მიერ სხვის კერძო წიგნთსაცავითაც სარგებლობას  
შეეხება მისი ერთ-ერთი წერილი „მდივან იესე“-სადმი  
(იესე ოსეს-ძე). ამ წერილში ის მას, სხვათა შორის, წერს: „მერ-  
მე ახლა ჩემგან შენთან წიგნის მოწერის მიზეზი ეს არის, რომ ვი-  
ცი რომ ქეთევან დედოფლის ცხოვრება გალექსილი  
გაქვს და ამ-ჟამად მეჭირვება დიდად იმისი ნახვა.  
და, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, დაკლექილს სახლში თურე გაქვს შე-  
ნახული და კლიტე გამოგზავნე სარწმუნოს ვისმე კაცის ხელით, რომ  
შენს ძმას (იგულისხმება იოანე ოსეს-ძე.—ა. რ.) მოუ[ვ]იდეს; ეს იც-  
ნობს, გამოიტანოს, ცოტას ხანს მათხოვოს და ისევ მალ მივ-  
სცემ ამასვე, და ან შენ მოხვალ და შენ მოგართვამ. დიდად მე-  
ჭირვება. მაგას ნუ იქ, რომ არ გამოგვიგზავნო და არ შეგვატყო-  
ბინო სადაც გაქვს, რომ მოგვცენ. დაიწერა ოკლომბერს კვ [23],  
წელსა ჩღმც [1768]. შენი სულიერი მამა და მეგობა[რი] ანტონი“.

<sup>1</sup> ამ მოწოდებით მეფე და კათალიკოზი ყოველ სოფლის ეკლესიას სავალდებუ-  
ლოდ უხდიდნენ სხვათა შორის ჰქონებოდა: „აგრევე წიგნი — დავითი, ჟამნი,  
პარაკლიტონი, თორმეტის საუფულოს სადღესასწაულო, ათორმეტები (sic) დღე-  
სასწაულისა და ვნებისა, სახარება, სამოციქულო, კურთხევანი და კონდაკი. ესე-  
ნი უნდა ჰქონდეს“-ო (საქ. მუხ. № 317 A, ფურც. 179—186), და სხვა საჭირო  
წიგნებსაც თუ მიუმატებდნენ ამ აუცილებელთ, მოსაწონად მიაჩნდათ.



არშიაზე მიწერილია: „თუ გინდა, ჩემს ნათლის-დედას გამოუგზავნე და შენს ძმას მოანახვინებს“-ო<sup>1</sup>. ასე ჩაცვივებით ეძებს სატიკის წიგნებს ანტონ პირველი სხვის წიგნთსაცავშიაც. ცნობილია, რომ ანტონმა თავითონაც აღწერა ქე თევან დედოფლის ცხოვრება და, რა თქმა უნდა, იესე ოსეს-ძის ზემოხსენებული ნაწარმოების გათვალისწინებაც მისთვის საინტერესო იყო. ამიტომაც, უთუოდ, თავისი ნაწარმოების წერისას უყურადღებოდ არც სტოვებს მას მკვლევარი კათალიკოზი.

ამრიგად, ანტონ პირველი, როგორც თავითონაც გადმოგვცემს, ყველგან ეძებდა მისთვის უცნობ ყოველგვარ ნაწარმოებს და საფასურის გაღებით კალიგრაფს გადააწერინებდა კიდევ, თუ კი სადმე იპოვიდა მას. შრომის ანაზღაურების გარეშეც, თავისი მოწაფე-მიმდევრები ანტონს ცოტა ხელნაწერს როდი ძღვნობდნენ, — ამას აშკარად მოწმობენ რიგი ხელნაწერების ცნობები. ახლა თუ გავიხსენებთ იმ გარემოებასაც, რომ ანტონ პირველს დიდი კულტურული ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო სწავლულ ქართველებთან, არამედ მრავალრიცხოვან უცხოელებთან, — კათოლიკე მისიონერებსა, სხვადასხვა ევროპელ მოგზაურებსა და ჩამოსულებთან (გვილდენშტედტი, რაინეგსი, დელაპორტი, რუსი მოხელეები საქართველოში და სხვ.), რუსეთშიაც თითქმის 7 წელი (1756 წ. აპრილიდან 1763 წ. მარტამდე), ხოლო შემდეგ 2 წელი (1772—1774 წ.წ.) იყო ნამყოფი და იქ ინტენსიურ გონებრივ მუშაობას აწარმოებდა ამ ხნის განმავლობაში, იქვე ბევრი განათლებული მეგობარი გააჩნდა, ბევრ ვინმესთან მიწერ-მოწერა ჰქონდა<sup>2</sup> და ა. შ., — ჩვენთვის გასაგები გახდება თუ როგორ შეიძინა ამ ნიჭიერმა და დაუცხრომელი ენერჯის მქონე ადამიანმა ის უდიდესი ცოდნა, რომელიც იმ დროისათვის თითქოს გასაკვირველი ჩანს.

ზემოხსენებული წიგნთსაცავებიდან მოღწეულ ხელნაწერებს, დაბეჭდილ წიგნებს და სხვადასხვაგვარ დოკუმენტებს დღეს ჩვენს სიძველეთა საცავებში მრავალს ვპოულობთ. ბევრი მათგანი მინაწერებითა და სხვა რამითაც აშკარად გვიმჟღავნებს თუ ვისი წიგნთსაცავიდან მოდის.

წიგნთსაცავების ქსელის გავრცელებასა და გამდიდრებაში თავის დროზე ანტონ პირველსა და ერეკლე მეორეს მიუძღოდათ ყველაზე მეტი ღვაწლი თანამემამულეთა წინაშე. მათს ღვაწლს წარმოადგენს სტამბის საქმის მოგვარება, კალიგრაფიული ხელობის

<sup>1</sup> საქ. ცენტრ. არქივის ფ. 226(1), № 4554.

<sup>2</sup> შემონახულია ჩვენს სიძველეთა საცავებში (საქართველოსა და რუსეთში) ანტონ პირველის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც ერეკლე მეორის ხანის შესასწავლად ერთ-ერთ უძვირფასეს საისტორიო მასალას წარმოადგენს.


განვითარებისათვის ხელისშეწყობა, მწერლობის განვითარებისათვის ზრუნვა და სხვა. სხვა არა იყოს რა, ამის გამოთავ მამინდელი მკითხველი საზოგადოება მათი მაღლიერი იყო. ორივე „სულისა ერთობრივი“ „ძმის“ იდეოლოგიური მოწინააღმდეგეთა კი ამის მიიჩნევდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების შემბლაღველად სახალხო განათლების დარგში.

თავიანთი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიის შესაბამისად, ერეკლესა და ანტონ პირველის მიერ, მრავალრიცხოვან მიმდგომთა შემწეობით, სახელმწიფოში ჩატარებულმა ცნობილმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ღონისძიებებმა და ზემოხსენებულმა კულტურულმა საქმეებმა, რა თქმა უნდა, დააფრთხო რეაქციული წრეები. ამიტომ, ბუნებრივია, მამინდელმა რეაქციულმა ძალებმა ზემოხსენებული მკაცრი საეკლესიო ცენზურით, მათი ორთოდოქსალური „მართლმორწმუნეობითა“ და კონფენსიონალობით, ერეკლესა და ანტონის „გაკათოლიკებით“ ანუ გაეგროპიელებით (= „გაფრანგება“), შეთქმულებებითა და ტერორით და სხვა ლეგალური და არალეგალური საშუალებებით დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს „სიყრმითგანვე“ „ძმებს“—ერეკლესა და ანტონს. თავადური სისტემა ამის გარეშე ვერ ინელებდა ერეკლესა და ანტონის პროგრესულ იდეალებს.

დიდ წიგნთსაცავთა რიცხვი ერეკლეს სამეფოში ძლიერ ცოტა იყო და ზემოხსენებული პატარა წიგნთსაცავებითა ან თითო-ოროლა წიგნით კმაყოფილდებოდა ქონებრივად შეძლებული მკითხველი საზოგადოება. მასა კი, ცხადია, მამინ წერა-კითხვის ცოდნასაც კი მოკლებული იყო, მიუხედავად ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის მიერ მისი კულტურული ღონის ამაღლებისათვის მრავალმხრივი ზრუნვისა.

ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული იდეალები საკმაოდ წინ უსწრებდნენ მათ ქვეყანაში არსებულ სინამდვილეს და უკეთესი მერმისის თვალსაზრისით წყვეტდნენ სამშობლოს ბედ-იღბალს. „ძმები“ მწარედ განიცდიდნენ საქართველოს დუხჭირ მდგომარეობას. ამიტომაც, რომ ანტონ პირველი ეუბნება თანამედროვეთ: „...ვხედავ, შვლნო, მკჭდარსა მას დედასა (სამშობლოს.—ა. რ.), მგლოვარესა და ბავთსა უუთქვსა შინა მყოფსა“<sup>1</sup>. ერეკლეს დრომდე შემორჩენილი სოციალური უკუღმართობის, ეკონომიური გაჭირვებისა და პოლიტიკურად დაქუცმაცებული და დასუსტებული საქართველოს შესახება ანტონის მიერ ეს სიტყვები თქმული. ამიტომ, ანტონის თვალსაზ-

<sup>1</sup> 1753 წ. გრამატიკის წინასიტყვაობა,—საქ. მუხ. № 785 A, ფურც. 6 რ.




რისით, ქართველთათვის „მეცნიერებით უწყებაა ჯერიყო... თქვენ-  
 მან სიყუარულმან აღძრუა ჰყო გონებისა ჩემისა, რათა ~~ქვეყნისა~~  
 იცნნეთ საიდუმლონი“ და „შემოვედ თქვენდა, ძიება ~~გვყავა~~ ~~იერემიას~~ ~~ქვეყნისა~~  
 მიერ დამარხულისათვის საკურთხეველის ცეცხლის მეორემან იე-  
 რემია“. ჩემ მიერ „პოვნილ არს ცეცხლი“, „რათა ამი[ე]რიოთ-  
 გან ბრწყინვიდეს პირი მისი (საქართველოსა.—ა. რ.) და  
 შესახედავი ელვარებდეს და მისი რა იხილო პირი ესთა მშტენი  
 კეთილის მოქმედებითა შენ ძლიითთა“-ო და სხვა, წერს  
 ქართველთა საყურადღებოდ ანტონ პირველი<sup>1</sup>. ეს იერემიას „ცეცხლი“,  
 ქართველთათვის ანტონის მიერ „პოვნილი“, იყო სახალხო განათლება,  
 გავრცელება „სიბრძნისა, რომლისათვის გვიკვს ახლისა განახ-  
 ლებულისა შემოსა მეცნიერებისა,... კანდიერებისა მოცე-  
 მაა გულთა შინა ჩტენთა, რათა დაიმკუთას ჩტენ შორის  
 უსწავლელობაა მშობელისა ლაღისა... და... სიბრძნეთა  
 შინა... ნათლითა მისითა ბრწყინქალითა განვბრწყინდეთ... ჩტენცა  
 განახლებად ვართ მით, რამეთუ... ახალსა ქტყუა-  
 ნასა მოველით. და დაძტვლებადთა, ვითარცა ამაო-  
 თა ამაოებასა, არ გულ-მძიმეობით სიცრუისათანა  
 შევიყუარებთ მით, რამეთუ არღარა ვართ ბნელსა  
 შინა, არამედ ქეშმარიტებისა მეცნიერებად წოდე-  
 ბულ ვართ რჩეულნი ნაყოფად ცხოვრებისა“<sup>2</sup>.

მართალია, ანტონი მწარედ განიცდიდა თავისი სამშობლოს გასა-  
 ქირს, მაგრამ იერემიასებურად მას თავისი ქვეყნის დაღუპვა არ  
 უწინასწარმეტყველებია და არც „იერემიას გოდება“ მიჰკარებია  
 მის გულს. პირიქით, როგორც ვხედავთ, ანტონი, როგორც დი-  
 დი ტრიბუნი თავისი ხალხისა, თავისი ერის ბედ-იღბალს მხოლოდ  
 იერემიას „ცეცხლით“—ახალი მეცნიერებით, ბნელეთიდან გამო-  
 სვლით, „დაძტვლებულ“, დრომოკმულ რეაქციულ მოვლენათა უარის-  
 ყოფით „რჩეულთა ნაყოფად ცხოვრებისა“ ქართველთაგან მოელოდა  
 „განახლებულსა“, „ახალსა ქტყუანასა“. ცოდნა-განათლების „ცეც-  
 ხლით“ ჩემ მიერ იერემიასებურ „საკურთხეველზე“ ყოველგვარი  
 დრომოკმული მსხვერპლად „იქმნა დაწულ ყოვლად დასაწტვლი“-ო,  
 წერს ანტონ პირველი<sup>3</sup>. ეს მან იმიტომ მოიმოკმედა მწერლობასა  
 და სახალხო განათლების დარგში, რომ გამოეხსნა „ბავთსა უუთქესა  
 შინა მყოფი“ „დედა“—სამშობლო, „რათა ამი[ე]რიოთგან ბრწყინ-  
 ვიდეს პირი მისი და შესახედავი ელვარებდეს“ ისევ ქართველთა

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იქვე, ფურც. 1.  
<sup>3</sup> იქვე, ფურც. 6 რ.





„კეთილის მოქმედებით“. ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლობასა და სახალხო განათლებას კათალიკოზი ანტონ პირველი. ამასთანავე „სულითა ერთობრივი“ „ძმა“ ერეკლე მეორე ანტონის საგანძობო ლებლო აზრებს მხნედ ადგა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განსახორციელებლად. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული ფაქტები ამის შესახებ ნათლად მეტყველებენ.

იერემიას „ცეცხლით“ დედა-სამშობლოსათვის ანუ „ქუცყანი-სათვის მშობელისა“ „უმჯობესი“ მერმისის<sup>1</sup> ძიებამ მეფე ერეკლე მეორე და კათალიკოზი ანტონ პირველი ადრევე დიდ რუს ხალხთან „ძმობის“ აზრამდე მიიყვანა<sup>2</sup> და შემდეგ მისი ბედ-ილბალი სამარადისოდ ამ ძლიერ ერთან დააკავშირებინა. ორივე დიდი ქართველის ღირსეულმა „დედამიც“ ამით საბოლოოდ დააღწია თავი ყოველგვარ ძნელბედობას და ამჟამად ძველ „ბავთსა უუთქესა“ განშორებულნი „ბრწყინავს პირი მისი და შესახედავი ელვარებს“.

<sup>1</sup> ანტონ პირველის „ღუთის-მეტყუშლების“ II ტომის წინასიტყვაობა, თ. „ბ“, § 12—14,—საქ. მუხ. № 3655 S.

<sup>2</sup> აქ ჩვენ არა მარტო სარწმუნოებრივ „ძმობას“ ვგულისხმობთ, არამედ პოლიტიკურსაც. ერეკლე მეორე და ანტონ პირველი ხშირად ამგვარი გაგებით ხმარობდნენ ამ სიტყვას რუსებთან დაკავშირებით. მაგალითად, 1752 წ. „სპეკალში“ ანტონ პირველი რუსებს ამგვარი გაგებით „ძმობა ჩვენთა“-ს უწოდებს (თავი 61,—საქ. მუხ. № 1743 A). ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ სწორედ ამავე წელს ამ „ძმობა“, ანავე გაგებითა და გრძნობით მიმართეს, დახმარების ნისაღებად, თეიმურაზ მეორემ, ერეკლემ და ანტონმა. ანტონ პირველი ამის შესახებ 1752 წელსვე ოფიციალურ ბრძანებაში წერს: „ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან მეფის ძემ ანტონიმ და მეფეებმან ტფილელ მიტროპოლიტი ათანასი ასტრაჯანს ჩვენს საქმეზე გაგზავნეთ“-ო და სხვა (იხ, 1752 წ. 28 მაისის ბრძანება ანტონ კათალიკოზისა ტფილელის ნაიბად კრისტეფორე ნროველის განწესების შესახებ,—საქ. მუხ. № 202 Ad; შეად. თეიმურაზ მეორის 1752 წ. 23 მაისის ასეთივე ბრძანება № 206 Ad). ამრიგად, განსაკუთრებით პოლიტიკური თვალსაზრისი, კერძოდ კი 1752 წლის მაისიდან ათანასე თბილელისა და სვიმონ მყაუჭილის ცნობილი ელჩობა რუსეთში, „ძმობა ჩვენთა . . . რუსთა კეთილმსახურთა“ და იმპერატორებს პეტრე დიდსა და ელისაბედსა ც სიმპათიით მოახსენებინებს ანტონ პირველს თავის ადრინდელ ღირსშესანიშნავ თხზულება „სპეკალში“ (თ. 61), რომელიც 1752 წლის მეორე ნახევარში დაწერა. შემდეგ კი ერეკლესა და ანტონის „ძმობა“ რუსთადმი ხომ საყოველთაოდ ცნობილია პოლიტიკურსა და კულტურულ ნიადაგზე.

3560 10 256.

K 276.477  
3  
თბილისის  
უნივერსიტეტი

А. А. РОГАВА

Народное просвещение в Картли-  
Кахетии эпохи Ираклия Второго  
и Антоний Первый

(на грузинском языке)

Издательство Института педагогических наук  
Министерства просвещения Грузинской ССР  
Тбилиси—1950